ვირჯინია ვულფი

“მისის დოლოვეი”

გიორგი ძნელაძის თარგმანი

*

მისის დოლოვეიმ თქვა, რომ ყვავილებს თვითონ იყიდდა.

ლუსის აუარებელი საქმე ჰქონდა. სახლში ყველა კარი უნდა ჩამოეხსნათ. რამპლმაიერის[1] მოსამსახურეები მალე მოვიდოდნენ. რა მშვენიერი დილაა! როგორ გაიხარებენ სანაპიროზე ბავშვები, თითქოს მათთვის გათენდა, – გაიფიქრა კლარისა დოლოვეიმ.

რა კარგია! თითქოს იძირები! ყოველთვის ასეთი შეგრძნება ეუფლებოდა, როდესაც ბორტონში დილაობით ანჯამების ოდნავი ჭრიალით გამოაღებდა ტერასის დიდ, შემინულ კარს. მისი ჭრიალი ახლაც კი ჩაესმოდა. ეჩვენებოდა, რომ გრილი ჰაერის ტალღებში იძირებოდა. მაშინ უფრო გრილი, მშვიდი ნიავი ქროდა, ვიდრე ახლა. ადრეული დილის ჰაერი ტალღასავით ხმიანობდა, სასიამოვნოდ ელამუნებოდა და ეალერსებოდა. სუსხიანი იყო, თუმცა, დიდებული შეგრძნებით ავსებდა (მაშინ თვრამეტი წლის იყო). ფართოდ გამოღებული კარის წინ მდგარს ეჩვენებოდა, რომ რაღაც საშინელება მოხდებოდა. გასცქეროდა ყვავილებსა და ხეებს, რომლებზეც ქულებად დაფენილი ნისლი ზანტად იფანტებოდა. ჭილყვავები ცაში კამარას კრავდნენ და ისევ მიწაზე ეშვებოდნენ. მონუსხული კლარისა ლამაზ პეიზაჟს თვალს ვერ სწყვეტდა. პიტერ უოლშმა უთხრა: „კომბოსტოებს გასცქერით და ოცნებობთო?“ ასე უთხრა? „კომბოსტოებს მე ადამიანები მირჩევნია“. ასე არა? მგონი, ეს იმ დილით მოხდა, როდესაც ნასაუზმევს კლარისა ტერასაზე გავიდა. პიტერ უოლში მალე (ივნისში ან ივლისში) ინდოეთიდან ჩამოვიდოდა. ძალიან მოსაწყენ წერილებს სწერდა. კლარისას მისი სიტყვები, თვალები, ჯაყვა, ღიმილი და ბუზღუნი ახსოვდა. რა უცნაური იყო! იმდენი რამ სამუდამოდ დაავიწყდა, მაგრამ ის კი ახსოვდა, რაც მან კომბოსტოებზე უთხრა.

კლარისა ტროტუარს მიუახლოვდა და წელში გასწორდა. ელოდა, როდის ჩაივლიდა მანქანა, რომ ქუჩა გადაეკვეთა.

მომხიბლავი ქალია, – გაიფიქრა სქროუფ პერვისმა (ის ისე იცნობდა მას, როგორც ვესტმინსტერელები იცნობდნენ თავიანთ მეზობლებს). კლარისა ჩიტს, მომწვანო-მოცისფრო ჩხიკვს ჰგავდა. მსუბუქად, ცოცხლად მიაბიჯებდა, სიცოცხლით აღსავსე იყო, მიუხედავად იმისა, რომ ორმოცდაათ წელს გადააბიჯა და ავადმყოფობის შემდეგ თითქმის სულ გაჭაღარავდა.

კლარისა ტროტუარზე წელში გამართული იდგა და მას ვერ ამჩნევდა. ელოდა, როდის ჩაივლიდა მანქანა.

როცა ვესტმინსტერში ცხოვრობ (მაინც, რამდენი ხანი? უკვე ოც წელიწადზე მეტი) რამდენიმე წამით ადრე, ვიდრე ბიგ-ბენის ხმა გაისმება, საოცარი სიჩუმე ისადგურებს. დიდებული შეგრძნება გეუფლება. დრო ჩერდება. ამას მაშინაც კი გრძნობ, როცა შუაღამისას გეღვიძება (კლარისა ამაში დარწმუნებული იყო). ამ საოცარ მდუმარებას ქუჩის ხმაურიც კი ვერ არღვევს (არ იცოდა, რა ეწოდებინა ამ დიდებული შეგრძნებისათვის. იქნებ იმიტომ ისადგურებდა ასეთი მდუმარება, რომ მისი გული ფეთქვას წყვეტდა? მან ხომ გრიპით იავადმყოფა). მდუმარებაში შთანთქმული, სულგანაბული დგახარ და ბიგ-ბენიც რეკავს! ჯერ ერთგვარი პრელუდია გაისმის, გაფრთხილებასავით, შემდეგ კი საათის განუმეორებელი ხმა. ტყვიის ციფერბლატი თითქოს ჰაერში დნება. რა უგუნურები ვართ, – ფიქრობდა კლარისა დოლოვეი, როცა ვიქტორია-სტრიტზე გადადიოდა. მხოლოდ ღმერთმა იცის, რატომ გვიყვარს ყოველივე ეს ასე ძალიან, რატომ გვეუფლება ასეთი შეგრძნება. ფიქრებში ყოველწამიერად ვანგრევთ და ვაშენებთ მას. ღარიბ, უშნო, ცხოვრებისგან გათელილ და კარის ზღურბლზე მჯდომ ქალებსაც ასეთივე შეგრძნება ეუფლება (ბევრ მათგანს სასმელმა მოუღო ბოლო): მათ კანონები ვერ შეცვლის, რადგან სიცოცხლე უყვართ. გამვლელების მზერა, რხევა, ქუსლების კაკუნი, შრიალი, შარიშური, ეტლების, ავტომობილებისა და ომნიბუსების გრუხუნი, ხმაური, სენდვიჩმენების[2] ფეხების ბაკუნი და რწევა, სასულე ორკესტრი, არღნის ჟღრიალი, აეროპლანის უცნაური ზუზუნი – ეს იყო ის, რაც კლარისას ძალიან უყვარდა, – სიცოცხლე; ლონდონი. ივნისის ეს წამი.

შუა ივნისი იდგა. ომი მისის ფოქსკროფტის გარდა ყველასთვის დასრულდა. გუშინ, საღამოს, საელჩოში მივიდა, ძალიან ღელავდა, რადგან საყვარელი ბიჭი ომში დაეღუპა და ახლა ძველი საგვარეულო სახლი მის ბიძაშვილს დარჩებოდა. ომი არც ლედი ბექსბოროსათვის დასრულებულა. როგორც ამბობენ, საქველმოქმედო ბაზრობა ხელში ჯონის, მისი რჩეულის, დაღუპვის მაუწყებელი ტელეგრამით გაუხსნია. ყველაფერი დასრულდა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი დასრულდა! ივნისის ამ მშვენიერ დღეს მეფე და დედოფალი სასახლეში იყვნენ. ჯერ კიდევ ძალიან ადრე იყო, თუმცა, ლორდსიდან, ესკოტიდან და რენილედან[3] პონების შორეული ჭიხვინი და კრიკეტის ჯოხების კაკუნი მოისმოდა. ყველაფერი დილის მორუხო-მოცისფრო, მკრთალ ნათელში გახვეულიყო, თუმცა, მალე გაშუადღდებოდა, ეს საოცარი ფერები უკვალოდ გაქრებოდა და პონები მოედანზე სირბილს დაიწყებდნენ, ჩლიქებს მიწას დაჰკრავდნენ და ელვის სისწრაფით გაიჭრებოდნენ წინ. იჯირითებდნენ ბიჭები და მუსლინის კაბებში გამოწყობილი გოგონები, რომლებმაც ალბათ, მთელი ღამე იცეკვეს და ახლა სასაცილო, ხუჭუჭა ძაღლებს დაასეირნებდნენ. და უკვე ამ დილაადრიან კეთილგონიერი და მედიდური მდიდარი მოხუცი ქვრივები მანქანებში სხდებოდნენ და საიდუმლო შეხვედრებზე მიიჩქაროდნენ. ვაჭრები მაღაზიების ვიტრინებში ბიჟუტერიასა და ბრილიანტებს, ძველებურ ბუდეებში ჩასმულ ლამაზ გულსაბნევებს აწყობდნენ ამერიკელების მისაზიდად (მაგრამ კლარისას ფული არ უნდა გაეფლანგა და ცხელ გულზე ეს ლამაზი ნივთები ელიზაბეთისთვის არ უნდა ეყიდა) გატაცებით, ერთგულად, თავდავიწყებით უყვარდა ყოველივე ეს. ამ საოცარი სამყაროს ნაწილი იყო. მისი წინაპრები

მეფე ჯორჯის დინასტიის დროს კარისკაცები იყვნენ. ამ საღამოს წვეულებაზე კლარისაც თვალისმომჭრელად ლამაზი იქნებოდა. ისიც გაბრწყინდებოდა დიდებულების შუქით. რა უცნაურია – პარკში უჩვეულო სიჩუმეა, ზუზუნი, ნისლი, ბედნიერი იხვები, დინჯი პელიკანები; მაგრამ ეს ვინ არის სამთავრობო შენობების წინ, მის ზურგს უკან მოხდენილად რომ მოაბიჯებს და იღლიაში ამოუჩრია საქაღალდე, რომელზეც სამეფო გერბია გამოსახული? ვინ იქნებოდა, თუ არა ჰიუ უითბრედი. მისი ძველი, ძვირფასი მეგობარი ჰიუ!

– დილა მშვიდობისა, კლარისა! აქ რას აკეთებთ? – ჰკითხა ჰიუმ ოდნავ ზედმეტად ექსტრავაგანტურად, ისინი ხომ ბავშვობის მეგობრები იყვნენ.

– სოფელში სეირნობას ლონდონში ხეტიალი მირჩევნია, – მიუგო მისის დოლოვეიმ.

უითბრედები ცოტა ხნის წინ ჩამოსულიყვნენ ლონდონში. სამწუხაროდ, ექიმებთან უნდა მისულიყვნენ. ხალხი ამ ქალაქში მშვენიერ ნახატებს ათვალიერებდა, ოპერაში დადიოდა, საღამოობით ქალიშვილებთან ერთად სეირნობდა, უითბრედები კი მუდამ ექიმებთან დადიოდნენ. კლარისას უამრავჯერ მოუნახულებია ივლინ უითბრედი საავადმყოფოში. ნუთუ ისევ ავად გახდა?

– ივლინი შეუძლოდ არის, – მიუგო ჰიუმ და ძვირფას ტანსაცმელში გახვეული (კარგად ჩაცმა ევალებოდა, რადგან სამეფო კარზე პატარა თანამდებობა ეჭირა), ჩამოსხმული, ლამაზი ტანი თითქოს უკმაყოფილების ნიშნად დაებერა. ამით მიახვედრა, რომ ივლინს რაღაც დაავადება ჰქონდა, მაგრამ სერიოზული არაფერი. კლარისა მისი ბავშვობის მეგობარი იყო და ყველაფერს უსიტყვოდ მიხვდებოდა. ო, რა თქმა უნდა, კლარისა ყველაფერს მიხვდა. რა სამწუხაროა! კლარისას ივლინი დასავით უყვარდა და მთელი გულით თანაუგრძნობდა, მაგრამ ამავე დროს ქუდის გამო ძალიან წუხდა. დილით ასეთი ქუდი არ უნდა დაეხურა, არა? ჰიუ გატაცებით ლაპარაკობდა, ქუდს მოხდენილად აქნევდა და არწმუნებდა, თვრამეტი წლის ქალიშვილს ჰგავხარო. რა თქმა უნდა, ამ საღამოს ჰიუ კლარისას წვეულებაზე მივიდოდა. ივლინიც დაჟინებით სთხოვდა. უბრალოდ, ცოტათი დააგვიანდებოდა, რადგან ერთ-ერთი ვაჟიშვილი, ჯიმი, სასახლეში მიღებაზე უნდა წაეყვანა.

კლარისა ჰიუს გვერდით თითქოს მოსწავლეს ჰგავდა. ჰიუ უყვარდა, რადგან მისი ბავშვობის მეგობარი იყო და კარგ ადამიანად მიაჩნდა, მაგრამ რიჩარდს კი ზოგჯერ აცოფებდა. პიტერმაც კლარისას ჰიუსთან მეგობრობა არასოდეს აპატია.

კლარისას ბორტონში მომხდარი ამბები მოაგონდა. პიტერი და ჰიუ გამუდმებით კინკლაობდნენ. პიტერი ცოფს ყრიდა. რა თქმა უნდა, ჰიუ მას ვერც კი შეედრებოდა, მაგრამ არც ისეთი ბრიყვი იყო, როგორც პიტერი ამბობდა. და არც გაფხორილი ფარშავანგი; როცა მოხუცი დედა სთხოვდა, სანადიროდ არ წასულიყო ან ბათში[4] წაჰყოლოდა, ის უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ოდნავ ეგოისტიც კი არ იყო და როცა პიტერი ამბობდა, უგულო და უჭკუოა, მხოლოდ ინგლისელი ჯენტლმენის მანერები და აღზრდა აქვსო, ეს თავად საყვარელ პიტერს წარმოაჩენდა ცუდად. კი, ზოგჯერ

აუტანლად იქცეოდა, მაგრამ რა კარგი იყო ივნისის ასეთ მშვენიერ დილას მასთან ერთად სეირნობა!

(ივნისი იდგა და ხეები მწვანედ შემოსილიყო. პიმლიკოელი[5] ქალები შვილებს ძუძუს აწოვებდნენ. ფლოტისგან საადმირალოში ცნობები მოდიოდა. არლინგტონ-სტრიტისა და პიკადილის ცხელი ჰაერი თითქოს პარკსაც სწვდებოდა, ფოთლებს აელვარებდა და აშრიალებდა იმ ღვთაებრივი, ტალღისებრი თრთოლითა და მგზნებარებით, რომელიც კლარისას ასე ძალიან უყვარდა. როგორ უყვარდა ცეკვა, ცხენით სეირნობა.) მას და პიტერს მრავალი წელი არ ენახათ ერთმანეთი. კლარისა არასოდეს სწერდა, ის კი საშინლად ცივ წერილებს უგზავნიდა. რას ეტყოდა პიტერი ახლა, მის გვერდით რომ ყოფილიყო? ივნისის მშვენიერმა დღემ და ულამაზესმა პეიზაჟმა კლარისას პიტერი გაახსენა. ძველი წყენა სულ დაავიწყდა. ადამიანების სიყვარული შეეძლო. ეს, ალბათ, მისი ჯილდო იყო, რადგან ოდესღაც ადამიანებზე ზრუნავდა. კლარისას ახსენდებოდა, რომ ის და პიტერი ერთ მშვენიერ დილას სენტ-ჯეიმზის პარკში სეირნობდნენ. პიტერი ვერასოდეს ამჩნევდა ბუნების მშვენიერებას, საუცხოო დილას, აყვავებულ ხეებსა და ხასხასა ბალახს, ვარდისფერ კაბაში გამოწყობილ გოგონას. როდესაც კლარისა ეტყოდა, ნახე, რა სილამაზეაო, პიტერი სათვალეს გაიკეთებდა და თვალებს აქეთ-იქით დააცეცებდა.

მხოლოდ მსოფლიოს პოლიტიკური ვითარება, ვაგნერის მუსიკა, პოუპის პოეზია,[6] ხალხის ზნე-ხასიათი და კლარისას უარყოფითი თვისებები აინტერესებდა. ო, როგორ საყვედურობდა! როგორ კამათობდნენ! ერთხელ კლარისას უთხრა, ცოლად პრემიერ-მინისტრს გაჰყვები, კიბის თავში დადგები და სტუმრებს მიიღებ. უზადო დიასახლისი იქნებიო (ამაზე კლარისამ თავის საძინებელში იტირა), უთხრა, უზადო დიასახლისის მონაცემები გაქვსო.

კლარისა სენტ-ჯეიმზის პარკში მიდიოდა და ახლაც კი უმტკიცებდა საკუთარ თავს, რომ სწორად მოიქცა, პიტერს ცოლად რომ არ გაჰყვა. რა თქმა უნდა, სწორად მოიქცა! ქორწინებამ ადამიანს თავისუფლება და დამოუკიდებლობა არ უნდა დააკარგვინოს. ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ ადამიანებს თავისუფლება სჭირდებათ. ის და რიჩარდი ერთმანეთს არ ზღუდავდნენ (სად იყო ახლა რიჩარდი? დილით რაღაც შეხვედრაზე წავიდა. კლარისას არც კი გახსენებია, მისთვის რამე ეკითხა). კლარისა პიტერს ცოლად რომ გაჰყოლოდა, თავისუფლებას დაკარგავდა. ის მუდამ მის საქმეებში ჩაერეოდა. სულ იკამათებდნენ და ცხოვრება გაუსაძლისი გახდებოდა. როცა პატარა ბაღში, შადრევანთან ისხდნენ, კლარისას მოეჩვენა, რომ თუ არ დაშორდებოდნენ, ერთმანეთს გულს ძალიან ატკენდნენ. კლარისას ეს ტკივილი მრავალი წელი ტანჯავდა. მისი სიტყვები გულში ხანჯლად ესობოდა. ერთხელ, კონცერტზე, ვიღაცამ უთხრა, რომ პიტერმა ინდოეთისაკენ მიმავალ გემზე ვიღაც ქალი გაიცნო და ცოლადაც შეირთო! ეს ნამდვილი საშინელება იყო! ეს არასოდეს დაავიწყდებოდა! პიტერი ეუბნებოდა, ცივი, უგულო, უკარება ქალი ხარო. მას არც კი ესმოდა, როგორ ძალიან უყვარდა პიტერს. თავქარიანი, ლამაზი და სულელი ინდოელი ქალები ხომ უკეთ უგებდნენ! კლარისას სულ ტყუილად ებრალებოდა! პიტერი უმტკიცებდა, ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარო, მაგრამ არასოდეს ჩაუდენია ისეთი რამ, რაზეც საუბარი ეღირებოდა.

ხელმოცარული, უიღბლო კაცი იყო. ცხოვრება ფუჭად გაფლანგა. კლარისა ამის გამო ახლაც ბრაზობდა.

პარკის ჭიშკარს მიადგა. შეჩერდა და წამით პიკადილიზე მიმავალ ომნიბუსებს დააცქერდა.

ამიერიდან არავისზე არაფერს იტყოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ერთდროულად ძალზე ახალგაზრდა და წარმოუდგენლად ხნიერი იყო. ხან კი ეჩვენებოდა, თითქოს ყველაფერში დანასავით ღრმად ეფლობოდა, ხან კი ყველაფერს შორიდან, მშვიდად აკვირდებოდა. ტაქსებს თვალს ვერ სწყვეტდა და ეჩვენებოდა, რომ ძალიან შორს, ზღვის ნაპირას, სრულიად მარტო იყო. ყოველთვის გრძნობდა, რომ ცხოვრება (ერთი დღითაც კი) ძალზე საშიში რამ იყო. თავს ჭკვიან და გამორჩეულ ქალად სულაც არ თვლიდა. საოცარი იყო, ცხოვრებაში ამდენი როგორ იბრძოლა, როცა განათლება არ მიუღია და თავი ფროილაინ დენიელსის გაკვეთილებით ჰქონდა გამოჭედილი. არაფერი იცოდა: არც უცხო ენები და არც ისტორია. წიგნებს იშვიათად კითხულობდა. ძილის წინ მემუარებით ტკბებოდა.

რა მშვენიერი სანახაობა იყო. მონუსხული შესცქეროდა ტაქსებს. საკუთარ თავსა და პიტერზე აღარაფერს იტყოდა.

გზას გაუყვა. ფიქრობდა, რომ ერთადერთი ნიჭი ჰქონდა: ადამიანებს გრძნობდა, თითქმის ინსტინქტურად ცნობდა. როდესაც ოთახში ვინმესთან ერთად რჩებოდა, კატასავით დამრგვალდებოდა და კრუტუნს იწყებდა. დევონშირ-ჰაუსს, ბათ-ჰაუსსა და ფაიფურის კაკადუებით სავსე სახლებს მაშინ სტუმრობდა, როდესაც იქ მაღალი საზოგადოება იყრიდა თავს. ახსოვდა სილვია, ფრედი, სელი სიტონი და ყველა, ვინც იქ გაიცნო. მთელი ღამეები ცეკვავდნენ. გამთენიისას, როცა ბაზრისაკენ დატვირთული ფურგონები მიხრიგინებდნენ, ისინი შინ პარკის გავლით ბრუნდებოდნენ. კლარისას ახსოვდა, რომ ერთხელ ტბაში[7] შილინგიანი გადააგდო. ასეთი მოგონებები ხომ ყველას ჰქონდა. კლარისას უყვარდა ის, რასაც ახლა და აქ ხედავდა. დაინახა, როგორ ჩაჯდა ტაქსიში მსუქანი ქალი. ნუთუ ყველაფერი ამაოა? – ფიქრობდა კლარისა და ბონდ-სტრიტს მიუყვებოდა. იქნებ ყველაფერი მართლაც ამაო იყო, რადგან ადრე თუ გვიან მაინც მოკვდებოდა? ცხოვრება ჩვეულებრივად გაგრძელდებოდა, ის კი ცოცხალი აღარ იქნებოდა. შეიძლება, იტანჯებოდა, ან პირიქით, შვებასაც კი განიცდიდა იმის გაფიქრებისას, რომ სიკვდილი ყველაფრის დასასრული იყო?.. ლონდონის ქუჩებში, უწყვეტ მოძრაობაში, ხმაურში განზავდებოდა. ის და პიტერი ერთმანეთში განსხეულდებოდნენ. კლარისას სწამდა, რომ თავისი უშნო, ძველი სახლი, მის წინ მდგარი ხეები და ის ადამიანებიც კი, რომელთაც არასოდეს შეხვედრია, მისი ნაწილი იყო. ყველაზე ახლო მეგობრებს შორის ნისლივით დაეფინებოდა. ისინი ნელ-ნელა ასწევდნენ თავიანთი ტოტებით. კლარისას ხშირად დაუნახავს, როგორ ეზიდებოდნენ ხის ტოტები ნისლს ცისკენ. მისი სიკვდილი იმდენად შორს, იმდენად შორს იყო... რაზე ფიქრობდა, როცა ჰეჩარდის წიგნის მაღაზიასთან იდგა? რისი გახსენება სურდა? აგონდებოდა ის დრო, როცა სოფელში იყო, რძისფერ განთიადს უცქერდა და კითხულობდა: „ნუ გეშინია მცხუნვარე მზის და

ნურც სუსხიანი ზამთრის ქარს უფრთხი".

უკანასკნელმა წლებმა ყველას, ქალებსაც და მამაკაცებსაც ცრემლი ადინა. ცრემლი და მწუხარება, ტანჯვა-წამება; გამბედაობა და გამძლეობა; გმირული სულისკვეთება. კლარისას ძალიან უყვარდა ლედი ბექსბორო, რომელმაც საქველმოქმედო ბაზრობა გამართა.

ვიტრინებში გადაშლილი წიგნები ეწყო: „ჯოროკის მხიარული თავგადასავალი", „გასაპნული ღრუბელი",[8] „მისის ესკვიტის მოგონებები",[9] „ნადირობა ნიგერიაში"... მაღაზიაში უამრავი წიგნი იყო, თუმცა, ივლინ უითბრედს საავადმყოფოში ასეთ წიგნებს ვერ წაუღებდა. იმ პატარა, მეტისმეტად დასუსტებულ, გამოფიტულ ქალს წამითაც კი ვერაფერი გაახალისებდა. მუდამ სევდიანი თვალები ჰქონდა. პალატაში ის და კლარისა ქალურ დაავადებებზე დაუსრულებლად საუბრობდნენ. როგორ უნდა ივლინს, რომ სხვებს მისი ნახვა გაუხარდეს, ფიქრობდა კლარისა და ბონდ-სტრიტზე მისეირნობდა. ბრაზი ერეოდა. სისულელე იყო, რადგან ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც სხვებს სურდათ. უნდოდა, რიჩარდისთანა ადამიანი ყოფილიყო და ყველაფერი ისე გაეკეთებინა, როგორც თავად სურდა. ფიქრებში წასული კლარისა ელოდა, როდის ჩაივლიდა მანქანა. თითქმის ყოველთვის იმისათვის აკეთებდა რაღაცას, რომ სხვებს მოსწონებოდათ. იცოდა, რომ ეს დიდი სისულელე იყო (პოლიციელმა ხელი მაღლა ასწია), რადგან არავის აინტერესებდა, რას აკეთებდა.

ო, ნეტავ ცხოვრების თავიდან დაწყება შემეძლოს! – გაიფიქრა კლარისამ და შეჩერდა. სხვაგვარი გარეგნობა მაინც ჰქონოდა! უნდოდა, ლედი ბექსბოროსავით შავგვრემანი ყოფილიყო, გლუვი კანი და ლამაზი თვალები ჰქონოდა, გრაციოზული, ნელი, წარმოსადეგი და ოდნავ ხორცსავსე ყოფილიყო. მამაკაცივით დაინტერესდებოდა პოლიტიკით და სოფელში დიდი, ძალიან ლამაზი სახლი ექნებოდა. დიდებულად იცხოვრებდა. უამრავ სტუმარს მიიღებდა. მაგრამ ეს წყალობა არ ეღირსა. სუსტი და აწოწილი იყო. პატარა, სასაცილო სახე ჰქონდა და ცხვირი ჩიტის ნისკარტს მიუგავდა. თუმცა, ისიც მართალი იყო, რომ მუდამ წელში გამართული დადიოდა. ლამაზი ხელ-ფეხი ჰქონდა, კარგადაც იცვამდა, თუმცა, საკუთარი თავისათვის ფულს თითქმის არ ხარჯავდა (შეჩერდა და ჰოლანდიურ ნახატს დააცქერდა) ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ეს სხეული, რომელსაც ვერსად გაექცეოდა, უჩინარი ხდებოდა. თითქოს ვერავინ ამჩნევდა. ეს ძალზე უცნაური შეგრძნება არ შორდებოდა. თითქოს ვერავინ ცნობდა. არც გათხოვილი იყო და არც შვილი ჰყავდა. ის იყო მისის დოლოვეი. კლარისა აღარ ერქვა. მისის რიჩარდ დოლოვეი ხდებოდა.

ბონდ-სტრიტზე მიაბიჯებდა. ზაფხულობით, როდესაც დილით ბონდ-სტრიტზე გამოვიდოდა, ქუჩის სილამაზე აჯადოებდა. ქარი დროშებს აფრიალებდა. ბრჭყვიალა ნივთები არ მოჩანდა. იმ მაღაზიის ვიტრინაში, სადაც კლარისას მამა ორმოცდაათი წლის განმავლობაში კოსტიუმებს ყიდულობდა, ერთი თოფი ტვიდი გამოედოთ; ცოტაოდენი მარგალიტი; ყინულზე დადებული ორაგული.

– მორჩა, – თქვა და თევზის მაღაზიაში ყინულის ნატეხზე დადებულ ორაგულს შეხედა, – მორჩა, – გაიმეორა და იმ მაღაზიასთან შეჩერდა, სადაც ომამდე საუცხოო ხელთათმანები იყიდებოდა. კლარისას მოხუცი ბიძა,

უილიამი, ამბობდა, ნამდვილ ლედის ფეხსაცმელებითა და ხელთათმანებით იცნობო. ომის დროს, ერთ დილას, ბიძია უილიამი საწოლში კედლისაკენ გადაბრუნდა და თქვა: „ყველაფერი მორჩა". ფეხსაცმელები და ხელთათმანები. კლარისას ხელთათმანები ძალიან უყვარდა. მის ქალიშვილს, ელიზაბეთს კი ხელთათმანები და ფეხსაცმელები სულ არ აინტერესებდა.

სულ არ აინტერესებს... არ აინტერესებს, ფიქრობდა მისის დოლოვეი და ქუჩას მიუყვებოდა. ყოველთვის, როცა წვეულებას მართავდა, ყვავილებს ბონდ-სტრიტზე, ერთ მაღაზიაში ყიდულობდა. ელიზაბეთს თავისი ძაღლი ყველას ერჩივნა. დილით მთელ სახლში შარდის სუნი ტრიალებდა. საბრალო ძაღლი მის კილმანს ბევრად სჯობდა. ჯობდა, ელიზაბეთს დაავადებული[10] ძაღლისთვის მიეხედა და შარდის საშინელი სუნი აეტანა, ვიდრე მის კილმანთან ერთად მჯდარიყო ჩახუთულ ოთახში, ხელში ფსალმუნი დაეჭირა და ელოცა! ამას ყველაფერი სჯობდა! იქნებ როგორც რიჩარდი ამბობდა, ასეთი რამ ყველა ქალიშვილს განუცდია? ელიზაბეთიც აუცილებლად გადალახავდა. იქნებ შეყვარებული იყო? მაგრამ რატომ მაინცდამაინც მის კილმანი შეუყვარდა? კლარისას ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მის კილმანს ძალიან მძიმე ცხოვრება ჰქონდა. რიჩარდი ამბობდა, ძალიან ნიჭიერია, ნამდვილი ისტორიკოსის გონება აქვსო. ყოველ შემთხვევაში, ის და ელიზაბეთი განუყრელი მეგობრები იყვნენ. ელიზაბეთი, კლარისას ქალიშვილი, ზიარებასაც იღებდა. ლამაზი ტანსაცმელი არ აინტერესებდა. ლანჩზე მოსულ სტუმრებს არაფრად აგდებდა. ამბობდა, რომ ადამიანი, რომელიც რელიგიურ ექსტაზს განიცდის, სრულიად უგრძნობი ხდება (მისი აზრით, ყველა იდეა ადამიანზე ასე მოქმედებდა).

მის კილმანი რუსების გამო თავს გაწირავდა, ავსტრიელების გამო შიმშილით მოკვდებოდა, თავის ნაცნობებს კი ტანჯავდა. მათ მიმართ საშინლად გულგრილი იყო. წლიდან წლამდე მწვანე მაკინტოში ეცვა და მუდამ ოფლად იღვრებოდა. თუკი მასთან ერთად ხუთიოდე წუთითაც კი გაჩერდებოდით ოთახში, გაგრძნობინებდათ, რომ თავად დიდებული ადამიანი იყო, თქვენ კი არარაობა, ის ღარიბია, თქვენ კი მდიდარი. ნამდვილ სოროში ცხოვრობდა. არც ბალიში, არც საწოლი, არც ხალიჩა და ღმერთმა იცის, კიდევ რა არ ჰქონდა. გამუდმებულმა დარდმა და მწუხარებამ სული მოუწამლა. ომის დროს სკოლიდან გარიცხეს. საბრალო, გაბოროტებული, უიღბლო არსება იყო! მის კილმანი არც ისე საძულველი იყო, როგორც სხვებს ეგონათ. ის იმ საშიშ ღამეულ მოჩვენებად იქცა, რომელსაც ადამიანები ღამღამობით ებრძოდნენ. მოჩვენება მათ სისხლს სწოვდა და სასიცოცხლო ძალას აცლიდა. მათზე ტირანივით ბატონობდა. ყველაფერი სხვაგვარად რომ წარმართულიყო, კამათელი სხვანაირად რომ გაგორებულიყო, შავი თეთრს ზემოთ რომ მოქცეულიყო, კლარისა მის კილმანის შეყვარებასაც შეძლებდა. მაგრამ არა! არა ამქვეყნად! არა.

ძალიან ღიზიანდებოდა. გრძნობდა, რომ მასში მალე საშიში მხეცი გაიღვიძებდა! ტოტების ტკაცუნი ესმოდა. ფოთლებით სავსე ტყიდან ნადირის ჩლიქების ბაკუნი მოისმოდა. ო, მისი სული! სავსებით მშვიდი და კმაყოფილი არასოდეს ყოფილა, რადგან იცოდა, რომ შეიძლებოდა, ეს მხეცი – სიძულვილი ნებისმიერ წამს თავს დასხმოდა. მას შემდეგ, რაც იავადმყოფა, ხშირად სიძულვილით წამოენთებოდა და მთელ სხეულში აუტანელი ტკივილი დაუვლიდა. ხერხემალი ასტკივდებოდა. წუთში

უკვალოდ გაქრებოდა ის სიხარული, რომელსაც მაშინ განიცდიდა, როდესაც სილამაზეს უცქერდა და მეგობრებთან იყო. თავს კარგად გრძნობდა, იცოდა, რომ უყვარდათ და ოჯახს შესანიშნავად უძღვებოდა, თუმცა, ყველაფერი თვალის დახამხამებაში ავიწყდებოდა! ეს ნეტარი წუთები ავის მომასწავებლად თრთოდა და ზანზარებდა. თითქოს საშიში მხეცი მართლაც ჩიჩქნიდა მიწას ხის ფესვებში. ეჩვენებოდა, რომ წუთიერი უსაზღვრო კმაყოფილება და ნეტარება მხოლოდ ნარცისიზმი იყო. ო, რა საშინელი სიძულვილი ბობოქრობდა მასში!

სისულელეა, სისულელე, ფიქრობდა კლარისა, როცა მალბერის საყვავილის კარი შეაღო და მსუბუქად, წელში გამართულმა შეაბიჯა. შემოეგება პატარა და პირმრგვალი ქალი, მის პიმი, რომელსაც თითები ისე დასწითლებოდა, თითქოს ხელები მუდამ ყვავილებიან ლარნაკში, ცივ წყალში ეწყო. მაღაზია დეზურებით, ბაღის არჯაკელებით, იასამნებით, მიხაკებით, ვარდებითა და ზამბახებით იყო სავსე. უამრავი მიხაკი ეწყო. ო, რა კარგია! მისის დოლოვეიმ ბაღისა და მიწის სურნელი შეისუნთქა. ესაუბრებოდა მის პიმს, რომელიც თავს მოვალედ თვლიდა, მომსახურებოდა, რადგან კლარისამ ერთ დროს დახმარების ხელი გაუწოდა. მის პიმს კლარისა ძალიან კეთილ ქალად მიაჩნდა. ოდესღაც კლარისა მართლაც ძალიან კეთილი იყო. მის პიმს ახლა ის უფრო ხნიერი ეჩვენა.

ზამბახებში, ვარდებსა და იასამნებში ჩაფლული კლარისა თავს აქეთ-იქით აქნევდა. თვალები მიელულა და საამო სურნელს, საოცარ სიგრილეს ისუნთქავდა. ქუჩის ხმაურის შემდეგ ეს ძალიან ამშვიდებდა. თვალები ისევ გაახილა. ვარდები ისეთი ნაზი და ახალი იყო, როგორც სამრეცხაოდან მოტანილი, კალათაში ჩაწყობილი ქათქათა, მაქმანებიანი თეთრეული. რა მკაცრი იერი ჰქონდათ მუქ მიხაკებს, რომლებსაც თავი ამაყად აეწიათ. კლარისა იასამნისფერ, თოვლივით თეთრ თუ ფერმკრთალ არჯაკელებს უცქერდა და ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს ზაფხულის მშვენიერი საღამო დამდგარიყო და მუსლინის კაბებში გამოწყობილი ქალიშვილები ზაფხულის დიდებული დღის შემდეგ არჯაკელებისა და ვარდების დასაკრეფად მინდორში გამოსულიყვნენ. თავს მუქი ლურჯი, თითქმის შავი ზეცა დანათოდათ. მინდორში დეზურები, მიხაკები და არუმები მიმოფანტულიყო. თითქოს მალე შვიდი საათი გახდებოდა. ვარდები, მიხაკები, ზამბახები, იასამნები თეთრად, იასამნისფრად, წითლად და ნარინჯისფრად ბრწყინავდნენ. რაღაც იდუმალი, შინაგანი შუქით გასხივოსნებულიყვნენ, თითქოს ბინდმოძალებულ ყვავილნარში ნაზად, მშვიდად იწვოდნენ. როგორ უყვარდა კლარისას მარგალიტისფერი ღამის პეპლები, რომლებიც თავს დასტრიალებდნენ ჰელიოტროპებსა და ფურისულებს!

მის პიმთან ერთად ლარნაკებს შორის დააბიჯებდა, ყვავილებს არჩევდა, თან ფიქრობდა: „სისულელეა, სისულელე!“ – და თანდათან მშვიდდებოდა. თითქოს ეს ლამაზი ყვავილები, საამო სურნელით გაჟღენთილი ჰაერი, ყვავილების მაღაზია და კეთილი მის პიმი, რომელიც კლარისას ენდობოდა, იქცა ერთ დიდ ტალღად, რომელიც კლარისას ნელ-ნელა ფარავდა; შთანთქავდა მის საშიშ მხეცსა და იმ ველურ სიძულვილს, წუთის წინ რომ გრძნობდა. ტალღა ნელ-ნელა ზემოთ სწევდა კლარისას, როდესაც ქუჩაში საშინელი ხმა გაისმა. თითქოს თოფი გაისროლეს!

– ო, ღმერთო, ეს მანქანები! – თქვა მის პიმმა, ფანჯარას მიუახლოვდა, ქუჩაში გაიხედა და ისევ უკან გამობრუნდა. ხელში არჯაკელები ეჭირა და კლარისას მორცხვად უღიმოდა. თითქოს მისი ბრალი იყო, რომ ქუჩაში რომელიღაც მანქანას საბურავი გაუსკდა.

როცა საშინელი ხმაური გაისმა, მისის დოლოვეი შეკრთა, მის პიმი კი ფანჯარასთან მივიდა. მანქანა მალბერის საყვავილის წინ გაეჩერებინათ. გამვლელები, რა თქმა უნდა, შეჩერდნენ, მანქანას ცნობისმოყვარეობით დააცქერდნენ და დაინახეს, რომ მანქანაში რუხგადასაფარებლიან სავარძელზე ვიღაც მეტად გავლენიანი ადამიანი იჯდა. მერე კაცის ხელმა ფარდა ჩამოაფარა. ახლა კვადრატული ფარდის გარდა აღარაფერი ჩანდა.

ხმაური და ყაყანი ბონდ-სტრიტიდან ოქსფორდ-სტრიტზე, ატკინსონის პარფიუმერიის მაღაზიამდეც კი ისმოდა. ისე შეუმჩნევლად, უხმაუროდ მოედო ქუჩებს, როგორც სწრაფი, მსუბუქი ღრუბელი ბორცვებს. გამვლელების წუთის წინ დაბნეულ სახეებს ღრუბელივით მშვიდად და დიდებულად გადაეფარა. იდუმალება ჩიტის ფრთასავით მოელამუნათ. მბრძანებლური ხმა გაიგონეს. ღვთიური აჩრდილი თვალებახვეული, პირდაღებული მოაბიჯებდა, მაგრამ არავინ იცოდა, ვინ იყო ის: უელსის პრინცი, დედოფალი თუ პრემიერ-მინისტრი. ვინ იყო ის? არავინ იცოდა.

ედგარ ჯ. უოტკინსმა, რომელსაც ტყვიის მავთული მკლავზე შემოეხვია, რა თქმა უნდა, ხუმრობით შესძახა: – პრემიერ-მინისტრის მანქანა!

ქუჩა გადაკეტილი იყო. სეპტიმუს უორენ-სმიტმა, რომელიც გზას ვეღარ განაგრძობდა, მისი ნათქვამი გაიგონა.

სეპტიმუსი ოცდაათიოდე წლის ფერმკრთალი მამაკაცი იყო. ცხვირი არწივის ნისკარტს მიუგავდა. ყვითელი ფეხსაცმელები და გაცვეთილი პალტო ეცვა. მის თაფლისფერ თვალებში ისეთი შიში და თავზარდაცემა იკითხებოდა, რომ უცნობებსაც კი შიშს ჰგვრიდა. სამყარომ მათრახი ასწია და არავინ იცოდა, სად და ვის დაეცემოდა.

ყველაფერი გაშეშდა. ძრავების გუგუნი არეულ მაჯისცემას ჰგავდა. ძალიან დაცხა. მზის მწველი სხივები მალბერის საყვავილის ვიტრინებზე ეცემოდა. მანქანა ისევ მაღაზიის წინ იდგა. ომნიბუსებში მოხუცმა ქალებმა შავი, მწვანე და წითელი ქოლგები მხიარული წკაპუნით გაშალეს. მისის დოლოვეი მაღაზიის ვიტრინას მიუახლოვდა. ხელში არჯაკელები ეჭირა. პატარა ვარდისფერი სახე ცნობისმოყვარეობისგან დასძაბოდა. ყველა მანქანას უყურებდა. სეპტიმუსიც თვალს ვერ სწყვეტდა. ბიჭები ველოსიპედებიდან გადმოვიდნენ. ქუჩა გადაიკეტა. მანქანის ფანჯარაზე ჩამოფარებულ ფარდაზე უცნაური რამ იყო ამოქარგული. თითქოს ხეა, გაიფიქრა სეპტიმუსმა და მოეჩვენა, რომ ყველაფერი შეიკუმშა. თითქოს დაინახა რაღაც საშინელება, რომელიც ავის მომასწავებლად ელავდა. სეპტიმუსს ეშინოდა. სამყარო ზანზარებდა, თრთოდა, თითქოს იმუქრებოდა, რომ მალე ყველაფერს ცეცხლი მოედებოდა. გზა გადავკეტე, გაიფიქრა სეპტიმუსმა. იქნებ ყველა უყურებდა და თითს მისკენ იშვერდა? თავს დამძიმებულად გრძნობდა. თითქოს ტროტუარს მიჰყინვოდა. იქნებ ტყუილუბრალოდ არ იდგა აქ? იქნებ რაღაც მიზანი ჰქონდა? მაგრამ რა მიზანი?

– წავიდეთ, სეპტიმუს, – უთხრა ცოლმა, პატარა, წაწვეტებულსახიანმა, დიდთვალება, სანთელივით გაყვითლებულმა იტალიელმა ქალმა, ლუკრეციამ. ისიც ვერ სწყვეტდა თვალს იმ ფარდას, რომელზეც ხე იყო ამოქარგული და ფიქრობდა: იქნებ მანქანაში თვით დედოფალი იჯდა? იქნებ რაღაცის ყიდვა სურს?

სეპტიმუსმა დაინახა, რომ მძღოლი მანქანიდან გადმოვიდა, რაღაც გააღო, გადაატრიალა, დახურა და ისევ დაჯდა.

– წავიდეთ! – გაუმეორა ლუკრეციამ სეპტიმუსს.

კაცი, რომელსაც ოთხი თუ ხუთი წლის წინ გაჰყვა ცოლად, შეხტა და ისე გაბრაზებით შეჰყვირა, „კარგი!", თითქოს ქალმა ფიქრი შეაწყვეტინა.

ალბათ, ხალხი მათ უყურებდა და ყველაფერს ამჩნევდა. ხალხი, ფიქრობდა ლუკრეცია და აკვირდებოდა ბრბოს, რომელიც მანქანას თვალს ვერ სწყვეტდა. მართალია, უყვარდა ინგლისელები თავიანთი ბავშვებით, ლამაზი ცხენებით, მდიდრული ტანსაცმლით, მაგრამ ახლა ისინი უბრალო „ხალხად" გადაქცეულიყვნენ, რადგანაც სეპტიმუსმა თქვა: „თავს მოვიკლავ!" ასეთი რამ არ უნდა ეთქვა. რა საშინელება იყო! ვინმეს რომ გაეგონა? – გაიფიქრა ლუკრეციამ და ისევ ხალხს გახედა. ვერ ბედავდა, საყასბოს ბიჭებისა და ქალებისათვის დაეყვირა, მიშველეთო. „მიშველეთ!" გასულ შემოდგომაზე კი, როცა თემზის ნაპირას იდგნენ ერთ მოსასხამში გამოხვეული და სეპტიმუსი გაზეთს მდუმარედ კითხულობდა, ლუკრეციამ გაზეთი ხელიდან გამოჰგლიჯა და გაუცინა მოხუცს, რომელიც მათ უყურებდა! სისუსტის დაფარვა შეიძლებოდა. ლუკრეციას აქედან შორს, რომელიმე პარკში უნდა წაეყვანა სეპტიმუსი.

– წავიდეთ, – თქვა რეციამ.

ქმარს ხელი მაგრად ჩასჭიდა. სეპტიმუსი უგრძნობი იყო. ლუკრეციამ, ოცდაოთხიოდე წლის კეთილმა, უბრალო, გულწრფელმა და ფიცხმა ქალმა სეპტიმუსის გამო მშობლიური იტალიაც კი მიატოვა! ინგლისში მეგობრები არ ჰყავდა. სეპტიმუსი კი მისი მადლიერი არ იყო, მხოლოდ გაძვალტყავებულ ხელს უწვდიდა და ფეხათრევით მიჰყვებოდა.

იდუმალების საბურველში გახვეული, ფანჯრებზე ფარდაჩამოფარებული მანქანა პიკადილისაკენ გაემართა. ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ხალხი ისევ მას უცქერდა დაჟინებითა და მოწიწებით. სახეებზე ეტყობოდათ, რომ აღმერთებდნენ ამ დიდებულ ადამიანს: უელსის პრინცს, დედოფალს თუ პრემიერ-მინისტრს. სახეებზე აღტაცებისა და თაყვანისცემის მუქი ნიავი ელამუნებოდათ. მისი სახე რამდენიმე წამით სამიოდე კაცმა დაინახა. იმაზეც კი დაობდნენ, ქალი იყო თუ კაცი, მაგრამ სწამდათ, რომ მანქანაში ნამდვილად დიდებული ადამიანი იჯდა. ბონდ-სტრიტზე ფარდაჩამოფარებული მანქანით დიდებულება მიდიოდა იმ უბრალო მოკვდავებს შორის, რომლებიც, ალბათ, პირველად და უკანასკნელად იყვნენ ინგლისის დიდებულებისა და ძლიერების სიმბოლოსთან ასე ახლოს. საუკუნეების შემდეგ, როდესაც ლონდონს ბალახი მოედებოდა, არქეოლოგები გულდასმით შეისწავლიდნენ ბრიტანეთის გარდასულ ჟამთა დიდებულების ნარჩენებს. აღმოაჩენდნენ იმ ადამიანების ძვლებს, რომლებიც დღეს,

ოთხშაბათ დილით, ქუჩაში სწრაფად მიაბიჯებდნენ. ისინი იპოვიდნენ გვამთა მტვერში არეულ ნიშნობის ბეჭდებს, ოქროს ბჟენებს, უამრავ გამოხრულ კბილს და გაიგებდნენ, ვინ იჯდა დღეს იმ მანქანაში.

ალბათ, დედოფალი იყო, გაიფიქრა მისის დოლოვეიმ, როცა მალბერის მაღაზიიდან ყვავილების თაიგულით ხელდამშვენებული გამოვიდა. დედოფალი. საოცრად ამაყი სახე მიიღო. შეჩერდა. მზის სხივებში გახვეულიყო. ფარდაჩამოფარებული მანქანა გზას ნელა განაგრძობდა. დედოფალი საავადმყოფოში მიდის. საქველმოქმედო ბაზრობას გახსნის, გაიფიქრა კლარისამ.

ძალიან უცნაური იყო, რომ ადრეული დილიდანვე ლორდსიდან, ესკოტიდან და ჰერლინგემიდან აუტანელი ხმაური მოისმოდა. რა ხდება? – უკვირდა კლარისას, როდესაც ქუჩა გადაკეტეს. ინგლისის საშუალო კლასი ომნიბუსებში იჯდა. წინ ჩანთები და ქოლგები დაეწყოთ. თბილი დღე იყო, თუმცა, ქურქებში გამოხვეულიყვნენ. ძალიან სასაცილოები იყვნენ. ეს უცნაური, წარმოუდგენელი სანახაობა იყო. დედოფალიც კი საცობში მოხვდა! კლარისა ბრუკ-სტრიტის ერთ მხარეს შეჩერდა. მეორე მხარეს მოხუცი მოსამართლე, სერ ჯონ ბექჰერსტი იდგა. მათ შორის მანქანა გაჩერდა (სერ ჯონ ბექჰერსტი მოხუცი მოსამართლე იყო და კარგად ჩაცმული ქალები მოსწონდა). მძღოლი ფანჯრიდან ოდნავ გადმოიწია და პოლიციელს რაღაც უთხრა თუ აჩვენა. ის მიესალმა, ხელი ასწია და თავი გააქნია. ომნიბუსი გაჩერდა. მანქანამ ნელა, უხმაუროდ განაგრძო გზა.

კლარისა ყველაფერს მიხვდა. დაინახა, რომ მძღოლს რაღაც თეთრი, დიდებული და მრგვალი ეჭირა. ფირფიტა, რომელზეც ვიღაცის სახელი იყო ამოტვიფრული. დედოფლის, უელსის პრინცის თუ პრემიერ-მინისტრის? ის იმდენად დიდებული ადამიანი იყო, რომ თავისი ბრწყინვალებით გზა გაიკვალა (კლარისამ დაინახა, როგორ დაპატარავდა და თვალს მიეფარა), რათა კანდელაბრებისა და ვარსკვლავების შუქში გახვეულიყო. მუხის ფოთლების საამურ შრიალს მიუგდებდა ყურს. ჰიუ უითბრედი და სხვა ინგლისელი ჯენტლმენები ამ საღამოს სასახლეში მოიყრიდნენ თავს და იმ დიდებული ადამიანის დანახვისას მკერდს წინ ამაყად გამოსწევდნენ. ამ საღამოს კლარისაც წვეულებას გამართავდა! ის წელში ოდნავ გასწორდა. ასე დადგებოდა კიბის თავში და სტუმრებს შეეგებებოდა.

მანქანამ ჩაიარა, თუმცა, ბონდ-სტრიტის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ხელთათმანების, ქუდებისა და კოსტიუმების მაღაზიებში მღელვარება ტალღასავით თრთოდა. ოცდაათიოდე წამი ყველას თავი ფანჯრისაკენ მიებრუნებინა. ქალები ხელთათმანებს ათვალიერებდნენ. არ იცოდნენ, ლიმონისფერი ეყიდათ თუ მარგალიტისფერი, ისეთი, როგორიც იდაყვამდე სწვდებოდათ თუ უფრო გრძელი. უეცრად საუბარი შეწყვიტეს. რაღაც მოხდა. იმდენად უმნიშვნელო, რომ ის ზუსტი მათემატიკური ხელსაწყო, რომელიც ჩინეთში უმცირეს მიწისძვრასაც კი აფიქსირებდა, ამ რხევას ვერ იგრძნობდა. დიდებული რამ მოხდა. ყველა აღელდა. ქუდების, კოსტიუმებისა და ხელთათმანების მაღაზიებში მყოფმა უცნობმა ადამიანებმა ერთმანეთს გადახედეს და გაახსენდათ ომში დაღუპულები, ინგლისის დროშა, მათი იმპერია... ქუჩის ბოლოში, ლუდხანაში, ვიღაც კოლონიელმა უინძორის სასახლე აუგად მოიხსენია. ატყდა ჩხუბი, წივილ-კივილი. ამსხვრევდნენ

ლუდის კათხებს. მათი ხმა უცნაურად ჩაესმოდათ გოგონებს, რომლებიც ქორწილისათვის ქათქათა ლენტებით დამშვენებულ თეთრეულს ყიდულობდნენ. ყველა აღელვებული იყო.

მანქანამ პიკადილი გაიარა და სენტ-ჯეიმზის ქუჩაზე შეუხვია. „უაითსის"[11] კლუბის ფანჯარასთან გაურკვეველი მიზეზით იდგნენ მაღალი, ახოვანი, ფრაკსა და თეთრ ჰალსტუხებში გამოწყობილი მამაკაცები, რომლებსაც თმა უკან გადაევარცხნათ, ხელები ზურგს უკან შემოეჭდოთ და ქუჩას გასცქეროდნენ. იგრძნეს, რომ მანქანით დიდებულმა ადამიანმა ჩაიარა. ისინიც კლარისასავით გაეხვივნენ უკვდავების მკრთალ ნათელში. წელში გასწორდნენ, ხელები წინ წამოსწიეს და ისეთი სახე მიიღეს, თითქოს თავიანთი წინაპრებივით მზად იყვნენ, ზარბაზნით დაეცვათ სუვერენის ღირსება. თეთრი ბიუსტები, ოთახის სიღრმეში მდგარი პატარა მაგიდებიც კი, რომლებზეც „ტატლერის"[12] ძველი ნომრები და მინერალური წყლით სავსე ბოთლები ეწყო, ამხნევებდნენ და მათ საქციელს იწონებდნენ. ბრიტანეთის თვალუწვდენელი, შრიალა ყანები და ქალაქგარე სახლები მოაგონდათ. მანქანის გუგუნი ყოველი მხრიდან ისმოდა, ისე, როგორც ჩურჩულის გალერეაში[13] ჩურჩულიც კი გუგუნად ისმის მთელ ტაძარში. შალის მოსასხამში გამოხვეულმა, ტროტუარზე მდგარმა მის მოლი პრეტმა, რომელსაც ხელში ყვავილების თაიგული დაეჭირა, ყოველივე საუკეთესო უსურვა ამ ახალგაზრდა, მშვენიერ მამაკაცს (დარწმუნებული იყო, რომ იმ მანქანაში უელსის პრინცი იჯდა).[14] ვარდების თაიგულს სიამოვნებით ესროდა მას, აქ, სენტ-ჯეიმზის ქუჩაზე, ვარდების თაიგულს, ასე, უბრალოდ, სიხარულითა და სიღარიბის სიძულვილით დააგდებდა (ამ ყვავილების ფასად ხომ ერთ კათხა ლუდს დალევდა!). სამწუხაროდ, პოლიციელის დაჟინებულ მზერას წააწყდა და მოხუც ირლანდიელ ქალს ლოიალურობის სურვილი გაუქრა. სენტ-ჯეიმზის სასახლის მცველი მანქანაში მჯდომ დიდებულს მოწიწებით მიესალმა. დედოფალ ალექსანდრას სასახლის მცველი კმაყოფილი ჩანდა.

ბუკინგემის სასახლის კარიბჭესთან ბრბო შეგროვილიყო. საბრალო ხალხი სევდიანად, თითქოს გულგრილად, თუმცა, თავდაჯერებით ელოდა. სასახლეს, მის მოფრიალე დროშებსა და დედოფალ ვიქტორიას დიდებულ ძეგლს უცქერდნენ. აღაფრთოვანებდათ ეს მოჩუხჩუხე შადრევნები, ნემსიწვერები. მელის პროსპექტს დაჟინებით გასცქეროდნენ. გრძნობამოზღვავებულები, ხან ერთ მანქანას აცქერდებოდნენ, ხან მეორეს. სურდათ, სხვებიც მათსავით აღფრთოვანებულიყვნენ, მაგრამ ისინი ვერაფერს გრძნობდნენ. ხვდებოდნენ, რომ სულ ამაოდ უცქერდნენ ასეთი აღფრთოვანებით მანქანებს. მოზღვავებულ გრძნობებს იკავებდნენ და უყურადღებოდ უყურებდნენ, როგორ მიდიოდნენ მანქანები ერთმანეთის მიყოლებით. ხმაური თითქოს მათ ძარღვებში სასიამოვნოდ გუგუნებდა. ფეხებში საამო ჟრუანტელი უვლიდათ და უსაზღვრო ნეტარებას განიცდიდნენ, როცა ფიქრობდნენ, რომ სამეფო ოჯახის წევრი მათ შეხედავდა! დედოფალი თავს დახრიდა, პრინცი მიესალმებოდა. ფიქრობდნენ იმ ზეციურ ცხოვრებაზე, რომელიც ღვთიურმა განგებამ უბოძა მეფეებს. ფიქრობდნენ მეჯინიბეებსა და რევერანსებზე, დედოფლის თოჯინების ძველ სახლზე, პრინცესა მერიზე, რომელიც ცოლად ინგლისელ პრინცს გაჰყვა. ო, პრინცი! როგორც ამბობდნენ, პრინცი მეფე ედუარდს ძალიან ჰგავდა, მაგრამ მასზე ბევრად გამხდარი იყო.

პრინცი სენტ-ჯეიმზის სასახლეში ცხოვრობს, მაგრამ, ალბათ, ამ დილით დედას ესტუმრება, თქვა სარა ბლეჩლიმ, რომელსაც ჩვილი ხელში დაეჭირა და ფეხებს ისე აქნევდა, თითქოს პიმლიკოში, თავის სახლში, ბუხართან იჯდა. მელის ქუჩას თვალს ვერ სწყვეტდა. ემილი კოუტსი სასახლის ფანჯრებს უცქერდა და მოსამსახურეებსა და უთვალავ საძინებელ ოთახზე ფიქრობდა. სასახლესთან მდგარ ხალხს შეუერთდა რამდენიმე უსაქმური და ვიღაც ასაკოვანი ჯენტლმენი, რომელსაც შოტლანდიური ტერიერი ჰყავდა. ოლბანიში[15] მცხოვრები ტანდაბალი მისტერ ბოული უგრძნობი იყო, თითქოს სული ცვილის სქელი ფენით ჰქონდა დახშული და ცხოვრების მგზნებარებას ვერ შეიგრძნობდა, მაგრამ შეიძლებოდა, ასეთ სანახაობას მისთვის გული მოულოდნელად აეჩუყებინა: საბრალო, ღარიბი ქალები ელოდნენ, როდის ჩამოივლიდა დედოფალი. საბრალო ქალები, საყვარელი ბავშვები, ობლები, ქვრივები, ომი... ო, ეს ომი! მისტერ ბოულის ცრემლი მოერია. თბილი ნიავიც კი გულთბილად ქროდა მელის ქუჩაზე, მოუყვებოდა ტანთხელ ხეებსა და გმირების ბრინჯაოს ქანდაკებებს და მისტერ ბოულის ბრიტანულ მკერდში დამალულ დროშას აფრიალებდა. მან ქუდი მოიხადა, როცა მელის ქუჩაზე მანქანამ შემოუხვია. პიმლიკოელი საბრალო ქალები მას ჩაეხუტნენ, მაგრამ ის არ შეეწინააღმდეგა. წელში გაიმართა. მანქანამ გაიარა.

მისის კოუტსმა ზეცას ახედა. ავის მომასწავებელი ზუზუნი გაისმა. აეროპლანი შორს, ხეებს ზემოთ მიფრინავდა და ტოვებდა თეთრ კვამლს, რომელიც იხვეოდა და იკლაკნებოდა. რაღაც იწერებოდა! ცაზე ასოები ისახებოდა! ყველამ ზეცისკენ აღაპყრო თვალები.

აეროპლანი დაბლა დაეშვა, ისევ ზემოთ აიჭრა, წრე მოხაზა, ისევ წინ გაიჭრა, დაბლა დაეშვა და ისევ მაღლა აფრინდა. თეთრი კვამლი იხვეოდა, იკლაკნებოდა და ასოები შეუჩერებლად იწერებოდა. მაგრამ რა იწერებოდა? იქნებ, „ა", „ს" ან „ე", „რ"? ასოები წამით მშვიდად ჩერდებოდნენ, ცოტა ხანში კი იფანტებოდნენ, თითქოს დნებოდნენ და უძირო ზეცის მიღმა ინთქმებოდნენ. აეროპლანი შორს გაფრინდა. ცაზე ისევ დაეწერა: „კ", იქნებ „ე" ან იქნებ „ი"?..

– კრემი! – თქვა მოკრძალებითა და მოწიწებით, დაძაბული ხმით მისის კოუტსმა და ზეცას დაჟინებით დააცქერდა. ხელში ეჭირა მშვიდი, ფერმკრთალი ბავშვი, რომელმაც ცას ახედა.

– მოკა! – მთვარეულივით დაიჩურჩულა მისის ბლეჩლიმ.

მისტერ ბოულიმ, რომელსაც ქუდი თითქოს ხელში შეჰყინვოდა, ცას ახედა. მელის ქუჩაზე მდგარი ხალხი ზეცას თვალს ვერ სწყვეტდა. თითქოს მთელ სამყაროში მდუმარებამ დაისადგურა. ცაზე თოლიებმა გადაიფრინეს. გუნდს ერთი თოლია მიუძღოდა. ამ საოცარ მდუმარებასა და სიმშვიდეში, ფერმკრთალი ზეცის შუქში, ზარის ხმა თერთმეტჯერ გაისმა და თოლიების ფრთების ხმაში მიწყდა.

აეროპლანი შებრუნდა, ისევ სწრაფად გაიჭრა წინ. როგორც სურდა, ისე მოძრაობდა, მოციგურავესავით სწრაფად და თავისუფლად მიიწევდა წინ.

– ცაზე „ი" წერია, – თქვა მისის ბლეჩლიმ, – ან მოცეკვავე...

– ეს ირისია, – დაიჩურჩულა მისტერ ბოულიმ.

(სასახლის კარიბჭეში მანქანა შევიდა, მაგრამ მას არავინ შეხედა.) აეროპლანი წინ მიიწევდა და თეთრ კვამლს ტოვებდა. კვამლი ნელ-ნელა იფანტებოდა და წინ სწრაფად მიიწევდა, ფერმკრთალდებოდა და მიმოფანტული თეთრი ღრუბლების ირგვლივ გროვდებოდა.

აეროპლანი აღარ მოჩანდა. ღრუბლებს მიღმა მიიმალა. მისი ზუზუნი აღარ ისმოდა. ღრუბლებზე, რომლებიც ნარნარად მიცურავდნენ ცაზე, რაღაც ასოები ეწერა. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიიწევდნენ. თითქოს ევალათ რაღაც უდიდესი მისია, რომელსაც ვერასოდეს ვერავინ გაიგებდა. აეროპლანი იმ მატარებელივით გამოჩნდა ღრუბლებიდან, რომელიც გვირაბიდან გამოდის.

მისი აუტანელი ზუზუნი ისევ ესმოდა მელის ქუჩაზე, გრინ-პარკში, პიკადილიზე, რიჯენტ-სტრიტსა და რიჯენტს-პარკში შეგროვილ ხალხს. თეთრი კვამლი დაიგრიხა. აეროპლანი დაბლა დაეშვა, ისევ გასწორდა და ცაზე ასოები ერთმანეთის მიყოლებით დაიწერა. მაგრამ რა სიტყვა იყო ეს?

*

ლუკრეცია უორენ-სმიტი რიჯენტს-პარკის დიდ ხეივანში, ქმრის გვერდით იჯდა და ცას უცქერდა.

– შეხედე, სეპტიმუს, შეხედე! – დაიყვირა მან.

ექიმმა ჰოლმსმა უთხრა, ეცადეთ, თქვენი ქმარი ფიქრმა არ წაიღოს, ყურადღება სხვა რამეზე გადაატანინეთო (სერიოზული არაფერი სჭირდა, უბრალოდ, ცოტათი შეუძლოდ იყო).

ჰო, ისინი რაღაცას მანიშნებენ, გაიფიქრა სეპტიმუსმა და მაღლა აიხედა. ეს მინიშნება სიტყვებით არ გადმოიცემოდა. მათი ენა არ ესმოდა, მაგრამ ყველაფერი ცხადი და გასაგები იყო. ეს დიდებული, ღვთიური სილამაზე. სეპტიმუსს თვალები ცრემლით აევსო, როცა ზეცას ახედა და დაინახა, რომ კვამლით დაწერილი სიტყვები ნელ-ნელა ქრებოდა და უძირო ზეცის მიღმა ინთქმებოდა. ზეცაცთავისი მარადიული გულმოწყალებითა და სიკეთით გულუხვად უწყალობებდა არნახულ სილამაზეს. ერთ ფორმას მეორე ცვლიდა. სიტყვები ზეცას თითქოს თავიანთ სურვილს უმხელდნენ: მუდამ უანგაროდ მიანიჭებდნენ მას სილამაზეს! სეპტიმუსს ცრემლები ღვარად სდიოდა.

ცაზე „ირისი" ეწერა. ეს ირისის რეკლამაა, უთხრა ვიღაც ძიძამ რეციას. მათ ერთად დაიწყეს დამარცვლა: „ი", „რ", „ი"...

„ს... ი..." – თქვა ძიძამ. სეპტიმუსს მოეჩვენა, რომ მან ნაზი, საამო, ორგანივით ყურთასმენის დამტკბობი ხმით დაიჩურჩულა: „ს... ი...". კუტკალიასავით უხეში ხმა ხერხემალზე სასიამოვნოდ შეეხო და მის თავში შეიჭრა. ხმოვანმა ტალღებმა ტვინის ზედაპირს მიაღწია და გაქრა. საოცარი

აღმოჩენა იყო: ზოგიერთი ატმოსფერული მოვლენის დროს (ადამიანმა, უპირველესად, მეცნიერულად უნდა იმსჯელოს, მეცნიერულად!) ადამიანის ხმას ძალუძს, ხეს სიცოცხლე შთაბეროს. საბედნიეროდ, რეციამ მუხლზე ხელი ღონივრად დაადო. სეპტიმუსი თითქოს სკამს მიეყინა. ლუკრეცია რომ არ შეხებოდა, გაგიჟდებოდა, რადგან ხედავდა, როგორ ირხეოდნენ თელები. იხრებოდნენ და ისევ სწორდებოდნენ. მათი სხივმოსილი ფოთლები მკრთალდებოდა და მუქდებოდა, ტალღასავით ცისფრად და მწვანედ იფერებოდა. ცხენის ფაფარივითა და ქალის თმაში გარჭობილი ბუმბულივით ირხეოდა. რა ამაყად და საუცხოოდ, მოხდენილად იხრებოდნენ და იმართებოდნენ ხეები. სეპტიმუსს ეჩვენებოდა, რომ მალე გაგიჟდებოდა. მაგრამ არა, ეს არ მოხდებოდა. თვალები უნდა დაეხუჭა და ვეღარაფერს დაინახავდა.

მათ თავი დაუკრეს. ფოთლები და ხეები ცოცხალი არსებები იყვნენ. ფოთლები ირხეოდნენ. უთვალავი ძაფით ეკვროდნენ მის სხეულს. როცა ტოტი იხრებოდა, სეპტიმუსიც თან მიჰყვებოდა. ბეღურები ცაში კამარას კრავდნენ და მოელვარე ჩანჩქერებად ეშვებოდნენ მიწაზე. ეს ლამაზი, თეთრ და ლურჯ ფერებში გადაწყვეტილი, შავი ტოტებით დაფარული სურათი იყო. ჰარმონიული მელოდია ისმოდა. მდუმარებაც ისეთივე დიდებული იყო, როგორიც მელოდია. ბავშვის ტირილი და საყვირის შორეული ხმა მოისმა. ყველაფერი ახალი რელიგიის დაბადებას მოასწავებდა.

– სეპტიმუს! – შესძახა რეციამ. ის საშინლად შეკრთა. ალბათ, ხალხმა შენიშნა, – შადრევანთან მივალ და მალე დავბრუნდები, – უთხრა ქალმა.

რეციას მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. ექიმმა ჰოლმსმა უთხრა, სეპტიმუსს არაფერი სჭირსო. რეცია გულის სიღრმეში იმასაც კი ნატრობდა, სეპტიმუსი მკვდარი ყოფილიყო. მის გვერდით ყოფნა აღარ შეეძლო, როდესაც ის უყურებდა და თითქოს საერთოდ ვერ ამჩნევდა. ყველაფერი საშინლად ეჩვენებოდა: ცა, ხეები, ბავშვები, რომლებიც ურიკებს ეზიდებოდნენ, სტვენდნენ და ეცემოდნენ. სეპტიმუსი თავს არ მოიკლავდა. რეცია გულს ვერავის გადაუშლიდა. ვერავის, საკუთარ დედასაც კი ვერ ეტყოდა ამაზე მეტს: „სეპტიმუსმა ძალიან ბევრი იშრომა და გადაიღალა". შეყვარებული ადამიანი მარტოობისთვის არის განწირული, – ფიქრობდა ის. და ამას ვერც ვერავის ეტყოდა, სეპტიმუსსაც კი. რეციამ მისკენ გაიხედა. ის მარტოდმარტო, მოკუნტული იჯდა სკამზე გაცვეთილი პალტოთი და რაღაცას დაჟინებით უცქერდა. მხოლოდ ლაჩარი მამაკაცი ლაპარაკობს თვითმკვლელობაზე, მაგრამ სეპტიმუსი ხომ იბრძოდა? მამაცი იყო. ახლა კი საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. მის მაქმანიან საყელოსა და ახალ ქუდს ვეღარ ამჩნევდა. ლუკრეციას გარეშე ბედნიერიც კი იყო. რეცია კი უმისოდ ვერასოდეს გაძლებდა! ვერასოდეს! ეგოისტი სეპტიმუსი! ყველა კაცი ერთნაირია. ავად სულაც არ არის. ექიმმა ჰოლმსმა თქვა, არაფერი სჭირსო. ხელი თვალებთან მიიტანა და თითები გაშალა. იმდენად გამხდარიყო, ნიშნობის ბეჭედი სძვრებოდა. აი, ვინ იტანჯებოდა ყველაზე მეტად: რეცია, მაგრამ ვერავის ვერაფერს ეტყოდა.

შორს იყო იტალია თავისი თეთრი სახლებით. ენატრებოდა ის ოთახი, სადაც დებთან ერთად კერავდა ქუდებს. საღამოობით ქუჩები ხალხით ივსებოდა. ყველანი სეირნობდნენ და იცინოდნენ. ისინი არ ჰგავდნენ აქაურ მოსიარულე

გვამებს, რომლებიც მოკუნტულები ისხდნენ ბორბლებიან სავარძლებში და ქოთნის უშნო ყვავილებს მისჩერდებოდნენ!

– რომ იცოდეთ, რა ლამაზია მილანის ბაღები! – უთხრა ვიღაცას, მაგრამ ვის?

იქ არავინ იყო. რეციას ალმოდებულმა სიტყვებმა წყვდიადში რაკეტასავით გაიელვა და გაქრა. ნაპერწკლები ბნელ ღამეში გზას იკვალავენ და წყვდიადში იძირებიან. სახლებისა და კოშკების კონტურებს შავი ფარდა ეფარება. მოშიშვლებული, სევდისმომგვრელი გორაკები და ბორცვები თითქოს უკუნ სიბნელეში იძირებიან. ქრებიან, თუმცა, ღამის წყვდიადი მათით სავსეა. ფერები და ფანჯრები ქრება, მაგრამ მათი არსებობა ყველაზე ნათლად, მძაფრად იგრძნობა. ახლა მოჩანს, რისი წარმოჩენაც დღის ნათელს არ ძალუძს: წყვდიადში შთანთქმულ, მიმოფანტულ საგანთა თრთოლა, მღელვარება და შიში. ისინი მოკლებული არიან იმ სიხარულსა და შვებას, რომელსაც ალიონი ჰგვრის მათ. განთიადი კედლებს ღამის წყვდიადს აშორებს, თითქოს რეცხავს და თეთრად და ნაცრისფრად ფერავს მათ, ფანჯრის მინებს აელვარებს, მინდვრებიდან ნისლს ფანტავს და აჩენს მოყავისფრო-მოწითალო ძროხებს, რომლებიც მინდორში მშვიდად ძოვენ. ყველაფერს ნათელი ეფინება. თითქოს სამყარო ხელახლა იბადება. „მარტო ვარ, მარტო!“ – შეჰყვირა შადრევანთან მდგარმა რეციამ (ჯვრიანი ინდიელის ქანდაკებას დააცქერდა). შუაღამისას ყოველგვარი საზღვარი ქრება, უძირო ზეცის ქვეშ, თვალუწვდენელ სიშორემდე გადაჭიმული ქვეყანა ძველ იერს იბრუნებს, ისეთს, როგორიც მაშინ ჰქონდა, როდესაც რომაელები მოადგნენ მის ნაპირებს. იმ უხსოვარ დროში ამ ნისლიანი ქვეყნის ამ დიდ ბორცვებს სახელები არ ჰქონდა. არავინ იცოდა, საით მიემართებოდა დაკლაკნილი მდინარეები. რეციას სულში წყვდიადი გამეფებულიყო. მოეჩვენა, რომ რაღაც გამოჩნდა. ფეხი დაადგა. ის ხომ სეპტიმუსის ცოლი იყო, რამდენიმე წლის წინ დაქორწინდნენ მილანში და მას გიჟს არასოდეს, არასოდეს უწოდებდა! ის რაღაც, რასაც ფეხი დაადგა, უკვალოდ გაქრა. რეცია თითქოს უძირო მორევში გადაეშვა. იქნებ სეპტიმუსი წავიდა? – გაიფიქრა რეციამ. იქნებ აღასრულა თავისი მუქარა და ეტლს ბორბლებში ჩაუვარდა?! მაგრამ არა. სეპტიმუსი ისევ იქ იჯდა. ფეხი ფეხზე გადაედო, რაღაცას დაჟინებით უცქერდა და ხმამაღლა ლაპარაკობდა.

ადამიანებმა ხეები არ უნდა მოჭრან. ღმერთი არსებობს (ამგვარ აღმოჩენებს კონვერტზე იწერდა). სამყარო უნდა შეიცვალოს. სიძულვილით აღარავინ უნდა ჩაიდინოს მკვლელობა. გააგებინე ეს ყველას (სეპტიმუსმა ეს ჩაინიშნა). შეჩერდა და რაღაცას ყური მიუგდო. გისოსზე შემოსკუპებულმა ბეღურამ ხუთიოდეჯერ დაიჟღურტულა: „სეპტიმუს, სეპტიმუს“ და მისი ხმა მიწყდა. ცოცხალი, გამკივანი ხმით, ბერძნულად ამღერდა იმაზე, რომ დანაშაული არ არსებობს. სხვა ბეღურაც აჰყვა. ისინი ბერძნულად, ცოცხალი, ყურთასმენის წამღები ხმით მღეროდნენ. ხეებიდან და მდინარის მიღმა სიცოცხლის მდელოდან, იქიდან, სადაც ადამიანთა სულები ბოლთას სცემდნენ, სიმღერა ისმოდა. ბეღურები მღეროდნენ, რომ სიკვდილი არ არსებობს.

მისი ხელი აქ იყო; იქ კი სულები დაეხეტებოდნენ. გისოსებს მიღმა თეთრი აჩრდილები ბოლთას სცემდნენ. სეპტიმუსი მათკენ გახედვას ვერ ბედავდა. იქ ევანსი იყო!

– რას ამბობ, სეპტიმუს? – ჰკითხა რეციამ და გვერდით მიუჯდა.

ისევ შეაწყვეტინა ფიქრი! რეცია ყოველთვის ასე იქცეოდა.

– ისინი ადამიანებისაგან შორს უნდა იყვნენ! შორს! – შესძახა სეპტიმუსმა (ფეხზე წამოიჭრა), – წავიდნენ იქ, სადაც ხის ქვეშ სკამები დგას, პარკის გრძელი ფერდობი უზარმაზარი, მწვანე ქსოვილივით გადაჭიმულა. ჭერად ცისფერი ქსოვილი და ვარდისფერი ნისლი ხურავთ. უსწორმასწორო სახლები ნისლში იკარგებიან. ქუჩის ხმაური სპირალივით ეხვევა. მარჯვნივ კი მორუხო-მოყავისფრო ცხოველები ზოოპარკის გისოსებიდან გრძელ კისრებს ყოფენ, ყვირიან და ყმუიან. ისინი ხის ძირას ჩამოსხდნენ.

– შეხედე! – შეევედრა რეცია და ხელი გაიშვირა ბიჭებისკენ, რომლებსაც კრიკეტის ჯოხები მიჰქონდათ. ერთ-ერთი მათგანი ფეხების ფრატუნით მიაბიჯებდა და ქუსლებზე ტრიალებდა. იმ ჯამბაზს ჰგავდა, რომელიც მიუზიკ-ჰოლში გამოდის.

– შეხედე! – შეევედრა რეცია.

ექიმმა ჰოლმსმა უთხრა, კარგი იქნება, თუ თქვენს ქმარს ყურადღებას სხვა რამეზე გადაატანინებთ და ფიქრში ჩაძირვის საშუალებას არ მისცემთ, ხშირად იაროს მიუზიკ-ჰოლში და კრიკეტი ითამაშოს. შესანიშნავი სპორტია, რადგან კრიკეტს ღია ცის ქვეშ თამაშობენ, თქვენს ქმარს ძალიან არგებსო.

– შეხედე! – გაუმეორა მან.

შეხედეო, ეუბნებოდა ვიღაც უჩინარი ამ ქალის ხმით მას, კაცთა შორის რჩეულს, სეპტიმუსს, რომელიც ცოტა ხნის წინ გამოეთიშა ცხოვრებას, რათა სიკვდილს მშვიდად შეხვედროდა. მაცხოვარს, რომელიც კაცობრიობის ხელახლა შესაქმნელად მოვიდა ამქვეყნად. მიწაზე მწოლიარე უფალი იმ თოვლის ზეწარს ჩამოჰგავდა, რომელსაც მხოლოდ მზე აცხუნებდა, თუმცა, მაინც არ დნებოდა. მის წამებას ბოლო არ უჩანდა. ის იყო განტევების ვაცი, მარადიული ტანჯული. მაგრამ ეს არ სურდა! კვნესოდა, ხელს იქნევდა და თითქოს იშორებდა მარტოობას, უსასოობასა და ტანჯვა-წამებას.

– შეხედე! – გაუმეორა რეციამ. არ უნდოდა, სეპტიმუსს ქუჩაში თავისთვის ელაპარაკა.

– ო, შეხედე! – შეევედრა ის.

რისთვის უნდა შეეხედა?! იქ რამდენიმე ცხვრის გარდა არაფერი იყო.

როგორ უნდა მივიდეს რიჯენტს-პარკის მეტროსთან? გზას ხომ ვერ მიასწავლიდნენ? – ჰკითხა მათ მეიზი ჯონსონმა, რომელიც ედინბურგიდან ორი დღის წინ ჩამოსულიყო.

– არა! აქეთ არა! – შეჰყვირა რეციამ და მეიზი ჯონსონს ხელი აუქნია. არ უნდოდა, მას სეპტიმუსი დაენახა.

რა უცნაურია ორივე... – გაიფიქრა მეიზი ჯონსონმა. ყველაფერი ძალიან უცნაურად ეჩვენებოდა. ლონდონში პირველად ორიოდე დღის წინ ჩამოსულიყო და ბიძასთან, ლიდენჰოლ-სტრიტზე ცხოვრობდა. ამ დილით რიჯენტს-პარკში მიაბიჯებდა და სკამზე მსხდარმა წყვილმა თავზარი დასცა. ის ახალგაზრდა ქალი, ალბათ, ინგლისელი არ იყო. მამაკაცი ძალიან უცნაურად გამოიყურებოდა. იმ კაცის სახე ღრმად მოხუცსაც კი არ დაავიწყდებოდა. ორმოცდაათი წლის შემდეგაც კი ემახსოვრებოდა, როგორ სეირნობდა რიჯენტს-პარკში ზაფხულის ამ ულამაზეს დილას. ჯერ ცხრამეტიოდე წლის იყო. როგორც იქნა, ოცნება აისრულა და ლონდონში ჩამოვიდა. ო, რა უცნაურად ეჩვენებოდა ახლა სკამზე მსხდომი ის ქალი და მამაკაცი. როდესაც ჰკითხა, გზას ხომ ვერ მიმასწავლითო, ქალი წამოხტა და ხელი უხეშად აუქნია. მამაკაცი ძალიან უცნაურად გამოიყურებოდა. ალბათ, იჩხუბეს. იქნებ გადაწყვიტეს, სამუდამოდ დაშორებოდნენ ერთმანეთს? დარწმუნებული იყო, რომ რაღაც რიგზე არ ჰქონდათ (მეიზი ჯონსონი უკვე ხეივანში გასულიყო). ყველაფერი: ქვის შადრევნები, ყვავილები, მოხუცი მამაკაცები და ქალები, ბორბლებიან სავარძლებში მსხდარი ავადმყოფები, ედინბურგის შემდეგ ძალზე უცნაურად ეჩვენებოდა. უყურებდა ბრბოს, რომელიც ნელი ნაბიჯით, დაჟინებული მზერით მოიწევდა მისკენ. ნიავი სასიამოვნოდ ელამუნებოდათ. ხის ტოტებზე წამოსკუპებული ციყვები ბეწვს ილოკავდნენ. ბეღურები მოელვარე ჩანჩქერებად ეშვებოდნენ მიწაზე და პურის ნამცეცებს კენკავდნენ, ძაღლები გისოსებსა და ერთმანეთს აკვირდებოდნენ. თბილი, მშვიდი ნიავი ელამუნებოდათ და მათ დაჟინებულ მზერას (თუმცა, გაოცება არ ეტყობოდათ) ანიჭებდა ერთგვარ ახირებულობასა და სიმშვიდეს. ისინი ცხოვრების დინებას მშვიდად და აუღელვებლად მიჰყვებოდნენ. ო! მეიზი ჯონსონმა იგრძნო, რომ მალე ატირდებოდა (სკამზე მჯდომი იმ ახალგაზრდა მამაკაცის დანახვამ თავზარი დასცა. დარწმუნებული იყო, ძალიან უჭირდა).

„საშინელებაა! საშინელება!" – უნდოდა, დაეკივლა ცრემლმორეულს (მან ხომ თავისი ოჯახი მიატოვა. მათ უთხრეს, რაც ელოდა ამ ქალაქში).

რატომ არ დარჩა შინ? ტიროდა და რკინის გისოსს ხელს მაგრად უჭერდა.

ამ გოგონას ცხოვრების არაფერი გაეგება. ასეთია ახალგაზრდობა, – გაიფიქრა მისის დემპსტერმა (რომელიც ციყვებს პურის ნამცეცებს აჭმევდა და რიჯენტს-პარკში ხშირად საუზმობდა). მას უნდოდა, უფრო მსუქანი, ზანტი და მშვიდი ყოფილიყო და ფუჭი იმედი არ ჰქონოდა. პერსი სვამდა. მიუხედავად ყველაფრისა, უმჯობესია, ვაჟიშვილი გყავდეს, – ფიქრობდა მისის დემპსტერი. ძალზე მძიმე ცხოვრება ჰქონდა და არ შეეძლო, არ გაეღიმა, როცა მეიზი ჯონსონისთანა გოგონას ხედავდა. ლამაზი ხარ და გათხოვდები. გათხოვდები და გაიგებ, რა საშინელებაა ოჯახი. ო, ეს მოსამსახურეები, ყოველდღიური საზრუნავი... ყველას თავისი ხასიათი აქვს. ყველაფერი თავიდანვე რომ მცოდნოდა, არ გავთხოვდებოდი, – ფიქრობდა მისის დემპსტერი, რომელსაც უსაზღვროდ უნდოდა, რამდენიმე სიტყვა გადაეჩურჩულებინა მეიზი ჯონსონისათვის. უნდოდა, თავის დაღლილ, დაღარულ, მოხუც, დანაოჭებულ სახეზე სიბრალულის ამბორი ეგრძნო. ისეთი მძიმე ცხოვრება მქონდა... – გაიფიქრა მისის დემპსტერმა. რა არ შესწირა ცხოვრებას? ყველაფერი: სიხარული, სილამაზე, ლამაზი ფეხები (მან დაკოჟრილი, დამჭკნარი ფეხები კაბის ქვეშ შემალა).

სილამაზე, – ფიქრობდა ღვარძლიანად, ყველაფერი ტყუილია, ჩემო ლამაზო. გათხოვება, ოჯახი, შვილები, სმა-ჭამა. გამრავლება. ბედნიერების თუ უბედურების ჟამს იძულებული გახდები, ქმართან დაწვე. შენი საარაკო სილამაზეც უკვალოდ გაქრება. კერი დემპსტერი ვიღაც ქენთიშთაუნელ ქალს არაფრისდიდებით არ დაუთმობდა რამეს!.. მაგრამ ახლა მხოლოდ ის სურდა, შეებრალებინათ, რადგან ყველაფერი დაკარგა. შემიბრალე, – მდუმარედ ევედრებოდა მისის დემპსტერი სუმბულების წინ მდგარ მეიზი ჯონსონს.

ო, ეს აეროპლანი! მისის დემპსტერს ხომ შორეულ ქვეყნებში მოგზაურობა ყოველთვის უნდოდა. მისი ძმისწული მისიონერი იყო. აეროპლანი წინ გაიჭრა. მარგეიტში,[16] გემზე ყოფნისას, ხმელეთს თვალს არ აცილებდა. ვერ იტანდა იმ ქალებს, რომლებსაც წყლის ეშინოდათ. აეროპლანი გადატრიალდა. კერი დემპსტერს ლამის გული აერია. აეროპლანი გასწორდა და მაღლა აიჭრა. კერი დემპსტერს შეეძლო, დაეფიცებინა, რომ აეროპლანის შტურვალთან ახალგაზრდა, ლამაზი მამაკაცი იჯდა. აეროპლანი წინ მიიწევდა და ფერმკრთალდებოდა. გრინვიჩსა და გემების ანძებს, რუხი ეკლესიების კუნძულებს, წმინდა პავლეს ტაძარს, იმ მინდვრებსა და ბნელ ტყეებს გადაუფრინა, სადაც შაშვები თამამად დახტიან, ლოკოკინას მზერას სტყორცნიან, იჭერენ და ქვაზე ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ მაგრად ახეთქებენ.

აეროპლანი ისევ წინ მიიწევდა, თითქმის თვალს მიეფარა და ერთ მოელვარე ნაპერწკლად იქცა, მისწრაფებად (ასე მოეჩვენა მისტერ ბენტლის, რომელიც გაზონს გაცხარებით კრეჭდა გრინვიჩში), ადამიანის სულის სიმბოლოდ, – ასე ფიქრობდა მისტერ ბენტლი, რომელიც კედრის ირგვლივ ბოლთას სცემდა. სული თავისი სამყოფლიდან, სხეულის ტყვეობიდან თავის დახსნას ესწრაფვის. აზროვნებით, აინშტაინის თეორიებით, მათემატიკითა და მენდელის[17] კანონებით ცდილობს, სხეულზე ამაღლდეს. აეროპლანი თვალს მიეფარა.

სენტ-პოლის ტაძრის საფეხურებზე იდგა ვიღაც ღარიბი, შეუხედავი, ავადმყოფური სახის კაცი, რომელსაც ტყავის ჩანთა ეჭირა. ფიქრობდა, შესულიყო თუ არა ეკლესიაში. იქ ხომ სიმშვიდეს პოვებდა. ტაძარი გულთბილად მიიღებდა. გასცქეროდა საფლავებს, რომლებზეც მიმაგრებულ დროშებს ქარი აფრიალებდა. დროშა არის არა არმიებზე, არამედ იმ ჭეშმარიტების სიყვარულზე გამარჯვების სიმბოლო, რომელმაც გამანადგურა და სულიერად დამცა, – ფიქრობდა ის, – ტაძრის წყალობით საზოგადოების წევრები ვხდებით. იქ დიდებული ადამიანები ტრიალებენ. მარტვილებმა ეკლესიისათვის თავი გასწირეს. რატომ არ უნდა შევიდე ტაძარში? პამფლეტებით სავსე ტყავის ამ ჩანთას საკურთხეველთან, ჯვართან დავდებ. ჯვარი არის იმის სიმბოლო, რაც ყოველგვარ ძიებაზე, კითხვასა და ფუჭ სიტყვებზე მაღლა დგას. მას ხორციელი საბურველი შემოეძარცვა და იქცა დიად სულად, აჩრდილად... რატომ არ უნდა შევიდე ეკლესიაში?! – ფიქრობდა კაცი. ამასობაში აეროპლანმა ლადგეით-სერკესს გადაუფრინა.

უცნაური იყო. აეროპლანი უხმაუროდ მიფრინავდა. მხოლოდ ქუჩის ზუზუნი ისმოდა. თითქოს პილოტი არ ჰყავდა და თავის ნებაზე დაფრინავდა. მაღლა-

მაღლა მიფრინავდა, აღტაცებითა და თავდავიწყებით. თეთრი კვამლი ზემოთ მიიწევდა, იკლაკნებოდა და იწერებოდა: „ი... რ... ი...“

*

– რას უყურებს ყველა? – ჰკითხა კლარისა დოლოვეიმ მოსამსახურეს, რომელმაც კარი გაუღო.

ჰოლში ისე გრილოდა, როგორც აკლდამაში. მისის დოლოვეიმ ხელისგული თვალებთან მიიტანა. მოახლემ კარი მიხურა. კლარისას მისი კაბის შარიშური ესმოდა და ეჩვენებოდა, რომ იმ მონაზონს ჰგავდა, რომელიც მონასტერს ტოვებდა. გრძნობდა, როგორ იხურებოდა მის უკან თავსაბურავების, ლოცვისა და რწმენის სამყარო. მზარეულის სტვენა და საბეჭდი მანქანის კაკუნი ისმოდა. ეს მისი ცხოვრება იყო. მაგიდისაკენ ისე დაიხარა, თითქოს ვიღაცას თავს მდაბლად უკრავდა. ზეციური სიმშვიდე დაეუფლა. თითქოს დალოცვილი და განწმენდილი იყო (წიგნაკი გადაშალა. მოახლე მასში წერდა, ვინ და რატომ რეკავდა). ფიქრობდა, რომ ასეთი დიდებული წუთები სიცოცხლის ხეზე გამოსულ კვირტებს ჰგავდა. ეს წყვდიადის ყვავილებია, გაიფიქრა მან (ულამაზესი ვარდები თითქოს მხოლოდ მისთვის იფურჩქნებოდა). ღმერთის არ სწამდა. ყოველდღე იღებდა წიგნაკს და შინამოსამსახურეებს გასამრჯელოს უხდიდა. ზრუნავდა ძაღლებსა და იადონებზე. ყველაფერზე მნიშვნელოვანი კი იყო რიჩარდი, რომლის გარეშეც ასეთი ცხოვრება არ ექნებოდა. მხიარული ხმაური მოისმოდა, მომწვანო შუქი ანათებდა. მზარეული სტვენდა (მის უოლკერი ირლანდიელი იყო და მთელი დღე ასე ერთობოდა). უნდა გადაეხადა ამ საიდუმლო განძის, ამ ულამაზესი წუთების საფასური. ფიქრობდა მისის დოლოვეი და წიგნაკს იღებდა. ლუსი მის გვერდით იდგა და ცდილობდა, ეთქვა, რომ...

– მისტერ დოლოვეი...

კლარისამ წიგნაკში ამოიკითხა: „ლედი ბრიუტონს სურს, გაიგოს, დაეწვევა თუ არა დღეს მისტერ დოლოვეი ლანჩზე“.

– მადამ, მისტერ დოლოვეიმ მთხოვა, თქვენთვის გადმომეცა, რომ დღეს შინ ლანჩზე არ მოვა, – უთხრა ლუსიმ.

– ოჰ! – შესძახა კლარისამ. ლუსიმ თანაუგრძნო. გაიზიარა მისი იმედგაცრუება (თუმცა, მასავით არ იტანჯებოდა). მიხვდა, როგორ ესმოდათ ერთმანეთის კლარისასა და რიჩარდს. ქარაგმას მიხვდა. გაიგო, როგორ უყვარდათ ერთმანეთი ამ დიდებულებს. მშვიდად წარმოიდგინა, როგორი მშვენიერი მომავალი ელოდა და მისის დოლოვეის ქოლგა იმ წმინდა იარაღივით აიღო, რომლითაც ქალღმერთმა ბრძოლის ველზე ღირსეულად იომა.

„ნუღარ გეშინია... ნუღარ უფრთხი მცხუნვარე მზის სხივებს“, – გაიფიქრა კლარისამ. თავზარდაცემული იყო, რადგან ლედი ბრიუტონმა რიჩარდი სადილად დაპატიჟა. ყველაფერი ავის მომასწავებლად შეზანზარდა. ეს

მშვენიერი წუთი ისე ათრთოლდა, როგორც მდინარის ტალღებზე მოსმული ნიჩაბი არხევს წყალმცენარეებს. კლარისას კანკალმა მოუარა. ლედი ბრიუტონი ძალზე სახალისო წვეულებებს მართავდა. კლარისას რიჩარდისაგან ვულგარული ეჭვიანობა ვერ დააშორებდა, თუმცა, დროის ეშინოდა. უცქერდა ლედი ბრიუტონის სახეს, რომელიც უგრძნობ ქვაზე ამოკვეთილ საათის ციფერბლატს ჰგავდა და გრძნობდა, რომ დრო შეუჩერებლად მიაქანებდა სიკვდილისაკენ. დარჩენილი ნაწილი წლიდან წლამდე პატარავდებოდა. ყველაფერი ხელიდან ეცლებოდა. ხვდებოდა, რომ უწინდებურად ვეღარ დატკბებოდა ცხოვრებით, ვეღარ შეიგრძნობდა მის ელფერს, მშვენიერებას. ახალგაზრდობაში, როდესაც კარს შეაღებდა, ეჩვენებოდა, თითქოს ოთახს ტალღასავით შთანთქავდა და თავისი არსებით აღავსებდა. ზღურბლთან ირინდებოდა, საოცარი მღელვარება იპყრობდა. იმ მოცურავეს ჰგავდა, რომელიც წყალში გადახტომამდე წამით ჩერდება. მის ქვემოთ კი ზღვა ხან მუქდება და ხან მკრთალდება. ტალღები მრისხანედ იქოჩრებიან, თუმცა, მშვიდად იპობიან, წინ მიიწევენ და წყალმცენარეებს აქეთ-იქით ატრიალებენ, ფარავენ და მარგალიტისფრად ფერავენ.

კლარისამ წიგნაკი მაგიდაზე დადო. მოაჯირს ხელი მოჰკიდა და კიბეს ნელა აუყვა. თითქოს ახლახან დაბრუნდა იმ წვეულებიდან, სადაც მეგობრების უმეტყველო სახეებს უცქერდა და მათი ხმის ექოს უსმენდა. კარი გამოიხურა და თითქოს მარტო დარჩა საშინელი, უკუნი, საზარელი ღამისა თუ ივნისის იმ უფერული, პროზაული დღის დაჟინებული მზერის წინაშე, რომელიც მხოლოდ სხვებისათვის, მხოლოდ სხვებისათვის გაბრწყინებულიყო ვარდის ფურცელთა საამო შუქით. კლარისა გრძნობდა ამას, როცა კიბეზე, ღია ფანჯარასთან გარინდებული იდგა. ფარდების ფრიალი და ძაღლის ყეფა მოისმოდა. ეჩვენებოდა, რომ ძალიან მოხუცი, დამჭკნარი, მკერდჩავარდნილი ქალი იყო. კარებისა და ფანჯრების მიღმა დილის ხმაური, გუგუნი და ყვავილობა იგრძნობოდა, მაგრამ კლარისა ვეღარაფერს გრძნობდა. თითქოს ყველაფერი მისი სხეულისა და გონების მიღმა ხდებოდა, რადგან ლედი ბრიუტონმა, რომელიც ძალზე სახალისო წვეულებებს მართავდა, სადილად არ დაპატიჟა.

კლარისამ კიბე ისე აიარა, როგორც იმ მონაზონმა, რომელიც მონასტერს ტოვებდა, და იმ ბავშვმა, რომელმაც კოშკი პირველად დაინახა. ფანჯარასთან წამით შედგა და სააბაზანოს მიუახლოვდა. იატაკზე მწვანე ლინოლეუმი ეფინა, ონკანიდან წყალი წვეთავდა. მღელვარე, სისხლსავსე ცხოვრების შუაგულში მტკივნეული სიცარიელე სუფევდა. მანსარდა. ქალები იძულებული არიან, მდიდრული ტანსაცმელი გაიხადონ, სამკაული მოიხსნან და შუადღისას ტანთ გაიხადონ. კლარისამ ქუდის ქინძისთავი ბალიშში ჩაარჭო და ყვითელი, ბუმბულით დამშვენებული ქუდი საწოლზე დადო. სუფთა, ტკიცინა თეთრეული თეთრ ზოლად გადაჰფარებოდა ვიწრო საწოლს, რომელიც თანდათან ვიწროვდებოდა. სანთელი თითქმის ჩაღვენთილიყო. თითქმის დაასრულა ბარონ მარბოს მოგონებების კითხვა. წუხელ გვიანობამდე კითხულობდა იმ ეპიზოდს, სადაც ფრანგული არმიის მოსკოვიდან გამოსვლა იყო აღწერილი. რიჩარდი პარლამენტში გვიანობამდე რჩებოდა და კლარისას დაჟინებით სთხოვდა, აქ დაეძინა, რადგან მან მძიმედ იავადმყოფა და არ უნდა გადაღლილიყო. კლარისას კი სინამდვილეში წიგნის კითხვა ერჩივნა. გატაცებით კითხულობდა, თუ როგორ გამოვიდა ფრანგული არმია მოსკოვიდან. რიჩარდმაც იცოდა ეს. კლარისას საძინებელი მანსარდაზე იყო.

თავის ვიწრო საწოლში იწვა, ძილი არ ეკარებოდა და კითხულობდა. მიუხედავად იმისა, რომ დედა იყო, ძილშიაც კი ვერ იშორებდა იმ ქალწულობას, რომელიც ზეწარივით შემოხვეოდა. ქალიშვილობაში ძალიან ლამაზი იყო. ერთხელ, როდესაც მდინარის პირასა და კლივლენდის ტყეებში სეირნობდნენ, გულცივი კლარისა რიჩარდს ძალიან ცივად მოექცა. კონსტანტინოპოლსა და სხვა ქალაქებშიც გული ატკინა. კლარისამ იცოდა, რაც აკლდა. ულამაზო და უჭკუო არ იყო. გრძნობდა, რომ ის მთავარი, უსაზღვრო სითბო აკლდა, რომელიც ცივ ზედაპირს ალღობს და ქალისა და მამაკაცის (თუ მხოლოდ ქალების) ცივ ურთიერთობას სისათუთეს ანიჭებს. ბუნდოვნად გრძნობდა ამას. კდემამოსილი იყო. არ იცოდა, ცხოვრებამ აქცია ასეთად თუ ბრძენმა ბუნებამ დააჯილდოვა უმწიკვლოებით (ბუნება ხომ მუდამ ბრძენია). ხანდახან ვერ უძლებდა იმ ლამაზი ქალების მომხიბვლელობას, რომლებიც მას გულს გადაუშლიდნენ და ხშირად რაღაც სისულელეებს უყვებოდნენ. ქალიშვილები არ მოსწონდა. მხოლოდ ქალები იზიდავდა. შეიძლება იმიტომ მოსწონდა ისინი, რომ ებრალებოდა, ან იმიტომ, რომ ლამაზები იყვნენ, კლარისა კი მათზე უფროსი იყო. შორეულ სურნელს გრძნობდა, მეზობელი სახლიდან გამოსულ ვიოლინოს ჰანგებს ყურს უგდებდა (რა უცნაურად მოქმედებდა მასზე მუსიკაც ასეთ დროს) და გრძნობდა იმას, რასაც მამაკაცები გრძნობდნენ (მართალია, მხოლოდ წამით ეუფლებოდა ასეთი შეგრძნება, მაგრამ ესეც საკმარისი იყო).

ეს უეცარი აღმოჩენა, გამონათება იყო. ჰგავდა იმ შეგრძნებას, როდესაც წითლდებოდა და ცდილობდა, დაეფარა, მაგრამ როდესაც სიწითლე უფრო და უფრო ემჩნეოდა, დანებდებოდა. საკუთარ თავს ვეღარ ცნობდა. კანკალებდა. ეჩვენებოდა, რომ თითქოს სამყარო უახლოვდებოდა. ქვეყნიერება რაღაც უდიდეს მნიშვნელობას იძენდა, იბერებოდა და აღფრთოვანებით სრესდა. სამყაროს თხელი ქერქი ჭრიალებდა, სკდებოდა და ნახეთქებსა და ჭრილობებს მალამოდ ედებოდა. შვებას ჰგვრიდა. ეს გამონათებას ჰგავდა, ასანთის ჩაწვას ზაფრანაში; თითქოს სამყარო ისევ შორიდან მოჩანდა და ყველაფერი, რაც წუთის წინ ცხადი იყო მისთვის, წყვდიადში იძირებოდა. დიდებული წამი გაფრინდა. ასეთი წამები (და ქალებთან ერთად გატარებული წამებიც) უკვალოდ ქრებოდა და ისევ მოსაწყენ ყოველდღიურობაში დაბრუნება უწევდა: ვიწრო საწოლი, ბარონ მარბოს მოგონებები და თითქმის ჩაღვენთილი სანთელი (მან ქუდი საწოლზე დადო).

კლარისა საწოლში იწვა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. იატაკი ჭრიალებდა. განათებული სახლი უეცრად წყვდიადში იძირებოდა. კლარისა თავს წამოსწევდა და ესმოდა, რომ რიჩარდი თავისი ოთახის კარს ფრთხილად, უხმაუროდ ხურავდა. ფეხაკრეფით, წინდების ამარა ამოდიოდა კიბეზე. სათბურა ხელიდან უვარდებოდა და ილანძღებოდა. კლარისას გულიანად ეცინებოდა!

სიყვარული... (ფიქრობდა კლარისა და თან ლაბადას იხდიდა) ქალების სიყვარული... სელი სიტონი. მას ხომ ოდესღაც სელი სიტონთან ურთიერთობა ჰქონდა? რა იყო ეს, თუ არა სიყვარული?

ის იატაკზე იჯდა (აი, ასეთად ახსოვდა სელი). იატაკზე იჯდა, ხელები მუხლებზე შემოეჭდო და სიგარეტს ეწეოდა. მაგრამ სად მოხდა ეს? მენინგებთან? თუ კინლოშ-ჯონსებთან? ყოველ შემთხვევაში, წვეულება იყო

(მაგრამ კლარისას დავიწყდებოდა, სად მოხდა ეს). ნათლად ახსოვდა, რომ ერთ ბიჭს ჰკითხა: „ის ვინ არის?" მანაც უპასუხა და დასძინა, სელის მშობლები ერთმანეთს ვერ უგებენო (კლარისა გაოცდა: როგორ შეიძლება ცოლ-ქმარი ჩხუბობდეს?). სელის მთელი საღამო თვალი ვერ მოსწყვიტა. საოცრად ლამაზი იყო, შავგვრემანი. დიდრონი თვალები ჰქონდა. კლარისა ასეთ ქალებს აღმერთებდა. მას ჰქონდა ის თვისებები, რომელიც კლარისას ყოველთვის სურდა, ჰქონოდა. ის უდარდელი იყო. თითქოს იმას ამბობდა და აკეთებდა, რაც სურდა (ეს თვისება უცხოელ ქალებს უფრო ჰქონდათ, ვიდრე ინგლისელებს). სელი ამბობდა, ჩემს ძარღვებში ფრანგული სისხლი ჩქეფსო. მისი წინაპარი მარია-ანტუანეტას კარზე მსახურობდა. დედოფალმა მას სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ლალის ბეჭედი მისცა.

სელი ბორტონში ერთ ზაფხულს, ნავახშმევს, დაუპატიჟებლად ჩამოვიდა. ჯიბეში გროშიც კი არ ჰქონდა. საბრალო მამიდა ელენას თავზარი დაეცა. სელის ასეთი უსაქციელობა ვერასოდეს აპატია. სელი დედ-მამას ეჩხუბა. გროშიც კი არ ებადა. გულსაბნევი დააგირავა, რათა წამოსასვლელი ფული ეშოვა. სახლიდან გიჟივით გამოიქცა. მთელი ღამე ილაპარაკეს. სწორედ მან მიახვედრა კლარისას, თუ რაოდენ უფერული ცხოვრება ჰქონდა ბორტონში. ის სისხლსავსე ცხოვრებას მოწყვეტილი იყო. ქალთა საკითხისა და სოციალური პრობლემების არაფერი გაეგებოდა. სელის საკუთარი თვალით დაენახა, როგორ დაეცა და მოკვდა ვიღაც ბერიკაცი სადღაც, მინდორში. ახალხბომოგებული ძროხებიც ენახა. მამიდა ელენას მათი საუბარი არ მოსწონდა (როცა სელიმ მისთვის უილიამ მორისის წიგნის ჩუქება გადაწყვიტა, იძულებული გახდა, ყავისფერ ქაღალდში შეეხვია). სელი და კლარისა მანსარდაზე, კლარისას საძინებელ ოთახში დაუსრულებლად საუბრობდნენ ცხოვრებაზე. სამყაროს შეცვლა სურდათ. იმ ასოციაციის შექმნასაც აპირებდნენ, რომლითაც პირად საკუთრებას გააუქმებდნენ. წერილიც კი დაწერეს, მაგრამ არ გაგზავნეს. იდეებს სელი აწვდიდა, თუმცა, კლარისაც მალე აღივსო ენთუზიაზმით. დილაობით, საუზმემდე, საწოლში, პლატონს, მორისსა და შელის კითხულობდა.

სელი მიმზიდველი, ნიჭიერი და გამორჩეული იყო. საოცარ თაიგულებს აკეთებდა. მაგიდებზე მუდამ გრძელი, ლამაზი ლარნაკები ედგათ. სელი ბაღში ჩადიოდა და ბაღის ტუხტებს, გეორგინებსა და იმ ყვავილებს კრეფდა, რომლებიც კლარისას ერთ ლარნაკში ჩაწყობილი არასოდეს ენახა. სელიმ ყვავილებს ღეროები დააჭრა და ფურცლები წყლით სავსე თასში ჩაყარა. როდესაც შინ სავახშმოდ ბრუნდებოდნენ, უცქერდნენ თასში ჩაყრილ ფურცლებს, რომლებსაც ჩამავალი მზის სხივები დასთამაშებდა. საოცრად ლამაზი სანახაობა იყო (მამიდა ელენა, რა თქმა უნდა, ამბობდა, რა სისასტიკეა, ყვავილებს ასე როგორ უნდა მოექცეო). ერთხელ სელის სააბაზანოში ღრუბლის შეტანა დაავიწყდა და დერეფანში შიშველმა გაიარა. ბუზღუნა მოხუცი მოახლე ელენ ეტკინსი ქოთქოთებდა: „ვინმე მამაკაცს რომ დაენახა?" ის მართლაც ყველას აოცებდა. მამა ამბობდა, სელი ძალიან დაუდევარი და ფეთხუმიაო.

საოცარი იყო: როცა კლარისა წარსულს იხსენებდა, გრძნობდა, რომ ის ძველი, წმინდა გრძნობა არ განელებოდა. ასეთ რამეს მამაკაცის მიმართ ვერ განიცდიდა. ეს იყო უანგარო გრძნობა, რომლითაც მხოლოდ ქალიშვილებს უყვართ ერთმანეთი. კლარისას სურდა, სელი დაეცვა, რადგანაც ერთნაირი

ხვედრი ერგოთ. ავი წინათგრძნობა ჰქონდა, რომ მათ რაღაც დააშორებდა (ქორწინება ნამდვილ უბედურებად მიაჩნდათ). კლარისა რაინდული გრძნობით განიმსჭვალა, მისი დაცვის სურვილით აღივსო, რადგანაც სელი თავზე ხელაღებული იყო. გიჟივით იქცეოდა. ათას სისულელეს იგონებდა. ტერასის მოაჯირებზე ველოსიპედით დადიოდა. სიგარებს ეწეოდა. თავზე ხელაღებული იყო, მაგრამ ძალზე მომხიბლავი (ყოველ შემთხვევაში, კლარისა ასე თვლიდა). ახსოვდა, როგორ ადიოდა მანსარდაზე, თავის საძინებელში, სათბურით ხელში, საწოლთან დგებოდა და ხმამაღლა ამბობდა: „სელი აქაა!.. ამ სახლში! აქაა!"

ახლა ამ სიტყვებს მისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ძველი ემოცია სადღაც გამქრალიყო. მოაგონდა, როგორ კანკალებდა და აღელვებისაგან მთელი სხეული უცივდებოდა, როდესაც თმას ივარცხნიდა. თითქოს ექსტაზში იყო (როდესაც თმის სარჭი მოიძრო, მაგიდაზე დადო და თმის ვარცხნას შეუდგა, იგრძნო, რომ ძველი გრძნობა იღვიძებდა). ჩამავალი მზის მეწამულ სხივებში გახვეული ჭილყვავები კამარას კრავდნენ და ისევ მიწაზე ეშვებოდნენ. კლარისამ ჩაიცვა, კიბე ჩაიარა და ჰოლი გაიარა. ფიქრობდა: „თუ სიკვდილი მიწერია, დაე, ახლავე აღვესრულო, რამეთუ უსაზღვროდ ბედნიერი ვარ"... (შექსპირი, „ოტელო"). ის გრძნობდა იმას, რასაც ოტელო გრძნობდა. გრძნობდა, რომ ისე მძაფრად განიცდიდა ყველაფერს, როგორც შექსპირს უნდოდა, რომ ოტელოს განეცადა, რადგან სასადილო ოთახისაკენ თეთრ კაბაში გამოწყობილი მიაბიჯებდა, რათა სელი სიტონთან ერთად ევახშმა!

სელის ვარდისფერი მუსლინის კაბა ეცვა. ნუთუ მართლაც ასე იყო? ყოველ შემთხვევაში, ძალიან ლამაზი იყო. თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. იმ ჩიტს თუ ბუშტს ჰგავდა, რომელიც ნარნარად შემოფრინდა ოთახში და მაყვლის ბუჩქს წამოედო. არაფერია იმაზე საოცარი, ვიდრე შეყვარებული ადამიანის სრული გულგრილობა ყველას მიმართ (კლარისას ხომ სელი ნამდვილად უყვარდა!). ვახშმის შემდეგ მამიდა ელენა თითქოს სადღაც გაქრა. მამამ გაზეთის კითხვა დაიწყო. პიტერ უოლში და მოხუცი მის ქამინგსი ნამდვილად იქ იყვნენ. ჯოზეფ ბრიტკოფიც იქ იყო. ის საბრალო მოხუცი ხომ ყოველ ზაფხულს რამდენიმე კვირით ჩამოდიოდა მათთან. ამბობდა, მე და კლარისა გერმანულ წიგნებს ვკითხულობთო, მაგრამ სინამდვილეში პიანინოზე უკრავდა და ბრამსს უხმოდ მღეროდა. სმენა საერთოდ არ ჰქონდა.

ეს ყველაფერი სელისათვის უბრალო დეკორაცია იყო. ბუხართან იდგა და მომაჯადოებელი, საამური, ალერსიანი ხმით ელაპარაკებოდა მამას, რომელსაც ძალაუნებურად უყვარდებოდა ის (ერთხელ მამამ სელის უძვირფასესი წიგნი ათხოვა. მან კი წვიმაში, ტერასაზე დატოვა). სელიმ შეჰყვირა: „რა ცუდია, შინ რომ ვსხედვართ!" ყველანი მაშინვე ტერასაზე გავიდნენ და ბაღში ჩავიდნენ. პიტერ უოლში და ჯოზეფ ბრიტკოფი ისევ ვაგნერზე კამათობდნენ. კლარისა და სელი მათგან ოდნავ მოშორებით იდგნენ. სწორედ მაშინ დადგა კლარისას ცხოვრების უმშვენიერესი წუთი: ყვავილებიან ქოთანს ჩაუარეს. სელი შეჩერდა, ყვავილი მოწყვიტა და კლარისას ტუჩებში აკოცა. თითქოს სამყარო გადატრიალდა! თითქოს ყველანი გაქრნენ. კლარისა სელისთან ერთად მარტო იყო. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ლამაზ ქაღალდში შეხვეული საჩუქარი (ბრილიანტი ან რომელიღაც უძვირფასესი ქვა) მიართვეს და სთხოვეს, არ გაეხსნა და არ შეეხედა. ბოლთის ცემას მოჰყვნენ. კლარისამ

თითქოს საჩუქარი მაინც გახსნა (იქნებ მისი ბრწყინვალება ქაღალდშიც კი აღწევდა?). ეს აღმოჩენა და ღვთაებრივი შეგრძნება იყო! უეცრად მოხუცი ჯოზეფი და პიტერი მათკენ შებრუნდნენ.

– ვარსკვლავებით ტკბებით? – ჰკითხა პიტერმა.

სელი თითქოს გრანიტის ყრუ კედელს მთელი ძალით სახით შეეხეთქა. ეს ნამდვილი საშინელება იყო!

კლარისა კი არ აღელვებულა. მხოლოდ იმიტომ წუხდა, რომ გრძნობდა, სელის ცუდად ექცეოდნენ. პიტერი მას ემტერებოდა. ეჭვიანობდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, მათ შორის ჩამდგარიყო და დაეშორებინა. კლარისას ეჩვენებოდა, რომ ყოველივე ეს ისე დაინახა, როგორც ელვის შუქით განათებული პეიზაჟი. სელი (კლარისა ასე არასოდეს აღფრთოვანებულა მისით!) მედგრად უძლებდა ყველაფერს. ის ქედუხრელი იყო. ლაპარაკობდა, იცინოდა და მოხუც ჯოზეფს ეუბნებოდა, მითხარით, რა ჰქვიათ ამ ვარსკვლავებსო. ისიც სიამოვნებით, სერიოზული სახით უხსნიდა ყველაფერს.

– რა საშინელებაა! – ფიქრობდა კლარისა. გრძნობდა, რომ რაღაც ცუდი მოხდებოდა და წუთიერ ბედნიერებას სასოწარკვეთა შეცვლიდა. ამ ლამაზ წუთს რაღაც სამუდამოდ მოწამლავდა.

მიუხედავად ყველაფრისა, უნდა ეღიარებინა, რომ შემდგომში პიტერისაგან ბევრი რამ ისწავლა. როდესაც მასზე ფიქრობდა, მათი ჩხუბი ახსენდებოდა. უნდოდა, პიტერს მასზე კარგი წარმოდგენა ჰქონოდა. მისგან ისწავლა სიტყვები: „სენტიმენტალური“ და „ცივილიზებული“. ყოველ დილას ამ სიტყვებით იწყებდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს პიტერი მუდამ მის გვერდით იყო. კლარისა ხშირად ამბობდა: „სენტიმენტალური წიგნი“, „ცხოვრების მიმართ სენტიმენტალური დამოკიდებულება“. როცა წარსულს იხსენებდა, სენტიმენტალური ხდებოდა. რას იფიქრებს, როდესაც ჩამოვა? – გაიფიქრა კლარისამ.

იმას, რომ დაბერდა? თავად ეტყოდა ამას? იქნებ კლარისას მის თვალებში ამოეკითხა ყველაფერი? ნუთუ დაბერდა? ნამდვილად დაბერდა. ავადმყოფობის შემდეგ ხომ თითქმის სულ გაჭაღარავდა.

კლარისამ გულსაბნევი მოიძრო და მაგიდაზე დადო. უეცრად ყელში საშინელმა სპაზმმა მოუარა. თითქოს ყინულის კლანჭებმა მაგრად მოუჭირა. ჯერ კიდევ არ იყო მოხუცი. ორმოცდამეთორმეტე წელიწადში გადააბიჯა. ივნისი, ივლისი და აგვისტო ჯერ კიდევ წინ იყო! ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს იმ წვეთის დაჭერა სურდა, რომელიც მალე მიწაზე დაეცემოდა (კლარისამ მაგიდას ჩაუარა). თითქოს წამის სიღრმეში შთაინთქა, შეაჩერა და მარადისობას გამოჰგლიჯა: ეს ივნისის დილის წამი იყო. გარდასულ დილათა მოგონება მოეძალა. თითქოს პირველად ხედავდა სარკეს, მაგიდას, დახვავებულ ფლაკონებს. სარკეში უცქერდა საკუთარ თავს, იმ ქალის ვარდისფერ, ნაზ სახეს, რომელსაც ამ საღამოს წვეულება უნდა გაემართა. ეს კლარისა დოლოვეის სახე იყო. მისი სახე.

უამრავჯერ დაუნახავს საკუთარი სახე სარკეში, მაგრამ ყოველთვის ოდნავ შესამჩნევი გრიმასა გადაურბენდა! როცა სარკეში ჩაიხედა, ტუჩები მოკუმა.

სახე დაუწვრილდა. ეს მისი სრულყოფილი სახე იყო. ლარივით სწორი, სრულქმნილი. კლარისა ცდილობდა, ყოფილიყო ის, ვინც იყო. თითქოს თავისი სხეულის მიმოფანტულ ნაწილებს კრებდა და აწებებდა. მხოლოდ მან იცოდა, რომ ეს ნაწილები ერთმანეთს არ შეესაბამებოდა. მხოლოდ გარშემო მყოფებისათვის ქმნიდა ამ სასტუმრო ოთახში სტუმრების მომლოდინე ალმასივით ბრწყინვალე ქალს, რომელსაც სხვათა უფერულ ცხოვრებაში სიხარულის სხივი შეჰქონდა. ის მარტოსულთა თავშესაფარი იყო. ახალგაზრდებს ეხმარებოდა. ისინი ემადლიერებოდნენ. ცდილობდა, ყოველთვის ასეთი ქალი ყოფილიყო და არავისთვის ეჩვენებინა სხვა თვისებები: სისუსტე, ეჭვიანობა, ამპარტავნობა. არ უნდოდა, წყენა შეემჩნია ახლა, როდესაც იცოდა, რომ ლედი ბრიუტონმა სადილად არ დაპატიჟა (კლარისა თმის ვარცხნას შეუდგა)! ეს ხომ სულმდაბლობა იყო! სად იყო მისი კაბა?

მისი საღამოს კაბები კარადაში ეკიდა. კლარისა გრილ, სრიალა ქსოვილებს შეეხო. მწვანე კაბა ფრთხილად ჩამოხსნა და ფანჯრის წინ დადგა. კაბა გახეული იყო. საელჩოში წვეულებაზე ვიღაცამ კალთაზე ფეხი დაადგა. იგრძნო, როგორ გაირღვა კაბა ზემოთ, ნაკეცებს შორის. ნათურების შუქზე კაბა ბრწყინავდა, თუმცა, ახლა, მზის შუქზე, გახუნებული ჩანდა. უნდა გაეკერა. მოსამსახურეებს არ ეცალათ. ამ საღამოს წვეულებაზე ეს კაბა უნდა ჩაეცვა. ის აბრეშუმის ძაფს, მაკრატელს და... როგორ უწოდებენ იმ ნივთს?.. ო, სათითე, რა თქმა უნდა! ჩაიტანდა სასტუმრო ოთახში და კაბას დააკერებდა. თან, წერილიც უნდა დაეწერა და ყურადღება მიექცია, რომ სახლში წვეულებისათვის კარგად მომზადებულიყვნენ.

რა უცნაურია, გაიფიქრა კლარისამ და კიბის თავში შეჩერდა. ცდილობდა, ალმასივით ბრწყინვალე, გამორჩეული ქალი ყოფილიყო. რა კარგად იცნობს დიასახლისი თავის სახლს! მთელი არსებით გრძნობს აქ გამეფებულ განწყობას. სუსტი ხმაური თითქოს სპირალივით ეხვეოდა და კიბეს მიუყვებოდა. ცოცხის სისინი და კაკუნი ისმოდა. შემოსასვლელი კარი გაიღო და ქუჩის ხმაური შემოიჭრა. ვიღაცის ხმა გაისმა. ლანგარზე დადებული ვერცხლის ჭურჭელი წკარუნებდა. სუფთა ჭურჭელი წვეულებისათვის მოემზადებინათ. ყველაფერი წვეულებისათვის ემზადებოდა.

(ლუსი მისაღებ ოთახში ლანგრით შემოვიდა და ბუხარზე უზარმაზარი შანდლები ჩამოაწყო. მაგიდაზე ვერცხლის ზარდახშა დადო. ბროლის დელფინი საათის ქვეშ დადგა. ისინი მოვლენ, აქ დადგებიან და თვალთმაქცურ, გადაპრანჭულ საუბარს გააბამენ. ლუსი იმ ქალებსა და მამაკაცებს ჰბაძავდა. ყველაზე ლამაზი იყო კლარისა – ვერცხლის ჭურჭლის, სელის ქსოვილის, ფაიფურის დედოფალი. მზის სხივები, ჩამოხსნილი კარები, რამპლმაიერის მოსამსახურეები სრულყოფილების შეგრძნებას უღვიძებდა. ქაღალდის საჭრელი დანა ინკრუსტირებულ მაგიდაზე დადო. ერთხელ, როდესაც ქეითრემში საკონდიტროში მუშაობდა, სარკეს დაჟინებით დააცქერდა და მეგობრებს უთხრა: „შეხედეთ, შეხედეთ!“ ლუსი წარმოიდგენდა, რომ თითქოს ლედი ანჯელა ერქვა და პრინცესა მერის მოსამსახურე იყო. ამ დროს ოთახში კლარისა დოლოვეი შემოვიდა).

– ო, ლუსი, როგორ ბრწყინავს ჭურჭელი! მითხარით, მოგეწონათ გუშინდელი სპექტაკლი? – ჰკითხა მან და ბროლის დელფინი გაასწორა.

– ო, მალე წამოვიდნენ, რადგან ათი საათისათვის უკვე აქ უნდა ყოფილიყვნენ. არ იციან, როგორ დასრულდა! – მიუგო ლუსიმ.

– ძალიან ცუდია, – თქვა კლარისამ (თუკი თავისი მოსამსახურეები სთხოვდნენ, ქალაქში გვიანობამდე დარჩენას არ უშლიდა), – ცუდია, – და დივნიდან ძველი, გაქუცული ბალიში აიღო, ლუსის მიაწოდა, ხელი ოდნავ ჰკრა და შეჰყვირა: – მომაშორეთ ეს ბალიში! მისის უოლკერს აჩუქეთ ჩემგან! წაიღეთ!

ლუსი სასტუმრო ოთახის კართან შეჩერდა, ოდნავ გაწითლდა და მისის დოლოვეის მორცხვად ჰკითხა, კაბის დაკემსვაში ხომ არ დაგეხმაროთო.

– არა, არა, – მიუგო მისის დოლოვეიმ. მას ისედაც უამრავი საქმე ჰქონდა.

– დიდი მადლობა, დიდი მადლობა, ლუსი, – თქვა მან. „დიდი მადლობა, დიდი მადლობა", – გაიმეორა კლარისამ (დივანზე იჯდა, მაკრატელი და აბრეშუმის ძაფი დაეჭირა), – გმადლობთ, გმადლობთ", – იმეორებდა კლარისა. ის მუდამ გულუხვად უხდიდა მადლობას შინამოსამსახურეებს. მათი წყალობით იყო ის, ვინც უნდოდა, რომ ყოფილიყო: ალმასივით ბრწყინვალე, თავაზიანი, სულგრძელი ქალი, რომელიც მოსამსახურეებს ძალიან უყვარდათ. ო, ეს კაბა. ნეტავ, სად არის გახეული? ნემსში ძაფი უნდა გაეყარა. ეს მისი საყვარელი კაბა იყო. ალბათ, უკანასკნელი, რომელიც სელი პარკერმა შეუკერა, რადგან სელი ახლა აღარ მუშაობდა და ილინგში ცხოვრობდა. თუ ოდესმე თავისუფალი დრო მექნება (მაგრამ არასოდეს ჰქონდა თავისუფალი დრო) ელინგში მის სანახავად წავალ, – გაიფიქრა კლარისამ. სელი მართლაც გამორჩეული ქალი იყო, ნამდვილი ხელოვანი. ყოველთვის საოცარი იდეები ჰქონდა, თუმცა, მისი შეკერილი კაბების ჩაცმა ჰეთფილდშიც შეიძლებოდა და ბუკინგემის სასახლეშიც. მას მართლაც ეცვა ეს კაბები ჰეთფილდსა და ბუკინგემის სასახლეშიც.

სიმშვიდე დაეუფლა. კმაყოფილი იყო. ნემსში აბრეშუმის ძაფი უკვე გაეყარა და ხელს მშვიდად ამოძრავებდა. მწვანე ნაკეცებს თავს უყრიდა და ქამარზე მშვიდად ამაგრებდა. ასე იქოჩრება ზაფხულის მშვენიერი დღის ტალღები და ნაპირს ეხლება. იქოჩრება და ნაპირს ეხლება. თითქოს მთელი სამყარო ამბობს: „ყველაფერი მორჩა". ხმამაღლა, ჯიუტად იმეორებს ამ სიტყვებს და მზის მცხუნვარე სხივებში გახვეული, ქვიშიან სანაპიროზე მწოლიარე სხეულში გამომწყვდეული გულიც ეხმიანება: „მორჩა". გული გამალებით იმეორებს: „ნუ გეშინია, ნუ გეშინია..." – თითქოს თავის მძიმე ტვირთს ანდობს იმ მღელვარე ზღვას, რომელიც გრგვინავს, ხმაურობს და კვნესის, რადგან კაცობრიობის სევდა იტვირთა. ტალღები იქოჩრებიან და ნაპირს ეხლებიან. მხოლოდ სანაპიროზე მწოლიარე უსმენს, როგორ ბზუის ბზიკი, როგორ ეხეთქება ნაპირს ტალღა და შორს, შორს ძაღლი დაუღალავად ყეფს.

– ღმერთო! ზარის ხმა ისმის! – შეჰყვირა კლარისამ და ნემსი თითქოს ხელში შეეყინა. შეშინებულმა ხმას ყური მიუგდო.

– მისის დოლოვეი მიმიღებს! გარწმუნებთ, მიმიღებს! დიახ, მე მიმიღებს, მე მიმიღებს, – თქვა ვიღაც შუახნის მამაკაცმა, ლუსი გზიდან ძალზე თავაზიანად ჩამოიშორა და კიბეზე აირბინა, – ჰო, ჰო, ჰო... მიმიღებს.

ხუთი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს, ახლა ჩამოვედი ინდოეთიდან. კლარისა აუცილებლად მიმიღებს! – ბუტბუტებდა ის.

– ვინ უნდა იყოს?... ვინ უნდა იყოს? – ფიქრობდა კლარისა (რა აღმაშფოთებელი იყო! თერთმეტ საათზე შემოიჭრნენ მის სახლში. მას ხომ ამ საღამოს წვეულება ჰქონდა!) და ნაბიჯების ხმას ყურს უგდებდა. ვიღაცის ხელი კარის სახელურს ჩაებღაუჭა. კლარისას კაბის დამალვა სურდა. იმ ქალიშვილს ჰგავდა, რომელიც თავის უბიწოებას იცავდა და ყველას აიძულებდა, პატივისცემით მოპყრობოდნენ. კარის სახელური დაიწია. კარი გაიღო. ის შემოვიდა... კლარისა გაოცდა, აღელდა და დაირცხვინა. ისე გახარებული იყო, რომ წამით მისი სახელიც კი დაავიწყდა. ზაფხულის ამ დილას პიტერ უოლში მოულოდნელად ესტუმრა (მისი წერილი არ წაუკითხავს და არ იცოდა, რომ ჩამოვიდოდა)!

– როგორა ხარ? – ჰკითხა მთლად აცახცახებულმა პიტერმა და ხელები დაუკოცნა.

როგორ დაბერებულა... ჯობს, არ ვუთხრა... როგორ მიყურებს... – გაიფიქრა და ჩამოჯდა. თავი ცოტათი უხერხულად იგრძნო, რადგან კლარისას ხელები დაუკოცნა. ხელი ჯიბეში ჩაიყო, დიდი ჯაყვა ამოიღო და ნახევრად გახსნა.

სულ არ შეცვლილა. ისევ უცნაური იერი აქვს... ისევ კუბოკრული კოსტიუმი აცვია... სახე ოდნავ დასუსტებია, ოდნავ გამხდარა, მაგრამ მაინც კარგად გამოიყურება. თითქმის არ შეცვლილა, – გაიფიქრა კლარისამ.

– რა მშვენიერია, რომ ისევ გხედავ! – შესძახა კლარისამ და გაიფიქრა. ისევ თავისი ჯაყვა ამოიღო. სულ არ შეცვლილა.

პიტერმა თქვა, რომ ლონდონში გუშინ, საღამოს ჩამოვიდა. ბევრი საქმე ჰქონდა და უნდა წასულიყო. როგორ არიან რიჩარდი, ელიზაბეთი, ყველანი?

– რას შვრებით? – ჰკითხა პიტერმა და ჯაყვის წვერი კლარისას მწვანე კაბისაკენ გაიშვირა.

რა კარგი ტანსაცმელი აცვია... მუდამ მაკრიტიკებს, – გაიფიქრა კლარისამ.

კლარისა ზის და კაბას კემსავს. „ალბათ, სულ შინ ზის და კაბას კემსავს, – გაიფიქრა პიტერმა, – მე ინდოეთში ვიმოგზაურე, ის კი აქ იჯდა და კაბას კემსავდა. იშვიათად ერთობოდა. წვეულებებზე ან თემთა პალატაში დადიოდა. ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს". პიტერი უფრო და უფრო ღიზიანდებოდა და ღელავდა. ქალისათვის ქორწინებასა და რიჩარდივით პოლიტიკოს, კონსერვატორ ქმარზე დიდი უბედურება არ არსებობს. „კლარისას ხომ დიდებული რიჩარდი ჰყავს", – გაფიქრა პიტერმა და ჯაყვა ტკაცუნით დაკეცა.

– რიჩარდი ძალიან კარგადაა. ახლა შეხვედრაზეა, – მიუგო კლარისამ, მაკრატელი გაშალა და ჰკითხა, ხომ არ შეწუხდებით, კაბის დაკემსვა რომ განვაგრძო, რადგან ამ საღამოს წვეულება გვაქვსო.

– ჩემო ძვირფასო პიტერ, თქვენ ვერ დაგპატიჟებთ, – უთხრა მან.

რა საამურად უთხრა: „ძვირფასო პიტერ“! ყველაფერი საამური იყო: ვერცხლის ჭურჭელი, სკამები! ყველაფერი! პიტერმა ჰკითხა, რატომ არ მპატიჟებთ წვეულებაზეო.

რა მომხიბლავია! მახსოვს, როგორ გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება მაშინ. მაინც რატომ არ გავყევი ცოლად იმ საზარელ ზაფხულს? – გაიფიქრა კლარისამ.

– რა საოცარია, რომ მაინცდამაინც დღეს მესტუმრეთ! – შესძახა კლარისამ, ხელები კაბაზე დააწყო და დასძინა, – გახსოვთ, როგორ აფრიალებდა ქარი ფარდებს ბორტონში?

– ჰო... – მიუგო მან. გაახსენდა ის დრო, როდესაც კლარისას მამასთან ერთად საუზმობდა და თავს ძალიან უხერხულად გრძნობდა. როდესაც ის გარდაიცვალა, პიტერმა წერილიც კი არ მისწერა კლარისას. ვერასოდეს უგებდა ჭირვეულ, მერყევ ბერიკაცს, კლარისას მამას, ჯასტინ პერის.

– ხშირად ვნანობ, რომ მამათქვენს ვერ ვუგებდი... – უთხრა მან.

– ვერასოდეს ეგუებოდა იმ ადამიანებს... ჩვენს მეგობრებს... – მიუგო კლარისამ და ლამის ენაზე იკბინა, რადგან პიტერს გაახსენა, რომ მისი ცოლად შერთვა სურდა.

რა თქმა უნდა, გული მომიკვდა, – გაიფიქრა პიტერმა და იგრძნო, როგორ მოერია სევდა, რომელიც ისე მოეფინა, როგორც მთვარის შუქი. თითქოს ისევ ტერასაზე იდგა და მომაკვდავი დღის ნათელში გახვეულ, ლამაზ, ფერმიხდილ მთვარეს გასცქეროდა. „არასოდეს ვყოფილვარ ისეთი უბედური, როგორიც მაშინ“, – გაიფიქრა მან. მოეჩვენა, თითქოს ახლაც კლარისას გვერდით ტერასაზე იჯდა და მისკენ ოდნავ მიიწია. ხელი წინ გაიშვირა, ასწია და ისევ დაუშვა. თავზე მთვარე დანათოდათ. მთვარის შუქში გახვეული კლარისა თითქოს ახლა მასთან ერთად იჯდა ტერასაზე.

– ახლა იმ სახლში ჰერბერტი ცხოვრობს. იქ აღარ დავდივარ, – მიუგო კლარისამ.

როდესაც მთვარის შუქზე, ტერასაზე ორი ადამიანი ზის, ერთ-ერთს მოწყენილობა იპყრობს და დაირცხვენს, მეორე კი უხმოდ, სევდიანი სახით გასცქერის მთვარეს. მოუსვენრობს, ფეხს აქნევს, ახველებს, ყელს იწმენდს, მაგიდის ფეხზე რკინის ორნამენტს აცქერდება და ფოთოლს არხევს, მაგრამ არაფერს ამბობს. პიტერიც ასე გრძნობდა ახლა თავს.

რატომ მახსენებს წარსულს? – გაიფიქრა პიტერმა, – კლარისამ ხომ ჯოჯოხეთურად აწამა? რატომ ტანჯავდა ასე? რატომ?

– გახსოვთ ის ტბა? – ჰკითხა კლარისამ. მღელვარებისა და მოზღვავებული გრძნობებისაგან ხმა ჩაუწყდა, გული აუჩქროლდა, ყელი მტკივნეულად შეეკუმშა, სპაზმისაგან ტუჩები მოეკუმა, როდესაც თქვა „ტბა“. ეჩვენებოდა, რომ ბავშვი იყო, ტბის პირას დედ-მამის გვერდით იდგა და იხვებს პურს

უყრიდა. ამავე დროს იყო ზრდასრული ქალი, რომელიც ტბის პირას მდგარი მშობლებისაკენ მიაბიჯებდა. ხელში თითქოს თავისი ცხოვრება ეჭირა, რომელიც უფრო და უფრო იბერებოდა, იზრდებოდა და მთელ მის ცხოვრებად იქცა. თავის ცხოვრებას მათ ფერხთით დადებდა და ეტყოდა: „აი, ნახეთ, რა ვუქენი! ნახეთ!" მართლაც, როგორი ცხოვრება ჰქონდა? როგორი? კლარისა ახლა პიტერ უოლშის გვერდით იჯდა და კაბას კემსავდა.

კლარისამ პიტერს შეხედა. მისმა მზერამ თითქოს წარსული გადმოლახა. პიტერს ძველმა გრძნობამ თვალები ცრემლით აუვსო, შემდეგ კი გაფრინდა იმ ჩიტივით, რომელიც წამით ხის ტოტზე შემოსკუპდება და ისევ გაფრინდება. კლარისამ ცრემლები შეიმშრალა.

– დიახ! დიახ, დიახ, დიახ! – უპასუხა პიტერმა. თითქოს კლარისამ წარსულის უძირო მორევის ზედაპირზე ამოიტანა რაღაც, რამაც პიტერს გული საშინლად ატკინა. სურდა, მისთვის დაეყვირა: „კმარა! შეწყვიტეთ!" ის ჯერ კიდევ არ იყო მოხუცი. მისი ცხოვრება ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო. ორმოცდაათს გადააბიჯა. ვუთხრა თუ არა? – გაიფიქრა პიტერმა. უნდოდა, ყველაფრისათვის ნათელი მოეფინა და მისთვის სიმართლე ეთქვა, რათა თავი დამნაშავედ არ ეგრძნო. მაგრამ კლარისა ძალიან ცივი იყო. კერავდა და ხელში მაკრატელი ეჭირა. კლარისასთან შედარებით დეიზი ჩვეულებრივი ქალი იყო. კლარისა უიღბლო, საცოდავ კაცად ჩამთვლის. დოლოვეების აზრით, მე უიღბლო ვარ, – გაიფიქრა მან. ამ ინკრუსტირებული მაგიდის, ქაღალდის საჭრელი დანის, ბროლის დელფინის, შანდლების, შალითაგადაკრული სკამების, ძვირად ღირებული, ძველებური ინგლისური გრავიურების ფონზე ის მართლაც საბრალო, უიღბლო კაცი ჩანდა. „მათი თვითკმაყოფილება მეზიზღება", – გაიფიქრა მან. აქ ყველაფერი ისე იყო, როგორც რიჩარდს სურდა. რიჩარდს და არა კლარისას! მაგრამ კლარისა მაინც მას გაჰყვა ცოლად (ოთახში შემოვიდა ლუსი, რომელსაც ლანგრით ისევ და ისევ ვერცხლის ჭურჭელი მოჰქონდა. მომხიბლავი, მოხდენილი და დახვეწილი ქალია, – გაიფიქრა პიტერმა, როდესაც ლუსი ლანგრის დასადებად დაიხარა). კლარისას ერთფეროვანი ცხოვრება აქვს. კვირა კვირას მისდევს. მე კი... – გაიფიქრა მან და მოეჩვენა, რომ თითქოს მისით ყველაფერი თვალისმომჭრელად აციმციმდა: მოგზაურობა, ცხენით ჯირითი, ჩხუბი, თავგადასავლები, ბრიჯი, სასიყვარულო კავშირები და უსასრულო შრომა. შრომა, შრომა და შრომა! ჯიბიდან ჯაყვა გაბედულად ამოიღო, თავისი ძველი, რქისტარიანი დანა (კლარისას შეეძლო, დაეფიცებინა, რომ ოცდაათი წელი იყო, რაც პიტერს ეს დანა ჰქონდა) და ხელი მაგრად მოუჭირა.

რა აუტანელი ჩვევა აქვს: სულ ამ ჯაყვას აწვალებს, – გაიფიქრა კლარისამ, – მის გვერდით თავს ყველა თავქარიანად და სულელ ყბედად გრძნობს, საერთოდ არ შეცვლილა. მეც... – გაიფიქრა მან და ნემსი აიღო. იმ დედოფალს ჰგავდა, რომლის მცველებსაც ჩასძინებოდათ და სრულიად დაუცველი იყო (მისმა სტუმრობამ გააოცა და თავზარი დასცა). ყველას შეეძლო, დაენახა, როგორ იწვა ის კუნელის ძირას სრულიად მარტო. კლარისამ საშველად უხმო ყველაფერს, რასაც იქმოდა და რაც მოსწონდა. ქმარს, ელიზაბეთსა და საკუთარ თავსაც კი. პიტერი ძლივსღა ცნობდა კლარისას. კლარისა მტრის დასამარცხებლად ყველაფერს იღონებდა.

– როგორ ხართ, პიტერ? – ჰკითხა კლარისამ. იმ ცხენებს ჰგავდნენ, რომლებიც ბრძოლის დაწყებამდე მიწას ჩლიქს სცემენ და თავს არხევენ, მათ ფერდებს მზის სხივები დასთამაშებს და თავს ხრიან. პიტერ უოლში და კლარისა დოლოვეი ლურჯ დივანზე ისხდნენ და საბრძოლველად ემზადებოდნენ. პიტერში დაგროვილი ძალა თითქოს გრგვინავდა და ბობოქრობდა. მან ძალა მოიკრიბა. ყველაფერი ბრძოლისათვის მოამზადა: ქება-დიდება, ოქსფორდში აწყობილი კარიერა, ქორწინება. კლარისამ არ იცოდა, ვინ იყო მისი ცოლი. არ იცოდა, რომ ისევ შეყვარებული იყო. ერთი სიტყვით, პიტერმა მიზანს მიაღწია!

– ო, ჩემს ცხოვრებაში უამრავი რამ მოხდა! – შესძახა მან. მასში უსაზღვრო ძალა ბობოქრობდა და ეჩვენებოდა, რომ უჩინარი ხალხის მხრებს ზემოთ მიფრინავდა. ეს შემზარავი შეგრძნება მაინც აღაფრთოვანებდა და ახალისებდა. ხელები შუბლზე მიიდო.

კლარისა წელში გაიმართა და სუნთქვა შეიკავა.

– შეყვარებული ვარ, – უთხრა პიტერმა არა კლარისას, არამედ წყვდიადში შთანთქმულ, მიუწვდომელ სილუეტს, რომელსაც პიტერი ვერ შეეხებოდა. მას ბნელ მინდორში უნდა დაედო თაიგული.

– შეყვარებული ვარ. ახალგაზრდა ინდოელი ქალი მიყვარს, – უთხრა პიტერმა კლარისას უფრო ცივად. პიტერმა უკვე დადო თაიგული მინდორში. კლარისას შეეძლო, ისე მოქცეოდა მას, როგორც სურდა.

– შეყვარებული! – შესძახა კლარისამ. ეჩვენებოდა, რომ პიტერს, თავის ასაკში, თავისი პატარა ჰალსტუხით, რაღაც მონსტრი შთანთქავდა. წვრილი კისერი და წითელი ხელები აქვს. ჩემზე ექვსი თვით უფროსია! – თვალები წამოენთო. გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ პიტერი მართლაც შეყვარებული იყო. დიახ, დიახ, შეყვარებული იყო.

კლარისაში იყო ის დაუოკებელი ეგოიზმი და სასიცოცხლო ძალა, რომელიც ყველა დაბრკოლებას უცილობლად დაძლევდა. ის ჰგავდა იმ მდინარეს, რომელიც უმიზნოდ მიედინებოდა და თითქოს ჯიუტად გაიძახოდა: „წინ, წინ!“ კლარისას ამ დაუოკებელმა ეგოიზმმა სახე აუვარდისფრა. კლარისა თითქოს გაახალგაზრდავდა და თვალები აუელვარდა. კაბა მუხლებზე დაეფინა. ხელში დაეჭირა ნემსი, რომელშიც მწვანე აბრეშუმის ძაფი გაეყარა და ხელი ოდნავ უკანკალებდა. ის შეყვარებული იყო! არა, კლარისა კი არ უყვარდა, არამედ ის, ახალგაზრდა ქალი!

– ვინ არის ის ქალი? – ჰკითხა კლარისამ.

სურდა, იმ ქალის ქანდაკება ზეციური კვარცხლბეკიდან ჩამოეხსნა და მიწაზე, მათ შორის დაედგა.

– საუბედუროდ, გათხოვილია... ინდოეთის არმიის მაიორის ცოლია! – მიუგო პიტერმა.

საოცრად ირონიული სინაზით გაეღიმა, რადგან ის ქალი კლარისას ასე სასაცილოდ აღუწერა.

(რა მნიშვნელობა აქვს, გათხოვილია, თუ არა? პიტერს მაინც უყვარს, – გაიფიქრა კლარისამ.) – ორი შვილი ჰყავს. გოგონა და ბიჭი. ინგლისში ადვოკატების სანახავად ჩამოვედი. განქორწინების საკითხი უნდა მოვაგვარო, – განაგრძო მშვიდად.

აი, ისინიც, კლარისა! ისე მოექეცით, როგორც გსურთ! – გაიფიქრა პიტერმა. ეჩვენებოდა, რომ რაც დრო გადიოდა, ის ინდოელი ქალი (მისი დეიზი) და მისი შვილები მით უფრო ლამაზდებოდნენ, რადგან კლარისა მათ ნათლად ხედავდა. თითქოს პიტერმა თეფშზე დადებულ რუხ ბურთულას ცეცხლი წაუკიდა და ზღვისა და მარილის სურნელით გაჟღენთილ გრილ ჰაერში თვალწარმტაცი ხე ამოიზარდა. ხე მათი საამური სიახლოვისა (არავის ისე არ ესმოდა მისი, როგორც კლარისას. მასავით კარგად არავინ იცოდა, რას გრძნობდა).

იმ ქალმა პირფერობით მოხიბლა და გააბრიყვა! – გაიფიქრა კლარისამ, – და დანის სამიოდეჯერ მოქნევით გამოაქანდაკა ის ქალი – ინდოელი მაიორის ცოლი. რა სისულელეა! პიტერი მთელი ცხოვრება ასეთი სულელი იყო! ოქსფორდიდან დაითხოვეს, ინდოეთისაკენ მიმავალ გემზე გაცნობილი გოგონა ცოლად შეირთო, ახლა კი ინდოეთის არმიის მაიორის ცოლი უყვარდა! კლარისა ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ პიტერს ცოლად არ გაჰყვა! ძველი მეგობარი, მისი ძვირფასი პიტერი შეყვარებული იყო!

– რას აპირებთ? – ჰკითხა კლარისამ.

– ო, ადვოკატები ჰუპერი და გრეთლი დამეხმარებიან, – მიუგო მან და დანით ფრჩხილების დაჭრა დაიწყო.

ღვთის გულისათვის, დადე ეს ჯაყვა! – უნდოდა, დაეყვირა მოთმინებადაკარგულ კლარისას. მისი სულელური უზრდელობა და სისუსტე ყოველთვის აღიზიანებდა. სხვის გრძნობებს საერთოდ არ სცემდა პატივს. მოწიფული მამაკაცი იყო და ასეთი სულელური საქციელი არ შეეფერებოდა!

ვიცი, ვისაც ვებრძვი, – გაიფიქრა მან და თითი ჯაყვას სწრაფად გადაუსვა, – კლარისასა და დოლოვეების მთელ ბანდასთან მაქვს საქმე, მაგრამ კლარისას ჭკუას ვასწავლი! ჰოი, საოცრებავ! უეცრად თითქოს რაღაც უდიდესმა, უხილავმა ძალამ, რომელიც ოთახში დაფარფატებდა, ძირს დასცა. ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა. ის იჯდა კლარისას გვერდით და ტიროდა, მაგრამ სულაც არ რცხვენოდა. ცრემლები ლოყებზე ჩამოსდიოდა.

კლარისა მისკენ დაიხარა, მისი ხელი აიღო და ხელზე აკოცა. მისი სახის სიმხურვალეს გრძნობდა. გული ისე უთრთოდა, როგორც ქუდის მოსართავი ვერცხლისფერი ბუმბული და პამპის ბალახი ტროპიკულ ქარიშხალში. ქარიშხალი ჩადგა. კლარისას ისევ მისი ხელი ეჭირა, პიტერს მუხლზე ხელს უსვამდა. მასთან თავს საუცხოოდ გრძნობდა. გული სიხარულით ევსებოდა. „პიტერს რომ ცოლად გავყოლოდი, მუდამ ბედნიერი ვიქნებოდი", – გაუელვა მას.

მაგრამ, საუბედუროდ, მისთვის ყველაფერი დასრულდა. სუფთა, ტკიცინა თეთრეული და ვიწრო საწოლი ჰქონდა. კლარისა კოშკში მარტო ავიდა.

ისინი კი, მზის მცხუნვარე სხივებში გახვეულები, მაყვალს კრეფდნენ. კარი დაიხურა. თაბაშირი ცვიოდა და მტვრის ბუღი იდგა. ირგვლივ ჩიტის ბუდეები მიმოფანტულიყო. რა შორს მოჩანდა პეიზაჟი. შორეული, ცივი ხმები მოისმოდა (ისე როგორც ოდესღაც ლეით-ჰილში). „რიჩარდ! რიჩარდ!" – იმ მძინარესავით შეჰყვირა კლარისამ, რომელსაც შუაღამისას შეშინებულს ეღვიძება, უკუნ სიბნელეში ხელს იშვერს და შველას ითხოვს. გაახსენდა, რომ რიჩარდი ლედი ბრიუტონთან სადილობდა. „მან მიმატოვა. მუდამ მარტო ვიქნები", – გაიფიქრა კლარისამ და ხელები მუხლებზე დაიწყო.

პიტერ უოლში წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. კლარისას ზურგი შეაქცია. ჭრელი ცხვირსახოცი ფარფატებდა. კარგი აღნაგობა ჰქონდა, პირხმელიც კი იყო, მაგრამ ეტყობოდა, რომ დადარდიანებულიყო. მხრებთან პიჯაკი ოდნავ ამობურცვოდა. ცხვირი მოიხოცა. „წამიყვანე, წამიყვანე შენთან", – გაიფიქრა კლარისამ უეცრად. თითქოს პიტერი სამოგზაუროდ მიდიოდა. კლარისას მოეჩვენა, რომ ძალზე ამაღელვებელი და წარმტაცი პიესა წუთში დასრულდა. თითქოს მთელმა ცხოვრებამ ჩაიარა: სახლიდან გაიქცა, პიტერთან ერთად იცხოვრა და ყველაფერი დასრულდა.

წასვლის დრო იყო. კლარისა წამოდგა და პიტერისაკენ გაემართა. იმ ქალს ჰგავდა, რომელიც ლოჟაში თავის მოსასხამს, ხელთათმანებს, ბინოკლს იღებს და თეატრიდან ქუჩაში გადის.

„რა უცნაურია..." – გაიფიქრა გაოცებულმა პიტერმა. კლარისა შარიშურითა და კაკუნით უახლოვდებოდა. მას ისევ შესწევდა ძალა, რომ ბორტონში ზაფხულის ცაზე ამოეყვანა მთვარე, რომელიც პიტერს ეზიზღებოდა.

მან კლარისას მხრებში ხელი მოჰკიდა და ჰკითხა: – მითხარით, ბედნიერი ხართ, კლარისა? რიჩარდი...

უეცრად კარი გაიღო.

– ეს ჩემი ელიზაბეთია! – შესძახა კლარისამ ემოციურად და ოდნავ თეატრალურად.

– გამარჯობა, – თქვა ელიზაბეთმა და ოთახში შემოვიდა.

ბიგ-ბენის ხმა ოთახში საოცარი სიძლიერით შემოიჭრა. თორმეტის ნახევარი იყო. თითქოს ახალგაზრდა, ღონიერი, გულგრილი მამაკაცი ჰანტელებს დაუდევრად და მოურიდებლად აქნევდა.

– მოგესალმებით, ელიზაბეთ! – შესძახა პიტერმა, ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიჩურთა, კლარისასკენ გაექანა და მისთვის არც კი შეუხედავს, ისე უთხრა: – ნახვამდის, კლარისა.

ოთახიდან სწრაფად გავიდა, კიბე ჩაირბინა და კარი გააღო. კლარისა გაეკიდა.

– პიტერ! პიტერ! წვეულება! არ დაგავიწყდეთ, რომ ამ საღამოს წვეულება მაქვს, – დაიყვირა მან, რადგან ქუჩიდან საშინელი ხმაური იჭრებოდა. მის ხმას მანქანების გუგუნი და საათების ხმა ფარავდა.

„არ დაგავიწყდეთ, რომ ამ საღამოს წვეულება მაქვს!" – მისი სუსტი, შორეული ხმა პიტერ უოლშის ყურთასმენას მისწვდა. მან კარი გაიხურა.

*

არ დაგავიწყდეთ, რომ ამ საღამოს წვეულება მაქვს! არ დაგავიწყდეთ, რომ ამ საღამოს წვეულება მაქვს, – იმეორებდა ქუჩაში მდგარი პიტერი ბიგ-ბენის ტალღების რიტმში. ბიგ-ბენი მკვეთრი ხმით ამცნობდა ლონდონს, რომ თორმეტის ნახევარი იყო (ტყვიის ციფერბლატი თითქოს ჰაერში დნებოდა). ო, ეს წვეულებები, კლარისა მუდამ წვეულებებს რატომ მართავს? – ფიქრობდა პიტერი. კლარისას არ ჰკიცხავდა, ისევე როგორც ვერც იმ ფრაკში გამოწყობილ, ღილ-კილოში მიხაკგარჭობილ კაცს, მისკენ რომ მოაბიჯებდა.

ამქვეყნად მხოლოდ ერთადერთი ადამიანი იყო ასე უგონოდ შეყვარებული. ეს ბედნიერი ადამიანი ვიქტორია-სტრიტზე, მანქანების მაღაზიის ვიტრინაში ირეკლებოდა. მის უკან თითქოს ინდოეთი გადაჭიმულიყო: ველ-მინდვრები, მთები, ქოლერის ეპიდემია, ირლანდიაზე ორჯერ დიდი ინდური ოლქი. პიტერ უოლში სერიოზულ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებდა. ის ცხოვრებაში პირველად იყო შეყვარებული. „კლარისა ოდნავ მკაცრი გამხდარა, თუმცა, სენტიმენტალურობაც მოსძალებია", – ფიქრობდა ის და დიდ ავტომობილებს შესცქეროდა. არ იცოდა, ამ მანქანებს რამდენი კილომეტრის გავლა შეეძლო და რამდენ ლიტრ საწვავს მოიხმარდა. მექანიკა იზიდავდა. ინდოეთში, თავის ოლქში, ერთგვარი გუთანიც კი გამოიგონა. ურიკები ინგლისში შეუკვეთა, მაგრამ მუშები არ ეკარებოდნენ. კლარისამ ეს ყველაფერი არ იცოდა.

პიტერი ძალიან გაღიზიანდა, როცა კლარისამ შეჰყვირა: „აი, ეს ჩემი ელიზაბეთია!" ხომ შეეძლო, უბრალოდ ეთქვა: „ეს ელიზაბეთია"? ყალბად გამოუვიდა. ელიზაბეთსაც არ მოეწონა მისი ნათქვამი (ჰაერი ბიგ-ბენის უკანასკნელმა თრთოლამ აღავსო. ჯერ მხოლოდ თორმეტის ნახევარი იყო. ჯერ კიდევ ადრე იყო). პიტერი ახალგაზრდებს კარგად იცნობდა, ისინი ძალიან მოსწონდა. კლარისა ყოველთვის ცივი იყო. ქალიშვილობაშიც კი იგრძნობოდა მასში ერთგვარი სიმორცხვე, რომელიც წლებთან ერთად კონფორმიზმად ექცა. პიტერმა მაღაზიის სარკისებრ სიღრმეებს ნაღვლიანი მზერა მიაპყრო. ღელავდა. იქნებ კლარისას ეწყინა, რომ პიტერი ასე მოულოდნელად ესტუმრა? უეცრად გაახსენდა, როგორ სულელურად მოიქცა, როგორ იტირა და შერცხვა. გრძნობებს აჰყვა და როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაფერი უთხრა.

ლონდონსა და მის გონებაში ისე ისადგურებს სიმშვიდე, როგორც ღრუბელი ეფარება მზეს. დრო ანძას ტლაშუნით ეხლება. მორჩა. ჩვენ ვჩერდებით. ადამიანი მხოლოდ ძველი ჩვევებით სულდგმულობს. მის სხეულში კი უსახური სიცარიელე სუფევს... – გაიფიქრა მან. გრძნობდა, რომ

დაცარიელებული, გამოფიტული იყო. იდგა და ფიქრობდა: „კლარისამ ხელი მკრა, კლარისამ ხელი მკრა".

ოჰ! – თქვა სენტ-მარგარეტის ეკლესიამ იმ დიასახლისივით, რომელიც მისაღებ ოთახში შედის და ნაადრევად მოსულ სტუმრებს ხედავს. არ დამგვიანებია, ზუსტად თორმეტის ნახევარია, – ამბობს ის. სავსებით მართალია, თუმცა, მის ხმას (ის ხომ დიასახლისის ხმაა) არ სურს, ინდივიდუალურობა გამოამჟღავნოს და მათ გული ატკინოს. დიასახლისია და ვალდებულია, მოკრძალებით ილაპარაკოს. წარსული სევდა და ახლანდელი საზრუნავი აკავებს. „თორმეტის ნახევარია", – ამბობს ის და სენტ-მარგარეტის ტაძრის ზარების ხმა გულის სიღრმეში იჭრება. წინ მიიწევს, იქ, სადაც მელოდია თითქოს წრეებად იშლება. იმ ცოცხალ არსებას ჰგავს, რომელსაც რაღაცის განდობა, გახსნა და სიმშვიდის მოპოვება სურს. ნეტარებისა და აღფრთოვანებისაგან თრთის და სიმშვიდეს ესწრაფვის. ეს თავად კლარისაა, – გაიფიქრა პიტერმა. თეთრ კაბაში გამოწყობილი, ზარების ხმაში შთანთქმული კლარისა კიბეზე ჩამოდიოდა. ეს თავად კლარისაა, – გაიფიქრა პიტერმა და გული აუძგერდა. კლარისას ნათელი, სხივმოსილი, თუმცა, იდუმალებით მოცული მოგონება მოეძალა. თითქოს ზარის ეს ხმა მრავალი წლის წინ გაისმა, როდესაც ოთახში ერთად იყვნენ. ეს ხმა ისმოდა მათი საოცარი სიახლოვის ჟამს. თითქოს ზარის ხმა მათ ყურთასმენას მისწვდა და ისევ უკან გაბრუნდა იმ ფუტკარივით, რომელმაც თაფლი გაამზადა და ეს წუთი სამუდამოდ დაამახსოვრდა. რომელ ოთახში ისხდნენ? როდის მოხდა ეს? რატომ იყო პიტერი ასე ბედნიერი, როდესაც ზარის ხმას ყურს უგდებდა? როდესაც სენტ-მარგარეტის ტაძრის ხმა მისუსტდა, პიტერმა გაიფიქრა: „კლარისამ იავადმყოფა". ზარის ხმაში თითქოს დაღლილობა, ავადმყოფობა, ტანჯვა და ტკივილი იგრძნობოდა. ჰო, გულის დაავადება ჰქონდა, – გაახსენდა პიტერს. ბიგ-ბენმა უკანასკნელად, ძლიერად ჩამოჰკრა და პიტერს სიკვდილზე მოუთხრო. კლარისა თავის ოთახში დაეცა. სიცოცხლით აღსავსე სიკვდილმა მოაშთო. „არა! არა! კლარისა არ მომკვდარა! მოხუცი არა ვარ!" – შეჰყვირა და უაითჰოლს ისე აუყვა, თითქოს იქ უსასრულოდ, მძლავრად მიედინებოდა მისი მომავალი.

მოხუცი და უგრძნობი სულაც არ იყო. არ ანაღვლებდა, რას იტყოდნენ მასზე დოლოვეები, უითბრედები და მთელი მათი ბანდა. სულაც არ ადარდებდა (თუმცა, ისიც მართალი იყო, რომ ადრე თუ გვიან იძულებული გახდებოდა, რიჩარდ დოლოვეისთვის ეთხოვა, სამსახურის მოძებნაში დახმარებოდა)! კემბრიჯის ჰერცოგის ქანდაკებას დაჟინებით დააცქერდა. ოქსფორდიდან გამოაძევეს. მართალია. სოციალისტიც იყო და უიღბლო ცხოვრება ჰქონდა, – მართალია. მაგრამ ცივილიზაციის მომავალი ამ ახალგაზრდების ხელშია, – გაიფიქრა მან. ცივილიზაციის მომავალი ისეთი ბიჭების ხელშია, როგორიც პიტერი ოცდაათი წლის წინ იყო. მათ ხელში, ვისაც უყვართ აბსტრაქტული იდეები. ლონდონიდან და ჰიმალაის მწვერვალებიდან გამოგზავნილ წიგნებს გატაცებით კითხულობენ. მეცნიერებასა და ფილოსოფიას ეწაფებიან. მომავალი ამ ახალგაზრდების ხელშია.

ხმაური გაისმა. თითქოს ტყეში ფოთლები შრიალებდა. შარიშური და თანაბარი, ყრუ ხმაური მისწვდა, კაკუნით აჰყვა მის ფიქრებს და უაითჰოლზე ძალით წაიყვანა პიტერი. უნიფორმებში გამოწყობილ ბიჭებს, რომლებსაც ხელში იარაღი ეჭირათ, მკერდი წინ წამოეწიათ, თავი მაღლა აეწიათ და

მწყობრად მიაბიჯებდნენ. ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, როგორიც ქანდაკებებს, რომლებზეც ამოკვეთილი ლეგენდები ხოტბას ასხამდნენ და დიდების შარავანდედით მოსავდნენ მოვალეობის გრძნობას, მადლიერებას, ერთგულებას, ინგლისის სიყვარულს.

მშვენივრად გამოიწრთობიან, – გაიფიქრა პიტერმა და უნებურად მათ ფეხი აუწყო. ისინი ახოვანები სულაც არ იყვნენ. სუსტები ჩანდნენ. თექვსმეტიოდე წლის იქნებოდნენ. დღეს თუ ხვალ დახლთან დადგებოდნენ და ბრინჯსა და საპონს გაყიდდნენ. მათ გადაევიწყებინათ ხორციელი ვნებანი, ყოველდღიური ცხოვრების ალიაქოთი და საზეიმო განწყობით მიჰქონდათ ქალაქგარეთ ნაყიდი გვირგვინი, რომელსაც ცარიელ საფლავზე[18] დადებდნენ. ფიცი დადეს. ქუჩაც კი პატივისცემით ეპყრობოდა მათ. სატვირთო მანქანები გზას უთმობდნენ.

მათ ვერ გავყვები, – გაიფიქრა პიტერ უოლშმა, როდესაც ბიჭები უაითჰოლს გაუყვნენ. საკმაოდ შორს წავიდნენ. მას გაუსწრეს. ყველა უკან ჩამოიტოვეს. საერთო სურვილით აღტყინებულნი, თითქოს ხელებსა და ფეხებს ერთნაირად ამოძრავებდნენ. სიცოცხლე კი, თავისი მრავალსახოვანებითა და თავშეუკავებლობით, ძეგლებისა და გვირგვინების ქვეშ გართხმულიყო და მკაცრ დისციპლინას გაქვავებულ, თუმცა, თვალებღია ცხედრად ექცია. შეუძლებელია, მათ პატივი არ სცე. შეიძლება, ცოტათი სასაცილოებიც კი არიან, მაგრამ პატივისცემას იმსახურებენ. ისევ მწყობრად მიაბიჯებენ, – გაიფიქრა პიტერმა და ტროტუართან შეჩერდა. დიდებულების: ნელსონის, გორდონის, ჰაველოკის, ამ დიადი მეომრების შავ ბიუსტებს თავი ზემოთ აეწიათ. თითქოს უდიდესი მსხვერპლი გაიღეს (პიტერ უოლშს ეჩვენებოდა, რომ თავადაც დიდი მსხვერპლი გაიღო). თითქოს მათაც დასძლიეს დიდი ცდუნებები და მარმარილოსავით ცივი, დაჟინებული მზერა ჩაუდგათ თვალებში. პიტერს არაფრისდიდებით არ სურდა, ასეთი მზერა ჰქონოდა. თუმცა, პატივისცემით ეპყრობოდა იმ ბიჭებს, რომლებსაც ასეთი თვალები ჰქონდათ. მათ ჯერ კიდევ არ გამოუცდიათ ტანჯვა, მწველი ვნებები, – გაიფიქრა, როდესაც ახალგაზრდებმა სტრენდის[19] ქუჩაზე შეუხვიეს და თვალს მიეფარნენ. იმდენი რამ გამოვცადე, – გაიფიქრა და გზა გადაკვეთა. გორდონის ქანდაკებასთან შეჩერდა. მას ბავშვობაში აღმერთებდა. მარტოსულ გორდონს ცალი ფეხი აეწია და გულხელი დაეკრიფა. საბრალო გორდონი! – გაიფიქრა მან.

კლარისას გარდა, არავინ იცოდა, რომ პიტერი ლონდონში იყო. მოგზაურობის შემდეგ დედამიწა უბრალო კუნძულად ეჩვენებოდა. უეცრად უცნაური შეგრძნება დაეუფლა: მარტო იყო, ცოცხალი, ყველასათვის უცხო. თორმეტის ნახევარი იყო და ტრაფალგარის მოედანზე იდგა. რა ხდება? სად ვარ? – ჰკითხა საკუთარ თავს. განქორწინება უკვე სისულელედ მიაჩნდა. მისი გონება ჭაობს ჰგავდა. ძლიერი მღელვარება დაეუფლა, რადგან მიხვდა, რომ გულისხმიერი და კაცთმოყვარე იყო. საოცარ ნეტარებას განიცდიდა. თითქოს ვიღაცის ხელმა მისი ტვინის უხილავი თოკები მაგრად მოჰქაჩა და დარაბები დააღო. ამ ნეტარი შეგრძნებით ზღვარდაუდებლად ტკბებოდა. იდგა და წინ გადაშლილ უსასრულო ქუჩებს თვალს ვერ სწყვეტდა. ხეტიალის სურვილი მოეძალა. კარგა ხანი იყო, თავი ასე ახალგაზრდად არ უგრძნია.

ყველაფერს გაექცა! სრულიად თავისუფალი იყო! როდესაც ადამიანი ძველ ჩვევებს ივიწყებს, მისი გონება იმ ცეცხლს ემსგავსება, რომელიც ძლიერდება, იხრება, თითქოს მალე მოსწყდება თავის საყრდენს და ყველაფერს თავის ალში გაახვევს. კარგა ხანია, თავი ასე ახალგაზრდად არ მიგრძნია! – გაიფიქრა პიტერმა. ცდილობდა (ერთი საათით მაინც), გაჰქცეოდა საკუთარ თავს. იმ ბავშვს ჰგავდა, რომელიც სახლიდან გარბის და ხედავს, როგორ უქნევს ხელს სხვა სახლის ფანჯარასთან მდგარი მოხუცი გამდელი. მართლაც მომხიბლავია, – გაიფიქრა, როდესაც ტრაფალგარის სკვერზე, ჰეიმარკეტისაკენ გასწია. პიტერს მოეჩვენა, რომ (ის ხომ უსაზღვროდ მგრძნობიარე იყო) ქალს, რომელიც გორდონის ქანდაკების შორიახლოს მიაბიჯებდა, საბურველი შემოეძარცვა და დაინახა ის ქალი, რომელზეც მუდამ ოცნებობდა: ახალგაზრდა, წარმოსადეგი, მხიარული, მაგრამ თავშეკავებული, შავგვრემანი და თანაც, მომაჯადოებელი.

პიტერი წელში გაიმართა, ჯაყვას თითი მალულად გადაუსვა და ქალს აედევნა. ქალი ზურგს აქცევდა, მაგრამ იმდენად აღელვებული იყო, თითქოს შუქს აფრქვევდა, რომელიც მას და პიტერს ერთმანეთს აკავშირებდა. ქალმა ის ყველასაგან გამოარჩია. თითქოს ქუჩის უცნაურმა ხმაურმა ხელები მოამრგვალა და მისი სახელი ჩურჩულით წარმოთქვა. ის სახელი დაუძახა, რომელსაც პიტერი ფიქრებში უწოდებდა საკუთარ თავს.

„შენ... შენ". მხოლოდ ამ სიტყვას ეუბნებოდა ქალი თავისი თეთრი ხელთათმანებითა და მხრებით. დენტის გამომცემლობის წინ, ქოქსფერ-სტრიტზე, ქარმა გრძელი, თხელი მოსასხამი გულში ჩამწვდომი სიკეთითა და სევდის აღმძვრელი სინაზით აუფრიალა. თითქოს ქალი მკლავებს მალე გაშლიდა და გულში ჩაიკრავდა დაღლილს...

არა, არ არის გათხოვილი; ახალგაზრდაა, ნამდვილად ახალგაზრდა, – გაიფიქრა პიტერმა. ქალს ხელში ეჭირა მიხაკი (ეს პიტერმა ტრაფალგარის სკვერზევე შენიშნა), რომელიც თითქოს პიტერის თვალებში აგიზგიზდა და ქალის ტუჩები წითლად ააელვარა. ქალი ტროტუართან შეჩერდა. ამაყი იერი ჰქონდა. კლარისასავით მდიდარი, მაღალი წრის ქალი არ არის. „ნეტავ პატივსაცემი ოჯახიდან თუა?" – ფიქრობდა პიტერი და ქალს უკან მიჰყვებოდა. „ალბათ, გონებამახვილი, ენამწარე ქალია", – გაიფიქრა მან (რატომაც არა? ფანტაზიის უნარი უნდა ჰქონდეს და თავი გაირთოს.. მშვიდად იცდიდა. თავშეკავებული და გონებამახვილი, წყნარი ქალი ჩანდა.

ქალმა ქუჩა გადაკვეთა. პიტერი უკან გაჰყვა. არ უნდოდა, მას თავი უხერხულად ეგრძნო, მაგრამ რომ შეჩერებულიყო, პიტერი ეტყოდა: „ნაყინზე გეპატიჟებით". ისიც უბრალოდ მიუგებდა: „სიამოვნებით".

ქუჩა ხალხით იყო სავსე. გამვლელები წინ ეღობებოდნენ. პიტერს ქალი თვალთახედვიდან ეკარგებოდა, მაგრამ მაინც ჯიუტად მიიწევდა წინ. ქალი შებრუნდა. სახე წამოენთო. დამცინავი მზერა ჰქონდა. პიტერი გაბედული და უშიშარი ავანტიურისტი იყო (ინდოეთიდან გუშინ ჩამოვიდა). რომანტიკული, მეოცნებე მეკობრე. ყურადღებას არ აქცევდა ვიტრინაში გამოფენილ წყეულ ნივთებს: ყვითელ პენუარებს, ჩიბუხებს, ანკესებს. არაფრად აგდებდა ამ გადაპრანჭულ, პატივსაცემ წვეულებებს, თეთრ ჰალსტუხებსა და ჟილეტებში გამოწყობილ მოხუცებს. ის მამაცი მეკობრე იყო. ქალი პიკადილის

მიუყვებოდა. რიჯენტ-სტრიტზე შეუხვია. მისი მოსასხამი, ხელთათმანები, მაქმანები, მხრები, ტანსაცმლის ფოჩები, ბეწვიანი შარფი მაღაზიის ვიტრინაში ირეკლებოდა. ეტყობოდა, რომ მდიდარი, დახვეწილი, ახირებული ქალი იყო და ფუფუნებაში ცხოვრობდა. ჰგავდა იმ ლამპის შუქს, რომელიც ღამით დაფარფატებს და ღობეებს მიღმა, წყვდიადში ინთქმება.

მომხიბლავმა, მოღიმარმა ქალმა ოქსფორდ-სტრიტი და გრეით-პორტლენდ-სტრიტი გადაკვეთა და პატარა ქუჩაზე შეუხვია. დიდებული წამი ახლოვდებოდა. მან ნაბიჯი შეანელა, ჩანთა გახსნა, მისკენ გამოიხედა, მაგრამ არ შეხედა. თითქოს მზერით ემშვიდობებოდა. თითქოს ვითარებას აფასებდა. მან სამუდამოდ გაიმარჯვა. ქალმა გასაღები საკეტს მოარგო, კარი შეაღო და თვალს მიეფარა! პიტერს კლარისას ხმა ისევ ჩაესმოდა: „არ დაგავიწყდეთ, რომ ამ საღამოს წვეულება მაქვს!" სახლი წითელი და უსახური იყო. კედლებზე ყვავილებით სავსე კალათები დაუდევრად და უწესრიგოდ ჩამოეკიდებინათ. ყველაფერი დასრულდა.

კარგად გავერთე! მაინც გავერთე, – გაიფიქრა და ფერმკრთალი ნემსიწვერებით სავსე კალათებს დააცქერდა. მისი წუთიერი გართობა უკვალოდ გაქრა, რადგან მან ის გამოიგონა. თავიდან ბოლომდე გამოიგონა ეს სულელური თავგადასავალი. გამოვიგონე, ისე, როგორც ვიგონებთ თითქმის ყველაფერს და ფანტაზიით ვალამაზებთ ჩვენს ცხოვრებას, – გაიფიქრა პიტერმა. მან გამოიგონა საკუთარი თავი, ის ქალი, ეს საამური გართობა და კიდევ რაღაც უცნობი. უცნაური იყო (მაგრამ სიმართლე), რომ ამ ყველაფერს ვერავის მოუყვებოდა და ყველაფერი უკვალოდ გაქრებოდა.

უკან გამობრუნდა და ქუჩას გაუყვა. ფიქრობდა, სად ჩამომჯდარიყო, სანამ „ლინკოლნ-ინში", ბატონებთან, გრეთლისა და ჰუპერთან წასვლის დრო დადგებოდა. სად უნდა წასულიყო? სულერთი იყო! ალბათ, რიჯენტს-პარკში. ტროტუარზე მისმა ფეხსაცმელებმა კაკუნით გაუმეორეს: „სულერთია". ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან ადრე იყო.

დიდებული, მშვენიერი დილა იდგა. ქუჩებში სასიცოცხლო მაჯისცემა იგრძნობოდა, თითქოს ჯანსაღი გული გაბმულად, რიტმულად ფეთქავდა, შეუმცდარად, უყოყმანოდ. ზუსტად, შეუცდომლად, უხმაუროდ მოუხვია მანქანამ და კართან გაჩერდა. აბრეშუმის წინდებსა და ბუმბულით დამშვენებულ ტანსაცმელში გამოწყობილი ნაზი ქალიშვილი მანქანიდან მსუბუქად გადმოვიდა. პიტერი სულაც არ მოიხიბლა მისით (ასეთი გატაცებები აღარ ჰქონდა. მისთვის ყველაფერი დასრულდა). დიდებული კარისკაცები, წითური ჩაუ-ჩაუები, თეთრი და შავი, რომბისებრი ფილებით მოპირკეთებული დარბაზები, ქარისგან აფრიალებული თეთრი ფარდები... მან ეს ყველაფერი გაღებული კარიდან დაინახა და სიხარული მოეძალა. მან დიდებულად დააგვირგვინა ყოველივე: ლონდონი, ზაფხული, ცივილიზაცია.

იმ უძველესი ოჯახიდან იყო, რომლის სამი თაობაც ინდოეთს მართავდა (რა საოცარია, ასე სენტიმენტალურად რატომ ვფიქრობ ამაზე, მე ხომ ინდოეთი, იმპერია და არმია მეზიზღება?). ზოგჯერ ცივილიზაცია (თუნდაც ასეთი გამოვლინებით) თავის საკუთრებასავით უყვარდა. ამაყობდა ინგლისით, კარისკაცებით, ჩაუ-ჩაუებით, თავდაჭერილი ქალიშვილებით. „სასაცილოა", – გაიფიქრა მან. ექიმები, მეწარმეები და ჭკვიანი ქალები საქმეებზე

მიიჩქარიან. ისინი პუნქტუალურები, ფრთხილები, წინდახედულები და მიზანდასახულები არიან. დიდებული ადამიანები, რომლებსაც თავისუფლად შეიძლება, ენდო და მათთან ერთად განვლო ცხოვრების გზა. ისინი ცხოვრების ხელოვნებას იცნობენ და გაჭირვების ჟამს დაგეხმარებიან. საბოლოოდ, ყოველივე ეს საკმაოდ საინტერესო სპექტაკლად ეჩვენებოდა. ჩრდილში დაჯდომა და სიგარის მოწევა სურდა.

რიჯენტს-პარკი მის წინ იყო. ბავშვობაში ხშირად სეირნობდა რიჯენტს-პარკში. უცნაურია. რატომ მახსენდება დღეს ბავშვობა ასე ხშირად? ალბათ, იმიტომ, რომ კლარისა ვნახე. ქალები უფრო ცხოვრობენ წარსულით, ვიდრე მამაკაცები. ბავშვობისჟამინდელი ადგილებით ცხოვრობენ და მამებზე ძალიან მიჯაჭვული არიან. ყველა ქალი მამით ამაყობს. ბორტონი ძალზე ლამაზი და საოცარი იყო, მაგრამ კლარისას მოხუც მამას ვერასოდეს ვუგებდი, – გაიფიქრა მან. გაახსენდა, ერთ საღამოს, ბორტონში, რაღაც საკითხზე (კარგად აღარ ახსოვდა. ალბათ, პოლიტიკაზე) ცხარე კამათი გაიმართა.

რიჯენტს-პარკი ნათლად ახსოვდა. გრძელ ხეივანში, პატარა ფარდულში, ბუშტებს ყიდდნენ. იქვე იდგა ერთი სასაცილო ქანდაკება, რომელსაც სადღაც რაღაც წარწერა ჰქონდა. ცარიელი სკამი თვალებით მოძებნა. არ უნდოდა, ვინმეს შეეწუხებინა და მისთვის ეკითხა: „რომელი საათია?" (თვლემა ერეოდა). სკამზე მოხუცი, ჭაღარა ძიძა იჯდა. ეტლში ბავშვს ეძინა. ეს ყველაზე კარგი ადგილი იყო. იმ ძიძის გვერდით, სკამის ბოლოში უნდა დამჯდარიყო.

რა უცნაური გოგოა, – გაიფიქრა პიტერმა, როდესაც გაახსენდა, როგორ შემოვიდა ელიზაბეთი ოთახში და დედის გვერდით დადგა, – მაღალია, გაზრდილა. ლამაზი არ არის, უფრო სიმპათიურია. ალბათ, თვრამეტიოდე წლისაა. კლარისასთან კარგი ურთიერთობა არა აქვს. როგორ შესძახა: „ეს ჩემი ელიზაბეთია". ხომ შეეძლო, უბრალოდ ეთქვა: „ეს ელიზაბეთია!" დედები სულ ცდილობენ, თვალი აგვიხვიონ. კლარისას ღრმად სწამს, რომ მშვენიერი ქალიშვილი ჰყავს. ზედმეტიც კი მოსდის.

მდიდრული, დიდებული სიგარის კვამლი სასიამოვნოდ, გრილად მოელამუნა მის ყელს. კვამლი რგოლებად გამოუშვა. ცისფერი რგოლები ცოტა ხნით თითქოს მედგრად ებრძოდნენ ჰაერს. ვეცდები, ამ საღამოს ელიზაბეთთან მარტო დავრჩე და ვესაუბრო. კვამლის რგოლები ათრთოლდა, ისე, როგორც ქვიშა ქვიშის საათში და დაწვრილდა. რა უცნაურ ფორმებს იღებს კვამლი, – გაიფიქრა მან. თვალები დახუჭა. ხელი გაჭირვებით ასწია და სიგარეტის ნამწვავი გადააგდო. თითქოს დიდი ცოცხი გადაეფარა მის გონებას და წაიყოლა მისი ფიქრები, ტოტები, ბავშვების ჟივილ-ხივილი, ფეხების ფრატუნი, გამვლელები, ქუჩის ხმაური, რომელიც ხან ძლიერდებოდა, ხან კი სუსტდებოდა. პიტერი ძილის ნაზ ბუმბულსა და ბეწვში ჩაეფლო და ცოტა ხანში სულ შთაინთქა.

*

ჭაღარა ძიძა ისევ ქსოვდა. მის გვერდით, მზით გამთბარ სკამზე კი პიტერ უოლში იჯდა და ხვრინავდა. რუხ კაბაში გამოწყობილი ძიძა თითებს

დაუღალავად და მშვიდად ამოძრავებდა. მძინარეთა უფლებების დამცველს ჰგავდა. ჰგავდა იმ ცისა და ხის ტოტებისაგან წარმოქმნილ მოჩვენებას, რომელიც შებინდებისას ტყის ფონზე მოჩანს.

მარტოსული, უცნობი მგზავრი ბილიკებზე დაძრწის, თელავს გვიმრებსა და კონიოს დიდ ფოთლებს. თავს სწევს და გზის დასალიერში უზარმაზარ სილუეტს ხედავს.

ალბათ, ათეისტია, თუმცა, ზოგჯერ საოცარი, არაამქვეყნიური აღტყინება ეუფლება. ფიქრობს, რომ მხოლოდ ის არსებობს, რაც გვწამს. სურს, ნუგეში პოვოს. შვების განცდის სურვილი ეძალება. უნდა, გაექცეს ამ სუსტ, მდაბიო, მშიშარა ქალებსა და მამაკაცებს. რაკი შემიძლია, შევიცნო ის, მაშინ ის როგორღაც არსებობს. ის არსებობს, – ფიქრობს ის. ბილიკზე მიაბიჯებს, ცასა და ხის ტოტებს გასცქერის და მათ ქალის სახეს ამჩნევს. გაოცებული უცქერის, როგორ მკაცრ, დიდებულ სახეს იღებენ. ნიავისაგან აშრიალებული მუქი ფოთლები ქვეყნიერებას უხვად ჰფენენ გულმოწყალებას, სიკეთეს, ურთიერთგაგებას, შენდობას. შრიალებენ, ღვთისმოშიში იერი უქრებათ და თითქოს თავაშვებულ ღრეობაში ეშვებიან.

აი, ასეთი ზმანებები იზიდავს მარტოსულ მგზავრს როგორც ნაყოფით სავსე სიუხვის რქა. სირინოზები ჩურჩულებენ და მწვანე ტალღებზე ცეკვავენ. სახეზე ვარდის კონებივით გეცემიან, წყლის ზედაპირზე მოჩანს მათი ფერმკრთალი სახეები. მათ დასაჭერად მეთევზეები ზვირთებში ინთქმებიან.

ასეთი ზმანებები განუწყვეტლივ დაცურავენ რეალური საგნების ზედაპირზე, ნიღბავენ მას. ნუსხავენ მარტოსულ, უცნობ მგზავრს, რომელსაც ჰგონია, რომ მიწაზე აღარ დააბიჯებს, თითქოს ზეცად მაღლდება და მიწაზე დაბრუნების სურვილი უქრება. სამაგიეროდ, საოცარი სიმშვიდე ეუფლება. თითქოს ცხოვრების მთელი ეს მგზნებარება მხოლოდ და მხოლოდ გულუბრყვილობაა (ფიქრობს ის და ბილიკზე მიაბიჯებს) თითქოს უთვალავი რამ ერთარსებად იქცევა. თითქოს ცისა და ხის ტოტებისაგან შემდგარი სილუეტი ზღვის ბობოქარი ტალღებიდან ამოიმართა (ის უკვე ხნიერია, ორმოცდაათს გადასცდა) ისე, როგორც მოჩვენება ამოიზვირთება ტალღებიდან, თავის შეუდარებელ, ნაზ ხელებს გაშლის და გულუხვად მოჰფენს ქვეყნიერებას სიკეთეს, თანაგრძნობას, ურთიერთგაგებას, შენდობას. „იქნებ აღარ მომიხდეს ლამპის შუქით განათებულ ჩემს სასტუმრო ოთახში დაბრუნება? იქნებ აღარ წავიკითხო წიგნი, აღარ გავცალო ჩიბუხი და აღარ დავურეკო მისის ტერნერს, რომ ოთახი დაალაგოს... ჯობს, მივუახლოვდე ამ დიდებულ, უზარმაზარ სილუეტს, რომელიც თავის ერთი დაქნევით ხელში ამიყვანს და არარად მაქცევს.

ამგვარი ზმანებები აქვს მას. მარტოსული მგზავრი ტყიდან სწრაფად გადის. იქვე, კართან, ქალი დგას და მზეს ხელით იჩრდილავს. ალბათ, მის დაბრუნებას ელის. მისი თეთრი წინსაფარი ქარში ფრიალებს. ხელებს ზეცისაკენ აღაპყრობს. მოხუცი, ჭაღარა ქალი, რომელიც თავისი სისუსტითაც კი ძლიერია, უდაბნოში დაკარგულ შვილს, დაღუპულ მხედარს ეძებს. ის არის იმ დედების სახე, რომელთა შვილებიც ბრძოლის ველზე დაეცნენ. მარტოსული მგზავრი სოფლის შარაზე მიაბიჯებს. ქალები ქსოვენ, კაცები ბაღებში მიწას თხრიან. საბედისწერო საღამოა. უძრავი სილუეტები მოჩანს.

ყველაფერი გარინდებულა. თითქოს ყველა უშიშრად ელის, რომ დიადი ბედისწერა მათ პირისაგან მიწისა აღგვის. იციან, რომ ასეთია მათი ხვედრი.

ოთახში ჩვეულებრივ ნივთებს – ჭურჭლის კარადას, მაგიდას, ფანჯრის რაფაზე დადებულ ნემსიწვერებს შორის მოჩანს დიასახლისის სილუეტი. მაგიდისაკენ იხრება, რომ სუფრა გამოცვალოს. ნაზად ეხვევა მკრთალ ნათელში. ის ღვთაებრივი სიმბოლოა, მაგრამ მას ახსენდება ადამიანთა გულცივობა და ქალს გულში არ იკრავს. ქალი მარმელადს იღებს, კარადაში დებს და მას ეკითხება: – კიდევ რას ინებებთ, სერ?

მაგრამ ვის გასცეს მარტოსულმა მგზავრმა პასუხი?..

*

მოხუცი ძიძა ქარგავდა. ეტლში ბავშვს ეძინა. პიტერ უოლში ხვრინავდა.

უეცრად გაეღვიძა. სურდა, დაეძახა: „სულის სიკვდილი".

– ო, ღმერთო! ღმერთო! – თქვა მან, გაიზმორა და თვალი გაახილა. „სულის სიკვდილი" – აი, ეს სიტყვები გაახსენა იმ რომელიღაც ამბავმა, ოთახმა, იმ გარდასულმა წუთებმა, რომლებიც ახლა ესიზმრა. ყველაფერი ნათლად გაახსენდა: ის ამბავი, ადგილი, გარდასული წელი, რომელიც ახლა ესიზმრა.

ეს ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ბორტონში, ერთ ზაფხულს მოხდა. მაშინ პიტერს კლარისა გატაცებით უყვარდა. მათ სახლში უამრავი ხალხი ირეოდა. ჩაის შემდეგ მაგიდას შემოუსხდებოდნენ, იცინოდნენ და ლაპარაკობდნენ. სიგარეტის კვამლით სავსე ოთახში ყვითელი შუქი იღვრებოდა. ლაპარაკობდნენ ერთ წვრილ მემამულეზე (პიტერს მისი სახელი დავიწყებოდა), რომელსაც თავისი მოახლე ცოლად შეერთო და ბორტონში ჩამოეყვანა. საშინელი ვიზიტი იყო. იმ ქალს ძალიან გადაპრანჭულად ეცვა. კაკადუს ჰგავს, – თქვა კლარისამ და დასცინა. გააჯავრა. გაუთავებლად ლაპარაკობდა და მას აჯავრებდა. შემდეგ ვიღაცამ ჰკითხა (სელი სიტონმა): „იმ ქალს იმ კაცთან დაქორწინებამდე შვილი რომ გაეჩინა, განა რამე შეიცვლებოდა (იმ დროს ხალხის თანდასწრებით მხოლოდ უსაზღვროდ თამამი ქალი თუ გაბედავდა ასეთი რამის თქმას)?" პიტერს ნათლად ახსოვდა, რომ კლარისა აილეწა, სახე დაეძაბა და მიუგო: „მას ხმასაც კი ვერ გავცემდი!" მაგიდასთან მსხდომმა სტუმრებმა თავი ძალიან უხერხულად იგრძნეს. თითქოს შებარბაცდნენ.

პიტერი არ გაბრაზებულა, რადგან იცოდა, რომ ასეთ საზოგადოებაში აღზრდილ ქალიშვილს ცხოვრებისა არაფერი გაეგებოდა. კლარისას მორცხვმა, მედიდურმა, თვალთმაქცურად მორცხვმა, გაპრანჭულმა ტონმა გააღიზიანა. „სულის სიკვდილი", – აღმოხდა პიტერს. ეს წუთი სამარადისოდ დაამახსოვრდა: კლარისას სული მოკვდა.

ყველა შეკრთა. სტუმრები თითქოს კლარისას საუბარს თავდახრილი უსმენდნენ. როცა გაჩუმდა, ყველას სახე შეეცვალა. თითქოს სხვა ადამიანებად იქცნენ. სახეაწითლებული სელი სიტონი ცელქი, დამნაშავე ბავშვის სახით დაიხარა კლარისასკენ. მისთვის რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ვერ ბედავდა. კლარისა ყველას შიშს ჰგვრიდა (სელი მისი საუკეთესო მეგობარი იყო. სულ ერთად იყვნენ. სელი მიმზიდველი, ლამაზი და შავგვრემანი ქალიშვილი იყო. ყველა ამბობდა, ძალიან თამამიაო. პიტერი აძლევდა სიგარეს, რომლებსაც ის თავის ოთახში ეწეოდა. ვიღაცაზე დანიშნულიც კი იყო. დედ-მამას ეჩხუბა, სახლიდან გამოიქცა და ბორტონში ჩამოვიდა. პიტერი და სელი ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რადგან მოხუც ჯასტინ პერის ისინი არ უყვარდა). კლარისა ისეთი სახით წამოდგა, თითქოს ყველამ შეურაცხყო. რაღაც მოიმიზეზა, მაგიდიდან წამოდგა და გავიდა. როცა კარი გამოაღო, ოთახში შემოვიდა დიდი, გრძელბეწვიანი ძაღლი, რომელიც დღედაღამ ცხვრებს დასდევდა. აღტყინებული კლარისა ძაღლს მივარდა და უსაზღვრო სითბოთი მიეალერსა. თითქოს უნდოდა, პიტერისთვის ეთქვა (პიტერმა იცოდა, რომ კლარისა მის გამო იქცეოდა ასე): „ვიცი, სულელად ჩამთვალე, რადგან იმ მოახლეზე ასეთი რამ ვთქვი, მაგრამ ნახე, თბილი და ალერსიანი ვარ და როგორ მიყვარს ჩემი რობი!“

საოცარი იყო, რომ კლარისასა და პიტერს ყოველთვის უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთის. ყოველთვის გრძნობდა, როცა პიტერი მის საქციელს არ იწონებდა და ჰკიცხავდა. ყველაფერს ხვდებოდა და ცდილობდა, თავი როგორმე გაემართლებინა (ამიტომაც მოეფერა ძაღლს ასეთი აღტყინებით), თუმცა, პიტერს ვერ მოატყუებდა. ის ყველაფერს ხვდებოდა და კლარისას მშვენივრად იცნობდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, არაფერს ეუბნებოდა. უბრალოდ იღუშებოდა და ასე იწყებდნენ ჩხუბს.

კლარისამ კარი გაიხურა. პიტერი საშინლად დადარდიანდა და გული დაუმძიმდა. ყველაფერი ამაოდ ეჩვენებოდა: ისევ სიყვარული, ისევ ჩხუბი, ისევ შერიგება. პიტერი სახლიდან გამოვიდა და ხეტიალს მოჰყვა. მოიარა თავლები, უცქირა ცხენებს (საკმაოდ მოკრძალებული ადგილი იყო. პერის ოჯახი ძალიან მდიდარი არასოდეს ყოფილა, მაგრამ სულ ჰყავდათ მეჯინიბეები (კლარისას ჯირითი უყვარდა) და მეეტლე. რა ერქვა მას? მოხუც გამდელს, რომელსაც საყვარელ ბებიკოს თუ რაღაც ამდაგვარს ეძახდნენ, სურათებითა და ჩიტის გალიებით სავსე ოთახში სტუმრობდნენ).

ო, რა საშინელი საღამო იყო! პიტერს გული ძალიან სტკიოდა. ყველაფერზე დარდობდა. კლარისას ნახვა და მასთან საუბარიც კი არ შეეძლო. მასთან შერიგება სურდა. სტუმრები ისევ სახლში იყვნენ. მალე კლარისა ოთახიდან გამოვიდოდა და ისე მიუჯდებოდა მაგიდას, თითქოს არც არაფერი მომხდარა. პიტერს კლარისას სიცივე და უგრძნობლობა აღიზიანებდა. ეს სისხლში ჰქონდა (ეს ამ დილითაც იგრძნო). ამოუცნობი ქალი იყო. მაგრამ ღმერთმა იცოდა, რომ პიტერს უსაზღვროდ უყვარდა! კლარისას ადამიანების წყობიდან გამოყვანა ეხერხებოდა. სხვების ნერვებზე ისე თამაშობდა, როგორც ვიოლინოს სიმებზე.

პიტერმა ვახშამზე ძალიან დაიგვიანა. უნდოდა, მათი ყურადღება მიეპყრო და მისი არყოფნა ეგრძნოთ (რა სულელი იყო!). ის გვერდით მიუჯდა სუფრის თავში მჯდომ მისტერ პერის დას, ელენას, რომელიც, ალბათ, სუფრას

უძღვებოდა. ქაშმირის თეთრი შალი მოესხა და ფანჯრისათვის ზურგი შეექცია. ის შიშის მომგვრელი ქალი იყო, მაგრამ პიტერს ძალიან თავაზიანად ექცეოდა, რადგან მან ძალზე იშვიათი ყვავილი აჩუქა. მამიდა ელენა დიდი ბოტანიკოსი იყო, ექსპედიციებში მაღალყელიანი სქელი ჩექმითა და დიდი, შავი ყუთით დადიოდა და მცენარეებსა და ყვავილებს აგროვებდა. პიტერი მის გვერდით დაჯდა. ხმის ამოღებაც კი არ შეეძლო. ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი თავბრუდამხვევი სისწრაფით გარბოდა. იჯდა და მექანიკურად ჭამდა. შუა ვახშმისას ძალა მოიკრიბა და კლარისასკენ გახედვა გაბედა. ის მის გვერდით მჯდომ მამაკაცს ესაუბრებოდა. უცებ გონება გაუნათდა. „კლარისა ამ კაცს ცოლად გაჰყვება", – გაიფიქრა პიტერმა, თუმცა, მისი სახელიც კი არ იცოდა.

რა თქმა უნდა, დოლოვეი სწორედ იმ საღამოს მოვიდა მათ სახლში. კლარისამ მას პირველად უიკემი დაუძახა. ასე დაიწყო ყველაფერი. რიჩარდი მათ სახლში ვიღაცამ სტუმრად მოიყვანა. კლარისამ მისი გვარი არასწორად გაიგო და ყველას უიკემად[20] გააცნო. მან ბოლოს თქვა: „ჩემი გვარი დოლოვეია!" ასე დაამახსოვრდა პიტერს რიჩარდი: ქერა, ახალგაზრდა, მოუქნელი, ტლანქი, შეზლონგზე მჯდარი მამაკაცი, რომელმაც მოუთმენლობისაგან შესძახა: „ჩემი გვარი დოლოვეია!" სელიმ მისი სიტყვები აიკვიატა და ყოველთვის ასე ეძახდა: „ჩემი გვარი დოლოვეია!"

პიტერი უცნაურ აღმოჩენებს აკეთებდა. გონება უეცრად უნათდებოდა. გრძნობდა, რომ კლარისა რიჩარდ დოლოვეის ცოლად გაჰყვებოდა. მამაკაცი დააბრმავა, ერთი ნახით დაატყვევა და მონუსხა. მის ხმაში იგრძნობოდა (რა სახელი უნდა ეწოდებინა ამისათვის პიტერს?) ერთგვარი სილაღე, უბრალოება, სინაზე და დედობრივი სითბო. პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ. პიტერი ამაოდ ცდილობდა, მათი ლაპარაკი გაეგონა.

პიტერს ახსოვდა, რომ ცოტა ხანში მაგიდიდან ადგა და სასტუმრო ოთახში, სავარძელში მჯდომი მოხუცი მის პერის გვერდით დადგა. კლარისა შესანიშნავი დიასახლისივით, გრაციოზულად მიუახლოვდა და უთხრა, მინდა, ვიღაც გაგაცნოო. ისე ელაპარაკებოდა, როგორც სრულიად უცნობ ადამიანს. პიტერი გაცოფებული იყო, მაგრამ კლარისას მაინც აღმერთებდა. მისი გამბედაობა და მოხერხებულობა ხიბლავდა. კლარისას თავი ყოველთვის ჩინებულად ეჭირა. საზოგადოებაში ტრიალი მოსწონდა. პიტერს ეს ყოველივე ძალიან ხიბლავდა.

„ნამდვილი დიასახლისი ხარ", – უთხრა პიტერმა. კლარისამ თავი ძალიან ცუდად იგრძნო. სახე შეეცვალა. პიტერმა საწადელს მიაღწია. ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ კლარისასთვის გული ეტკინა. ის ხომ რიჩარდ დოლოვეის გვერდიდან არ შორდებოდა. კლარისა წავიდა. პიტერს მოეჩვენა, რომ ყველა მის წინააღმდეგ განეწყო. თითქოს სტუმრებმა პირი შეკრეს, ზურგს უკან დასცინოდნენ და ჩურჩულებდნენ. გახევებული იყო. თითქოს მიწას მიჰყინვოდა. სავარძელში მჯდომი მოხუცი მის პერი ველურ ყვავილებზე ელაპარაკებოდა. ასეთი ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამება არასოდეს, არასოდეს განუცდია! თავსაც კი ვეღარ იკატუნებდა, რომ თითქოს მის პერის უსმენდა. უეცრად ფიქრებიდან გამოერკვა და დაინახა, რომ მის პერის თვალები გადმოეკარკლა და შეცბუნებული და აღშფოთებული უცქერდა. პიტერმა ლამის შეჰყვირა, რომ არაფრის მოსმენის თავი არ ჰქონდა, რადგან

ეს ყველაფერი მისთვის ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო! სასტუმრო ოთახიდან ხალხი ნელ-ნელა გადიოდა. პიტერს ესმოდა, როგორ ამბობდნენ, მანტოები ჩავიცვათ, ტბაზე ეცივებაო. მთვარის შუქზე ტბაზე ნავით გასეირნება უნდოდათ (ეს გიჟური აზრი სელი სიტონს მოუვიდა). პიტერს ესმოდა, როგორ ლაპარაკობდა ის მთვარეზე. ყველა წავიდა.

– მათთან ერთად არ წახვალთ? – ჰკითხა მამიდა ელენამ.

მოხუცი მის პერი ყველაფერს მიხვდა. პიტერმა უკან გაიხედა და დაინახა, რომ კლარისა მისკენ მოაბიჯებდა. მის წასაყვანად მობრუნებულიყო. პიტერი მისმა თავაზიანობამ და გულკეთილობამ ააღელვა და გააოცა.

– წამოდით, გველოდებიან, – უთხრა კლარისამ.

პიტერს ასეთი ბედნიერება არასოდეს განუცდია! ისინი უსიტყვოდ შერიგდნენ. ტბისაკენ გაეშურნენ. ეს უსაზღვრო ბედნიერების ოცი წუთი იყო. აჯადოებდა მისი ხმა, სიცილი, კაბა (მსუბუქი, მოფრიალე, თეთრი და ალუბლისფერი) და თავგადასავლების სიყვარული. ყველანი ნავიდან გადმოვიდნენ და კუნძულის დათვალიერებას შეუდგნენ. კლარისამ ქათამი დააფრთხო, სიცილი აუვარდა და სიმღერა დაიწყო. პიტერი გრძნობდა, რომ კლარისასა და რიჩარდ დოლოვეის მალე ერთმანეთი შეუყვარდებოდათ, მაგრამ ყველაფერი სულერთი იყო მისთვის. ის და კლარისა ბალახებში ისხდნენ და მასლაათობდნენ. ერთმანეთის მშვენივრად ესმოდათ. თითქოს ერთურთის ფიქრებს ძალდაუტანებლად კითხულობდნენ. ყველაფერი თვალის დახამხამებაში დასრულდა. როცა ნავში სხდებოდნენ, პიტერმა გაიფიქრა: „ის რიჩარდ დოლოვეის გაჰყვება ცოლად", მაგრამ გული არ დასწყვეტია. ყველაფერი ნათელი იყო. დოლოვეი კლარისას შეირთავდა.

დოლოვეიმ ნიჩბები მოუსვა. ის დუმდა, მაგრამ, როდესაც რიჩარდი ველოსიპედს მოახტა, მათ ხელი დაუქნია, ტყისკენ ჯაყჯაყით გაეშურა და თვალს მიეფარა (ტყით ოცი კილომეტრი უნდა გაევლო). პიტერი ყველაფერს ცხადად, ინსტინქტურად გრძნობდა. გული საშინლად სტკიოდა. ყველაფერს მძაფრად გრძნობდა: სასიყვარულო ღამე, რომანტიკა, თავდავიწყება, სინაზე, კლარისა... მან ეს დაიმსახურა.

პიტერი ხვდებოდა, რომ ძალიან სულელი იყო. კლარისას მუდამ სულელურ მოთხოვნებს უყენებდა. შეუძლებელს სთხოვდა (ახლა ხვდებოდა ამას) და საშინელ სცენებს უმართავდა. შეიძლებოდა, ასეთი სულელი რომ არ ყოფილიყო, კლარისა ცოლად გაჰყოლოდა. სელი ასე ფიქრობდა. სელი მთელი ზაფხული პიტერს გრძელ წერილებს სწერდა. კლარისა და სელი პიტერზე ხშირად საუბრობდნენ, – სელი მას ხოტბას ასხამდა, კლარისა კი ცრემლად იღვრებოდა! წერილებით, საშინელი სცენებით, ტელეგრამებით აღსავსე საოცარი ზაფხული იყო. პიტერი ბორტონში სისხამ დილით ჩამოდიოდა და მათი სახლის წინ ბოლთას სცემდა მანამ, სანამ მოსამსახურეები არ გაიღვიძებდნენ. როცა კლარისას მამასთან, მისტერ პერისთან ერთად საუზმეზე მარტო რჩებოდა, შიში იპყრობდა. ელენაც შიშის მომგვრელი ქალი იყო, თუმცა, პიტერს თავაზიანად ექცეოდა. სელის პიტერი ბოსტანში გაჰყავდა და საუბრობდნენ. კლარისას შაკიკი ტანჯავდა და საწოლიდან არ დგებოდა.

ის უკანასკნელი, საშინელი სცენა, რომელმაც მის ცხოვრებას სამუდამო დაღი დაასვა (შეიძლება, აზვიადებდა, მაგრამ ახლა ასე ფიქრობდა), ზაფხულის ერთ ძალიან ცხელ დღეს, სამ საათზე მოხდა. ყველაფერი სულ არაფრის გამო დაიწყო: საუზმეზე რიჩარდზე საუბრობდნენ. სელიმ თქვა: „ჩემი გვარი დოლოვეია!" კლარისა გახევდა, გაწითლდა (როგორც სჩვეოდა) და მკვახედ, მკვეთრი ხმით თქვა: „მორჩით ამ სულელურ ხუმრობას!" სულ ეს იყო, მაგრამ პიტერს მოეჩვენა, რომ თითქოს კლარისამ თქვა: „თქვენთან უბრალოდ ვერთობი, რიჩარდ დოლოვეი კი ჩემი ნამდვილი მეგობარია". პიტერმა მრავალი ღამე თეთრად გაათენა. „მოხდეს, რაც მოსახდენია, მაგრამ ყველაფერი უნდა დასრულდეს!" – ფიქრობდა ის. წერილი დაწერა და სელის გაატანა. კლარისას სთხოვდა, სამი საათისათვის შადრევანთან შეხვედროდა. „ძალიან სერიოზული რამ მოხდა", – მიაწერა წერილის ბოლოს.

შადრევანი სახლიდან შორს, ბუჩქნარში იყო. ირგვლივ დიდი ხეები იდგა. კლარისა ადრე მოვიდა. მათ შორის შადრევანი იდგა და წყალი განუწყვეტლივ წვეთავდა (გატეხილი იყო). ხავსი მწვანედ ბიბინებდა. რა საოცარი იყო, როგორ ჩაბეჭდვოდა ეს გონებაში.

კლარისა არ ინძრეოდა. „სიმართლე მითხარი, სიმართლე მითხარი", – ლუღლუღებდა თავგზაარეული პიტერი. ეჩვენებოდა, რომ თავი გაუსკდებოდა. კლარისა თითქოს გაქვავებულიყო. არ იძვროდა. „სიმართლე მითხარი", – იმეორებდა პიტერი. უეცრად მოხუცი ბრიტკოფი გამოჩნდა. თავის „თაიმსს" თვალი მოსწყვიტა და მათ დაჟინებით დააცქერდა, პირი დააღო და გზა განაგრძო. კლარისა და პიტერი არ იძვროდნენ. „მითხარი სიმართლე!" – გაუმეორა პიტერმა. ეჩვენებოდა, რომ რაღაც ძალიან მაგარს მთელი ძალით შეასკდა. კლარისა რკინასავით და კაჟის ქვასავით უდრეკი იყო. წელში გამართული იდგა. პიტერს ეჩვენებოდა, რომ საათების განმავლობაში ლაპარაკობდა. ცრემლად იღვრებოდა. როცა კლარისამ უთხრა: „ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს... ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ყველაფერი დასრულდა", პიტერს მოეჩვენა, რომ კლარისამ სილა გააწნა. კლარისამ პირი იბრუნა, პიტერი მარტო დატოვა და წავიდა.

– კლარისა! კლარისა! – შეჰყვირა პიტერმა, მაგრამ ის არ მობრუნდა. ყველაფერი ასე დამთავრდა. პიტერი იმ ღამესვე წავიდა ბორტონიდან და კლარისა აღარ უნახავს.

*

– ეს საშინელება იყო, საშინელება! – შეჰყვირა მან.

მზე ისევ აცხუნებდა. ის მაინც ყველაფერს შეეგუა. ცხოვრება ჩვეულებრივად გაგრძელდა.

პიტერმა დაამთქნარა და ირგვლივ მიმოიხედა. რიჯენტს-პარკი თითქმის ისეთი იყო, როგორიც მის ბავშვობაში. მხოლოდ ციყვები შეცვლილიყვნენ. სამაგიეროდ, სხვა სასიამოვნო რამეებიც ხდებოდა: მაგალითად, აი, ეს პატარა გოგონა, ელის მიჩელი, თავის ძმასთან ერთად ქვებს აგროვებდა და თავიანთი ოთახის ბუხარს ამკობდა. მან ქვები გამდელს კალთაში ჩაუყარა,

ადგა, მთელი ძალით გაიქცა და ვიღაც ქალს ფეხებში ჩაუვარდა. პიტერ უოლშს სიცილი აუვარდა.

რა საშინელებაა! რატომ ვიტანჯები ასე?! – ფიქრობდა ლუკრეცია უორენ-სმიტი და დიდ ხეივანში მიაბიჯებდა, – ძალა აღარ შემრჩა. ამას ვეღარ გავუძლებ, – ფიქრობდა ის. სეპტიმუსი მარტო დატოვა. ის სეპტიმუსი აღარ იყო. საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. სკამზე იჯდა, საზარელ, სასტიკ სიტყვებს ამბობდა, სკამზე მარტოდმარტო იჯდა და ხან საკუთარ თავს, ხან კი ომში დაღუპულ მეგობარს ესაუბრებოდა. გოგონა ლუკრეციას მთელი ძალით დაეჯახა, დაეცა და ატირდა.

ლუკრეცია ოდნავ დამშვიდდა. ბავშვი წამოაყენა, დასვრილი კაბა გაუწმინდა და აკოცა.

ლუკრეციას არაფერი დაუშავებია. ცუდი არაფერი ჩაუდენია. სეპტიმუსი მთელი გულით უყვარდა, ადრე უსაზღვროდ ბედნიერი იყო. იტალიაში მშვენიერი სახლი ჰქონდა. მისი დები ისევ იქ ცხოვრობდნენ და ქუდებს კერავდნენ. რატომ უნდა დატანჯულიყო ასე ძალიან?

გოგონა გამდელისკენ გაიქცა. ლუკრეცია ხედავდა, რომ გამდელი, რომელმაც ქსოვა შეწყვიტა, გოგონას ხან ტუქსავდა, ხანაც ანუგეშებდა და გულში იკრავდა. სანდომიანმა მამაკაცმა დაუყვავა, მაჯის საათი გაუწოდა და უთხრა, ნახე, იხსნებაო. რატომ იტანჯებოდა ასე? რატომ არ დატოვა სეპტიმუსმა მილანში? რატომ ტანჯავდა ასე? რატომ?

ცრემლები მზერას უბინდავდა. დიდი ხეივანი, ძიძა, რუხ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი და ბავშვის ეტლი თითქოს ტალღასავით ლივლივებდა, ზემოთ იწევდა და ისევ ეცემოდა. სასტიკი, შეუბრალებელი მწამებელი, სეპტიმუსი ტანჯავდა. ასეთი იყო მისი ხვედრი. კი მაგრამ, რატომ? ლუკრეცია ჰგავდა იმ ჩიტს, რომელმაც თავი შეაფარა წვრილ ფოთლებს, რომლებიც მზეზე ელავენ. ის თრთის, როდესაც ხმელი ტოტი ირხევა. სრულიად დაუცველი იყო. გარს უზარმაზარი ხეები ერტყა. ცაზე დიდი ღრუბლები დაცურავდნენ. სამყარო მის მიმართ გულგრილი იყო. ის დაუცველი იყო. ლუკრეცია საშინლად იტანჯებოდა. რატომ უნდა დატანჯულიყო ასე ძალიან? რატომ?

წარბი შეიკრა და ფეხი მიწას დასცა. მას ისევ მოუწევდა სეპტიმუსთან მისვლა, რადგან ექიმ სერ უილიამ ბრედშოუსთან უნდა წასულიყვნენ. სეპტიმუსი ისევ ხის ძირას, მწვანე სკამზე იჯდა და ხან საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, ხანაც გარდაცვლილ მეგობარს, ევანსს, რომელსაც ლუკრეციამ ერთადერთხელ, ორიოდე წუთით მოჰკრა თვალი. სასიამოვნო და მშვიდი მამაკაცი ჩანდა. სეპტიმუსის საუკეთესო მეგობარი იყო. ომში დაიღუპა. ომში ყველას დაეღუპა მეგობრები. ქორწინება მსხვერპლს მოითხოვს. როცა ლუკრეცია სეპტიმუსს მისთხოვდა, მსხვერპლად მშობლიური სახლი შესწირა. ამ საშინელ ქალაქში გადმოვიდა. სეპტიმუსს საშინელი ფიქრები უტრიალებდა თავში. ლუკრეციას რომ მოენდომებინა, თვითონაც იფიქრებდა ასეთ საშინელებებზე. სეპტიმუსი ძალიან უცნაურად იქცეოდა. ამბობდა, რომ საძინებლის კედლებს მიღმა ვიღაც ლაპარაკობდა. მისის ფილმერი გაოცებული იყო. სეპტიმუსს მოჩვენებებიც ჰქონდა. ერთხელ

გვიმრის ბუჩქში მოხუცი ქალის თავი დაინახა. თუმცა, ზოგჯერ შეეძლო, ბედნიერიც ყოფილიყო. ერთხელ ომნიბუსის მეორე სართულზე დასხდნენ და ჰემპტონ-ქორთში წავიდნენ. უსაზღვროდ ბედნიერი იყვნენ. მინდორში აყვავებული პატარა წითელ-ყვითელი ყვავილები ჰაერში მოლივლივე ფარნებს ჰგვანან, – თქვა სეპტიმუსმა. ლაქლაქებდა, იცინოდა, ამბებს ჰყვებოდა. როცა მდინარის ნაპირს მიადგნენ, უეცრად თქვა: „ახლა თავს მოვიკლავთ", – და მდინარეს დაჟინებით დააცქერდა. ლუკრეცია ხედავდა, რომ სეპტიმუსს ასეთი მზერა მაშინ ჰქონდა, როდესაც მატარებელი ან ომნიბუსი ჩაუვლიდა. თითქოს ინუსხებოდა. ლუკრეციამ იგრძნო, რომ სეპტიმუსი მოშორდა და მხარში ხელი სწრაფად ჩაავლო. როცა შინ დაბრუნდნენ, სრულიად მშვიდი ჩანდა. თითქოს საღ გონებაზე იყო. ლუკრეციას უხსნიდა, რატომაც უნდა მოეკლათ თავი. ეუბნებოდა, რომ ადამიანები ბოროტები არიან. ქუჩაში მათ სახეებს უყურებდა და ხვდებოდა, რაოდენ მატყუარები იყვნენ. მათ ფიქრებს კითხულობდა. მან ყველაფერი იცოდა. ცხოვრების არსი იცოდა.

როცა შინ დაბრუნდნენ, ფეხზე ვეღარ იდგა. გაჭირვებით დააბიჯებდა. დივანზე წამოწვა და ლუკრეციას სთხოვა, მისთვის ხელი ჩაეკიდებინა, რათა ცეცხლში არ ჩავარდნილიყო. „ცეცხლში ვვარდები, ვვარდები!" – დაიყვირა მან. ხედავდა, რომ ადამიანები კედლიდან გამოდიოდნენ, დასცინოდნენ, საშინელ, ამაზრზენ სახელებს ეძახდნენ და კედლებიდან ხელებს უყოფდნენ, არადა, ის და ლუკრეცია ოთახში სრულიად მარტო იყვნენ. სეპტიმუსი ხმამაღლა ლაპარაკობდა. ვიღაც უხილავს ეპასუხებოდა, ეკამათებოდა, იცინოდა, ტიროდა. ძალიან აღელვებული იყო. ლუკრეციას სთხოვა, დაწერე, რასაც გიკარნახებო. ათასი სისულელე თქვა სიკვდილზე, მის იზაბელ პოულზე... ლუკრეცია ამას ვეღარ გაუძლებდა. მაგრამ იძულებული იყო, სეპტიმუსთან მისულიყო.

მიუახლოვდა. ის ისევ ცას უცქერდა, ბუტბუტებდა და ხელებს იქნევდა. ექიმმა ჰოლმსმა თქვა, არაფერი სჭირსო. მაშ, რატომ იქცეოდა ასე? რა მოხდა? რატომ შეკრთა, როცა ლუკრეცია გვერდით მიუჯდა? რატომ თრთოდა ასე, რატომ უბღვერდა? რატომ გაიქცა? რატომ იშვერდა ხელს მისი ხელისაკენ? რატომ იღებდა მის ხელს და თავზარდაცემული აცქერდებოდა?

ალბათ, იმიტომ, რომ ლუკრეციამ ნიშნობის ბეჭედი მოიძრო? „თითი იმდენად დამისუსტდა, რომ ბეჭედი მძვრებოდა. ჩანთაში შევინახე", – აუხსნა მან.

სეპტიმუსმა ხელი გაუშვა და გაიფიქრა, რომ ქორწინება დასრულდა. გული ეტკინა, თუმცა, მალე შვებით ამოისუნთქა. თოკი გადაჭრილი იყო. ის დაფარფატებდა. თავისუფალი იყო. იქ, მაღლა, ზეცაში, ეწერა, რომ ამქვეყნიური ღმერთი, სეპტიმუსი, თავისუფალი იყო (ლუკრეციამ ხომ ნიშნობის ბეჭედი გადააგდო და ის მიატოვა). მხოლოდ მას ხვდა პატივი, ბრბოზე ადრე შეეტყო ჭეშმარიტება, რომელიც ამდენი საუკუნის განმავლობაში უდიდეს მოაზროვნეთა დაუღალავი შრომის, ცივილიზაციის, ბერძნების, რომაელების, შექსპირის, დარვინის (და თავად სეპტიმუსის) შემდეგ გაცხადდებოდა... „ვისთვის?! ვისთვის?!" – შესძახა მან. „პრემიერ-მინისტრისთვის", – შრიალით მიუგო ხმამ, რომელიც მის თავს ზემოთ ისმოდა. უდიდესი საიდუმლო მინისტრთა საბჭოს უნდა შეეტყო: ხეები ცოცხალი არსებები არიან, დანაშაული არ არსებობს. სიყვარული...

საყოველთაო სიყვარული... – ბუტბუტებდა სუნთქვაშეკრული და კანკალებდა. ეს ჭეშმარიტება წყვდიადში იყო შთანთქმული და მისი სიტყვებად გადმოცემა საშინელ ტკივილს ჰგვრიდა. ამ ჭეშმარიტების მზის სინათლეზე გამოტანა უზომო ძალისხმევას მოითხოვდა. ამ ჭეშმარიტებამ სამყარო სამუდამოდ შეცვალა.

დანაშაული არ არსებობს. სიყვარული... – იმეორებდა ის და ეძებდა ბარათსა და ფანქარს. ფოქსტერიერმა მისი შარვალი დაყნოსა. სეპტიმუსი შიშმა აიტანა და საშინლად შეხტა. ძაღლი ადამიანად გადაქცეულიყო! ამის დანახვა არ სურდა! ეს ნამდვილი საშინელება იყო! ძაღლი ადამიანად გადაქცეულიყო! როგორც იქნა, ძაღლი წაძუნძულდა.

უძირო ზეცა ღვთიურად მოწყალე, უსაზღვროდ მშვიდი და ნათელი იყო. ის იწყალებდა სეპტიმუსს და სისუსტეს პატიობდა. როგორ უნდა აეხსნა მეცნიერულად ის, რასაც ახლა განიცდიდა (ადამიანმა ხომ ყველაფერზე მეცნიერულად უნდა იმსჯელოს?)? როგორ ხედავდა, რა ხდებოდა სხვათა სხეულში? როგორ შეეძლო წინასწარმეტყველება? საიდან იცოდა, რომ ძაღლები ადამიანებად გადაიქცეოდნენ? ალბათ, ეს იმიტომ ემართებოდა, რომ ძალიან ცხელოდა. ცხელი ტალღა კი ევოლუციის მიმართ უსაზღვროდ მგრძნობიარე სეპტიმუსის გონებაზე მოქმედებდა. მეცნიერულ ენაზე რომ ეთქვა, მას ხორციელი საბურველი შემოეძარცვა, მისი სხეული დადნა და ამ სამყაროს გაშორდა. სხეული ისე დაუდნა, რომ მისგან ნერვიული ბოჭკოებიღა დარჩა. კლდეს ნისლივით გადაჰფენოდა.

სეპტიმუსი სკამის საზურგეს მიეყრდნო. დაქანცული, მაგრამ ბედნიერი იყო. ისვენებდა. იცდიდა, სანამ ისევ უსაშველო ტანჯვა-წამებისა და ძალისხმევის ფასად იქცეოდა შუამავლად მიწასა და ზეცას შორის და კაცობრიობას ჭეშმარიტებას ამცნობდა. ის ძალიან მაღლა, სამყაროს ზურგზე იწვა. მის ქვემოთ დედამიწა თრთოდა. სხეულზე წითელი ყვავილები ამოზრდოდა. მათი მკვრივი ფოთლების შრიალი ესმოდა. ზემოთ ცაში მდგარ კლდეებს მელოდია ეხლებოდა. ეს ქუჩაში მიმავალი მანქანის სიგნალის ხმაა... – დაიჩურჩულა მან. სიგნალი კი ცაში, კლდეებს ეხლებოდა, იფანტებოდა და ისევ იკვრებოდა და მელოდიური შეჯახების ხმა გლუვ, სწორ სვეტებად მიიწევდა ზეცისაკენ და გადაიქცეოდა (მან მეცნიერული აღმოჩენა გააკეთა: მელოდიის დანახვა შესაძლებელი იყო) ჰიმნად, რომელიც ყმაწვილი მწყემსის სალამურიდან იღვრებოდა და ბურთულებად იგრიხებოდა (ლუდხანის წინ მოხუცი მწყემსი სალამურზე უკრავს, – დაიჩურჩულა მან). მწყემსი ბიჭი ოდნავ წამოიწია, მისი სალამურის ნაზი, საამური კვნესა გაისმა ქუჩის ხმაურში. ჰიმნი ქუჩის გუგუნზე ამაღლდა. ყმაწვილი მწყემსის ელეგია ხალხით სავსე ქუჩაში ისმის, – გაიფიქრა სეპტიმუსმა. მწყემსი ბიჭი ზეცად მაღლდება. მიეშურება დათოვლილი მთებისაკენ. იქ დიდი, წითელი ვარდები ხარობს (ისეთი ვარდები, როგორიც ჩემი ოთახის კედლებზეა, – გაახსენდა სეპტიმუსს). მუსიკა შეწყდა. მწყემსმა, ალბათ, მონეტები ქუდში ჩაყარა და შემდეგ ლუდხანასთან გადაინაცვლა, – გაიფიქრა სეპტიმუსმა.

იმ დაღუპულ მეზღვაურს ჰგავდა, რომელიც ტალღებს კლდეზე გამოერიყა. მე ნავიდან გადავიხარე და გადავვარდი. ზღვის ფსკერზე დავეშვი, მოვკვდი, მაგრამ მაინც ცოცხალი ვარ. დამეხსენით. მშვიდად ყოფნა მინდა, – შეევედრა ის ვიღაცას (ისევ საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. რა საშინელება

იყო, რა საშინელება!). გათენებამდე, სანამ მძინარე გაიღვიძებს, ჩიტების ჭიკჭიკი, ქუჩისა და ბორბლების ხმაური გასაოცრად ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, ხმაური იმატებს და მძინარეს ცხოვრების ნაპირზე გარიყავს. ის გრძნობს, როგორ უახლოვდება ცხოვრების ნაპირს. მზე უფრო და უფრო აცხუნებს, ხმაური იმატებს. თითქოს წუთი წუთზე რაღაც საშინელება მოხდება.

სეპტიმუსს თვალის გახელა სურდა, მაგრამ თითქოს ქუთუთოებზე რაღაც მძიმედ დასწოლოდა. ეს შიში იყო. ის გაიზმორა, თვალი გაახილა და რიჯენტს-პარკს დააკვირდა. ფეხებზე მზის გრძელი სხივები დასთამაშებდა. ხეები ირხეოდნენ. გვიხარია... – თითქოს ამბობდა სამყარო, – თანახმა ვართ. ვქმნით. ვქმნით სილამაზეს... – თითქოს ამბობდა სამყარო. ამის (მეცნიერულად) დასამტკიცებლად, სახლები, გისოსები, ანტილოპები, რომლებიც თავს ზოოპარკის გისოსებიდან სწევდნენ, სილამაზით ბრწყინავდნენ. ყველაფერი მშვენიერი იყო. ხედავდა, ნიავი როგორ ათრთოლებდა ფოთლებს და უსაზღვრო სიხარულს განიცდიდა. მერცხლები დაფრინავდნენ, ძირს ეშვებოდნენ, ისევ სწორდებოდნენ და ტრიალებდნენ. წონასწორობას არ კარგავდნენ. თითქოს უხილავი რეზინი იჭერდა. ბუზები ბზუილით დაფრინავდნენ, დაბლა ეშვებოდნენ და ისევ ცისკენ მიიწევდნენ. ბედნიერებით აღსავსე მზის სხივები ფოთლებს დასთამაშებდნენ და ოქროსფრად აელვარებდნენ. ბალახის ღერებზე ზარის ხმა ღვთიურად, მომაჯადოებლად წკარუნებდა (ეს, ალბათ, მანქანის ხმაა). სიმშვიდე სუფევდა. ყველაფერი უბრალო იყო. ირგვლივ უბრალო საგნები მიმოფანტულიყო, მაგრამ უბრალოება ჭეშმარიტება იყო. სილამაზე ჭეშმარიტება იყო. ყველგან სილამაზე ბრწყინავდა.

– დროა, – თქვა რეციამ.

სიტყვა „დრომ" თითქოს მისი ნაჭუჭი დაამსხვრია და სიმდიდრე უხვად გადააფრქვია. მის ბაგეს უნებურად მოსწყდა მკაცრი, თეთრი, მრისხანე, უკვდავი სიტყვები, ისე, როგორც რანდიდან ცვივა ხის ბურბუშელები. სიტყვები გაფრინდნენ. ყველამ თავისი ადგილი დაიჭირა დიად, უკვდავ ოდაში, რომელიც დროს ეძღვნებოდა. მან სიმღერა დაიწყო. ხის უკან მდგარი ევანსიც აჰყვა. გარდაცვლილები თესალიაში, ორქიდეებში წვანან. ისინი ომის დასრულებას ელოდებიან. და აი, ახლა გარდაცვლილები და თვით ევანსიც...

– ღვთის გულისათვის, არ მომიახლოვდეთ! – დაიყვირა სეპტიმუსმა. მკვდრების დანახვა არ სურდა.

მაგრამ ხის ტოტები გადაიწია და ახალგაზრდა მამაკაცი გამოჩნდა. ის ევანსი იყო! ტალახში ამოსვრილი არ იყო, არც ჭრილობები ჰქონდა. საერთოდ არ შეცვლილიყო. ძველებურად ლამაზი იყო. ეს ამბავი მთელ სამყაროს უნდა ვუთხრა! – შეჰყვირა სეპტიმუსმა და ხელი ასწია (რუხ კოსტიუმში გამოწყობილი ცხედარი უახლოვდებოდა). სეპტიმუსს ხელი იმ უზარმაზარი შავი ქანდაკებასავით აეწია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში უდაბნოში სრულიად მარტო იყო და ადამიანთა მძიმე ხვედრზე გოდებდა. სასოწარკვეთისგან დაღარულ სახეზე ხელები აეფარებინა. ის ხედავს უდაბნოს დასალიერში სინათლეს, რომელიც უფრო და უფრო კაშკაშებს და ქანდაკებას

ეცემა (სეპტიმუსი სკამიდან წამოდგა). მთელი ლეგიონი გართხმულიყო იმ უზარმაზარი, მარად მგლოვიარე და მარად მტირალი ქანდაკების უკან, რომელსაც სახეზე...

– ო, რა უბედური ვარ, სეპტიმუს! – ამოიკვნესა რეციამ და შეეცადა, სეპტიმუსი ისევ სკამზე დაესვა.

მილიონობით ადამიანი გოდებდა. ისინი საუკუნეების განმავლობაში ასე წუხდნენ. სეპტიმუსი შემობრუნდებოდა და წუთში მოჰგვრიდა მათ შვებასა და სიხარულს. საოცარ აღმოჩენას, უდიდეს საიდუმლოს გაუმხელდა...

– დროა, სეპტიმუს, – გაუმეორა რეციამ, – რომელი საათია?

სეპტიმუსი ისევ თავისთვის ლაპარაკობდა და კანკალებდა. ალბათ, ის მამაკაცი ყველაფერს ამჩნევდა და მათ თვალს არ აცილებდა.

– ახლავე გეტყვი, – მიუგო სეპტიმუსმა ნელი, თვლემამორეული, უსიცოცხლო ხმით. ტუჩებზე იდუმალი ღიმილი დასთამაშებდა. რუხ ტანსაცმელში გამოწყობილ, გარდაცვლილ მეგობარს უღიმოდა. უეცრად საათის ხმა გაისმა. თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა.

*

ასეთია ახალგაზრდობა, – გაიფიქრა პიტერ უოლშმა, როცა მათ ჩაუარა. ალბათ, საშინლად იჩხუბეს. ის საბრალო გოგონა სასოწარკვეთილი ჩანდა. რა უნდა მომხდარიყო მათ შორის? რა უთხრა იმ ახალგაზრდა ქურთუკიანმა მამაკაცმა? რატომ ჰქონდა ქალს ასე თავზარდაცემული სახე? ნამდვილად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, თორემ ზაფხულის ამ მშვენიერ დილას ასეთი სასოწარკვეთილი სახეები არ ექნებოდათ. საოცარი იყო: ხუთი წელი ინდოეთში გაატარა, ინგლისში დაბრუნდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს პირველად ხედავდა ყველაფერს. ხის ძირას საყვარლები კამათობდნენ, ოჯახები პარკებში სეირნობდნენ... მას ასეთი ლამაზი ლონდონი არასოდეს ენახა: შორეული, საამო ხედები თითქოს ერთმანეთს ერწყმოდნენ. სიმდიდრე, ამწვანებული ბუნება. ცივილიზაცია ინდოეთის შემდეგ, – გაიფიქრა და მწვანედ აბიბინებული მოლი გადაიარა.

მისდა საუბედუროდ, ძალიან მგრძნობიარე და შთაბეჭდილებებით აღსავსე იყო. ახლაც ბიჭივით (გოგონასავითაც კი) უმიზეზოდ ეცვლებოდა გუნება-განწყობილება. მნიშვნელობა არ ჰქონდა, კარგი დღე იყო თუ ცუდი. ლამაზი სახის დანახვისას უსაზღვრო ბედნიერებას განიცდიდა, ულამაზო ქალის დანახვისას კი გული უკვდებოდა. ინდოეთიდან ჩამოვიდა და ცხადი იყო, პირველივე შემხვედრი ქალი შეუყვარდებოდა. ინგლისელი ქალები ნორჩები იყვნენ. ყველაზე ღარიბებსაც კი ახლა უფრო კარგად ეცვათ, ვიდრე ხუთი წლის წინ. ასეთი ლამაზი ტანსაცმელი არასოდეს ყოფილა მოდური: გრძელი, შავი მოსასხამები... ქალები გამხდრები და მომხიბლავები იყვნენ. ყველას ნატიფი, საუცხოო ფერუმარილი ესვა. ყველაზე პატივსაცემი ქალების სახეებზე თითქოს ნაზი ვარდები ყვაოდა. თლილი ბაგეები და გიშერივით თმა ჰქონდათ. ეს ნამდვილი ხელოვნება იყო. რაღაც ნამდვილად შეიცვალა. რას ფიქრობენ ამაზე ლონდონელი ახალგაზრდები? – გაიფიქრა პიტერმა.

1918-დან 1923 წლამდე ინდოეთში იყო და ეჩვენებოდა, რომ ეს ხუთი წელი უმნიშვნელოვანესი იყო მის ცხოვრებაში. უამრავი რამ შეიცვალა. ხალხს სხვაგვარი იერი ჰქონდა. განსხვავებული გაზეთები გამოდიოდა. ერთ-ერთ პატივსაცემ გაზეთში ვიღაც კაცი სტატიებში მოურიდებლად წერდა საპირფარეშოებზე. ათი წლის წინ ასეთ რამეს ვერავინ წამოიდგენდა. ახლა ქალები სახალხოდ იღებებიან. ამოიღებენ პომადას, პუდრს და ლამაზდებიან. როცა ინდოეთიდან ინგლისში გემით ბრუნდებოდა, ხედავდა, რომ შეყვარებულები, განსაკუთრებით კი ბეტი და ბერტი, სახალხოდ ეარშიყებოდნენ ერთმანეთს. გოგონას მოხუცი დედა მათ აუღელვებლად უყურებდა და ქარგავდა. გოგონა თავის ნორჩ ცხვირზე პუდრს ყველას დასანახავად ისვამდა. ისინი დანიშნულებიც კი არ იყვნენ, უბრალოდ, ერთობოდნენ. დიადი გრძნობა არ აკავშირებდათ. ქალიშვილი კეთილი და თამამი იყო. როცა ოცდაათი წელი შეუსრულდებოდა, სამაგალითო მეუღლე გახდებოდა. ტრადიციის თანახმად, ცოლად მდიდარ კაცს გაჰყვებოდა და მანჩესტერთან დიდ, ლამაზ სახლში გადავიდოდა.

ვინ მოიქცა ასე? – ფიქრობდა პიტერი და დიდ ხეივანში მიაბიჯებდა. ვინ გაჰყვა მდიდარ კაცს ცოლად და მანჩესტერის ახლოს დიდ, ლამაზ სახლში გადავიდა? ის ხომ ცოტა ხნის წინ გრძელ, აღტყინებით აღსავსე წერილში პიტერს გატაცებით ესაუბრებოდა ლურჯ ჰორტენზიებზე. ლურჯ ჰორტენზიებს შეხედა და გაახსენდა პიტერი, ძველი, საამური დრო. რა თქმა უნდა, ეს ხომ სელი სიტონი იყო! ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მდიდარ კაცს გაჰყვებოდა და მანჩესტერთან, დიდ სახლში დასახლდებოდა! მისი ველური, თავზე ხელაღებული, მამაცი, უშიშარი, რომანტიკული მეგობარი, სელი სიტონი!

ის კლარისას ყველა ძველ მეგობარს: უითბრედებს, ქინდერლებს, კანინგემებსა და ქინლოჰ-ჯონსებს სჯობდა. მას ვერავინ გაასულელებდა. თავიდანვე მიხვდა, როგორი ადამიანი იყო ყველასათვის ძვირფასი ჰიუ უითბრედი, რომელსაც კლარისა და სხვები აღმერთებდნენ და ფეხქვეშ ეგებოდნენ.

– ვინ არიან უითბრედები? ქვანახშირით მოვაჭრეები. პატივცემული მუშები, – ახლაც ჩაესმოდა სელის სიტყვები პიტერს.

სელი რატომღაც ჰიუს ვერ იტანდა. ამბობდა, ჰიუს საკუთარი თავის გარდა არავინ ადარდებსო. „ჰერცოგობა უნდა. ცოლად რომელიმე პრინცესას შეირთავს“, – ამბობდა სელი. პიტერს არასოდეს ენახა ადამიანი, რომელიც ჰიუსავით სცემდა თაყვანს და ქედს იხრიდა ინგლისელი არისტოკრატების წინაშე. კლარისაც კი იძულებული შეიქნა, ეს ეღიარებინა. ო, ის ხომ ძალიან კარგი ადამიანი იყო! ეგოისტი სულაც არ ყოფილა. მან ხომ უარი თქვა ნადირობაზე და მოხუც დედას ბათში გაჰყვა, რათა მისთვის ესიამოვნებინა. დეიდების დაბადების დღეებიც კი ახსოვდა.

ის მართალი იყო, რომ სელი ჰიუს ამ თვისებებმა სულაც ვერ მოხიბლა. პიტერს განსაკუთრებით კარგად ახსოვდა, რომ ბორტონში ერთ კვირადღეს, დილით, ქალთა უფლებებზე ცხარე კამათი გაიმართა (ეს ხომ ადამისჟამინდელი თემა იყო), სელი უეცრად გაცეცხლდა, აფეთქდა და ჰიუს

უთხრა, საძულველი და ამაზრზენი ინგლისელი ბურჟუა ხარო. სულ შენი და შენისთანების ბრალია, საბრალო პიკადილელი გოგონები დაჩაგრული რომ არიან, – მიახალა მან. ჰიუ ხომ უნაკლო ჯენტლმენი იყო! საბრალო ჰიუ! ო, რა შეძრწუნებული და თავზარდაცემული სახე ჰქონდა! სელიმ შემდგომში აღიარა, რომ განზრახ გააღიზიანა ჰიუ (ის და პიტერი ხშირად დასეირნობდნენ ბოსტანში და ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ). „ჰიუს არაფერი წაუკითხავს, არაფერზე ფიქრობს, უგრძნობია!" – ამბობდა სელი. პიტერს ახლაც ჩაესმოდა მისი ემფატიკური, მგზნებარე ხმა, რომელიც იმაზე ბევრად დიდ ემოციასა და აზრს გამოხატავდა, ვიდრე სელის ეგონა. მეჯინიბე ბიჭები უფრო ცოცხლები და მგზნებარებით აღსავსენი არიან, ვიდრე ის. მასში ადამიანური არაფერია. კერძო სკოლაში გამოზრდილია. „ასეთი მამაკაცი მხოლოდ ინგლისში თუ დაიბადება", – ამბობდა სელი. რატომღაც გაცეცხლებული იყო. იქნებ ჰიუმ აწყენინა? მოსაწევ ოთახში მათ შორის რაღაც მოხდა (პიტერს დაავიწყდა, რა მოხდა). იქნებ ჰიუმ ან შეურაცხყოფა მიაყენა, ან აკოცა? არა! რა თქმა უნდა, ეს ვერავინ დაიჯერა! ჰიუ სელის მოსაწევ ოთახში არ აკოცებდა! შეიძლებოდა, ჰიუს პატივსაცემი ედითის ან ლედი ვაიოლეტისთვის ეკოცნა, მაგრამ ამ ძონძებში გამოწყობილ, ღარიბ-ღატაკ, ჯიბეგამოფხეკილ სელის, რომლის დედა თუ მამა მონტე-კარლოში აზარტულ თამაშებში მთელ ქონებას კარგავდა, არ აკოცებდა. პიტერი დარწმუნებული იყო, რომ ჰიუ ამას არ ჩაიდენდა, რადგანაც პიტერს ჰიუსთანა სნობი ცხოვრებაში არ ენახა. ის ყველაზე საშინელ, პირმოთნე სნობად მიაჩნდა, რომელიც არისტოკრატებს მონასავით ფეხქვეშ ეგებოდა. თუმცა, არც ისე მონურად არ უხრიდა მათ ქედს, როგორც პიტერს ეგონა. უბრალოდ, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რადგან საკმაოდ პედანტი და გაბღენძილი იყო. ის ბრწყინვალე კამერდინერს ჰგავდა, რომელიც მძიმე ჩემოდნებით დატვირთული ბატონის უკან მიაბიჯებს და მუდამ ტელეგრამებს გზავნის. ის დიასახლისებისათვის შეუცვლელი მოსამსახურეა.

ჰიუმ მიზანს მიაღწია: სამსახურიც იშოვა, ღირსეული და დიდგვაროვანი ივლინი ცოლად შეირთო და სამეფო კარზე პატარა თანამდებობაც დაიჭირა. სამეფო კარის ღვინის სარდაფებს უვლიდა, აპრიალებდა მონარქის შტიბლეტების ბალთებს, აბრეშუმის თეთრ წინდებსა და მაქმანებიან ჟაბოში გამოწყობილი დადიოდა. რა სასტიკია ცხოვრება! სამეფო კარზე პატარა თანამდებობა ეჭირა!

პატივცემული, ბრწყინვალე ლედი ივლინი შეირთო და სადღაც აქ დასახლდნენ, – ფიქრობდა პიტერი (გასცქეროდა დიდებულ სახლებს, რომელთა ფანჯრებიც პარკს გადაჰყურებდნენ). მან ერთხელ ისაუზმა ჰიუსთან. მის სახლს (ისევე როგორც ყველაფერს, რაც მას ჰქონდა) რაღაც ისეთი ჰქონდა, რაც სხვა სახლებს არ გააჩნდა. ალბათ, თეთრეულის კარადები. მასთან ხშირად უნდა მისულიყავით. აღგაფრთოვანებდათ თეთრეულის კარადები, ბალიშისპირები, მუხის ძველი ავეჯი და ნახატები, რომლებიც ჰიუს ჩალის ფასად ეყიდა. მისის ჰიუს ეტყობოდა, როგორი ადამიანიც იყო. მისი ჩანაფიქრი ხშირად მჟღავნდებოდა. შეუმჩნეველ, არაფრით გამორჩეულ თაგვს ჰგავდა. ის ქალი იყო და დიდებული, ნიჭიერი მამაკაცების წინაშე ქედს იხრიდა. მუდამ ქმრის ჩრდილში იდგა, მაგრამ ხანდახან უეცრად წამოისროდა გონებამახვილურ, მწარე შენიშვნას. ეტყობოდა, რომ ადრე არისტოკრატი ქალი იყო. მასში გარდასული დიდებულების გადმონაშთი ისევ ცოცხლობდა. ქვანახშირის სუნს,

გამათბობლების ორთქლსა და ნოტიო ჰაერს ვერ უძლებდა. ისინი თეთრეულის კარადებით, ულამაზესი, ძველი ნახატებითა და ნამდვილი მაქმანებით დამშვენებული ბალიშებით სავსე სახლში ცხოვრობდნენ. ჰიუ წელიწადში დაახლოებით 10000 გირვანქა სტერლინგს შოულობდა. პიტერი კი მასზე ორი წლით უფროსი იყო და სამსახურს ხელგაწვდილი ითხოვდა!

53 წლის იყო და იძულებული გახდა, ჰიუსა და რიჩარდისათვის ეთხოვა, რომ სამუშაოს მოძებნაში დახმარებოდნენ. თანახმა იყო, ბიჭებისათვის ლათინური ესწავლებინა. ყველანაირ სამუშაოს შეასრულებდა. ვინმე გაზულუქებული სახელმწიფო მოხელის ყურმოჭრილი მონა იქნებოდა იმისათვის, რომ წელიწადში ხუთასი გირვანქა სტერლინგი ეშოვა. ხვდებოდა, რომ თუ დეიზის შეირთავდა, პენსიითაც კი ვერ გაიტანდნენ თავს. ალბათ, უითბრედი ან დოლოვეი დაეხმარებოდა. რატომ არ უნდა მიემართა რიჩარდისათვის? ის ცოტათი სულელ, მაგრამ კარგ კაცად მიაჩნდა. ყველაფერს მშვიდად, საქმიანი, მცოდნე კაცის იერით აკეთებდა. ფანტაზიის უნარი საერთოდ არ ჰქონდა. სულაც არ ბრწყინავდა, თუმცა, ყველაფერს ფაქიზად, ნატიფად აკეთებდა. ის მემამულე უნდა ყოფილიყო, პოლიტიკისთვის ფუჭად ხარჯავდა დროს. ყველაზე კარგად ღია ცის ქვეშ, ბუნების წიაღში, თავის ცხენებსა და ძაღლებთან ერთად გრძნობდა თავს. რა კარგად მოიქცა ერთხელ, როდესაც კლარისას გრძელბეწვიანი ძაღლი ხაფანგში მოჰყვა და თათი მოიტეხა. კლარისას ლამის გული წაუვიდა. რიჩარდი არ დაიბნა. ძაღლს თათი შეუხვია და კლარისას უთხრა, თავი ხელში აიყვანეთო. ალბათ, კლარისას სწორედ ამიტომ შეუყვარდა. სწორედ ასეთი მამაკაცი სჭირდებოდა. „კლარისა, ჩემო ძვირფასო, დამშვიდდით. ეს გამომართვით, ეს მომაწოდეთ!“ – ეუბნებოდა რიჩარდი მას და ძაღლს ისე ელაპარაკებოდა, როგორც ადამიანს.

რიჩარდი პოეზიაზე ათას სისულელეს ამბობდა. როგორ ითმენდა კლარისა ამას? როგორ არ ეწინააღმდეგებოდა, როდესაც შექსპირს ასე აქილიკებდა? რიჩარდი ძალზე სერიოზულად და ამაყად ამბობდა, წესიერმა კაცმა შექსპირის სონეტები არ უნდა წაიკითხოს, ეს იგივეა, სხვებს კარის საკეტიდან უჭვრეტდესო (წიგნებში აღწერილი ურთიერთობები არ მოსწონდა). ამბობდა, რომ წესიერ მამაკაცს მეორე ცოლისათვის გარდაცვლილი ცოლის დის[21] მონახულების ნება არ უნდა მიეცა. ეს დაუჯერებელი იყო! უნდოდა, მისთვის დაშაქრული ნუში ესროლა. ყველაფერს მშვიდად ისმენდა. თვლიდა, რომ რიჩარდი გულწრფელი ადამიანი იყო და საუცხოოდ, სრულიად განსხვავებულად აზროვნებდა. შეიძლება, იმასაც კი ფიქრობდა, რომ მისთანა ორიგინალური მოაზროვნე ცხოვრებაში არ ენახა!

სელი და პიტერი უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ხშირად სეირნობდნენ იმ ბაღში, რომელშიც ვარდის ბუჩქები და უზარმაზარი ყვავილოვანი კომბოსტოები ხარობდა. პიტერს ახსოვდა, როგორ მოწყვიტა სელიმ ვარდი და აღფრთოვანებისაგან შეჰყვირა: მთვარის ვერცხლისფერ შუქში გახვეული კომბოსტოს ფურცლები აჯადოებდა (საოცარი იყო: პიტერს ნათლად ახსოვდა ყოველივე ეს, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე მრავალი წელი არ უფიქრია). სელი ნახევრად ხუმრობით ეხვეწებოდა, რომ კლარისა მოეტაცებინა და აქედან ძალიან შორს წაეყვანა, დაეხსნა ჰიუსაგან, დოლოვეისა და იმ „უმწიკვლო ჯენტლმენებისაგან“, რომლებიც „მის სულში ყოველივე ამაღლებულს ჩაკლავდნენ“ და უბრალო დიასახლისად აქცევდნენ

(სელი მაშინ ლექსებს წერდა). თუ პიტერი კლარისას არ წაიყვანდა, მაშინ ის მოსაწყენი, ერთფეროვანი ცხოვრების მორევში შთაინთქმებოდა. ისიც მართალი იყო, რომ კლარისა ჰიუს არასოდეს გაჰყვებოდა ცოლად. კარგად იცოდა, რაც სურდა. არც ისეთი ემოციური გახლდათ, როგორიც სხვებს ეგონათ. ძალიან გამჭრიახი იყო. ადამიანების ხასიათს სელიზე ბევრად კარგად იცნობდა. ქალურობით ბრწყინავდა. იმ უდიდესი ნიჭის წყალობით, რომელიც მხოლოდ ქალებს აქვთ, ყველგან და ყოველთვის თავისი წარმოსახვითი სამყაროს შექმნას ახერხებდა. პიტერს ხშირად დაუნახავს, როგორ შედიოდა ის ოთახში და ზღურბლთან ჩერდებოდა. ირგვლივ უამრავი ადამიანი ეხვია. აი, ასეთად ახსოვდა კლარისა. თუმცა, თვალში საცემი, ლამაზი, გამორჩეული და ჭკვიანი სულაც არ იყო, მაგრამ რაც მთავარია, პიტერის გვერდით იყო. ის ასეთი იყო. ის კლარისა იყო.

არა, არა! პიტერს ის აღარ უყვარდა! ამ დილით ნახა, როგორ იყო მაკრატლებსა და აბრეშუმში ჩაფლული და წვეულებისათვის ემზადებოდა და უბრალოდ, მასზე ფიქრი აეკვიატა. არ უყვარდა! მისი სახე არ შორდებოდა. ისე ეხლებოდა, როგორც მატარებლის ვაგონში ჩაძინებული მგზავრი. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო სიყვარული. პიტერი უბრალოდ მასზე ფიქრობდა და აკრიტიკებდა. ოცდაათი წლის შემდეგ ისევ ცდილობდა, გაეგო, როგორი ქალი იყო. მხოლოდ იმის თქმა შეეძლო, რომ კლარისა მაღალი წრის ქალია. ადამიანის წარმომავლობას, სოციალურ ფენასა და წარმატებულობას დიდ ყურადღებას აქცევდა (მართალიც იყო). პიტერთან აღიარებდა, რომ ადამიანს წარმატებისათვის უნდა მიეღწია და საზოგადოებაში საკადრისი ადგილი დაემკვიდრებინა (როცა პიტერი ძალას ატანდა, კლარისა სიმართლეს აღიარებდა. გულწრფელი იყო). ამბობდა, რომ უგემოვნოდ ჩაცმული ქალები, ძველმოდური და ხელმოცარული, უიღბლო კაცები ეზიზღებოდა. ცხადია, პიტერიც ასეთ კაცად მიაჩნდა. ფიქრობდა, რომ ადამიანებს უსაქმურობის უფლება არ ჰქონდათ. ყველას უნდა ეშრომა და წარმატებისათვის მიეღწია. ღირსეულ ადამიანად ქცეულიყო. კლარისა ყურადღებით ეპყრობოდა იმ დიდებულ ქალებს, ჰერცოგინიებს, თმაშევერცხლილ გრაფინიებს, რომლებიც მის სალონში იკრიბებოდნენ. პიტერი მათ არაფრად აგდებდა. ერთხელ კლარისამ თქვა, ლედი ბექსბორო ქედუხრელი ქალია და მუდამ გამართული დგასო (კლარისაც ასეთი იყო. მოხრილი და მოდუნებული არასოდეს უნახავთ. ამ სიტყვის არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით. ლარივით სწორი იყო. შეიძლება, უფრო გამართულიც კი). კლარისა ამბობდა, ისინი მამაცი ქალები არიან და რაც უფრო მემატება წლები, მით უფრო ვაფასებო. ცხადია, მასში ბევრი დოლოვეისეული იგრძნობოდა. რიჩარდი მუდამ საზოგადოებისა და ბრიტანეთის იმპერიის კეთილდღეობაზე, ტარიფების რეფორმაზე ფიქრობდა. მმართველი კლასის აზროვნება ჰქონდა. ამ ყველაფერმა კლარისას დაღი დაასვა. რა თქმა უნდა, ქორწინება ასეთი იყო. მიუხედავად იმისა, რომ კლარისა რიჩარდზე გაცილებით ჭკვიანი იყო, მაინც ყოველთვის მას უნდა დასთანხმებოდა და საკუთარი აზრები დაევიწყებინა. ქორწინება და ოჯახური ცხოვრება ნამდვილი საშინელება იყო. კლარისა დამოუკიდებლად მშვენივრად აზროვნებდა, მაგრამ მაინც რიჩარდის სიტყვებს იმეორებდა. თუმცა, „მორნინგ-პოსტის" წაკითხვაც საკმარისი იყო იმის გასაგებად, თუ როგორ აზროვნებდა რიჩარდი! კლარისა მისთვის მართავდა ამ წვეულებებს ან იმ წარმოსახვითი რიჩარდ დოლოვეისათვის, რომელიც ფანტაზიებში შექმნა (თუმცა, რიჩარდი სიამოვნებით დასახლდებოდა ნორფოლკში და ფერმერი გახდებოდა). კლარისას მისაღებ ოთახში მაღალი

საზოგადოება იყრიდა თავს. ამის ნიჭი ნამდვილად ჰქონდა. მუდამ ეხმარებოდა საზოგადოებაში გამოუსვლელ ახალგაზრდებს და მღელვარე, სისხლსავსე ცხოვრების მორევში აგდებდა. ბუნებრივია, მის გარშემო მოსაწყენი ხალხიც ტრიალებდა, მაგრამ მოულოდნელად უცნაური და საოცარი ადამიანებიც გამოჩნდებოდნენ: მხატვრები და მწერლები ამგვარი გარემოსათვის ნამდვილად უცხო ხილი იყო. მათთან მუდმივად სტუმრები დადიოდნენ, ბარათებს ტოვებდნენ. ერთმანეთს თავაზიანად ეპყრობოდნენ და ყვავილების თაიგულებსა და პატარა საჩუქრებს ჩუქნიდნენ. როცა ვინმე ბატონი საფრანგეთში მიემგზავრებოდა, კლარისა გასაბერ ბალიშს ატანდა. ყოველივე ეს ენერგიას აცლიდა. მისი წრის ქალებს ასეთი ხვედრი ჰქონდათ. თუმცა, კლარისა ყველაფერს გულწრფელად, ძალდაუტანებლად აკეთებდა.

უცნაურია, პიტერს კლარისაზე სკეპტიკოსი ადამიანი არასოდეს ენახა (ეს თეორია მან შეიმუშავა, რათა გაეგო, როგორი იყო კლარისა, ის ქალი, რომელიც ხან გულახდილი იყო, ხან კი სრულიად იდუმალი), ან შესაძლებელია (ახალგაზრდობაში კლარისას თომას ჰაქსლისა და ჯონ ტინდალის კითხვა უყვარდა. ეს მწერლები ზღვასთან დაკავშირებულ მეტაფორებს ხშირად იყენებდნენ), შესაძლებელია, კლარისამ საკუთარ თავს უთხრა: „რაკი განწირული ვართ, მიბმული ჩასაძირავ გემზე, თუკი საქმე წასულია, ყოველ შემთხვევაში, ვალი მაინც მოვიხადოთ და სხვების, ჩვენი მეგობარი, ჩვენისთანა ტყვეების ტვირთი და ტკივილი მაინც შევამსუბუქოთ (ისევ ჰაქსლი), საპყრობილე ყვავილებითა და გასაბერი ბალიშებით მოვურთოთ. ბოროტება არ ჩავიდინოთ, ვეცადოთ, ვიყოთ კეთილები და პატიოსნები. ეს არამზადები, ღმერთები, ვერ დაგვამარცხებენ და თავისას ვერ გაიტანენ. კლარისას ფიქრით, ღმერთები მუდამ ცდილობენ, ადამიანს სიცოცხლე გაუმწარონ, ტკივილი მიაყენონ და ყველაფერში ხელი შეუშალონ. დასაჯონ. მაგრამ, თუკი ისე მოვიქცევით, როგორც ნამდვილ ლედის შეეფერება, მათ თავგზა აერევათ. ასეთი აზრი დის, სილვიას გარდაცვალების შემდგომ გაუჩნდა. ნამდვილი საშინელება მოხდა. კლარისამ საკუთარი თვალით დაინახა, როგორ დაეცა ხე. სული მის თვალწინ დალია (ყველაფერი მოხუცი ჯასტინ პერის დაუდევრობისა და უყურადღებობის ბრალი იყო). სილვიას ხომ ცხოვრება წინ ჰქონდა. კლარისა ამტკიცებდა, ჩვენს ოჯახში ყველაზე ნიჭიერი იყოო. დის სიკვდილმა გული ძალიან ატკინა. დრო გავიდა. კლარისა დამშვიდდა. მიხვდა, რომ ღმერთი არ არსებობდა. ადამიანთა მოდგმა დამნაშავე არაფერში იყო. ათეისტი გახდა. სიკეთეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ აკეთებდა, რომ ეს თავადვე სურდა.

ცხოვრება უყვარდა. ყველაფრით ხარობდა (მიუხედავად ამისა, მუდმივად შებოჭილი და დაძაბული იყო. სიამოვნებას მთელი არსებით ვერასოდეს ეძლეოდა. ოცდაათი წელი იყო, პიტერი კლარისას იცნობდა, მაინც ვერ მიხვდა, როგორი ადამიანი იყო. თითქოს მის პორტრეტს ხატავდა, მაგრამ ტილო ჯერ მხოლოდ უბრალო მონახაზებით დაეთხაპნა). ძველი წყენა და სიმწარე გაუქრა. მაღალი წრის ქალებივით ამაზრზენი მორალისტი აღარ იყო. ყველაფერი ახარებდა. როდესაც ჰაიდ-პარკში სეირნობდა, ტიტები და სავარძელში მწოლიარე ბავშვები აღაფრთოვანებდა. უბრალო სცენისაგან უეცრად შექმნიდა საოცარ დრამას (ახლა აქ რომ ყოფილიყო, თუკი ჩათვლიდა, რომ ეს წყვილი უბედური იყო, საუბარს გაუბამდა). ადამიანური ყოფის კომედიურობას მძაფრად შეიგრძნობდა. მუდამ ადამიანები სჭირდებოდა, რათა ის უფრო ცხადად აღექვა. დროს უქმად ხარჯავდა.

დაუსრულებელი საღამოები, სადილები, ვახშმები, წვეულებები... სულელურ საკითხებზე საუბრობდა. იძულებული იყო, ეთქვა ის, რასაც არ ფიქრობდა. ძველებურად გონებამახვილი და გამორჩეული აღარ იყო. მაგიდის თავში ჯდებოდა და ესაუბრებოდა ვიღაც ჩერჩეტ მოხუცს, რათა ის რიჩარდ დოლოვეის დახმარებოდა. ვერ ისვენებდა და ძალიან წუხდა. საშინლად წუხდა. ის და რიჩარდი მთელ ევროპაში ყველაზე საშინელ, მოსაწყენ ხალხს იცნობდნენ. სად პოულობდნენ ასეთ ხალხს?! როდესაც ელიზაბეთი გამოჩნდებოდა, კლარისას ყველაფერი ავიწყდებოდა და ქალიშვილს ფეხქვეშ ეგებოდა. როცა პიტერი ბოლოს ესტუმრა მათ, ელიზაბეთი სკოლაში დადიოდა, მაგრამ არ ახსოვდა, რომელ კლასში იყო. დიდრონი თვალები და ფერმკრთალი სახე ჰქონდა. დედამისს სულ არ ჰგავდა. ჩუმი, მშვიდი, უგრძნობი და ფლეგმატური იყო. კლარისა მისი დანახვისას სიხარულით ბრწყინავდა. ელიზაბეთი მშვიდად უყურებდა, როგორ ევლებოდა თავს დედამისი და ოთხი წლის ბავშვივით, უემოციოდ იტყოდა: „შეიძლება წავიდე?" სიხარულითა და სიამაყით (ალბათ, ასეთი გრძნობა რიჩარდის დანახვისასაც ეუფლებოდა) აღსავსე კლარისა ამბობდა, ჰოკეის სათამაშოდ მიდისო. ელიზაბეთი ახლა „გარეთ" იყო და, ალბათ, დედამისის მეგობრებს დასცინოდა. ალბათ, პიტერი ძველმოდურ, ჩერჩეტ კაცად ჩათვალა. კარგი. როდესაც ვბერდებით, შეგვიძლია, თავი ერთი რამით დავიმშვიდოთ: მიუხედავად იმისა, რომ მწველი ვნებები არ ნელდება, მხოლოდ სიბერეში შეგვიძლია, განვლილი ცხოვრება შევიცნოთ, გამოცდილება ჩვენდა სასიკეთოდ გამოვიყენოთ და მზის სინათლეზე გამოვიტანოთ. ცხოვრება სწორედ მაშინ ხდება საინტერესო და უსაზღვროდ მშვენიერი, – გაიფიქრა პიტერ უოლშმა, რომელიც ქუდით ხელში რიჯენტს-პარკიდან გამოვიდა.

იძულებული იყო, საშინელი რამ ეღიარებინა: (მან ქუდი ისევ დაიხურა) 53 წლის იყო და ადამიანები თითქმის არ სჭირდებოდა. ეს მწარე სიმართლე იყო. ცხოვრება, მისი ყოველი წუთი, წვეთი, რიჯენტს-პარკი, მზე... – ესეც საკმარისი იყო იმისათვის, რომ თავი ბედნიერად ეგრძნო. მთელი ცხოვრებაც კი ხანმოკლე იყო იმისათვის, რომ ცხოვრების მშვენიერებით ზღვარდაუდებლად დამტკბარიყო. ცხოვრებისათვის უნდა გამოეგლიჯა უმცირესი სიამოვნება, ყველაფერი შეეცნო. სიბერეში ადამიანი ყველაფერს ისე სერიოზულად აღიქვამს და შეიგრძნობს, როგორც არასოდეს. პიტერი ვეღარასოდეს დაიტანჯებოდა ისე, როგორც კლარისამ დატანჯა. ხშირად საათები და დღეები ისე გავიდოდა (ღმერთო, რა ბედნიერება იყო, რომ მისი ფიქრები არავის ესმოდა), რომ დეიზი საერთოდ არ გაახსენდებოდა.

იქნებ?.. პიტერს ახსენდებოდა, როგორი ტანჯვა-წამება გამოიარა მაშინ, როგორ ვნებიანად უყვარდა კლარისა. იქნებ ახლაც უყვარს?.. ახლა საქმე სულ სხვაგვარად იყო. ახლა კლარისას უყვარს. სიამოვნებდა იმის გაფიქრება, რომ ყველაფერი შეიცვალა. იქნებ სწორედ ამიტომ დაეუფლა საოცარი შვება, როდესაც გემი ინდოეთის ნაპირს მოსცილდა და ინგლისისაკენ აიღო გეზი? მხოლოდ მარტოობა სურდა. ღიზიანდებოდა, როდესაც გემზე თავაზიანად ექცეოდნენ. კაბინაში სიგარები, ჩანაწერები და პლედი დაახვედრეს. ადამიანები გულწრფელები რომ იყვნენ, აღიარებდნენ, რომ ორმოცდაათი წლის შემდეგ ადამიანები აღარ სჭირდებათ. აღარ სურთ, ქალები ქათინაურებით აავსონ და უთხრან, რა ლამაზები არიან. ორმოცდაათს გადაცილებული ადამიანი, თუკი გულწრფელია, აუცილებლად ამას იტყვის.

მაშინ, რატომ ვერ ერეოდა მოზღვავებულ გრძნობებს? რატომ იყო ასეთი მგრძნობიარე? რატომ აღელდა ამ დილით ასე ძალიან, რატომ დაიღვარა ცრემლად, როდესაც კლარისა ნახა? რას იფიქრებდა? ალბათ, სულელად ჩათვალა (უკვე მერამდენედ). ალბათ, ამ ყველაფრის მიზეზი ეჭვიანობა იყო. ეჭვიანობა ხომ ყველა ადამიანურ გრძნობაზე ძლიერია, – გაიფიქრა პიტერმა და ჯაყვიანი ხელი წინ გაიშვირა. დეიზიმ ბოლო წერილში მოსწერა, რომ მაიორი გაიცნო. იმიტომ მოსწერა, რომ სურდა, პიტერს ეეჭვიანა. წარმოიდგენდა, როგორ ჭუტავდა თვალებს და შუბლს იკრავდა დეიზი წერილის წერისას და ფიქრობდა, რა დაეწერა ისეთი, რომ პიტერისათვის ტკივილი მიეყენებინა და ეეჭვიანებინა. პიტერმა იცოდა, რომ დეიზიმ წერილში იცრუა, მაგრამ მაინც გაცოფებული იყო! ინგლისში ადვოკატების სანახავად ასე აღელვებული იმიტომ კი არ ჩამოსულა, დეიზი ცოლად შეერთო, არამედ იმიტომ, რომ სხვა კაცს არ გაჰყოლოდა. აი, ეს ფიქრი ტანჯავდა, როდესაც ხედავდა, რომ კლარისა მშვიდად, ცივი სახით იჯდა სავარძელში და კაბას ყურადღებით კემსავდა. ხვდებოდა, რომ არ შეიბრალა პიტერი და ზლუქუნა, წუწუნა, სულელ კაცად გადააქცია. ქალებმა არ იციან, რა არის ვნება და სიყვარული. ვერ ხვდებიან, რას ნიშნავს ეს მამაკაცისათვის, – ფიქრობდა ის. კლარისა ყინულივით ცივი იყო. სავარძელში მშვიდად იჯდა და გრძნობდა, როგორ ეფერებოდა და კოცნიდა პიტერი ხელზე. პიტერი გზაჯვარედინს მიუახლოვდა.

ფიქრი შეაწყვეტინა სუსტმა, მთრთოლარე, უმისამართო, ღონემიხდილმა, მირიადარსებულმა ხმამ, რომელსაც არც დასაწყისი ჰქონდა და არც დასასრული. უღონო, უსიამოვნოდ მოედინებოდა უაზრო ხმა: EE UM FAH UM SO

FOO SWEE TOO EEM OO…

უასაკო, უსქესო ხმამ მიწის სიღრმიდან უძველესი წყაროსავით ამოხეთქა და რიჯენტს-პარკის მეტროსადგურის მოპირდაპირე მხარეს მიედინებოდა. მაღალი, მთრთოლარე ჩრდილი მღეროდა. ჰგავდა ძაბრს, დაჟანგულ ტუმბოსა და ქარისგან ნაცემ და ფოთლებგაცვენილ ხეს, რომლის ტოტებში ქარი დაქროდა და მღეროდა: EE UM FAH UM SO

FOO SWEE TOO EEM OO…

ხე ირხევა, ჭრიალებს და კვნესის მარადიულ ქარში.

ხმა იმ უხსოვარი დროიდან მოისმოდა, როდესაც აქაურობა ბალახსა და ჭაობს დაეფარა. მხეცების უზარმაზარი, ბასრი ეშვებისა და მამონტების, მდუმარე განთიადის ეპოქიდან დღემდე, ეს საბრალო არსება (ის ქალი იყო, რადგან კაბა ეცვა. მარჯვენა ხელი წინ გაეშვირა, მარცხენა კი მკერდზე მიებჯინა) აქ იდგა და მარადიულ სიყვარულზე მღეროდა, იმ სიყვარულზე, რომელმაც მრავალ საუკუნეს გაუძლო. მისი სატრფო მრავალი საუკუნის წინ გარდაცვლილა. ოდესღაც, მაისის ერთ მშვენიერ ღამეს, ერთად სეირნობდნენ, – ის მღეროდა. მაგრამ საუკუნეები ისე გავიდა, როგორც წითელი ასტრების ათინათით მოელვარე ზაფხულის გრძელი დღე. ის წავიდა. სიკვდილის საზარელმა ცელმა მოცელა და მოაშთო ეს უზარმაზარი ბორცვები. როდესაც ეს ქალი თავის გაჭაღარავებულ, ძალზე მოხუც თავს ყინულით დაფარულ მიწაზე დადებდა, ღმერთებს შეევედრებოდა, რომ მეწამული მანანის კონა

დაედოთ აქ, მის საფლავზე, რომელსაც უკანასკნელად ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები მოელამუნებოდნენ. სამყაროს დიდებულების მზე ჩაესვენებოდა.

რიჯენტს-პარკის მეტროსადგურის წინ უძველესი სიმღერა იღვრებოდა. მიწა მწვანედ აბიბინებულ ბალახსა და ყვავილებს დაეფარა. უხეში სიმღერა მოსწყდა მის საზარელ ბაგეებს. ხმა თითქოს მიწის ორმოდან, ტალახიდან, დაძარღვული ფესვებიდან და აბურდული ბალახებიდან მოისმოდა. უძველესი სიმღერა მოსჩქეფდა. ჩუხჩუხით მოუყვებოდა უხსოვარი დროის დაკოჟრილ ფესვებს, ჩონჩხებსა და მიწაში დაფლულ განძს და მერილბონ-როუდის ტროტუარზე ნაკადულად ეშვებოდა, იუსტონისაკენ მიედინებოდა, მიწას ანაყოფიერებდა და გუბეებს ტოვებდა.

იხსენებდა, როგორ სეირნობდა უხსოვარ მაისში თავის სატრფოსთან ერთად. ეს დაჟანგული ტუმბოს მსგავსი, საბრალო ქალი, რომელიც ცალი ხელით მოწყალებას ითხოვდა, მეორე კი მკერდზე მიედო, ათი მილიონი წლის შემდეგაც კი აქ იქნებოდა და იმღერებდა, თუ როგორ სეირნობდა მაისში იმ ადგილას, რომელიც ახლა ზღვას შთაენთქა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ იყო ის. ის მამაკაცი იყო. ო, დიახ, მამაკაცი, რომელსაც ის უყვარდა. მაგრამ მსახვრალმა დრომ გააუფერულა იმ მშვენიერი, უძველესი მაისის მოგონება. ყვავილების ნაირფერადად მოელვარე ფურცლები მოვერცხლისფრო ყინვამ დააზრო. აღარ ახსოვდა, როდის შეევედრა სატრფოს: (ახლა კი გასაგებად ისმოდა მისი ვედრება) „მგზნებარედ ჩამხედე თვალებში შენი მშვენიერი თვალებით...“ უკვე ვეღარ ხედავდა მის თაფლისფერ თვალებს, შავ ულვაშს, ბაკენბარდებსა და გარუჯულ სახეს. მხოლოდ ბუნდოვან სილუეტს, აჩრდილს უმღეროდა ბებრული ხმით. ჩიტივით ჭიკჭიკებდა: „მომეცი ხელი, დამრთე ნება, შენი ხელი ფრთხილად ჩავიკრა გულში (პიტერ უოლშმა თავი ვერ შეიკავა და ტაქსიში ჩაჯდომამდე იმ საბრალო არსებას მონეტა მისცა)“. „დაე, დაგვინახონ, დაე, დაგვინახონ. რა მნიშვნელობა აქვს?“ ქალს ცალი ხელი ისევ მკერდზე მიედო, მეორით შილინგიანი აიღო, ჯიბეში ჩაიდო და გაიღიმა. ყველა ცნობისმოყვარედ და დაჟინებით უცქერდა, თუმცა, მისთვის უკვე აღარავინ არსებობდა. ტროტუარი სავსე იყო საშუალო კლასის გამვლელებით, რომლებიც სწრაფად მიაბიჯებდნენ და ერთმანეთს ეჯახებოდნენ. თაობები ისე უკვალოდ ქრებოდნენ, როგორც ხიდან ჩამოცვენილი, გათელილი, დასველებული, დაწიწკნილი და მარადიული გაზაფხულისაგან ნეშომპალად ქცეული ფოთლები: EE UM FAH UM SO

FOO SWEE TOO EEM OO…

– საბრალო მოხუცი ქალი! ო, საბრალო! – თქვა რეციამ და გადასასვლელთან შეჩერდა.

იქნებ ამ ღამით იწვიმოს? ის ფიქრობდა მამაზე, ან ვინმე ახლობელ ადამიანზე, რომელიც მთელი ცხოვრება მის გვერდით იყო და მის სიხარულს იზიარებდა. ახლა უყურებდა, როგორ იდგა ის ქუჩაში, ხედავდა, სადამდე დაეცა... სად ეძინა ღამღამობით?

ლაღად, მხიარულადაც კი მიიწევდა ჰანგების უჩინარი, უდრეკი ძაფები ზეცისაკენ, იმ კვამლივით, რომელიც ქოხის საკვამურიდან ამოდის, წიფლის

ხეებს ეხვევა და ფოთლებზე ცისფრად ეფინება. „დაე, დაგვინახონ, დაე, დაგვინახონ... რა მნიშვნელობა აქვს?"

*

უკვე რამდენიმე კვირა იყო, რაც რეცია თავს ძალიან უბედურად გრძნობდა. ძალიან მგრძნობიარე გახდა და ყველაფერს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ისიც კი უნდოდა, ქუჩაში მიმავალი ლამაზი, კეთილი ადამიანები გაეჩერებინა და ეთქვა: „მე უბედური ვარ". მაგრამ, როდესაც გაიგონა, როგორ მღეროდა მოხუცი ქალი ქუჩაში: „დაე, დაგვინახონ. დაე, დაგვინახონ. რა მნიშვნელობა აქვს?", რეცია იმედით აღივსო. მიხვდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. ისინი სერ უილიამ ბრედშოუსთან წავიდოდნენ. მისი გვარიც კი სასიამოვნოდ ჟღერდა. ის სეპტიმუსს მალე განკურნავდა. მელუდის ორთვალამ ჩაიარა. ცხენებს კუდზე თივა მისწებებოდათ. აგერ გაზეთებიც გამოუკიდიათ. რა სისულელე იყო! რეციას უბრალოდ, მოეჩვენა, რომ უბედური იყო.

მისტერ და მისის უორენ-სმიტებმა ქუჩა გადაკვეთეს. იქნებ ეს ახალგაზრდა მამაკაცი გამვლელების ყურადღებას იქცევდა? იქნებ ვინმე მიმხვდარიყო, რომ ის ქვეყნიერებას უდიდეს საიდუმლოს გაუმხელდა? ნუთუ ხვდებოდნენ, რომ ყველაზე ბედნიერი და უბედური კაცი იყო ამქვეყნად? ისინი, ალბათ, სხვა გამვლელებზე ნელა მიაბიჯებდნენ. მამაკაცი თითქოს ყოყმანობდა და ფეხს ითრევდა. ეს ხომ ბუნებრივიც იყო. ის კლერკი იყო და მრავალი წელი უესტ-ენდში დღისით არ ყოფილა. ამიტომაც ისე უცქერდა ცას და თვალებს აცეცებდა, რომ თითქოს პორტლენდ-ფლეისი იყო ის მისაღები ოთახი, სადაც დაუკითხავად შევიდა, როდესაც სახლის მეპატრონეები შინ არ იყვნენ. ჭაღები სელის შალითებშია შეხვეული. მოსამსახურე გრძელ ფარდებს სწევს, ოთახში მზის სხივები იჭრება და მიტოვებულ, უცნაურ სავარძლებს მტვრიან ზოლებად დანათის. მოსამსახურე ეუბნება, საოცარი ადგილიაო. ჰო, მართლაც საოცარია, მაგრამ საკმაოდ უცნაური, – ფიქრობს და შეჰყურებს სკამებსა და მაგიდებს.

კლერკის იერი ჰქონდა, მართლაც ბრწყინვალე კლერკის. ყვითელი ფეხსაცმელები ეცვა. ინტელექტუალი ადამიანის ნატიფი ხელები და სუსტი სახე, მოგრძო ცხვირი ჰქონდა. ეტყობოდა, რომ ჭკვიანი ადამიანი იყო. სამაგიეროდ, ტუჩებმა და თვალებმა გასცა: ფართო ტუჩებმა და ჩვეულებრივმა, დიდრონმა, თაფლისფერმა თვალებმა. ვერავინ მიხვდებოდა, როგორი ადამიანი იყო. შეიძლებოდა, პორლიში სახლი და ავტომანქანაც კი ეყიდა, ან სულაც რომელიმე ღარიბულ უბანში, ნაქირავებ ბინაში ამოხდომოდა სული. იმ თვითნასწავლებს ჰგავდა, რომლებიც განათლებას ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნებით იღებენ. საღამოობით, სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ, ლამპის შუქზე კითხულობენ იმ წიგნებს, რომლებიც ცნობილმა მწერლებმა წერილებში ურჩიეს.

ადამიანები ყოველთვის მარტონი არიან. მარტონი არიან საკუთარ საძინებელ ოთახებში, სამსახურში, მწვანედ აბიბინებულ მინდორზე თუ ლონდონის ქუჩებში სეირნობისას. მან გამოცადა მარტოობა. ჯერ კიდევ ბიჭი იყო, როცა სახლიდან გაიქცა, იმიტომ, რომ დედა მუდამ ატყუებდა. სულ ხელდაუბანელი სვამდა ჩაის. ფიქრობდა, რომ სტრაუდში პოეტს მომავალი არ

ჰქონდა. მისი მესაიდუმლე პატარა და იყო. მხოლოდ მას გაუმხილა თავისი ჩანაფიქრი და ლონდონში გაიქცა. მშობლებს სულელური გამოსათხოვარი წერილი დაუტოვა, ისე, როგორც დიდი ადამიანები იქცეოდნენ. ასეთ წერილებს მთელი სამყარო მაშინღა კითხულობდა, როდესაც ამ დიადი ადამიანების მძიმე ცხოვრების ისტორია ცნობილი გახდებოდა.

ლონდონმა უამრავი ახალგაზრდა სმიტი შთანთქა. არც სეპტიმუსსა და სხვა უჩვეულო ქრისტიანული სახელების მქონე ადამიანებს არ ინდობდა. მშობლებს სურდათ, შვილები გამორჩეული ყოფილიყვნენ და განსხვავებულ სახელებს არქმევდნენ. სეპტიმუსი იუსტონ-როუდზე ცხოვრობდა. აქ კვლავ მოხდა რაღაც ცვლილება. ვარდისფერი, ოვალური, მიამიტი სახე ორიოდე წელიწადში დაუსუსტდა, დაეძაბა და მტრული, ცივი იერი მიიღო. რას ეტყოდა ყველაზე ყურადღებიანი და მზრუნველი მეგობარი, ახლა რომ დაენახა? ალბათ, იმას, რასაც იტყოდა ის მებაღე, რომელიც დილით შეაღებდა სათბურის კარს და აყვავებულ ყვავილს დაინახავდა. ის იტყოდა: „გაიფურჩქნა!" გაიფურჩქნა ამაოებით, ქედმაღლობით, პატივმოყვარეობით, იდეალიზმით, ვნებებით, სევდით, მონატრებით, მარტოობით, გამბედაობით თუ სიზარმაცით. ყველა ეს ჩვეულებრივი თესლი ერთმანეთში აირია (იუსტონ-როუდზე, ერთ ოთახში) და სეპტიმუსი მორცხვი გახდა. ენა ებმოდა, ცდილობდა, გამოსწორებულიყო და სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებულიყო. შეუყვარდა მის იზაბელ პოული, რომელიც შექსპირზე ლექციებს კითხულობდა ვატერლოო-როუდზე.

„კიტსს ჰგავს, არა?" – ჰკითხა იზაბელ პოულმა. ფიქრობდა, როგორ აღეძრა სეპტიმუსისათვის „ანტონიუსისა და კლეოპატრას" წაკითხვის სურვილი. წიგნებს, უმნიშვნელო ჩანაწერებს უგზავნიდა და მასში გააღვივა ის ნაპერწკალი, რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ღვივდება ადამიანის სულში. ეს ცეცხლი მის პოულს არ ათბობდა, მაგრამ მთრთოლარე, მოწითალო-მოყვითალო, კაშკაშა, ძალზე ნაზი, ჰაეროვანი, არაამქვეყნიური და ეფემერული შუქით მოსავდა მას, „ანტონიუსსა და კლეოპატრასა" და ვატერლოო-როუდს. სეპტიმუსს ის ლამაზ, დიდებულ, უნაკლო, ბრძენ ქალად მიაჩნდა. ღამღამობით ესიზმრებოდა. ლექსებს უძღვნიდა. ის წითელი კალმით უსწორებდა და ვერც კი ხვდებოდა, რომ მას ეძღვნებოდა სიყვარულით აღსავსე ეს სტროფები. სეპტიმუსმა ზაფხულის ერთ თბილ საღამოს დაინახა, როგორ სეირნობდა მწვანე კაბაში გამოწყობილი მის იზაბელ პოული პარკში. „ის გაიფურჩქნა!" – იტყოდა მებაღე მაშინ, სეპტიმუსის ოთახის კარი რომ შეეღო და დაენახა, როგორ წერდა ის ლექსებს. ნაწერს ასწორებდა, ხევდა, ღამის სამ საათზე დაასრულებდა შედევრის წერას და ქუჩებში დაეხეტებოდა. ეკლესიებს ათვალიერებდა, ერთ დღეს მარხულობდა, მეორე დღეს კი სვამდა. შექსპირის პიესებს, დარვინის ნაშრომებს, „ცივილიზაციის ისტორიასა" და ბერნარდ შოუს წიგნებს გატაცებით ეწაფებოდა და შთანთქავდა.

მისტერ ბრიუერმა თავიდანვე იგრძნო, რომ რაღაც რიგზე არ იყო. ის „სიბლისა და ეროუსმიტის" ხელმძღვანელი იყო და აუქციონერებსა და უძრავი ქონების აგენტებთან უწევდა ურთიერთობა. „რაღაც რიგზე არ არის", – ფიქრობდა მისტერ ბრიუერი. ახალგაზრდა ხელქვეითებს მამასავით თბილად ექცეოდა. სეპტიმუს უორენ-სმიტი ძალზე ნიჭიერ კაცად მიაჩნდა და უწინასწარმეტყველებდა, რომ ათ-თხუთმეტ წელიწადში სეპტიმუსი მის

ადგილს დაიკავებდა და სარკმელთან, ტყავგადაკრულ სავარძელში, საქაღალდეებით სავსე მაგიდასთან დაჯდებოდა. თუკი ჯანმრთელად იქნება, – ფიქრობდა ის, რადგან სეპტიმუსი ძალიან სუსტი და ავადმყოფური იერის კაცი იყო. მისტერ ბრიუერი ურჩევდა, რომ ფეხბურთი ხშირად ეთამაშა. ვახშმად ეპატიჟებოდა. ფიქრობდა, როგორ ეთხოვა მმართველისათვის, რომ სეპტიმუსისათვის ხელფასი მოემატებინა. მაგრამ მოხდა რაღაც, რამაც გეგმა ჩაუშალა. ყველა ახალგაზრდა, ნიჭიერი თანამშრომელი ხელიდან გამოეცალა. ამ საშინელ ომს ვერავინ გაექცეოდა, მისი საზიზღარი, ვერაგი, ცნობისმოყვარე თითები ყველგან აღწევდა. ცერერას თაბაშირის ბიუსტი გატყდა, ნემსიწვერები დაჭკნა, მაზუელ-ჰილში, მის სახლში, მზარეულს ნერვები აღარ ჰყოფნიდა.

სეპტიმუსი ერთ-ერთი პირველი იყო მათ შორის, ვინც ომში მოხალისედ წავიდა. საფრანგეთში იბრძოდა იმ ინგლისის გადასარჩენად, რომლის განსახიერებაც შექსპირის პიესები და მწვანეკაბიანი, პარკში მოსეირნე მის იზაბელ პოული იყო. სეპტიმუსი ომში, სანგრებში გაიწვრთნა. უფრო მამაკაცური გახდა. ასრულდა სურვილი მისტერ ბრიუერისა, რომელიც სეპტიმუსს ფეხბურთის ხშირად თამაშს ურჩევდა. სეპტიმუსი მალე დააწინაურეს. ყველას პატივისცემა, ყურადღება და თავისი ოფიცრის, ევანსის სიყვარულიც კი დაიმსახურა. ისინი ბუხრის წინ, ხალიჩაზე მოთამაშე ორ ძაღლს ჰგავდნენ. ერთი ქაღალდის ნაგლეჯს დააგორებს, იღრინება, წკმუტუნებს და მეორე უფროს ძაღლს ყურზე ნაზად ჰკბენს. ის კი თვლემამორეული წევს და ცეცხლზე თვალებს ახამხამებს, თათს სწევს და სიამოვნებისაგან წკმუტუნებს. მუდამ ერთად იყვნენ, ერთმანეთს აზრებს უზიარებდნენ, კამათობდნენ, ჩხუბობდნენ და ისევ შერიგდებოდნენ. როდესაც ევანსი (რეციამ ევანსი ერთადერთხელ ნახა და თქვა, „რა მშვიდი მამაკაცი ჩანს". ის ძლიერი, უდრეკი, ჟღალთმიანი, ქალებთან მორცხვი მამაკაცი იყო) ომის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე დაიღუპა, სეპტიმუსი იტალიაში იყო. რატომღაც დაღუპულ მეგობარზე დიდად არ უდარდია. პირიქით, საკუთარ თავს ულოცავდა, უხაროდა, რომ ასე გონივრულად მოიქცა და ნერვებს არ აჰყვა. ვერაფერს გრძნობდა. ომმა ბევრი რამ ასწავლა. ეს დიდებული რამ იყო. მან ყველაფერი გამოცადა: უდიდესი მეგობრობა, ომი, მის თვალწინ უამრავი ადამიანი დაიღუპა. ის დააწინაურეს. ჯერ ოცდაათი წელიც კი არ შესრულებოდა. სიკვდილი ჯერ ადრე იყო. გადაწყვეტილი ჰქონდა, ცხოვრება გაეგრძელებინა. მართალიც იყო. უკანასკნელი ჭურვები ასცდა. სრულიად გულგრილად შეხედა, როგორ აფეთქდა ისინი. როცა მშვიდობა დამყარდა, ის მილანში, სასტუმროს მეპატრონის სახლში ცხოვრობდა. სახლი ბაღსა და ყვავილებიან ქოთნებში ჩაფლულიყო. მაგიდები ბაღში, ღია ცის ქვეშ დაედგათ. გოგონები ქუდებს კერავდნენ. სეპტიმუსი ერთ საღამოს საშინელმა შიშმა შეიპყრო (იმიტომ, რომ უგრძნობი ადამიანი იყო) და უმცროს ქალიშვილს, ლუკრეციას ხელი სთხოვა.

ომი დასრულდა, დაზავდნენ, დაღუპულები დამარხეს, მაგრამ სეპტიმუსს, განსაკუთრებით საღამოობით მაინც, საშინელი შიში იპყრობდა. ის უგრძნობი იყო. აღებდა იმ ოთახის კარს, სადაც იტალიელი გოგონები ქუდებს კერავდნენ. მათ უსმენდა და უცქერდა. ისინი ლამბაქებზე დაწყობილ ფერად მძივებს ასხამდნენ და მიტკალს ათასნაირ ფორმას აძლევდნენ. მაგიდა სავსე იყო ბუმბულით, ფერადი მოსართავებით, აბრეშუმის ნაჭრებით, ბაფთებითა და ლენტებით. ისმოდა მაკრატლების კაკუნი, მაგრამ სეპტიმუსს რაღაც

აკლდა. ის უგრძნობი იყო. მაკრატლების კაკუნი, გოგონების სიცილი და შეკერილი ქუდები სეპტიმუსს იცავდა. თავს ისე უსაფრთხოდ გრძნობდა, თითქოს თავშესაფარში იყო. მაგრამ აქ მთელი ღამე ვერ დარჩებოდა. გათენებამდე ეღვიძებოდა და ეჩვენებოდა, რომ მისი საწოლი უფსკრულში იჩეხებოდა. თავადაც უფსკრულისაკენ მიექანებოდა. ო! სად იყო მაკრატლები, ლამპა, მიტკალი? სეპტიმუსმა ხელი სთხოვა მხიარულ, უმცროს ქალიშვილს, თავქარიან ლუკრეციას. მას ნამდვილი ოსტატის თითები ჰქონდა. თითებს მაღლა სწევდა და ამბობდა: „აი, ეს თითები აკეთებენ ყველაფერს". თითქოს აბრეშუმსა და ბუმბულს სულს შთაბერავდა.

– ქუდი ყველაზე მნიშვნელოვანია, – ამბობდა ლუკრეცია, როდესაც ის და სეპტიმუსი ქუჩაში დასეირნობდნენ. ქუდიან ხალხს დაკვირვებით აცქერდებოდა. ქალის მოსასხამს, კაბას უყურებდა. აკვირდებოდა, როგორ ეჭირა ქალს თავი. ცუდად ჩაცმულ თუ ძალზე გადაპრანჭულ ქალებს კიცხავდა, მაგრამ არა უმოწყალოდ. ხელს მოუთმენლად აიქნევდა. იმ მხატვარს ჰგავდა, რომელიც ტილოდან შლიდა მყვირალა, თვალში საცემ, გულუბრყვილო, თუმცა, ყალბ მონახაზს. გულკეთილად, თავაზიანად მიესალმებოდა პატარა გამყიდველ გოგონას, რომელსაც უბრალო თავსაფარი მოხდენილად დაეხურა (თუმცა, კრიტიკულ შენიშვნებს მაინც არ დაიშურებდა). აღფრთოვანებითა და მცოდნე ადამიანის იერით ხოტბას ასხამდა ფრანგი ქალის სილამაზეს, რომელიც ეტლიდან შინშილის ბეწვით, მოსასხამითა და მარგალიტის ყელსაბამით გადმოდიოდა.

– რა ლამაზია! – ჩურჩულით იტყოდა და სეპტიმუსს იდაყვს მსუბუქად გაჰკრავდა. სეპტიმუსს ეს უნდა დაენახა. მქრქალი მინის მიღმა სილამაზე იყო. სეპტიმუსს ტკბილეულის ჭამაც კი არ სიამოვნებდა (რეციას ნაყინი, შოკოლადი და ტკბილეული ძალიან უყვარდა). სეპტიმუსი ფინჯანს მარმარილოს პატარა მაგიდაზე დადებდა და ქუჩაში მიმავალ ხალხს აცქერდებოდა. ბედნიერები ჩანდნენ. ყვიროდნენ, იცინოდნენ, უმიზეზოდ კინკლაობდნენ. სეპტიმუსი ვერაფერს გრძნობდა. კაფეში, მაგიდებსა და ყბედ მიმტანებს შორის იჯდა და საშინელი შიში იპყრობდა: ის უგრძნობი იყო. აზროვნება და კითხვა შეეძლო. დანტეს თავისუფლად კითხულობდა („სეპტიმუს, ეს წიგნი მაგიდაზე დადე!" – ეუბნებოდა რეცია და დანტეს „ჯოჯოხეთს" ნაზად დაუხურავდა). მას ანგარიშიც შეეძლო, მაგრამ ყველაფერს მექანიკურად აკეთებდა. მისი ტვინი ჩინებულად მუშაობდა. ალბათ, მთელი სამყაროს ბრალი იყო, რომ სეპტიმუსი უგრძნობი იყო.

– ინგლისელები საშინლად სიტყვაძუნწები არიან! – თქვა რეციამ და დასძინა, რომ ეს მოსწონდა კიდეც. ინგლისელებს პატივს სცემდა. როცა იტალიაში იყო, ოცნებობდა, ლონდონში წასულიყო და საკუთარი თვალით ენახა ინგლისური ცხენები და ცნობილ მკერავებთან შეკერილი კოსტიუმები. სოჰოში გათხოვილმა დეიდამ უთხრა, ლონდონში ბრწყინვალე მაღაზიებიაო.

შეიძლება, – ფიქრობდა სეპტიმუსი, როდესაც ნიუჰავენიდან წამოვიდნენ, და მატარებლის ფანჯრიდან ინგლისს გასცქეროდა, – იქნებ სამყარომ აზრი დაკარგა?

სამსახურში მალე დააწინაურეს და საპასუხისმგებლო თანამდებობა უბოძეს. მისით ამაყობდნენ. , – თქვენ ვალი მოიხადეთ. ახლა ჩვენ ვალდებული

ვართ... – დაიწყო მისტერ ბრიუერმა, მაგრამ იმდენად საამური გრძნობები შემოაწვა, რომ აღელვებისაგან ხმა ჩაუწყდა. ის და ლუკრეცია ტოტენჰემ-ქორთ-როუდზე, მშვენიერ ბინაში გადავიდნენ.

იქ ისევ გადაშალა შექსპირის წიგნები. სიჭაბუკეში აღტყინებით წერდა პათეტიკურ ფრაზებს, თავბრუს ახვევდა მაღალფარდოვანი სიტყვები, გატაცებით კითხულობდა „ანტონიუსსა და კლეოპატრას", მაგრამ ახლა ვეღარაფერს გრძნობდა. ყველაფერი გამქრალიყო. როგორ ეზიზღებოდა შექსპირს ადამიანთა მოდგმა, რომელიც ათასგვარი ტანსაცმლით იკაზმება და მრავლდება. მას სძულდა მათი ბიწიერება და მუცელღმერთობა. სეპტიმუსი ლამაზი სიტყვების იდუმალ აზრს ჩასწვდა: თაობიდან თაობას ფარულად გადაეცემოდა სიძულვილი, ზიზღი და სასოწარკვეთა. დანტეც ასე მოიქცა. ესქილეც (ეს თარგმანებშიც კი იგრძნობოდა). რეცია კი მაგიდასთან იჯდა და მისის ფილმერის მეგობრებისათვის ქუდებს საათების განმავლობაში კერავდა. ფერმკრთალი და იდუმალებით მოცული იყო, ისე, როგორც წყალში ჩაძირული შროშანი.

– რა საშინლად სერიოზულები არიან ეს ინგლისელები! – ამბობდა რეცია, სეპტიმუსს გულში იკრავდა და ლოყაზე ლოყას ადებდა.

შექსპირს ქალისა და მამაკაცის სიყვარული ზიზღს ჰგვრიდა. ინტიმური აქტი მუდამ გარყვნილებად მიაჩნდა, რეციას კი შვილი მთელი გულით სურდა. უკვე ხომ ხუთი წელი იყო, რაც დაქორწინდნენ.

ტაუერი და ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმი დაათვალიერეს. ბრბოს შეერივნენ და უცდიდნენ, როდის გახსნიდა მეფე პარლამენტს. რეცია ქუდების, ტანსაცმლის მაღაზიებსა და ვიტრინებში გამოფენილ ტყავის ჩანთებს თვალს ვერ სწყვეტდა. მას ვაჟიშვილი სურდა.

რეციას უნდოდა, მათი შვილი სეპტიმუსს დამსგავსებოდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მისთანა ადამიანი ამქვეყნად არ დაიბადებოდა. სეპტიმუსი ხომ ასეთი ხალასი, სერიოზული და ჭკვიანი იყო. მასაც ხომ არ წაეკითხა შექსპირი? ხომ არ გაუჭირდებოდა?

ასეთ სამყაროში შვილების გაჩენა არ ღირს. ეს ტანჯვა აღარ უნდა გაგრძელდეს. ადამიანები, ეს ავხორცი, ახირებული, ქედმაღალი არსებები, უწმინდური ცხოველები, რომლებსაც დიადი გრძნობები და ემოციები არ გააჩნიათ, აღარ უნდა გამრავლდნენ. ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მდაბალი ზრახვები აისრულონ და მსწრაფლწარმავალი ნეტარება როგორმე გაიხანგრძლივონ.

ის უყურებდა, როგორ ამოძრავებდა რეცია მაკრატელს და კერავდა. სეპტიმუსი განძრევასაც ვერ ბედავდა. თითქოს რეცია ჰგავდა ჩიტს, რომელიც მინდორში დახტოდა. სეპტიმუსი თითის განძრევასაც კი ვერ ბედავდა. სიმართლე ისაა, რომ (ღმერთმა ქნას, ეს რეციამ ვერასოდეს გაიგოს) ადამიანებს არც გული შერჩენიათ, არც სიკეთე, არც რწმენა. არ იციან, რა არის ქველმოქმედება. მხოლოდ წუთიერ სიამოვნებაზე ფიქრობენ. ჯოგურად ნადირობენ, უდაბნოს ქვიშაზე კვალს ტოვებენ და ყვირილით ინთქმებიან უდაბნოში. დაცემულებს მარტო ტოვებენ. მუდამ ამაზრზენი ნიღბები უკეთიათ. მატყუარები არიან. მაგალითად, მისტერ ბრიუერს გასანთლული

ულვაში აქვს, თეთრ ჰალსტუხზე მარჯნის ქინძისთავი უკეთია და საამური გრძნობები ეძალება, თუმცა, მასში უსახური სიცივე და წებოვანება სუფევს. ომის დროს სახლის წინ ნემსიწვერები დაუჭკნა. მის მზარეულს ნერვები აღარ ჰყოფნიდა. პატარა, უხამსი ამელია, რომელიც ყველას გესლიანად დასცინოდა, ხუთ საათზე ჩაის ფინჯნებს ჩამოატარებდა ხოლმე. ტომებსა და ბერტებს, რომლებიც გახამებულ პიჯაკებში გამოწყობილიყვნენ, თითქოს ბიწიერება ოფლად სდიოდათ. არასოდეს დაუნახავთ, როგორ ხატავდა მათ სეპტიმუსი თავის წიგნაკში, როდესაც ისინი ანცობდნენ. ქუჩაში მანქანები გუგუნით დადიოდნენ. პლაკატებიდან სისასტიკე თავზარდამცემი კივილით მოედინებოდა. მამაკაცები ნაღმებზე ფეთქდებოდნენ, ქალებს ცოცხლად წვავდნენ. ერთხელ ტოტენჰემ-ქორთ-როუდზე გიჟები გამოიყვანეს. ალბათ, ხალხის გახალისება უნდოდათ (მართლაც ყველა იცინოდა). შეშლილები ბოლთას სცემდნენ, თავებს აქნევდნენ და კბილებს აჩენდნენ. თითქოს დანაშაულის შეგრძნება არ ასვენებდათ, მაგრამ მაინც საზეიმო იერით უჩვენებდნენ ყველას, თუ რაოდენ უიმედო, ტკივილითა და ტანჯვა-წამებით აღსავსე ცხოვრება ჰქონდათ. ნუთუ სეპტიმუსიც გაგიჟდებოდა?

როცა ჩაის სვამდნენ, რეციამ თქვა, რომ მისის ფილმერის ქალიშვილი უკვე ბავშვს ელოდებოდა, ის კი უშვილოდ ვეღარ იცხოვრებდა! ძალიან მარტოსული და უბედური იყო. ქორწილის შემდეგ პირველად იტირა. შორიდან, ძალიან შორიდან, მაგრამ გარკვევით ესმოდა სეპტიმუსს მისი ქვითინი, რომელიც დგუშის ხმას შეადარა, მაგრამ ის ვერაფერს გრძნობდა.

მისი ცოლი ტიროდა, ის კი ვერაფერს გრძნობდა. უსმენდა, როგორ ჩუმად, მწარედ და სასოწარკვეთით ქვითინებდა და ეჩვენებოდა, თითქოს ბნელ მაღაროში იძირებოდა.

მელოდრამატული ჟესტით, მექანიკურად, თავი ხელებში ჩარგო, მაგრამ მიხვდა, რომ ესეც არაგულწრფელად და ხელოვნურად გამოუვიდა. ის დანებდა. ხვდებოდა, რომ სხვების დახმარება სჭირდებოდა. მის წასაყვანად ვინმე უნდა მოსულიყო. ის დანებდა.

სეპტიმუსს ვერაფერი შველოდა. სეპტიმუსს რეციასი არ ესმოდა, არ პასუხობდა. მან ის საწოლში ჩააწვინა და ექიმთან მოსამსახურე გაგზავნა. ექიმმა ჰოლმსმა ხომ მისის ფილმერი განკურნა. ექიმმა სეპტიმუსი გასინჯა და თქვა, რომ სერიოზული არაფერი სჭირდა. ო, როგორი შვება იგრძნო რეციამ! რა ბედნიერებაა! „როგორი კარგი და კეთილი კაცია ჰოლმსი!" – ფიქრობდა ის. ექიმმა ჰოლმსმა თქვა, როცა თავს ცუდად ვგრძნობ, მიუზიკ-ჰოლში მივდივარო. ცოლთან ერთად ერთი დღით ისვენებდა და გოლფს თამაშობდა. სეპტიმუსს დაწოლამდე ჭიქა წყალში გახსნილი ბრომიდი უნდა დაელია. რატომაც არა? „ბლუმსბერის ამ ძველ სახლების კედლებს, – თქვა ექიმმა და კედელზე დააკაკუნა, – შესანიშნავი პანელები აქვს, სულელი ხალხი კი მათ შპალერით ფარავს. გუშინ ბედფორდ-სკვერზე ერთი პაციენტი მოვინახულე და..."

მას არავინ შეიბრალებდა. სერიოზული არაფერი სჭირდა. მაგრამ მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა და ადამიანურმა ბუნებამ სიკვდილი მიუსაჯა. ეს ცოდვა უგრძნობლობა იყო: სეპტიმუსს ევანსის სიკვდილი არ განუცდია. ეს უდიდესი საშინელება იყო. მისი ყველა ცოდვა და დანაშაული

განთიადისას მის საწოლთან დგებოდა, თავს წამოყოფდა, თითს უქნევდა და დასცინოდა უძრავად გაშოტილ სხეულს, რომელიც თავის დაცემას უდრტვინველად ეგუებოდა და ხვდებოდა, რომ დანაშაულს ვეღარ გამოისყიდდა. ცოლი უსიყვარულოდ შეირთო, მოატყუა. მის იზაბელ პოულს გული ძალიან ატკინა. იმდენად ბიწიერი იყო, რომ როდესაც ქალები ხედავდნენ, კანკალი უვლიდათ. ამ საბრალო კაცს ადამიანურმა ბუნებამ სიკვდილი მიუსაჯა.

ექიმი ჰოლმსი ისევ მოვიდა. ძვალმსხვილი, წარმოსადეგი იყო და ჯანმრთელი იერი ჰქონდა. ჩექმა გაიწმინდა და სარკეში ჩაიხედა. „თავის ტკივილი, უძილობა, შიში, ცუდი სიზმრები არაფერია, ჩვეულებრივი ნერვიული დაძაბულობა აქვს და მეტი არაფერი, – თქვა მან. ექიმი სამოცდაცამეტ კილოგრამს იწონიდა, მაგრამ როდესაც ოდნავ დასუსტდებოდა, ცოლს სთხოვდა, საუზმეზე დამატებით ერთი თეფში შვრიის ფაფა მომიმზადეო (რეციასაც უნდა ესწავლა შვრიის ფაფის მომზადება), – მაგრამ, – განაგრძო მან, – ჯანმრთელობა დიდწილად ჩვენს ხელშია. ეცადეთ, ხშირად იხალისოთ. დაკავდით რაიმე საქმით. გქონდეთ ჰობი, – მან შექსპირის „ანტონიუსი და კლეოპატრა" გადაშალა, – დიახ, ჰობი", – განაგრძო მან. ექიმი ჰოლმსიც ისევე თავდადებულად შრომობდა, როგორც სხვა ლონდონელები, მაგრამ მაინც შესაშური ჯანმრთელობა ჰქონდა, იქნებ იმიტომ, რომ შეეძლო პაციენტის არსებობის გადავიწყება და ძველებური ავეჯის ცქერით დატკბობა? ახლაც უნდოდა, ლუკრეციასათვის ეთქვა, თმაში მშვენიერი სავარცხელი გაქვთო!

როდესაც ეს წყეული ბრიყვი მოვიდა, სეპტიმუსმა მისი ნახვა არ მოინდომა. „მართლა?" – ჰკითხა რეციას თავაზიანი ღიმილით და იძულებული გახდა, ამ პატარა, ლამაზი ქალისათვის ძალზე თავაზიანად, მსუბუქად ეკრა ხელი, რომ სეპტიმუსის ოთახში შეეღწია.

– რაო, ისევ გეშინიათ? – ჰკითხა თავაზიანად და ავადმყოფის გვერდით ჩამოჯდა. მან ხომ ცოლს უთხრა, თავს მოვიკლავო? ის ხომ ჯერ კიდევ გოგონა იყო. უცხოელი იყო, არა? ხომ იფიქრებდა, რომ ყველა ინგლისელი კაცი ასეთი იყო? ნუთუ სეპტიმუსი სულ არ უფრთხილდებოდა? ნუთუ ცოლქმრულ მოვალეობას არ ასრულებდა? რატომ იწვა სეპტიმუსი ასე? ხომ არ ჯობდა, ამდგარიყო და რამე გაეკეთებინა? ექიმი ჰოლმსი ორმოცდაათი წელი იყო, რაც ექიმად მუშაობდა და სეპტიმუსს შეეძლო, თვალდახუჭული ნდობოდა: სეპტიმუსს სერიოზული არაფერი სჭირდა! ექიმ ჰოლმსს იმედი ჰქონდა, რომ როდესაც რამდენიმე დღეში სეპტიმუსს ისევ ინახულებდა, ის საწოლში აღარ იწვებოდა და თავის ძვირფას მეუღლეს აღარ ანერვიულებდა.

ადამიანურმა ბუნებამ გაიმარჯვა. ეს უწმინდური, უსახური ცხოველი, რომელსაც დრუნჩი სისხლით მოეთხვარა, გამარჯვებას ზეიმობდა. ჰოლმსი ყოველდღე მოდიოდა მის სანახავად. „თუკი შეცდომას დაუშვებთ, ადამიანური ბუნება დაგსჯით", – მიაწერა მან ბარათზე. ჰოლმსმა მასზე გაიმარჯვა. მათი ერთადერთი გამოსავალი გაქცევა იყო. მთავარი იყო, ჰოლმსს მათთვის ვერ მიეგნო. იტალიაში ან სადმე სხვაგან უნდა გაქცეულიყვნენ.

რეციას მისი არ ესმოდა. ექიმი ჰოლმსი ხომ ძალიან კეთილი კაცი იყო. თავადაც უთხრა რეციას, რომ მხოლოდ მათი დახმარება სურდა. ოთხი შვილი ჰყავდა და რეცია ჩაიზეც კი დაპატიჟა.

სეპტიმუსი ყველამ მიატოვა. ქვეყნიერება ღაღადებდა: „თავი მოიკალი, თავი მოიკალი ჩვენი გულისათვის!" რატომ უნდა დაესრულებინა სიცოცხლე თვითმკვლელობით მათი გულისათვის? გემრიელი საჭმელი ჰქონდა, მზე ანათებდა. მაინც როგორ უნდა მოეკლა თავი? დანით? ეს ამაზრზენი იქნებოდა. ოთახში სისხლის მდინარე დადგებოდა. იქნებ თავი გაზით გაეგუდა? არა, ამის ძალა აღარ შესწევდა. ხელის აწევაც კი აღარ შეეძლო. სრულიად მარტო იყო. სიკვდილმისჯილი და ეულად შთენილი, ისევე როგორც ყველა მოკვდავი. ყოველივე ეს ერთგვარი ფუფუნება იყო, ის დიდებულება, სრული სიმარტოვე და თავისუფლება, რომელსაც სულით მონები ვერ განიცდიდნენ. ჰოლმსმა, იმ დრუნჩსისხლიანმა, უწმინდურმა ცხოველმა გაიმარჯვა, მაგრამ ჰოლმსიც კი ვერ იპოვიდა სამყაროს დასალიერში დარჩენილ ამ ცხედარს, დევნილს, რომელიც დაჟინებით უცქერდა უკაცურ ქვეყნიერებას, იმ დაღუპულ მეზღვაურს, რომელიც სამყაროს ნაპირზე გაერიყათ ტალღებს.

სწორედ ახლა გაუნათდა გონება. ჩვენება ნახა (რეცია რაღაცის საყიდლად იყო წასული). კედლის მიღმა ვიღაცის ხმა გაისმა. ეს ევანსი იყო. სხვა გარდაცვლილებიც მასთან ერთად იყვნენ!

– ევანს, ევანს! – დაიყვირა მან.

მოახლე აგნესმა სამზარეულოში მყოფ მისის ფილმერს დაუყვირა: – მისტერ სმიტი თავისთვის ლაპარაკობს!

– ევანს! ევანს! – ყვიროდა სეპტიმუსი, როდესაც აგნესი მის ოთახში ლანგრით შევიდა. სულ აკანკალდა, ოთახიდან გავარდა და კიბე კისრისტეხით ჩაირბინა.

რეცია ოთახში შემოვიდა, ყვავილები იმ ლარნაკში ჩააწყო, რომელსაც მზის სხივები დასთამაშებდა. სხივებმა მთელ ოთახში ცეკვა და სიცილი დაიწყეს. ეს ყვავილები ქუჩაში ერთი საბრალო, ღარიბი კაცისაგან ვიყიდე, მაგრამ თითქმის სულ დამჭკნარია, – ეუბნებოდა რეცია ქმარს და ვარდებს ასწორებდა.

ესე იგი, ქუჩაში ვიღაც კაცი ყოფილა. შეიძლება, ევანსი მოვიდა. ალბათ, ეს ნახევრად დამჭკნარი ყვავილები საბერძნეთის მდელოებზე დაკრიფა. „ურთიერთობა ჯანმრთელობაა. ურთიერთობა ბედნიერებაა", – ჩურჩულებდა ის.

– რას ამბობ? – ჰკითხა რეციამ. ძალიან შეეშინდა, რადგან სეპტიმუსი თავისთვის ლაპარაკობდა.

რეციამ აგნესი ექიმ ჰოლმსის მოსაყვანად გაგზავნა და უთხრა: – ჩქარა, ჩქარა, გაიქეცი. ჩემი ქმარი გაგიჟდა. მეც კი ვეღარ მცნობს.

– წყეულო ცხოველო, წყეულო ცხოველო! – შეჰყვირა სეპტიმუსმა, როდესაც მის ოთახში ადამიანური ბუნება, უფრო სწორად, ექიმი ჰოლმსი შემოვიდა.

– რა მოგივიდათ? – ჰკითხა ექიმმა ძალზე თავაზიანად, – სისულელეებს გაიძახით და ცოლს აშინებთ?

ის მას ძილის წამალს დაალევინებდა. თუ მდიდრები არიან (ოთახს თვალი ირონიულად მოავლო), მაშინ ჰარლი-სტრიტზე უნდა წავიდნენ, თუ, რა თქმა უნდა, მას აღარ ენდობიან, – თქვა არცთუ თავაზიანად.

*

ზუსტად თორმეტი საათი იყო. ბიგ-ბენის მელოდიური ხმა ლონდონის ჩრდილოეთით იღვრებოდა და სხვა საათების ხმას ერწყმოდა. ნაზად, ჰაეროვნად ერწყმოდა ღრუბლებსა და ნისლის ფთილებს და თოლიების ფრთების ტლაშუნში იკარგებოდა. თორმეტი საათი იყო, როდესაც კლარისა დოლოვეიმ თავისი მწვანე კაბა საწოლზე დადო. უორენ-სმიტები კი ჰარლი-სტრიტს მიუყვებოდნენ. მათ ზუსტად თორმეტ საათზე ჰქონდათ შეხვედრა დანიშნული. ალბათ, – გაიფიქრა რეციამ, – ეს სერ უილიამ ბრედშოუს სახლია. ეს, ალბათ, მისი ნაცრისფერი მანქანაა (ტყვიის ციფერბლატი თითქოს ჰაერში დნებოდა).

ეს მართლაც სერ უილიამ ბრედშოუს მანქანა იყო. დაბალი, ძლიერი, ნაცრისფერი მანქანა იყო და უბრალო ინიციალები ჰქონდა. ბრედშოუს, ამ სულის მკურნალს, მისანს, მოჩვენებას, უდიდეს ქურუმსა და მეცნიერს, დიდებული ჰერალდიკური ემბლემები არ შეეფერებოდა. ნაცრისფერი მანქანა ეხამებოდა ამ შემპარავ თავდაჭერილობას, ნაცრისფერ ბეწვეულს, მოვერცხლისფრო-მორუხო პლედებს, რომლებიც მანქანის სავარძლებზე ეწყო, რათა ბრწყინვალე ქალბატონს არ შესცივებოდა. სერ უილიამი ხშირად ლონდონიდან სამოცი მილით დაშორებულ სოფლებშიც კი დადიოდა იმ მდიდარი ტანჯულების მოსანახულებლად, რომლებსაც შეეძლოთ, მისთვის კარგად გადაეხადათ. სერ უილიამი ძალზე დიდ გასამრჯელოს ითხოვდა (სავსებით სამართლიანადაც). ბრწყინვალე მეუღლე სერ უილიამს ერთი საათი (ან უფრო დიდხანსაც კი) ელოდებოდა, მუხლებზე პლედს გადაიფარებდა, სავარძელზე გადაწვებოდა და ხან ავადმყოფზე, ხან იმ ოქროს კედელზე ფიქრობდა, რომელიც უფრო და უფრო იზრდებოდა და მათ ყოველგვარი შიშის, მღელვარების, დარდისა და უსიამოვნებისაგან იცავდა (თუმცა, მან ღირსეულად გაუძლო გაჭირვებას. მასა და მის ქმარსაც მოუწიათ ბრძოლამ). გრძნობდა, რომ მშვიდი ოკეანის ტალღებზე ირწეოდა და სურნელოვან ნიავს ისუნთქავდა. პატივს სცემდნენ, აღმერთებდნენ, მისი შურდათ. სანატრელი თითქმის აღარაფერი დარჩენოდა. მხოლოდ იმას ნანობდა, რომ ძველებურად ლამაზი სხეული აღარ ჰქონდა. ხუთშაბათობით სერ უილიამ ბრედშოუს თანამშრომლებისათვის დიდებულ წვეულებებს მართავდნენ. საქველმოქმედო ბაზრობებზე დადიოდა, სამეფო კარის წევრებს ესალმებოდა. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა დროს ატარებდა თავის ქმართან, რომელიც დღედაღამ მუშაობდა. ვაჟიშვილი იტონში ბრწყინვალედ სწავლობდა. ქალიშვილიც სურდა. თუმცა, ცხადია, თავადაც დაკავებული იყო. ბავშვთა თავშესაფარში მუშაობდა, ეპილეფსიით დაავადებულებზე ზრუნავდა და ფოტოგრაფიაც ძალიან უყვარდა. როდესაც გაიგებდა, რომ რომელიმე ეკლესია დანგრევის

პირას იყო ან აშენებდნენ, დარაჯს მოქრთამავდა, ეკლესიის გასაღებს გამოართმევდა და ისეთ ფოტოებს იღებდა, რომ ოსტატის ნახელავისაგან ვერ გაარჩევდით. ის მანქანაში იჯდა და ქმარს ელოდა.

სერ უილიამ ბრედშოუ ახალგაზრდა აღარ იყო. მთელი ცხოვრება მუშაობდა. ყველაფერს თავისი ნიჭით მიაღწია (მაღაზიის მეპატრონის ვაჟი იყო). თავის საქმეს აღმერთებდა. ცერემონიებზე ძალიან წარმოსადეგი იერი ჰქონდა. მოხდენილად ლაპარაკობდა. სერის ტიტულიც უბოძეს. დაღლილი, მძიმე მზერა ჰქონდა (უამრავი პაციენტი ჰყავდა. ეს დამღლელი პროფესია უამრავ უფლებას ანიჭებდა, თუმცა, დამღლელ მოვალეობებსაც აკისრებდა). დაღლილი სახე და შევერცხლილი თმა მართლაც გამორჩეულ, დიდებულ იერს ანიჭებდა. ამ ყველაფრის წყალობით უზადო რეპუტაცია ჰქონდა (თვლიდნენ, რომ მასავით ნერვულ დაავადებებს ვერავინ განკურნავდა). ბრწყინვალე ექიმის სახელი ჰქონდა. ყოველთვის უტყუარ დიაგნოზს სვამდა. გარდა ამისა, პაციენტებს მუდამ თავაზიანად ეპყრობოდა. ტაქტით გამოირჩეოდა. ადამიანის სულს ჩინებულად იცნობდა. როდესაც ისინი მის კაბინეტში შევიდნენ (ისინი უორენ-სმიტები იყვნენ), მან ახალგაზრდა მამაკაცს შეხედა და მაშინვე მიხვდა, რომ ძალიან, ძალიან მძიმედ ავად იყო. მას მწვავე ნერვიული აშლილობა ჰქონდა და ფიზიკურად დაუძლურებული იყო. დაავადება უკვე გამწვავებული ჰქონდა. დიაგნოზი სამიოდე წუთში დაუსვა (ვარდისფერი ფურცელი მოიმარჯვა და პაციენტის პასუხების ჩაწერა დაიწყო. ის ჩურჩულით პასუხობდა).

რა ხანია იყო, რაც ექიმი ჰოლმსი მკურნალობს?

ექვსი თვე.

ცოტაოდენი დამამშვიდებლის დალევა ურჩია? უთხრა, რომ სერიოზული არაფერი სჭირდა? („ო, ეს თერაპევტები!" – გაიფიქრა სერ უილიამმა. მუდამ მათი შეცდომების გამოსწორებას უნდებოდა. ზოგი გამოუსწორებელ შეცდომასაც კი უშვებდა).

– ომში თავი ისახელეთ?

– ომი... – გაიმეორა მან და ცნობისმოყვარედ შეხედა.

ის სიტყვებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს სერიოზული სიმპტომი იყო და უნდა ჩაენიშნა.

– ომი? – გაიმეორა სეპტიმუსმა.

– ომი? – ჰკითხა პაციენტმა. მსოფლიო ომი. ეს დენთით მოთამაშე ბიჭების კინკლაობას უფრო ჰგავდა. თავი ისახელა თუ არა? არც კი ახსოვდა. ომშიც კი ხელი მოეცარა.

– დიახ. თავი ისახელა. დააწინაურეს, – მიუგო ლუკრეციამ ექიმს დარწმუნებით.

– სამსახურში გაფასებენ? მოწიწებით გეპყრობიან? – ჩურჩულით ჰკითხა სერ უილიამმა და დახედა წერილს, რომელშიც მისტერ ბრიუერი სეპტიმუსს ხოტბას ასხამდა, – სადარდებელი არაფერი გაქვთ? შეძლებულად ცხოვრობთ?

მან საშინელი დანაშაული ჩაიდინა და ადამიანურმა ბუნებამ სიკვდილი მიუსაჯა.

– მე... მე... – დაიწყო მან ენის ბორძიკით, – მე... დანაშაული ჩავიდინე...

– მას არაფერი დაუშავებია! – უთხრა რეციამ ექიმს დარწმუნებით. სერ უილიამმა თქვა, რომ თუ მისტერ სმიტი აქ დაიცდიდა, მისის უორენ-სმიტს მეზობელ ოთახში გაიყვანდა და დაელაპარაკებოდა. სერ უილიამმა რეციას უთხრა, რომ მისი ქმარი ძალიან ავად იყო. თვითმკვლელობითაც ხომ იმუქრებოდა?

– ო, დიახ, დიახ! მაგრამ ალბათ, ეს უბრალოდ თქვა! – შეჰყვირა რეციამ. რა თქმა უნდა. ახლა სეპტიმუსმა უნდა დაისვენოს. დასვენება, დასვენება და მხოლოდ დასვენება. საწოლში უნდა ჩაწვეს. ქალაქგარეთ ძალიან კარგი საავადმყოფოა, სადაც მასზე კარგად იზრუნებენ, – თქვა სერ უილიამმა. ნუთუ სეპტიმუსი მისგან უნდა წაეყვანათ? ნუთუ მე არ ვიქნები სეპტიმუსის გვერდით? – ჰკითხა რეციამ. სამწუხაროდ, არა, რადგან ჩვენს საყვარელ ადამიანებს ავადმყოფობის ჟამს ჩვენთვის კარგის გაკეთება არ შეუძლიათ. ნუთუ სეპტიმუსი გაგიჟდა? სერ უილიამმა უთხრა, რომ ამ სიტყვას არასოდეს ამბობდა. მიაჩნდა, რომ ეს ზომიერებას მოკლებული საქციელი იყო. მის ქმარს ექიმები არ უყვარდა და საავადმყოფოში არ დაწვებოდა. ექიმმა ჰოლმსმა მოკლედ, თავაზიანად აუხსნა ყველაფერი. სეპტიმუსი თავის მოკვლით იმუქრებოდა, სხვა გზა არ იყო. ისინი კანონს უნდა დამორჩილებოდნენ. მისი ქმარი შესანიშნავ ქალაქგარე სამკურნალო სახლში დაწვებოდა. იქ ჩინებული ექთანები მუშაობენ. სერ უილიამი მის ქმარს კვირაში ერთხელ ინახულებდა. თუკი მისის უორენ-სმიტი დარწმუნებული იყო, რომ შეკითხვები აღარ ჰქონდა, მაშინ კაბინეტში, მის მეუღლესთან შებრუნდებოდნენ (სერ უილიამი თავის პაციენტებს არასოდეს აჩქარებდა). რეციას შეკითხვები აღარ ჰქონდა. სერ უილიამისთვის საკითხავი აღარაფერი დარჩენოდა.

ისინი კაბინეტში შევიდნენ, სადაც სეპტიმუსი, ყველაზე აღტყინებული და უსახურ ბრბოზე ამაღლებული მამაკაცი იცდიდა. კაცთა შორის რჩეული, დამნაშავე, რომელიც მოსამართლეების წინაშე იდგა. ზეცად ამაღლებული მსხვერპლი, ლტოლვილი, დაღუპული მეზღვაური, პოეტი, უკვდავი ოდის ავტორი, ღმერთი, რომელმაც სიცოცხლეზე უარი თქვა. სეპტიმუსი შემინულჭერიან ოთახში, სავარძელში იჯდა, სამეფო კარის ტანსაცმელში გამოწყობილი ლედი ბრედშოუს ფოტოს უყურებდა და სილამაზეზე რაღაცას ბუტბუტებდა.

– უკვე ვისაუბრეთ... – უთხრა სერ უილიამმა.

– ექიმი ამბობს, რომ ძალიან, ძალიან ავად ხარ, – შესძახა რეციამ.

– ჩვენ გადავწყვიტეთ, ერთ სახლში დაგაწვინოთ, – განაგრძო სერ უილიამმა.

– ჰოლმსის სახლში? – ჰკითხა სეპტიმუსმა დამცინავი ღიმილით.

ამ ახალგაზრდა კაცს შესაბრალისი სახე ჰქონდა. სერ უილიამი (ვაჭრის შვილი იყო) ინსტინქტურად პატივს სცემდა დიდებულ, ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილ ადამიანებს. სიღატაკე და დაძონძილი ტანსაცმელი ეზიზღებოდა. სერ უილიამს, რომელსაც კითხვისთვის დრო აღარ რჩებოდა, გულის სიღრმეში სძულდა ის განათლებული და დახვეწილი ადამიანები, რომლებიც მის კაბინეტში შემოდიოდნენ და აგრძნობინებდნენ, რომ ექიმები განათლებულები სულაც არ იყვნენ. რა იცოდნენ, რომ ეს პროფესია გამუდმებულ დაძაბულობასა და უდიდეს ნიჭიერებას მოითხოვდა.

– არა. ჩემი სახლია, მისტერ უორენ-სმიტ. იქ ისწავლით, როგორ უნდა დაისვენოთ.

მას კიდევ რაღაცის თქმა სურდა.

დარწმუნებული იყო, როდესაც მისტერ უორენ-სმიტი თავს კარგად იგრძნობდა, ცოლის შეშინება ფიქრადაც არ მოუვიდოდა. ახლა კი თავის მოკვლაზე ლაპარაკობდა.

– ზოგჯერ დეპრესია ყველას გვემართება, – თქვა სერ უილიამმა.

თუკი დაეცემი, ადამიანური ბუნება შენზე გაიმარჯვებს, – იმეორებდა თავისთვის სეპტიმუსი, – ჰოლმსი და ბრედშოუ გამარჯვებას იზეიმებენ. უდაბნოებში დაძრწიან და უკაცრიელ ადგილებში ღრიალით მიქრიან. საწამებელ იარაღებს დაატარებენ და ხალხს უსაშველოდ ტანჯავენ. ადამიანური ბუნება ულმობელია.

– ხშირად ემართება ასეთი რამ? – ჰკითხა ექიმმა რეციას და ვარდისფერ ბარათს ფანქრის წვერი დაადო.

– ეს არავისი საქმე არ არის! – თქვა სეპტიმუსმა.

– ადამიანმა მხოლოდ საკუთარი თავისათვის არ უნდა იცხოვროს, – თქვა ექიმმა და სამეფო ტანსაცმელში გამოწყობილი ცოლის სურათს შეხედა, – თქვენ ბრწყინვალე კარიერა გექნებათ. ყველაფერი წინ გაქვთ, – დასძინა და მისტერ ბრიუერის წერილს ჩახედა, – ბრწყინვალე კარიერა.

რა მოხდებოდა, ყველაფერი რომ ეღიარებინა? ნუთუ ეს ჯალათები თავს დაანებებდნენ?

– მე... მე... – თქვა ენის ბორძიკით.

რა დანაშაული ჩაიდინა? არაფერი ახსოვდა.

– დიახ... – გაამხნევა სერ უილიამმა (თუმცა, დრო გადიოდა).

სიყვარული, ხეები, დანაშაული არ არსებობს. რა უნდა გაემხილა მთელი სამყაროსათვის?

არ ახსოვდა. ყველაფერი დაავიწყდა.

– მე... მე... – გაიმეორა ენის ბორძიკით.

– შეეცადეთ, ნაკლებად იფიქროთ საკუთარ თავზე, – უთხრა ექიმმა თანაგრძნობით.

რა თქმა უნდა, ამისათვის მზად არ იყო.

კიდევ ხომ არ აინტერესებდათ რამე? სერ უილიამმა რეციას ჩურჩულით უთხრა, რომ ყველაფერს მოაგვარებდა და ხუთიდან ექვს საათამდე ყველაფერს შეატყობინებდა.

– მენდეთ. ყველაფერს მოვაგვარებ, – თქვა სერ უილიამმა და მათ დაემშვიდობა.

რეციას ასეთი ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამება არასოდეს, არასოდეს განუცდია! შველას ითხოვდა, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა. ის და სეპტიმუსი სრულიად მარტონი იყვნენ. სერ უილიამ ბრედშოუ ცუდი ადამიანი იყო.

– ალბათ, ამ მანქანისთვის ბევრ ფულს ხარჯავს, – თქვა სეპტიმუსმა, როდესაც ქუჩაში გამოვიდნენ.

რეცია ქმრის მკლავს მიეკრა. მათი ვედრება ყურად არავინ იღო. ისინი ყველამ მიატოვა.

აბა, სხვას რას ელოდა?

სერ უილიამი ყველა პაციენტს ორმოცდახუთ წუთს უთმობდა. ისეთი რთული და დამღლელი მეცნიერება, როგორიც ადამიანის ნერვული სისტემისა და ტვინის კვლევაა (რაც მაინც ბურუსით მოცული რჩება), ექიმს ზომიერების გრძნობას აკარგვინებს. ის თავის მოვალეობას პირნათლად ვერ ასრულებს. ექიმი, რომელიც ზომიერების გრძნობას კარგავს, ექიმი აღარ არის. ჯანმრთელობა უმთავრესი რამაა. მასზე ზრუნვას კი ზომიერების გრძნობა სჭირდება. როდესაც ავადმყოფი ამბობს, რომ ქრისტეა (ასეთი მანია ძალიან ბევრს ჰქონდა), ადამიანთა მოდგმას ღვთის სიტყვა უნდა გააგონოს და უდიდესი საიდუმლო გაუმხილოს (თან თვითმკვლელობით იმუქრება), ექიმი ცდილობს, ზომიერებამ არ უღალატოს. პაციენტს ურჩევს, დაისვენოს, სრულ მარტოობაში, სიმშვიდესა და სიჩუმეში იწვეს და მოიშოროს მეგობრები, წიგნები, აკვიატებული აზრები, მანიები, გონების უეცარი განათებანი და ექვსი თვე დაისვენოს. პაციენტი, რომელიც ორმოცდახუთ კილოგრამს იწონიდა, მკურნალობის დასრულების შემდეგ ოთხმოცი კილოგრამი გახდებოდა.

სერ უილიამმა ზომიერების, ამ დიადი ქალღმერთის, მაშინ იწამა, როდესაც საავადმყოფოებში დადიოდა, ორაგულს იჭერდა და როცა ლედი ბრედშოუ ჰარლი-სტრიტზე ვაჟიშვილს აჩენდა. ლედი ბრედშოუც დადიოდა სათევზაოდ და თითქმის ოსტატურ სურათებს იღებდა. ის აღმერთებდა ზომიერების გრძნობას. მისი წყალობით სერ უილიამი დიდებით ბრწყინავდა და ინგლისსაც დიდების შარავანდედით მოსავდა. ავადმყოფებს მყუდრო

საავადმყოფოებში ამწყვდევდა. მათ ბავშვების გაჩენას უკრძალავდა. სასოწარკვეთილება უპატიებელ დანაშაულად მიაჩნდა. პაციენტებს თავიანთი ავადმყოფური აზრების გამოთქმას უკრძალავდა მანამ, სანამ ისინიც ზომიერების გრძნობით არ აღივსებოდნენ. მას ყველა მამაკაცზე მეტად ჰქონდა ზომიერების გრძნობა. ქალებს შორის კი ამ ხელოვნებას ყველაზე კარგად ლედი ბრედშოუ იცნობდა (სულ ქარგავდა, ქსოვდა, კვირაში ოთხი დღე, საღამოობით, შინ, ვაჟიშვილთან ერთად რჩებოდა). კოლეგები სერ უილიამს დიდ პატივს სცემდნენ, ხელქვეითებს მისი ეშინოდათ. მისი პაციენტების მეგობრები და ნათესავები უსაზღვროდ ემადლიერებოდნენ, რადგანაც ის აცხადებდა, რომ ეს წინასწარმეტყველნი, ქალები თუ მამაკაცები, თავს ქრისტედ რომ თვლიდნენ და სამყაროს დასასრულსა და მეორედ მოსვლას წინასწარმეტყველებდნენ, საწოლში უნდა ჩაწოლილიყვნენ, თბილი რძე დაელიათ და მის ბრძანებებს დამორჩილებოდნენ. სერ უილიამი ოცდაათი წელი იქნებოდა, რაც ექიმად მუშაობდა და გამოცდილი კაცი იყო. არასოდეს ცდებოდა. უტყუარი ალღო ჰქონდა. იცოდა, ვინ იყო შეშლილი და ვინ გონიერი. ზომიერების გრძნობა ჰქონდა.

ზომიერებას ჰყავს და, ნაკლებად მოღიმარი, შიშის მომგვრელი, მრისხანე ქალღმერთი, რომელიც დღესაც კი დადის ინდოეთის ცხელ ქვიშაში, აფრიკის ტალახში, ლამსა და ჭაობებში, ლონდონის ღარიბ გარეუბნებსა და ყველგან, სადაც კლიმატი და ეშმაკი აიძულებს ადამიანებს, უარყონ ჭეშმარიტი სარწმუნოება. ის ანგრევს ტაძრებს, ამსხვრევს კერპებს და მათ ნაცვლად თავის პირქუშ, მრისხანე კერპს დგამს. სხვის ტაძარში თავის სასტიკ მეუფებას ავრცელებს. მას სახელად სარწმუნოებაზე მოქცევა ჰქვია. სუსტი ადამიანების სურვილებითა და ნებისყოფით სულდგმულობს. უყვარს, როდესაც ყველაზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს, იმორჩილებს, ნუსხავს და ატყვევებს. აღმერთებს თავის სახეს და სიხარულით ივსება, როდესაც ხალხის სახეებზე თავის ნაკვთებს ხედავს. ჰაიდ-პარკში ქადაგებს. თეთრ სუდარაში გამოწყობილი, ქარხნებსა და პარლამენტებში, მონანიე სახით შედის. მეგობრულ სიყვარულს ქადაგებს. ხალხს დახმარების ხელს უწვდის, მაგრამ სინამდვილეში უსაზღვრო ძალაუფლების მოპოვება სურს. უხეშად იშორებს თავიდან უკმაყოფილო ადამიანებს და მათ, ვინც არ ეთანხმება. წყალობის თვალით უყურებს მხოლოდ იმათ, ვინც თვალს ზეცისაკენ აღაპყრობს და მორჩილად ელის, როდის გადმოიღვრება ქალღმერთის თვალებიდან ნათელი, რათა თავადაც გაბრწყინებული თვალებით უცქიროს სამყაროს. სერ უილიამს ეს ქალი გულში ჩავარდნოდა (ლუკრეციაც ხვდებოდა ამას). ექიმი ამ სიყვარულს მალავდა იმ კეთილშობილური, ნატიფი გრძნობის საფარველქვეშ, რომელიც ადამიანებში პატივისცემას აღძრავს: სიყვარული, მოვალეობა, თავგანწირვა. ძალიან ბევრს შრომობდა. თავს არ იზოგავდა, რათა მიზნისათვის მიეღწია. უნდოდა, ფონდები გაზრდილიყო, რეფორმები გატარებულიყო და სხვადასხვა დაწესებულება გახსნილიყო. მაგრამ სარწმუნოებაზე მოქცევის ქედმაღალ, ჭირვეულ ქალღმერთს ნატიფი გემოვნება ჰქონდა. ადამიანთა ნებისყოფით სულდგმულობდა, მაგალითად, ლედი ბრედშოუთი. თხუთმეტი წლის წინ ლედი ბრედშოუ თითქოს ჩაქრა. თუმცა, არავინ იცოდა, რა დაემართა. ქმრისათვის სცენები არ გაუმართავს, სიბრაზე არ გამოუხატავს. უბრალოდ, მისი ყველა სურვილი და ოცნება სერ უილიამმა შთანთქა. თითქოს მორევში ჩაიძირა. სასიამოვნო ღიმილი ჰქონდა. ქმარს უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ჰარლი-სტრიტზე წვეულებებს აწყობდნენ, ამზადებდნენ რვა-ცხრა კერძს და პატიჟებდნენ დიდებული პროფესიების მქონე

ათ-თხუთმეტ სტუმარს. საღამოები მშვიდად და ჩინებულად გადიოდა. ზოგჯერ ლედი ბრედშოუს მოწყენილობა, შფოთვა, მღელვარება, ნერვიული კანკალი თუ დაბნეულობა იპყრობდა და სტუმრები ხვდებოდნენ, რომ საბრალო დიასახლისი ყველას ატყუებდა. ბედნიერი სულაც არ იყო (ამის დაჯერება ყველას ძალიან უჭირდა). ლედი ბრედშოუ ოდესღაც თავისუფლად დადიოდა ორაგულზე სათევზაოდ, ახლა კი მბრძანებლობამოწყურებულ ქმარს უსიტყვოდ ემორჩილებოდა. სერ უილიამის თვალებში მბრძანებლობისა და პირველობის სურვილი ელავდა. დიასახლისი თავს მუდამ დაძაბულად გრძნობდა, მუდამ ჩრდილში იდგა, ყველანაირ მისწრაფებასა და სურვილს გულში იკლავდა, ყველაფერს საგულდაგულოდ წონიდა, უფიქრდებოდა, რა უნდა ეთქვა და რა – არა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ვერ ხვდებოდა, რატომ იყო საღამო ასეთი უსიამოვნო, რატომ გრძნობდა თავს ასე დამძიმებულად (ალბათ, იმიტომ, რომ მეცნიერებაზე საუბრობდნენ, ან იქნებ იმიტომ, რომ დიდებული ექიმი ძალიან დაღლილი იყო, რომლის ცხოვრებაც, როგორც ლედი ბრედშოუ ამბობდა, მას კი არა, მის პაციენტებს ეკუთვნოდა)? საღამო ძალიან უსიამოვნო ხდებოდა. როდესაც ათი საათი გახდებოდა, სტუმრები აღტაცებითაც კი ისუნთქავდნენ ჰარლი-სტრიტის ჰაერს. სერ უილიამის პაციენტები კი, მათდა საუბედუროდ, ასეთი შვებას ვერ განიცდიდნენ.

მის რუხ, მშვენიერი ნახატებით მორთულ, ძვირფასი ავეჯით სავსე ოთახში, მქრქალმინიან ჭერის ქვეშ, სავარძელში მოკუნტული ავადმყოფები იგებდნენ, თუ რაოდენ უსაზღვრო იყო მათი უსაქციელობა. ისინი უყურებდნენ, როგორ დგებოდა ექიმი და მხოლოდ და მხოლოდ მათი გულისათვის ხელებს გასაოცრად ამოძრავებდა, აქნევდა და წელთან მიჰქონდა, რათა დაემტკიცებინა (თუკი პაციენტი გაჯიუტდებოდა), რომ თავად ისე მოძრაობდა და თავი ისე ეჭირა, როგორც სურდა, პაციენტს კი ეს არ შეეძლო. სუსტ ავადმყოფებს ძალა ეცლებოდათ, შიში იპყრობდათ, ქვითინებდნენ და მის ნებას ემორჩილებოდნენ. ზოგი კი, რომლებიც ღმერთმა იცის, როგორ უსაზღვრო სიგიჟესა და ავადმყოფურ აზრებს შეეპყროთ, სერ უილიამს მოურიდებლად უწოდებდნენ საზიზღარ თაღლითს. ის უწმინდურები უფრო მკრეხელურ კითხვებს სვამდნენ სიცოცხლეზე. „რა აზრი აქვს ცხოვრებას?" – ეკითხებოდნენ ისინი. სერ უილიამი პასუხობდა, რომ ცხოვრება მშვენიერი რამ არის. რა თქმა უნდა, მისთვის მშვენიერი იყო ცხოვრება, ბუხრის თავზე დადებულ სურათზე სირაქლემის ბეწვით დამშვენებულ ტანსაცმელში გამოწყობილი ლედი ბრედშოუ იყო გამოსახული. მას ხომ წელიწადში თორმეტი ათასი გირვანქა ჰქონდა? ჩვენ კი ცხოვრებამ ასე გულუხვად არ დაგვაჯილდოვა, – ეუბნებოდნენ გამწყრალი პაციენტები. სერ უილიამი ვერაფერს პასუხობდა მათ და თავს მდუმარედ უქნევდა, რადგან მათ ზომიერების გრძნობა არ გააჩნდათ. იქნებ ღმერთიც არ არსებობს? – ეკითხებოდნენ ისინი. ის მხრებს იჩეჩდა. იქნებ მხოლოდ ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, ვიცოცხლებთ თუ არა? – ეკითხებოდნენ ისევ. თვლიდა, რომ ისინი ცდებოდნენ. სერ უილიამს სურეიში ჰყავდა მეგობარი, რომელიც ხალხს ასწავლიდა, რომ მუდამ ზომიერების გრძნობა უნდა ჰქონოდა. სერ უილიამი მუდამ გულწრფელად აღიარებდა, რომ ეს ძალზე რთული ხელოვნება იყო. სერ უილიამმა იცოდა, რა იყო ოჯახური სიყვარული, ღირსების გრძნობა, სიმამაცე, წარმატება. ის ამ ფასდაუდებელი საგანძურის დამცველი იყო. მხარს უჭერდა პოლიციასა და იმ საზოგადოებას, რომელსაც (ძალზე მშვიდად ამბობდა ამას) უნდა დაეძლია მდაბიოთა ანტისახალხო მისწრაფებები.

სწორედ ასეთ დროს გამოდიოდა თავისი სამალავიდან და ადიოდა ტახტზე ქალღმერთი, რომელსაც ერთადერთი სურვილი კლავდა: ყველაფერი ფეხქვეშ გაეთელა, მოეშთო და სხვათა სალოცავებში თავისი სასტიკი მეუფება დაემკვიდრებინა. დაუცველები, ყველასაგან მიტოვებულები და დაუძლურებულები, თითქოს სულ გაშიშვლებული პაციენტები სერ უილიამის ნებას ემორჩილებოდნენ. ის მათ თავს მტაცებელი ფრინველივით აცხრებოდა და შთანთქავდა. სერ უილიამს თავისი მსხვერპლების – პაციენტების ახლობლები იმიტომ აფასებდნენ ასე ძალიან, რომ ესოდენ გაბედული და ჰუმანური იყო.

რეცია უორენ-სმიტი კი, რომელიც ჰარლი-სტრიტზე მიაბიჯებდა, ყვიროდა, რომ სერ უილიამი არ მოსწონდა.

*

ჰარლი-სტრიტის საათები ივნისის დღეს ნელ-ნელა შთანთქავდნენ, ნაკუწებად ფლეთდნენ, ჭრიდნენ, ანაწევრებდნენ, იყოფდნენ. თითქოს ყველას ურჩევდნენ, რომ ძლიერთა ამა ქვეყნისათა დამორჩილებოდნენ. ერთხმად ასხამდნენ ხოტბას ზომიერების გრძნობას. დრო სწრაფად გადიოდა. ოქსფორდ-სტრიტის ერთ-ერთი მაღაზიის თავზე დაკიდებული საათი მეგობრულად, თავაზიანად ამცნობდა ხალხს, რომ ორის ნახევარი იყო. თითქოს ბატონ რიგბისა და ლაუნდზს სიამოვნებდათ, რომ ამ ცნობას უანგაროდ აწვდიდნენ ხალხს. ორის ნახევარი იყო.

მაღაზიის სახელწოდების თითოეული ასო რომელიღაც საათს აჩვენებდა. რიგბისა და ლაუნდზს ხალხი გაუცნობიერებლად ემადლიერება, რადგან ისინი ზუსტ დროს ატყობინებენ. მადლობის ნიშნად ხალხი მათ მაღაზიაში წინდებსა და ფეხსაცმელებს ყიდულობს (ასე ფიქრობდა ჰიუ უითბრედი, რომელიც ვიტრინის წინ იდგა). ის მუდამ ჩაფიქრებული იყო, თუმცა, სიღრმისეულად ვერაფერს სწვდებოდა. მხოლოდ ძველი თუ თანამედროვე ენები, კონსტანტინოპოლი, პარიზი, რომი, ცხენები, ტირი და ჩოგბურთი აინტერესებდა. ბოროტი ენები ამბობდნენ, ბუკინგემის სასახლეში მცველად მუშაობს და (მაგრამ არავინ იცოდა, რას იცავდა) აბრეშუმის წინდებსა და ბრიჯში გამოწყობილი დადისო. ჰიუმ წარმატებას მიაღწია. ოცდახუთი წელი იყო, ინგლისის მაღალ საზოგადოებაში ტრიალებდა. რამდენიმე პრემიერ-მინისტრიც კი გაიცნო. მიაჩნდათ, რომ ნამდვილად თავაზიანი და გულკეთილი ადამიანი იყო. მართალია, თავისი ეპოქის უდიდეს მოძრაობებში მონაწილეობა არ მიუღია, არც მაღალი თანამდებობა ჰქონია, მაგრამ ორი მოკრძალებული რეფორმის გატარებაში დიდი წვლილი მიუძღოდა: თავშესაფრები გააუმჯობესა და ნორფოლკის ბუები გადაშენებას გადაარჩინა. მოახლეები ძალიან ემადლიერებოდნენ (სავსებით სამართლიანადაც). ის „თაიმსში" წერილებს აქვეყნებდა. ფინანსებს ითხოვდა, საზოგადოებას მოუწოდებდა, დაეცვა და გაფრთხილებოდა ყველაფერს, არ დაებინძურებინა ქალაქი, არ მოეწია, ლონდონის პარკებში ამორალურობა აღეკვეთა. ამიტომაც იმსახურებდა პატივისცემას.

დიდებული იერი ჰქონდა. წუთით შეჩერდა (ისმოდა საათის ისრების შორეული ხმა, რომელიც მალე მიწყდებოდა) და მცოდნე კაცის იერით, ქედმაღლურად დააკვირდა ვიტრინაში გამოფენილ ფეხსაცმელებსა და წინდებს.

უნაკლო, ძლიერი კაცი იყო, თითქოს ქვეყნიერებას ზემოდან დაჰყურებდა. ისე ეცვა, როგორც მისი თანამდებობის კაცს შეეფერებოდა. იცოდა, რა მოვალეობებსაც აკისრებდა თავისი ქონება, თანამდებობა და ჯანმრთელობა. მუდამ (ზედმეტადაც კი) ასრულებდა ყავლგასულ ცერემონიებს, რომლის წყალობითაც მისაბამ და დასამახსოვრებელ ადამიანად გადაიქცა. მიხაკის თაიგულის გარეშე არასოდეს ეწვეოდა ლანჩზე ლედი ბრიუტონს, რომელსაც აგერ უკვე ოცი წელი იყო, რაც იცნობდა. ლედი ბრიუტონის მოახლეს, მის ბრაშს, მუდამ ეკითხებოდა, თქვენი ძმა სამხრეთ აფრიკაში თავს როგორ გრძნობსო. ჰიუ ვერასოდეს ხვდებოდა, რატომ აღიზიანებდა ეს შეკითხვა ქალურ ხიბლს მოკლებულ მის ბრაშს, რომელიც პასუხობდა: „გმადლობ. კარგადაა. აფრიკაში თავს ძალიან კარგად გრძნობს" (სინამდვილეში კი მას ხუთი წლის წინ პორტსმუთში ცხოვრებაც კი უჭირდა).

ლედი ბრიუტონს რიჩარდ დოლოვეი უფრო უყვარდა. რიჩარდი და ჰიუ თითქმის ერთდროულად მოვიდნენ. კიბეზე შეხვდნენ ერთმანეთს.

რა თქმა უნდა, რიჩარდი უფრო უყვარდა, უფრო დახვეწილი იყო, მაგრამ ლედი ბრიუტონი არავის მისცემდა მისი საბრალო, ძვირფასი ჰიუს დაჩაგვრის უფლებას. მის სიკეთეს არასოდეს დაივიწყებდა (მაგრამ არ ახსოვდა, როდის გამოიჩინა ჰიუმ ასეთი კეთილშობილება), თუმცა, მაინც თვლიდა, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებოდნენ. კლარისა დოლოვეის მსგავსად ადამიანებს კატეგორიებად არ ყოფდა. თვლიდა, რომ სამოცდაორი წლის ქალს ჩვევა არ უნდა ჰქონოდა. ლედი ბრიუტონმა ჰიუს მკაცრი, ულაზათო ღიმილით გამოართვა მიხაკები და თქვა, რომ იცრუა და მათ გარდა ლანჩზე არავინ იქნებოდა. ისინი ერთი პრობლემის გადაჭრაში უნდა დახმარებოდნენ.

– მანამდე კი მივირთვათ, – თქვა მან.

თეთრ წინსაფრებსა და ჩაჩებში გამოწყობილი მოსამსახურე ქალები კარს წამდაუწუმ აღებდნენ და ოთახში უჩუმრად და მოხდენილად შემოდიოდნენ. ისინი უბრალო მოახლეები აღარ იყვნენ. მათ იცოდნენ, როგორ უნდა აღესრულებინათ ის იდუმალი რიტუალი (ან იქნებ უდიდესი სიცრუე), რომელსაც მეიფერში დიასახლისები ყოველდღე, პირველის ნახევრიდან ორ საათამდე ასრულებდნენ. ხელის ერთი მოძრაობით ყველაფერი ირინდება. მდუმარება ისადგურებს. თითქოს ილუზიების სამყაროში არიან. საჭმელი თითქოს თავისთვის იდება მაგიდაზე. ისინი არავის უყიდია. ვერცხლისა და ბროლის ჭურჭელი და პატარა ხელსაწმენდები თავისით ეწყობა მაგიდაზე. თასებში ხილი წითლად ელავს. თევზის ნაჭრები ყავისფერ საწებელს დაუფარავს. საწვნეებში აქნილი წიწილები დაცურავენ, ცელქი ცეცხლი არა ბუხარში, არამედ სადღაც, ილუზიურ სამყაროში წითლად ელავს. ღვინისა და ყავის წყალობით (ისინი არავის უყიდია) ისინი საამურ, ლამაზ ზმანებას ხედავენ. ჩაფიქრებულნი, ცნობისმოყვარე და მიბნედილი თვალებით შესცქერიან ყველაფერს. ეჩვენებათ, რომ ცხოვრება ძალზე მელოდიური და საიდუმლოებით მოცულია. თვალები უბრწყინავთ და სიხარულით უცქერენ ლამაზ მიხაკებს, რომლებიც ლედი ბრიუტონმა თეფშის გვერდით დადო (მას გრაციოზულობა აკლდა და ულაზათო ჟესტები ჰქონდა). ჰიუს თითქოს მთელი სამყარო კმაყოფილებისა და სიმშვიდის შეგრძნებით აღავსებდა.

იცოდა, რა ადგილიც ეჭირა ამქვეყნად. მან ჩანგალი დადო და თქვა: – ეს მიხაკები ძალიან მოუხდება თქვენს მაქმანებს.

მის ბრაშს ჰიუს ფამილარულობა საშინლად აღიზიანებდა. უზრდელ და ხეპრე კაცად მიაჩნდა. ლედი ბრიუტონს ამაზე ეცინებოდა.

ლედი ბრიუტონმა ყვავილები მოუქნელად ასწია. მის უკან, კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე გამოსახულ გენერალს ჰგავდა, რომელსაც ხელთ პერგამენტი ეჭირა. ქალი გახევდა. თითქოს ტრანსში იყო. ვინ არის ლედი ბრიუტონი ამ გენერლისათვის? შვილიშვილი? იქნებ შვილთაშვილი? – გაიფიქრა რიჩარდ დოლოვეიმ. ო, დიახ! სერ როდრიკი, სერ მაილზი, სერ ტალბოტი... საოცარია, როგორ ემსგავსებიან ამ ოჯახის ქალები წინაპრებს. ლედი ბრიუტონიც დრაგუნთა გენერალი უნდა ყოფილიყო. რიჩარდი მისი ჯარისკაცი რომ ყოფილიყო, მის ბრძანებებს სიამოვნებით შეასრულებდა. მას ძალიან დიდ პატივს სცემდა. რომანტიზმით აღსავსე ფიქრობდა ამ მაღალი წრის მოხუც ქალებზე და სურდა, თავისი თანდაყოლილი გულკეთილობითა და თავაზიანობით ლანჩზე დაეპატიჟებინა მისი ახალგაზრდა, ეგზალტირებული ნაცნობები. თუმცა, იცოდა, რომ ისინი ჩაის დიდი მოყვარულები სულაც არ იყვნენ! რიჩარდი იცნობდა მის მშობლიურ მხარეს, მის ოჯახს. იქ ვაზი ჯერ კიდევ ხარობდა. მის ძირას ჯდებოდა ლოველასი თუ ჰერიკი.[22] ლედი ბრიუტონი პოეზიას არასოდეს კითხულობდა, მაგრამ გაეგონა, რომ ლეგენდა ასე ამბობდა. ჯობდა, ცოტა ხნის შემდეგ დაესვა რიჩარდისა და ჰიუსათვის ის შეკითხვა (საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვასთან დაკავშირებული; როგორ მოეხერხებინათ ეს და ასე შემდეგ), რომელიც გულს უღრღნიდა. „ჯობს, ჯერ ყავა დალიონ", – გაიფიქრა ლედი ბრიუტონმა და ყვავილები თეფშის გვერდით დააწყო.

– როგორ არის კლარისა? – ჰკითხა უეცრად რიჩარდს.

კლარისა ყოველთვის ამბობდა, ლედი ბრიუტონს არ ვუყვარვარო. მართლაც, ყველამ იცოდა, რომ მას ადამიანებზე მეტად პოლიტიკა უყვარდა, კაცივით საუბრობდა და ოთხმოციან წლებში იმ ცნობილ ინტრიგაშიც კი იყო გახვეული, რომელზეც უკვე მემუარებში წერდნენ. ცხადია, მის სასტუმრო ოთახში ნიშა იყო. ამ ნიშაში, მაგიდაზე, განსვენებული გენერლის, სერ ტალბოტ მურის ფოტო იდო. მან (ოთხმოციან წლებში, ერთ საღამოს) ლედი ბრიუტონის თანდასწრებით სწორედ ამ მაგიდასთან დაწერა პატარა წერილი, რომლითაც ბრიტანელ ჯარისკაცებს მოუწოდა, თუ საჭიროება მოითხოვდა, ინგლისის დასაცავად იარაღი აეღოთ და თავი ესახელებინათ. შეიძლება, ლედი ბრიუტონმა თავისი აზრიც კი გაუზიარა მას (ლედი ბრიუტონს ის კალამი საგულდაგულოდ შეენახა და ამ ისტორიას ხშირად ჰყვებოდა). როდესაც იკითხავდა, „როგორ არის კლარისა?", ყველაზე ერთგულ ქმრებსაც კი უჭირდათ ცოლების დარწმუნება (თავადაც კი ეჭვი ეპარებოდათ), რომ ლედი ბრიუტონს გულწრფელად აინტერესებდა, როგორ იყვნენ ის ქალები, რომლებიც ხშირად დაბრკოლებებს უქმნიდნენ ქმრებს, საზღვარგარეთ მუშაობას უშლიდნენ და შუა საპარლამენტო სეზონისას ზღვაზე წასვლას მოინდომებდნენ, რადგან გრიპისგან გამოჯანმრთელება სურდათ. თუმცა, როდესაც ლედი ბრიუტონი ასეთ შეკითხვას დასვამდა („როგორ არის კლარისა?"), ქალები რწმუნდებოდნენ, რომ ლედი ბრიუტონი, ეს თითქმის მარადმდუმარე ლედი ბრიუტონი, მათი კეთილისმსურველი იყო (ლედი

ბრიუტონს ეს შეკითხვა ექვსიოდეჯერ თუ დაესვა). ამით ამტკიცებდა, რომ ქალთა შორის არსებობდა მეგობრობა, რომელიც მამაკაცების საზოგადოებაში ლანჩის მირთმევის შემდეგაც გრძელდებოდა და მისის დოლოვეისა და ლედი ბრიუტონს აკავშირებდა (რომლებიც იშვიათად ხვდებოდნენ და ერთმანეთს გულგრილად და მტრულადაც კი ეპყრობოდნენ).

– კლარისას ამ დილით პარკში შევხვდი, – მიუგო ჰიუ უითბრედმა და წიწილისაკენ დაიხარა. კმაყოფილი იყო საკუთარი თავითა და ნიჭით, რადგან ლონდონში ჩამოვიდოდა თუ არა, უამრავ მეგობარს ხვდებოდა. მის ბრაშმა გაიფიქრა, რომ ჰიუ ყველაზე ღორმუცელა და მსუნაგი კაცი იყო, ვინც კი ოდესმე ენახა. მილი ბრაში მამაკაცებს ძალიან მკაცრად აკრიტიკებდა, თავისი სქესის წარმომადგენლების მიმართ კი უსაზღვროდ თავდადებული იყო, მათ კუბოს კარამდე უერთგულებდა, რადგანაც დაძარღვული, დაკოჟრილი, ულამაზო და ქალურ ხიბლს მოკლებული იყო.

– იცით, ვინ ჩამოვიდა ლონდონში? – თქვა ლედი ბრიუტონმა მოულოდნელად, – ჩვენი ძველი მეგობარი, პიტერ უოლში!

ყველას გაეღიმა. პიტერ უოლში! მისტერ დოლოვეის გულწრფელად გაუხარდა ეს ამბავი, ჰიუ უითბრედი კი მხოლოდ თავის წიწილაზე ფიქრობს! – გაიფიქრა მილი ბრაშმა.

პიტერ უოლში! სამივეს: ლედი ბრიუტონს, ჰიუ უითბრედსა და რიჩარდ დოლოვეის გაახსენდათ, თუ როგორ უსაზღვროდ და მგზნებარედ უყვარდა პიტერს კლარისა, რომელმაც ის მიატოვა. პიტერი ინდოეთში წავიდა, თუმცა, წარმატებას ვერც იქ მიაღწია. ხელი მოეცარა. მილი ბრაშიც ხვდებოდა, რომ რიჩარდსაც კი ძალიან უყვარდა თავისი ძველი, ძვირფასი მეგობარი პიტერი. მან ეს დაინახა მის ყავისფერ თვალებში. ყოყმანობდა. არ იცოდა, რა ეთქვა. ფიქრებში წასულიყო. აინტერესებდა, მისტერ დოლოვეის შესახებ ყველაფერი აინტერესებდა. ნეტავ რას ფიქრობს პიტერზე?

რომ პიტერს უსაზღვროდ უყვარდა კლარისა, რომ ლანჩის შემდეგ რიჩარდი კლარისასთან წავიდოდა და ეტყოდა, რომ ძალიან უყვარდა. დიახ, ზუსტად ასე ეტყოდა.

ოდესღაც მილი ბრაშს ლამის შეუყვარდა ეს მდუმარე და მუდამ ფიქრებში ჩაძირული მისტერ დოლოვეი. ის სანდო ადამიანი იყო, ნამდვილი ჯენტლმენი. მილი ბრაში მუდამ ფიქრებში იყო წასული. მისი დიადი, უმწიკვლო, სპეტაკი სული, რომლისთვისაც სრულიად უცხო იყო ყოველგვარი მიწიერი სიმდაბლე, თითქოს ზეცად მაღლდებოდა, მაგრამ, როდესაც ლედი ბრიუტონი თავს ოდნავ დაუკრავდა ან მისკენ შებრუნდებოდა, ის ყველაფერს უსიტყვოდ ხვდებოდა. მისთვის უბრალო სამკაულიც კი არავის უჩუქებია. განგებამ ლამაზი კულულებით, ღიმილით, მშვენიერი ტუჩებით, ლოყებითა და ცხვირით არ დააჯილდოვა. როდესაც ლედი ბრიუტონი პერკინსს თავს ოდნავ დაუკრავდა, ის ხვდებოდა, რომ ყავა სწრაფად უნდა მოეტანა.

– ჰო, პიტერ უოლში დაბრუნდა, – თქვა ლედი ბრიუტონმა.

გულის სიღრმეში ძალიან სიამოვნებდათ, რომ პიტერი ცოცხალმკვდარი და გათელილი დაბრუნდა ინდოეთიდან. ხელმოცარული, დაცემული, უიღბლო

ლტოლვილი მათ მყუდრო და უსაფრთხო ნაპირს მოადგა. ისინი ფიქრობდნენ, რომ პიტერის დახმარებას ვერ შეძლებდნენ, რადგანაც რაღაც გამოუსწორებელი ნაკლი ჰქონდა. ჰიუ უითბრედმა თქვა, შემიძლია, ერთ ბატონს მასზე დაველაპარაკოო. წარბი მედიდურად შეიკრა, როცა მიხვდა, რომ გავლენიანი პირებისათვის წერილები უნდა მიეწერა და ეთხოვა, იქნებ ჩემს „ძველ მეგობარ პიტერ უოლშს" რამე სამსახური მოუძებნოთო. პიტერი გამოუსწორებელი იყო. ისინი ამაოდ დაშვრებოდნენ. ის მუდმივად მუშაობას ვერსად ვერ შეძლებდა, რადგან დაუდგრომელი იყო.

– ალბათ, ვინმე ქალთან აქვს პრობლემები, – თქვა ლედი ბრიუტონმა (ეს ისედაც ყველამ იცოდა).

– პიტერი თავად მოგვითხრობს ყველაფერს, – თქვა ლედი ბრიუტონმა. ამ თემაზე საუბარი აღარ სურდა.

(ყავის შემოტანას აგვიანებდნენ.) – მისი მისამართი გაქვთ? – ჩურჩულით იკითხა ჰიუ უითბრედმა.

მოსამსახურეთა იმ რუხი წყლის ზედაპირი დანაოჭდა, რომელიც ლედი ბრიუტონს ყოველდღე ელამუნებოდა, იცავდა და ახვევდა ნატიფ ქსოვილში, რომელიც რყევას ამცირებდა და ტკივილს უმსუბუქებდა. ბრუკ-სტრიტზე მდგარი სახლი ნაზ ქსოვილში გახვეულიყო. აქ ყველა საგანს თავისი ადგილი ჰქონდა. ჭაღარათმიანი მოახლე პერკინსი, რომელიც ოცდაათი წელი იყო, რაც ლედი ბრიუტონის სახლში მოსამსახურედ მუშაობდა, ფრთხილად იღებდა საგნებს. მან ჰიუ უითბრედს ფურცელზე პიტერის მისამართი დაუწერა და გაუწოდა. ჰიუმ საქაღალდე ამოიღო, წარბი აწკიპა, ფურცელი უმნიშვნელოვანეს საბუთებთან ერთად შეინახა და თქვა, ივლინს ვთხოვ, პიტერი სადილად დაპატიჟოსო.

(სანამ ჰიუ ჭამას არ მორჩებოდა, ყავას არ შემოიტანდნენ.) ჰიუ ძალიან ზანტია, – გაიფიქრა ლედი ბრიუტონმა. შენიშნა, რომ გასუქებულიც იყო. რიჩარდი კი ყოველთვის მშვენივრად გამოიყურებოდა. ლედი ბრიუტონი უკვე ღელავდა. მბრძანებლურად, ამაყად შეცვალა სასაუბრო თემა (პიტერ უოლშის პრობლემები და სხვა სისულელეები არ აინტერესებდა). უნდა გადასულიყვნენ იმ საკითხზე, რომელსაც მთელი მისი ფიქრი, მისი არსება, სული მოეცვა, მის განუყოფელ ნაწილად ქცეულიყო. ამის გარეშე ის მილისენტ ბრიუტონი არ იქნებოდა. მას ერთი საკითხი აწუხებდა: უნდოდა, პატივსაცემ ოჯახებში აღზრდილი ახალგაზრდები (გოგონებიც და ვაჟებიც) კანადაში გაემგზავრებინა, რათა იქ წარმატებისათვის მიეღწიათ. ის აზვიადებდა. ალბათ, ზომიერების გრძნობა დაკარგა. სხვებისათვის (ჰიუსათვის, რიჩარდისა და თვით უერთგულესი მის ბრაშისათვისაც კი) ემიგრაცია პანაცეა და იდეალური ჩანაფიქრი სულაც არ იყო. ამით ვერ გათავისუფლდებოდა იმ ეგოიზმისაგან, რომელიც ძლიერ, ძვალმსხვილ, მებრძოლი სულის, მაღალი წრის, გულახდილ, გრძნობებს აყოლილ, ეგზალტირებულ, თვითანალიზის უნარს მოკლებულ (მე ხომ ასეთი პირდაპირი და უშუალო ვარ, ხომ შეიძლება, ყველა ასეთი იყოს? – ამბობდა ის გაოცებით) ქალს იპყრობს მაშინ, როდესაც ახალგაზრდობა ჩაივლის. გატაცებით ებღაუჭებოდა ყველაფერს: ემიგრაციასა და ემანსიპაციას. მისი ფიქრები მუდამ ამ საკითხებს დასტრიალებდა, სულს უფორიაქებდა. ეს თემები სხივმოსილ, კაშკაშა

საგნად, თითქოს სარკედ თუ ძვირფას ქვად იქცა. ზოგჯერ ამას მალავდა, რათა მისთვის არ დაეცინათ, ზოგჯერ კი ამაყად ლაპარაკობდა ამაზე. ემიგრაცია ლედი ბრიუტონის გამუდმებული საფიქრალი, მისი განუყოფელი ნაწილი იყო.

წერილის დაწერის დრო დადგა. ლედი ბრიუტონი მის ბრაშს ეუბნებოდა, „თაიმსისათვის" წერილის დაწერა უფრო დიდ ძალისხმევას მოითხოვს ჩემგან, ვიდრე სამხრეთ აფრიკაში ექსპედიციის გაგზავნაო (ომის დროს მართლაც იყო სამხრეთ აფრიკაში). დილით დაიწყო წერილის წერა, გადაეშვა ამ ცხარე ბრძოლაში, ათასჯერ დახია, ჩაასწორა და ისევ დაწერა. ძალზე ცხადად იგრძნო ქალური სისუსტე და მადლიერებით იხსენებდა ჰიუ უითბრედს, რომელიც, უეჭველი იყო, წერის ხელოვნებას ფლობდა.

ჰიუ მისგან სრულიად განსხვავდებოდა. ისეთ წერილებს წერდა, ენას ისე ჩინებულად ფლობდა, ტექსტს ისე აგებდა, რომ გაზეთების მთავარ რედაქტორებს აღაფრთოვანებდა. მას თავისი ვნებები და მისწრაფებები ჰქონდა, მაგრამ ლედი ბრიუტონი ძუნწსა და ხარბს ნამდვილად ვერ უწოდებდა. საერთოდ, ლედი ბრიუტონი მამაკაცებს მკაცრად არასოდეს განსჯიდა, რადგან ისინი (მისი აზრით) რაღაც საუცხოო ნიჭის წყალობით მართავდნენ სამყაროს. მისტიკური თანხმობა ჰქონდათ მასთან. ქალებს ამის უნარი არ გააჩნდათ. მამაკაცები ყველაფერს უკეთ იგებდნენ, აზრს უფრო ნათლად აყალიბებდნენ და იცოდნენ, სად, რა და როგორ უნდა ეთქვათ. როდესაც რიჩარდი რჩევას აძლევდა და ჰიუ წერილს უწერდა, ლედი ბრიუტონი რწმუნდებოდა, რომ სწორად იქცეოდა. ჰიუ უითბრედი სუფლეს ჭამას მორჩა, ლედი ბრიუტონმა საბრალო ივლინის ამბები გამოჰკითხა. როცა მამაკაცებმა სიგარებს მოუკიდეს, ლედი ბრიუტონმა შესძახა: – მილი, საბუთებს ხომ ვერ მომიტანდით?

მის ბრაში ოთახიდან გავიდა, მალევე დაბრუნდა და საბუთები მაგიდაზე დააწყო. ჰიუმ კალამი ამოიღო, თავსახური მოხსნა და თქვა, რომ ეს ვერცხლისფერი კალამი ამ ოცი წლის განმავლობაში ძალიან გამოადგა. კალამი ჯერ კიდევ კარგ მდგომარეობაში იყო. ჰიუმ ის უჩვენა დიდ მეწარმეებს, რომლებმაც უთხრეს, რომ შესანიშნავი კალამი იყო და დიდხანს არ გაუფუჭდებოდა. ამიტომაც ჰიუ პატივსაცემ ადამიანად მიაჩნდათ და მოწიწებით ეკიდებოდნენ მის იმ გრძნობებს, რომელთაც ამ კალმით გამოხატავდა გაზეთების ფურცლებზე (ასე ფიქრობდა რიჩარდი).

ჰიუმ გულმოდგინედ დაიწყო წერა. დიდ ასოებს აკურატულად ხაზავდა და ფურცლის კიდეზე წრეებს ხატავდა. ჰიუ ლედი ბრიუტონის გაუგებარ ნაწერს ზედმიწევნით აზრიან, გამართულ წერილად აქცევდა, გრამატიკულად ასწორებდა და ამ საოცარი სახეცვლილების შემყურე ლედი ბრიუტონი გრძნობდა, რომ „თაიმსის" მთავარ რედაქტორს ეს წერილი მოეწონებოდა.

ჰიუ ზანტი და გულმოდგინე იყო. რიჩარდმა თქვა, უნდა გავრისკოთო. ჰიუმ უპასუხა, ხალხის გრძნობებსაც უნდა ვცეთ პატივიო. რიჩარდს სიცილი აუვარდა. ჰიუმ გესლიანად გაუმეორა: „საზოგადოების გრძნობებსაც უნდა ვცეთ პატივი". მან წერილის რამდენიმე ნაწყვეტი ხმამაღლა წაიკითხა: „აი, ამიტომაც გვგონია, რომ დადგა დრო... ჩვენს ქვეყანაში უამრავი ახალგაზრდაა... მოსახლეობის რაოდენობა შეუჩერებლად იზრდება...

ვალდებული ვართ, ჩვენს გარდაცვლილ თანამემამულეებს...". ჰიუ გაჩუმდა. რიჩარდს ეს სულელურ, თუმცა, უწყინარ წერილად მიაჩნდა. ჰიუმ უსაზღვრო თავაზიანობის გამომხატველი ფრაზები ჩამოწერა და ჟილეტზე დაცემული ფერფლი თითით გადაიფერთხა. დროდადრო აფასებდა მიღწეულ პროგრესს. როგორც იქნა, წერილის შავად დაწერა დაასრულა. ლედი ბრიუტონს სწამდა, რომ ჰიუმ ნამდვილი შედევრი შექმნა. მასაც ხომ სწორედ ასეთი წერილის დაწერა სურდა.

ჰიუმ თქვა, რომ დარწმუნებით ვერ იტყოდა, გამოაქვეყნებდა თუ არა რედაქტორი ამ წერილს, მაგრამ ვახშამზე ერთ ადამიანს უნდა შეხვედროდა და ამ საკითხზე აუცილებლად დაელაპარაკებოდა.

ლედი ბრიუტონმა, რომელიც გრაციოზულობით არ გამოირჩეოდა, ყვავილები კორსაჟში გაირჭო, ხელები გაშალა და ჰიუს უთხრა: „ჩემო პრემიერ-მინისტრო!" არ იცოდა, მათ გარეშე რა ეშველებოდა.

ისინი წამოდგნენ. რიჩარდ დოლოვეი, ჩვეულებისამებრ, გენერლის პორტრეტთან შეჩერდა. უნდოდა, თავისუფალ დროს ლედი ბრიუტონის ოჯახის ისტორია დაეწერა.

მილისენტ ბრიუტონი თავისი ოჯახით ძალიან ამაყობდა. „ისინი მოიცდიან, ისინი მოიცდიან", – თქვა და პორტრეტს შეხედა. ფიქრობდა იმაზე, რომ მისი ოჯახის წევრები მებრძოლები, მმართველები, ადმირალები, ნამდვილი მამაკაცები, საქმიანი ადამიანები იყვნენ, თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეასრულეს და რიჩარდს უპირველეს ყოვლისა სამშობლოს წინაშე უნდა მოეხადა ვალი. „მაგრამ სახე მშვენიერია", – თქვა ლედი ბრიუტონმა; რიჩარდისთვის კი ყველა საბუთი შეკრებილი აქვს და ოლდმიქსტონში შეინახება მანამ, სანამ შესაფერისი დრო არ დადგება. ანუ, სანამ ლეიბორისტები არ მოვიდოდნენ სათავეში, – ამას გულისხმობდა ლედი ბრიუტონი.

– ო, ეს ინდოეთის ახალი ამბები! – შესძახა მან.

როცა ჰიუ და რიჩარდი ჰოლში იდგნენ და მალაქიტის მაგიდაზე დადებული თასიდან ყვითელ ხელთათმანებს იღებდნენ, ჰიუმ მის ბრაშს უადგილო გალანტურობით გაუწოდა თეატრის ძველი ბილეთი. მას გულის სიღრმეში ამგვარი საქციელი ეზიზღებოდა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. ლედი ბრიუტონი გაწითლდა. რიჩარდმა ქუდი აიღო, ლედი ბრიუტონს მიუბრუნდა და ჰკითხა: – ამ საღამოს ჩემს წვეულებაზე მოხვალთ?

ლედი ბრიუტონმა ის დიდებული და ქედმაღლური იერი დაიბრუნა, რომელიც წერილის წერისას დაკარგა. შეიძლებოდა, წასულიყო. იქნებ არც წასულიყო. კლარისა მეტად ენერგიული ქალი იყო. ლედი ბრიუტონს წვეულებები შიშს ჰგვრიდა. ალბათ, უკვე ბერდებოდა კიდეც. ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა ლედი ბრიუტონი, რომელიც კარის ზღურბლთან ლარივით გამართული იდგა. ლამაზი იყო. პატარა ჩაუ-ჩაუ მის ზურგს უკან იზმორებოდა. მის ბრაშმა დოკუმენტები გულში ჩაიკრა და ოთახიდან გავიდა.

ლედი ბრიუტონი მძიმე ნაბიჯით, ქედმაღლური და დიდებული იერით ავიდა თავის ოთახში და დივანზე დაწვა. მისი ხელი მოწყვეტით დაეშვა ძირს.

ხვნეშოდა და ხვრინავდა. ჯერ არ ეძინა, უბრალოდ, თვლემდა და თავს დამძიმებულად გრძნობდა, ისე, როგორც სამყურებით სავსე მინდორი მზეში, ივნისის ცხელ დღეს, როცა ფუტკრები ბზუილით დაფრინავენ და ყვითელი პეპლები დაფარფატებენ. ლედი ბრიუტონი ყოველთვის მშობლიურ მდელოებს უბრუნდებოდა. ოდესღაც დევონშირის მინდვრებში, პეტიზე, თავის პონიზე ჯდებოდა და ძმებთან, ტომსა და მორტიმერთან ერთად ახტებოდა ნაკადულებს. ძაღლები ყეფით მისდევდნენ. თაგვები წრიპინით დარბოდნენ. მათი მშობლები ხის ძირას ისხდნენ. ჩაის ღია ცის ქვეშ, მინდორში სვამდნენ. მინდორი გეორგინებით, ბაღის ტუხტებითა და პამპის ბალახით იყო სავსე. ისინი ცელქი ბავშვები იყვნენ და ათას სისულელეს იგონებდნენ! როცა ეს ტალახში ამოსვრილი პატარა ონავრები შინ ბრუნდებოდნენ, ბუჩქებს ეფარებოდნენ, რათა არავის დაენახა. მოხუცი გამდელი უჯავრდებოდა, კაბა რას დაამსგავსეო!

ო, ღმერთო! უეცრად გამოფხიზლდა და გაახსენდა, რომ ოთხშაბათი იყო და ბრუკ-სტრიტზე, თავის სახლში, დივანზე იწვა. ეს ძვირფასი, გულკეთილი ადამიანები, რიჩარდ დოლოვეი და ჰიუ უითბრედი, ამ სიცხეში მიაბიჯებდნენ იმ ქუჩებში, რომელთა გუგუნიც დივანზე მწოლიარე ლედი ბრიუტონის ყურთასმენას სწვდებოდა. ლედი ბრიუტონი ძლიერი, დიდებული ქალი იყო, ძალაუფლება ჰქონდა, საზოგადოებაში შესაფერისი ადგილი ეჭირა და შემოსავალიც ჰქონდა. გამოჩენილი ქალი იყო. შესანიშნავი მეგობრები ჰყავდა, მისი ეპოქის ბრწყინვალე და უნიჭიერეს ადამიანებს იცნობდა. ლონდონის საამო ჩურჩული ოთახში აღწევდა. სავარძლის სახელურზე დადებულმა მისმა ხელმა ისეთი უჩინარი, წარმოსახვითი კვერთხი ჩაბღუჯა, როგორიც ოდესღაც, ალბათ, მის წინაპრებს ეჭირათ. თვლემდა. თავს დამძიმებულად გრძნობდა. თითქოს ბატალიონებს კანადაში გზავნიდა. მისი ძვირფასი მეგობრები კი მიაბიჯებდნენ ლონდონში, მეიფერში, რომელიც პატარა ხალიჩას დამსგავსებოდა.

ისინი თანდათან შორდებოდნენ მას. თითქოს მასთან მხოლოდ წვრილი ძაფით იყვნენ დაკავშირებული (რადგან მათ ერთად მიირთვეს ლანჩი). ისინი ლონდონის ქუჩებში მიაბიჯებდნენ, ძაფი კი თანდათან იჭიმებოდა და წვრილდებოდა. ეჩვენებოდა, რომ ადამიანები ნასაუზმევს მეგობრებს იმ წვრილი ძაფით უკავშირდებოდნენ (ის უკვე თვლემდა), რომელიც უფრო და უფრო წვრილდებოდა და თითქოს იმ ზარის ხმაში დნებოდა, რომელიც დროს ან წირვის დაწყებას ამცნობს ხალხს. ძაფი წვიმის წვეთებისაგან დამძიმებული ობობას ქსელივით წვრილდება და წყდება. ლედი ბრიუტონს ჩაეძინა.

როცა დივანზე მწოლიარე ლედი ბრიუტონი ხვრინავდა და ძაფები გაწყდა, რიჩარდ დოლოვეი და ჰიუ უითბრედი, კონდიტ-სტრიტის კუთხეში შეჩერდნენ. ორივე მხრიდან ქარი უბერავდა. მათ მაღაზიის ვიტრინას შეხედეს. რაიმეს ყიდვა და ლაპარაკი არ სურდათ. უნდოდათ, ერთმანეთს დამშვიდობებოდნენ, მაგრამ ქარი ქუჩის ორივე მხრიდან გაშმაგებით ქროდა. ორი ძალა ერთმანეთს მთელი ძალით შეეჯახა: დილა და შუადღე. ქარი მათ სხეულებს მთელი ძალით ეხლებოდა და ისინი შეჩერდნენ. გაზეთი ლაჟვარდოვან ზეცაში ფრანივით სწრაფად აფრინდა, შეჩერდა, გადატრიალდა და ისევ წინ გაიჭრა. ქარმა ვიღაც ქალის პირბადე და ყვითელი ტენტები ააფრიალა. ნახევრად ცარიელ ქუჩებში დილის მოძრაობა შენელდა. ნახევრად დაცარიელებულ ქუჩებში მხოლოდ ურიკების შორეული რახარუხი მოისმოდა

დროდადრო. ნორფოლკში, რომელზეც რიჩარდი ახლა ფიქრობდა, ცხელი და სასიამოვნო ქარი ქროდა და ყვავილების ფურცლებს არხევდა, წყლის ზედაპირს ანაოჭებდა და ბალახებს წეწავდა. დაღლილი მთიბავები, რომლებმაც დილით ბევრი იმუშავეს, ღობის ჩრდილში გაწოლილიყვნენ, რათა ცოტა ხნით დაეძინათ. ფარდასავით ჩამოფარებულ მთრთოლარე ბალახებს სწევდნენ, რათა დაენახათ ზაფხულის ნათელი, კაშკაშა, ცისფერი, უძირო, უძრავი ზეცა.

ჰიუ მეჩვიდმეტე საუკუნის ვერცხლის ორსახელურიან თასს უყურებდა. ქედმაღლურად, მცოდნე კაცის იერით აიღო ესპანური ყელსაბამი. აინტერესებდა, რა ღირდა. ივლინს რომ მოსწონებოდა, ხომ უნდა ეყიდა? რიჩარდი ადგილიდან ვერ იძვროდა. ვეღარაფერზე ფიქრობდა, გახევებული იყო. ცხოვრების ოკეანეს გამოერიყა ეს ნამუსრევი: ვიტრინები ბიჟუტერიით იყო სავსე. ის კი იდგა და ვიტრინას გახევებული უცქერდა. თითქოს მოხუცივით საღათას ძილს წაეღო. ივლინ უითბრედს, ალბათ, ეს ესპანური ყელსაბამი მოეწონებოდა. რიჩარდმა მთქნარება ვერ შეიკავა. ჰიუმ მაღაზიაში შესვლა გადაწყვიტა.

– მშვენიერი აზრია! – თქვა რიჩარდმა და მას გაჰყვა.

ღმერთმა იცის, რომ ჰიუსთან ერთად ყელსაბამების საყიდლად წასვლა არ სურდა, მაგრამ ქარი გამალებით სცემდა მის სხეულს, დილა და შუადღე ერთმანეთს მთელი ძალით შეეჯახნენ და ისიც იძულებული გახდა, მაღაზიაში შესულიყო. ლედი ბრიუტონის დიდი ბაბუა, მასზე მოგონებები, მისი მოგზაურობები ჩრდილოეთ ამერიკაში იმ პატარა ნავს ჰგავდა, რომელიც უძირო ზღვის ტალღებზე ირწეოდა და ტალღები გამალებით სცემდა. მალე ნავი ზღვის ფსკერზე დაეშვა. ლედი ბრიუტონიც ზვირთებმა შთანთქა. რიჩარდს სულ არ ანაღვლებდა ემიგრაციის საკითხი. არ აინტერესებდა, გამოქვეყნდებოდა თუ არა ლედი ბრიუტონის წერილი „თაიმსში“.

ჰიუ ყელსაბამს ლამაზ თითებს უსვამდა. თუ ამ სამკაულს მაინცდამაინც იყიდდა, მაშინ ქუჩაში რომელიმე გოგონასთვის ეჩუქებინა; პირველივე შემხვედრ გოგონასთვის. რიჩარდს ცხოვრების ამაოებაზე ფიქრი მოეძალა. ჰიუ ივლინისთვის ყელსაბამს ყიდულობდა. რიჩარდს ვაჟიშვილი რომ ჰყოლოდა, ეტყოდა: „იშრომე! იშრომე!“, მაგრამ ქალიშვილი, ელიზაბეთი ჰყავდა, რომელიც ძალიან უყვარდა.

– მისტერ დიუბონეს ნახვა მინდა, – თქვა ჰიუმ ცივად და ქედმაღლურად. როგორც ჩანდა, დიუბონემ იცოდა, რა ზომის ყელი ჰქონდა ივლინ უითბრედს. იცოდა, როგორ უყვარდა მას ესპანური ყელსაბამები. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ ახსოვდა, რამდენი ძვირფასი სამკაული ჰქონდა მას (ჰიუმ კი ამის შესახებ არაფერი იცოდა). რიჩარდს ეს ყველაფერი ძალიან უცნაურად ეჩვენებოდა. კლარისას საჩუქრებს არასოდეს ჩუქნიდა. ორი-სამი წლის წინ აჩუქა ერთადერთი სამაჯური, რომელიც კლარისას დიდად არ მოეწონა და არასოდეს იკეთებდა. რიჩარდს ამის გახსენებისას გული ეტკინა. მისი გონება ახლა იმ ობობას ჰგავდა, რომელიც აქეთ-იქით ქანაობდა და ფოთოლს თავისი წებოვანი ქსელით ეწებებოდა. საღათას ძილიდან გამოვიდა. ობობას ქსელი კლარისას მიეწება. ის ახლა ფიქრობდა იმ ქალზე, ვინც პიტერ უოლშს ასე გატაცებით უყვარდა. რიჩარდს ლანჩის დროს უეცრად მოელანდა

კლარისა. გაახსენდა მათი ოჯახური ცხოვრება. ძველი სამკაულებით სავსე ლანგარი თავისკენ მოსწია, გულსაბნევი და ბეჭედი აიღო, დააცქერდა და გამყიდველს ჰკითხა: „რა ღირს?" თუმცა, ჯერ ვერ გადაეწყვიტა, ეყიდა თუ არა. თავის გემოვნებას ვერ ენდობოდა. შინ ხელცარიელი დაბრუნება არ სურდა. უნდოდა, კლარისასთვის რამე ეჩუქებინა. მაგრამ რა უნდა ეყიდა? ჰიუ ისევ გაიბღინძა. ის საშინლად ქედმაღალი და მედიდური იყო. ოცდათხუთმეტი წელი იყო, რაც ამ მაღაზიაში დადიოდა და ვიღაც გამოუცდელი ბიჭის სიტყვას არ ენდობოდა. მისტერ დიუბონე აქ არ იყო და ჰიუ მანამ არ იყიდდა სამკაულს, სანამ ის კეთილს არ ინებებდა და მაღაზიაში არ დაბრუნდებოდა. ახალგაზრდა გაწითლდა და თავი ძალზე თავაზიანად დაუკრა. რიჩარდი ასეთ რამეს არასოდეს, არასოდეს იტყოდა! ვერ წარმოედგინა, როგორ იტანდნენ ამ თავხედ და ქედმაღალ ჰიუ უითბრედს! უფრო და უფრო მანჭია და აუტანელი ხდებოდა. ნამდვილი რეგვენი. რიჩარდს არ შეეძლო, ერთ საათზე დიდხანს გაჩერება მასთან. ჰიუს ქუდის მოხდით დაემშვიდობა და კონდიტ-სტრიტის კუთხეში შეუხვია. ეჩქარებოდა, ნამდვილად ეჩქარებოდა. სწრაფად უნდა გადაელახა ის ობობას ქსელი, რომელიც კლარისასთან აკავშირებდა. ის პირდაპირ მასთან მივიდოდა, ვესტმინსტერში.

მისთვის საჩუქარი უნდა წაეღო. იქნებ ყვავილები ეყიდა? საკუთარ გემოვნებას ვერ ენდობოდა, რადგან სამკაულებში ვერ ერკვეოდა. ვარდებით, ორქიდეებით ხელდამშვენებული მივიდოდა კლარისასთან, რათა ეზეიმათ ეს დიდებული მოვლენა. როცა ლანჩზე პიტერ უოლშზე საუბრობდნენ, რიჩარდს გრძნობა მოერია. მას ხომ კლარისა... მათ მრავალი წელი არ უსაუბრიათ ამაზე. ეს კი ძალიან დიდი შეცდომაა, – გაიფიქრა და წითელი და თეთრი ვარდების დიდი, შრიალა ქაღალდში გახვეული თაიგული აიღო. „დგება დრო, როდესაც ამის თქმას ვერ ვბედავთ. გვრცხვენია", – გაიფიქრა რიჩარდმა, ჯიბეში ხურდა ჩაიდო, თაიგული მკერდზე მიიდო და ვესტმინსტერისაკენ გაეშურა. კლარისას ყვავილებს მიართმევდა და პირდაპირ ეტყოდა: „მე შენ მიყვარხარ" (რაც უნდოდა, ის ეფიქრა!). რატომაც არა?! ეს ნამდვილი საოცრება იყო. ფიქრობდა ომზე, დაღუპულ ყმაწვილებზე, რომლებსაც მთელი ცხოვრება წინ ჰქონდათ, რომლებიც ერთად მიაბარეს მიწას და თითქმის ყველამ დაივიწყა. ეს ნამდვილი სასწაული იყო. ის მიაბიჯებდა ლონდონის ქუჩებში, რათა კლარისასთვის ეთქვა, თუ როგორ ძალიან უყვარდა. ამას არასოდეს ვამბობთ, – ფიქრობდა ის, – ალბათ, იმიტომ, რომ გვეზარება ან გვრცხვენია. კლარისა კი... რიჩარდს ფიქრი უჭირდა, მაგრამ ლანჩის დროს, უეცრად, ნათლად დაინახა მისი სახე, მთელმა მათმა ცხოვრებამ ჩაუქროლა თვალწინ. რიჩარდი გზაჯვარედინზე შეჩერდა. ბუნებით სადა და უმანკო ადამიანი იყო. ბევრს დაეხეტებოდა და ნადირობდა. ჯიუტი და შეუპოვარიც იყო. ჩაგრულების უფლებებს იცავდა. თავისი გულწრფელობით შეაღწია თემთა პალატაში. მუდამ სადა და უბრალო, ბოლო დროს სიტყვაძუნწი და მოკრძალებული გახდა. საოცრებაა, კლარისა ცოლად რომ შევირთე, – იმეორებდა ის. მთელი მისი ცხოვრება სასწაული იყო. რიჩარდი გადასასვლელთან შეჩერდა. თავზარი ეცემოდა და სისხლი უდუღდებოდა, როდესაც ხედავდა, რომ ხუთი-ექვსი წლის ბავშვები მარტოდმარტო კვეთდნენ პიკადილის. პოლიციელებს მოძრაობა მაშინვე უნდა შეეჩერებინათ და გზა ბავშვებისათვის დაეთმოთ, მაგრამ ის ილუზიებს არ აჰყვებოდა. იცოდა, როგორიც იყო ბრიტანული პოლიცია. მათი შეცდომები ზეპირად იცოდა. ხილითა და ბოსტნეულით მოვაჭრეებს ქუჩებში ურიკების

გაჩერების ნება არ ჰქონდათ. ქუჩებში მეძავები იდგნენ... ღმერთმა იცოდა, რომ რიჩარდი არც მათზე და არც მათ ახალგაზრდა მამაკაცებზე არ ბრაზობდა. ისინი არაფერში იყვნენ დამნაშავენი. მხოლოდ საზარელი საზოგადოებრივი წყობა აღიზიანებდა. ეტყობოდა, რომ ფიქრებში იყო წასული. ქუჩაში მიაბიჯებდა თავისი ჭაღარა თმით. ელეგანტური და შეუპოვარი მამაკაცი იყო. სუფთა ტანსაცმელში გამოწყობილი მიაბიჯებდა პარკში, რათა კლარისასთვის ეთქვა, როგორ ძალიან უყვარდა.

როგორც კი სასტუმრო ოთახში შევიდოდა, ამ სიტყვებს ეტყოდა. ძალიან სამწუხაროა, რომ ადამიანი იმას არ ამბობს, რასაც გრძნობს, – ფიქრობდა და გრინ-პარკში მიაბიჯებდა. სიამოვნებით უცქერდა ხეების ჩრდილში მსხდარ ღარიბ ოჯახებს. ბავშვებს ფეხები ჰაერში აეშვირათ და რძეს სვამდნენ. მინდორზე ქაღალდის პარკები მიმოფანტულიყო (თუკი ეს პარკები ხალხს შეაწუხებდა, ერთი მსუქანი, ლივრეაში გამოწყობილი კაცი სწრაფად აკრეფდა). რიჩარდს მიაჩნდა, რომ ზაფხულობით ბავშვებისათვის ლონდონის ყველა პარკი და სკვერი უნდა გაეხსნათ (პარკებში ბალახი ხან წითლად ელავდა, ხან კი ფერმკრთალდებოდა და ვესტმინსტერელ ღარიბ ქალებსა და მიწაზე მხოხავ ბავშვებს ისე ანათებდა, თითქოს მინდორში ყვითელი ლამპა დაედგათ). მაგრამ როგორ უნდა დახმარებოდნენ მაწანწალა, უსახლკარო ქალებს? მაგალითად, ბალახზე წამოწოლილ ამ ქალს, რომელიც იდაყვს დაყრდნობოდა (თითქოს მიწაზე მოცელილივით დაეცა, რათა ყველაფერს ცნობისმოყვარედ დაჰკვირვებოდა და თამამად დაესვა თავისი თავისათვის შეკითხვები, ყველაფერი აეწონ-დაეწონა. ტუჩები დამცინავად და მხიარულად გამოებზიკა წინ)? რიჩარდ დოლოვეის ყვავილები იარაღივით მიჰქონდა. ქალს მიუახლოვდა. განზრახ ჩაუარა. თუმცა, მათ შორის რაღაც ნაპერწკალი გაკრთა. ქალს გაეცინა. რიჩარდმა თავაზიანად გაუღიმა და უსახლკარო ქალების მძიმე ხვედრზე დაფიქრდა. ისინი ვერასოდეს გააბამდნენ საუბარს. სამაგიეროდ, რიჩარდი კლარისას მალე ეტყოდა, თუ როგორ ძალიან უყვარდა. დიახ, ზუსტად ასე ეტყოდა. ადრე პიტერ უოლშსა და კლარისაზე ეჭვიანობდა, მაგრამ კლარისას ბევრჯერ უთქვამს მისთვის, კარგია, რომ პიტერს ცოლად არ გავყევიო. მართალიც იყო. მას ისეთი მამაკაცი სჭირდებოდა, რომელსაც დაეყრდნობოდა, მიუხედავად იმისა, რომ სუსტი ქალი სულაც არ იყო.

იძულებული ხარ, აღიარო, რომ ბუკინგემის სასახლე დიდებულია, – გაიფიქრა მან (ბუკინგემი ჰგავდა მოხუც, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილ პრიმადონას, რომელიც მაყურებლის წინაშე გამოდიოდა), – არ შეიძლება, გეზიზღებოდეს ის, რაც მილიონობით ადამიანისათვის (სასახლის გისოსებთან თავმოყრილი ბრბო მეფის გამოჩენას ელოდებოდა) უდიდესი სიმბოლოა. შეიძლება, სისულელეა, მაგრამ მაინც. ბავშვი კუბურებით უფრო კარგად ააგებდა ამ შენობას, – გაიფიქრა რიჩარდმა და დედოფალ ვიქტორიას ძეგლს შეხედა (გაახსენდა, როგორ მიდიოდა ის მანქანით კენსინგტონში. რქისჩარჩოიანი სათვალე ეკეთა). თეთრ კვარცხლბეკზე შემდგარი დედოფალი დედობით ბრწყინავდა. რიჩარდს უხაროდა, რომ ინგლისს ჰორსას[23] შთამომავალი მართავდა. ფიქრობდა, რომ სამეფო ტახტი მეფეებისა და დედოფლების მემკვიდრეებს უნდა რგებოდათ. უსაზღვრო სიხარულს განიცდიდა იმის გაფიქრებისას, რომ ტრადიციებს უკვდავყოფდნენ. ის მართლაც დიდებულ ეპოქაში ცხოვრობდა. მისი ცხოვრება ხომ მართლაც სასწაულია? სასიცოცხლო ძალით იყო აღსავსე. ეს მისი საუკეთესო წლები

იყო. ვესტმინსტერში მიაბიჯებდა, რათა ცოლისათვის ეთქვა, თუ როგორ ძალიან უყვარდა. „მიყვარხარ! აი, ესაა ბედნიერება", – გაიფიქრა მან.

აი, ესაა ბედნიერება, – გაიფიქრა მან, როდესაც „დინს-იარდში" შევიდა. ბიგ-ბენმა ჩამოჰკრა. ჯერ ერთგვარი მელოდიური გაფრთხილება გაისმა, შემდგომ კი საათის განუმეორებელი ხმა. ამ ლანჩის გამო მთელი დღე დავკარგე, – გაიფიქრა მან, როდესაც თავისი სახლის კარს მიუახლოვდა.

ბიგ-ბენის ხმამ ტალღასავით შთანთქა ის სასტუმრო ოთახი, სადაც კლარისა საწერ მაგიდასთან იჯდა. ძალიან გაბრაზებული და აღელვებული იყო. ძალიან კარგად მოიქცა, როცა ელი ჰენდერსონი წვეულებაზე არ დაპატიჟა. ასე განზრახ მოიქცა. ახლა კი მისის მერშემმა კი წერილი მოსწერა: „ელი ჰენდერსონს დავპირდი, კლარისას ვთხოვ, წვეულებაზე დაგპატიჟოს-მეთქი. ელის თქვენთან სტუმრობა ძალიან გაუხარდება".

რატომ იყო კლარისა ვალდებული, ლონდონის ყველა მოსაწყენი ქალი წვეულებაზე დაეპატიჟებინა? რატომ ერეოდა მის საქმეში მისის მერშემი? ელიზაბეთი დორის კილმანთან ერთად იყო ჩაკეტილი ოთახში. კლარისას ამაზე საზარელი და გულისამრევი რამ ვერ წარმოედგინა. დღისით, მზისით, ელიზაბეთი ქალთან ერთად იყო ოთახში ჩაკეტილი და ლოცულობდა. ოთახი საათის მელანქოლიურმა ტალღამ შთანთქა. ტალღამ ისევ უკან დაიხია, აიქოჩრა და ოთახში დაიღვარა. კლარისას შემაწუხებელი ხმაური შემოესმა. ვიღაც კარის უკან იდგა. ვინ უნდა იყოს ასეთ დროს? სამი საათია! ო, ღმერთო, უკვე სამი საათია! – გაიფიქრა მან. საათმა გასაოცარი პირდაპირობით, საზეიმოდ, მედიდურად ჩამოჰკრა სამჯერ და მიწყდა. სახელური ჩამოიწია და რიჩარდი შემოვიდა! რა საოცარი იყო! კლარისა ამას ნამდვილად არ ელოდა. რიჩარდი ოთახში შემოვიდა და თაიგული გაუწოდა. ეს ნამდვილი საოცრება იყო! ოდესღაც, კონსტანტინოპოლში, კლარისამ რიჩარდს იმედი გაუცრუა. ლედი ბრიუტონმა, რომელიც ძალზე სახალისო და კარგ წვეულებებს მართავდა, კლარისა ლანჩზე არ დაპატიჟა. რიჩარდმა კლარისას თეთრი და წითელი ვარდები გაუწოდა (მაგრამ ვერ შეძლო, მისთვის ეთქვა, რომ ძალიან უყვარდა).

– რა ლამაზია! – თქვა კლარისამ და თაიგული გამოართვა. კლარისა ყველაფერს უსიტყვოდ მიხვდა. იცოდა, რისი თქმაც სურდა რიჩარდს. ის ხომ მისი კლარისა იყო. ყვავილები ბუხრის თავზე, ლარნაკში ჩააწყო და გაიმეორა: – რა ლამაზია! ლანჩი კარგი იყო? ლედი ბრიუტონმა კლარისა მოიკითხა? პიტერ უოლში ლონდონში ჩამოვიდა. მისის მერშემმა წერილი გამოგზავნა. ნუთუ ელი ჰენდერსონი მართლა უნდა დაეპატიჟებინა წვეულებაზე? მის კილმანი აქ იყო, მეორე სართულზე.

– ხუთი წუთით ჩამოვსხდეთ, – უთხრა რიჩარდმა.

ოთახი დაცარიელებულად ეჩვენებოდა. სკამები კედელთან ჩაემწკრივებინათ. ნეტავ რატომ? ო, ეს წვეულება! რა თქმა უნდა, არ დავიწყებია, რომ ამ საღამოს წვეულება ჰქონდათ. პიტერ უოლში დაბრუნდა. ო, დიახ! მის სანახავად უკვე იყო მოსული. განქორწინების საკითხის მოსაგვარებლად ჩამოვიდა. ინდოეთში ვიღაც ქალი შეუყვარდა. ოდნავადაც კი არ შეცვლილა. კლარისა იჯდა და კაბას კერავდა.

– და ბორტონზე ვფიქრობდი, – თქვა მან.

– ლანჩზე ჰიუც იყო, – მიუგო რიჩარდმა. კლარისაც შეხვდა მას. ის უფრო და უფრო აუტანელი გახდა. ივლინისთვის ყელსაბამი იყიდა. უფრო გასუქდა და ძალიან ამპარტავანი და აუტანელია.

– უეცრად გავიფიქრე: „ლამის ცოლად გამოგყევი!" – თქვა კლარისამ, როცა მოაგონდა პიტერი თავისი ჰალსტუხითა და ჯაყვით, რომელსაც წამდაუწუმ შლიდა და კეცავდა, – ხომ იცი, საერთოდ არ შეცვლილა.

რიჩარდმა უთხრა, რომ პიტერზე ლანჩის დროს ისაუბრეს (რიჩარდს არ შეეძლო, კლარისასთვის ეთქვა, თუ როგორ ძალიან უყვარდა. კლარისას ხელი აიღო და გაიფიქრა: აი, ეს არის ბედნიერება) და მილისენტ ბრიუტონს „თაიმსში" გამოსაქვეყნებელი წერილის დაწერაში დაეხმარნენ. ჰიუს ხომ წერილების წერის გარდა არაფერი შეეძლო.

– ჩვენი ძვირფასი მის კილმანი როგორ არის? კლარისას ყვავილები ძალიან მოეწონა. თავიდან რომ ასე მიჰკვროდნენ ერთმანეთს, ახლა გაიშალნენ.

– მის კილმანი საუზმის შემდეგ მოვიდა. ელიზაბეთი მისი დანახვისას საშინლად გაწითლდა. ოთახში ჩაიკეტნენ. მგონი, ლოცულობენ.

ო, ღმერთო! რიჩარდს ეს ამბავი არ მოეწონა, მაგრამ იცოდა, რომ ასეთი იყო ახალგაზრდობა. თუკი ელიზაბეთი ამ ყველაფერს ყურადღებას არ მიაქცევდა, ეს გატაცება მალე გადაუვლიდა.

– მაკინტოშითა და ქოლგით მოვიდა, – დასძინა კლარისამ.

რიჩარდმა მას ვერ უთხრა: „მე შენ მიყვარხარ". მისი ხელი ეჭირა და ფიქრობდა: „სწორედ ესაა ბედნიერება".

– რატომ ვარ ვალდებული, ყველა ლონდონელი მოსაწყენი ქალი დავპატიჟო წვეულებაზე? როდესაც მისის მერშემი წვეულებას მართავს, მე ხომ არ ვეუბნები, ვინ უნდა დაპატიჟოს?! – ჰკითხა კლარისამ.

– საბრალო ელი ჰენდერსონი, – მიუგო რიჩარდმა. უცნაურია... კლარისა წვეულებებზე ძალიან ღელავს. რიჩარდი იმასაც კი ვერ ამჩნევდა, როგორ მოერთოთ სასტუმრო ოთახი! რა უნდა ეთქვა კლარისასთვის?

თუ ასე იღელვებს, რიჩარდი წვეულებების მოწყობის ნებას აღარ დართავს. ნუთუ ნანობს, რომ პიტერ უოლშს ცოლად არ გაჰყვა? – გაიფიქრა და გაახსენდა, რომ უნდა წასულიყო.

თქვა, ჩემი წასვლის დროაო და წამოდგა, მაგრამ ისევ შეყოვნდა და მის წინ დადგა. თითქოს რაღაცის თქმა სურდა. ნეტავ რატომ? ალბათ, ვარდების გამო, – გაიფიქრა კლარისამ და ჰკითხა: – კომიტეტში მიდიხარ?

რიჩარდმა კარი გამოაღო და მიუგო: – სომხები...[24] – მიუგო მან (კლარისამ ვერ გაარჩია, რიჩარდმა ალბანელები თქვა თუ სომხები). „ადამიანებს ღირსება აქვთ და მარტოობისაკენ მიილტვიან. ცოლ-ქმარს

შორისაც კი არსებობს უფსკრული. ამას პატივი უნდა ვცეთ, – ფიქრობდა კლარისა და უყურებდა, როგორ აღებდა კარს რიჩარდი, – ამას თავად ვერ შეელევი და ვერც ქმარს ვერ წაართმევ, თორემ მაშინვე დაკარგავ თავისუფლებასა და საკუთარი თავის პატივისცემას, ამ ფასდაუდებელ საგანძურს".

რიჩარდი ოთახში ბალიშითა და პლედით შემოვიდა.

– ლანჩის შემდეგ ერთი საათი უნდა დაისვენო, – თქვა მან და ოთახიდან გავიდა.

ის გამოუსწორებელი იყო! სიკვდილამდე გაუმეორებდა კლარისას: „ლანჩის შემდეგ ერთი საათი უნდა დაისვენო", რადგან ეს ერთხელ ექიმმა ურჩია. ის გამოუსწორებელი იყო: მუდამ ზედმიწევნით ასრულებდა ექიმის რჩევებს. ასეთი საოცარი, ღვთაებრივი სისადავე და უბრალოება მასავით არავის ჰქონდა მიმადლებული. ის საქმიანი ადამიანი იყო და მუდამ წინ მიიწევდა, პიტერი და კლარისა კი კინკლაობაში დროს უქმად კარგავდნენ. რიჩარდმა თემთა პალატაში თითქმის მიზანს მიაღწია. თავის სომხებსა და ალბანელებზე ზრუნავდა. კლარისა სოფაზე დააწვინა და ბუხრის თავზე ყვავილები დაუწყო, თავად კი წავიდა. ვიღაც კი იტყოდა: „კლარისას ქმარი ძალიან ანებივრებს". კლარისასთვის ეს ვარდები უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე სომხების პრობლემები. ტანჯული დევნილები სიცივით იხოცებოდნენ, სისასტიკისა და უსამართლობის მსხვერპლნი ხდებოდნენ (ბევრჯერ მოუსმენია, როგორ ლაპარაკობდა რიჩარდი ამ საკითხზე). სომხების (თუ ალბანელების?) პრობლემები არ აინტერესებდა. მათ მიმართ სრულიად გულგრილი იყო, თავისი ვარდები კი ძალიან უყვარდა (სომხებისთვისაც ხომ ასე ჯობსო, ამბობდა ის). ვარდის გარდა ვერც ერთ ყვავილს ვერ ჩადებდა ლარნაკში, რადგან მოსაწყვეტად ენანებოდა. რიჩარდი უკვე თემთა პალატაში იყო, თავის კომიტეტში. კლარისას ყველა პრობლემა მოუგვარა და წავიდა. მაგრამ არა... სამწუხაროდ, ასე არ იყო. მან ვერ გაუგო კლარისას. ვერ გაიგო, რატომ არ სურდა ელი ჰენდერსონის წვეულებაზე დაპატიჟება. რაკი რიჩარდი ასე იჟინებდა, კლარისა მაინც დაპატიჟებდა იმ ელი ჰენდერსონს. ცხადია, კლარისა ისე მოიქცეოდა, როგორც რიჩარდს უნდოდა. როცა ბალიში და პლედი მოუტანა, მორჩილად დაწვა. მაგრამ, მაგრამ... რაღაც არ ასვენებდა. ვერ ხვდებოდა, რატომ დასევდიანდა ასე? რატომ იყო ასე უსაზღვროდ სასოწარკვეთილი და უბედური? კლარისა იმ ადამიანივით გულმოდგინედ დაეძებდა თავისი სევდის მიზეზს, რომელმაც მინდორში მარგალიტი ან ბრილიანტი დაკარგა. ბალახების მაღალ ღეროებს ფრთხილად სწევდა და ამაოდ დაეძებდა. როგორც იქნა, ხეების ფესვებს შორის იპოვა. კლარისა ფიქრობდა. იქნებ იმიტომ იყო ასე დასევდიანებული, რომ სელიმ თქვა, რიჩარდი მთავრობაში ვერასოდეს შეაღწევს, რადგან დიდი გონიერებით არ გამოირჩევაო (მისი სიტყვები უეცრად მოაგონდა)? არა. ეს ამბავი კარგა ხნის წინ მოხდა. იქნებ იმიტომ, რომ დორის კილმანი და ელიზაბეთი ოთახში იყვნენ ჩაკეტილი? არა... ეს რეალობა იყო. ეს რაღაც უსიამოვნო შეგრძნება, ალბათ, ადრეც განუცდია. იქნებ ამ დილით პიტერმა რაღაც უთხრა? იქნებ მისმა სიტყვებმა უფრო გაუმწვავა ის სევდა და ტკივილი, რომელიც კლარისამ მაშინ იგრძნო, როდესაც თავის ოთახში ქუდი მოიხადა? იქნებ რიჩარდმაც უთხრა რაღაც, რამაც კიდევ მეტად ატკინა გული? მაინც რა უთხრა? მისი მოტანილი ვარდები აქ იყო... წვეულებები! ჰო, საღამოები! საღამოებზე

უთხრა! პიტერმა და რიჩარდმა წვეულების გამო ძალზე უსამართლოდ გაკიცხეს და დასცინეს! სწორედ ამიტომ გრძნობდა თავს კლარისა ასე ცუდად! სწორედ ამიტომ!

როგორ უნდა ემართლებინა თავი? სევდის მიზეზს მიაგნო და თავს საოცრად ბედნიერად გრძნობდა. მათ (ყოველ შემთხვევაში, პიტერს) ეგონათ, რომ კლარისას თავის გამოჩენა, სხვათა ყურადღების მიპყრობა და გამოჩენილ ადამიანებში ტრიალი უყვარდა. ერთი სიტყვით, სნობი იყო. ცხადია, პიტერი ასე ფიქრობდა. რიჩარდი კი უბრალოდ ფიქრობდა, რატომ ღელავს ასე, ხომ იცის, რომ მისი გულისთვის ეს ცუდიაო. მას ეს ბავშვურ საქციელად მიაჩნდა. ორივე ცდებოდა! კლარისას, უბრალოდ, ცხოვრება უყვარდა.

– სწორედ ამიტომ ვაკეთებ ამას! – უთხრა ხმამაღლა ცხოვრებას.

იწვა დივანზე ყველაფრისაგან განდგომილი და გათავისუფლებული. ის, რის არსებობასაც ასე ცხადად, მძაფრად გრძნობდა, თითქოს ფიზიკურ სახეს იღებდა. ცხოვრება ქუჩის ხმაურის, მზით გამთბარი მოჩურჩულე ნიავის სახით აღწევდა მის ოთახში და ფარდებს აფრიალებდა. პიტერს მისთვის რომ ეთქვა: „დიახ, დიახ, შენი წვეულებები! რა აზრი აქვს შენს წვეულებებს?", კლარისა მხოლოდ ამის თქმას შეძლებდა (მაგრამ ამას ვერავინ გაიგებდა): „ეს ძღვენია, მსხვერპლშეწირვა". ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, საშინლად ბუნდოვნად მოეჩვენებოდა პიტერს. ვინ იყო პიტერი, რომ ამბობდა, ცხოვრება ძალიან იოლიაო?! მას ხომ მუდამ შეუფერებელი ქალები უყვარდა! „და შენს სიყვარულს რა აზრი აქვს?" – ჰკითხავდა კლარისა მას. კლარისამ იცოდა, რასაც უპასუხებდა ის: სიყვარული ისეთი რამაა, რისი გაგებაც ქალს არ შეუძლია. მაგრამ კაცს ძალუძს კი ამის გაგება? იცის, რა არის ცხოვრება? კლარისა. პიტერი და ჰიუ უმიზეზოდ, მხოლოდ მეგობრების გასახარებლად წვეულებებს არასოდეს მოაწყობდნენ!

უფრო რომ დაჰკვირვებოდა ადამიანების სიტყვებსა (რა ზედაპირულად მსჯელობენ ისინი!) და თავის გონებას, საკუთარ გულში ჩაეხედა, რას ნიშნავდა მისთვის ის რაღაც, რასაც ცხოვრებას უწოდებდა? ო, ეს ძალიან რთულად ასახსნელი იყო. სამხრეთ კენსინგტონში, ბეისუოთერსა თუ მეიფერში მცხოვრები ადამიანების არსებობასაც კი მუდამ მძაფრად გრძნობდა. რა სამწუხარო იყო, რა დასანანი! კლარისას უნდოდა, უცნობი ადამიანები ერთმანეთისათვის გაეცნო და ამას მართლაც აკეთებდა. ის ნამდვილ ხელოვანს ჰგავდა. ეს ძღვენი, მსხვერპლშეწირვა იყო. მაგრამ ვისთვის?..

ალბათ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იღებდა ასეთ მსხვერპლს, რომ ეს თავადვე სურდა. ამის ნიჭი ნამდვილად ჰქონდა. ისე კი, არაფრით ბრწყინავდა. არც ფიქრი შეეძლო, არც წერა, არც პიანინოზე დაკვრა. სომხებსა და თურქებს ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა. უყვარდა წარმატება და ეზიზღებოდა სირთულეები. უყვარდა, როდესაც სხვებს თავს აწონებდა. უამრავ სისულელეს ამბობდა. დღესაც კი ვერ იტყოდა, რა იყო ეკვატორი.

ყველაფრის მიუხედავად, ცხოვრება გრძელდებოდა. დღე დღეს მისდევდა. ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი... დილით იღვიძებდა და ცას უმზერდა. პარკში სეირნობდა. დღეს დილით ჰიუ უითბრედს შეხვდა,

პიტერი მოულოდნელად ჩამოვიდა, რიჩარდმა ვარდები აჩუქა. ეს ყველაფერი საკმარისი იყო იმისათვის, რომ თავი ბედნიერად ეგრძნო. ო, რა შეუძლებლად და წარმოუდგენლად ეჩვენებოდა სიკვდილი! ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ყოველივე ეს ადრე თუ გვიან დასრულდებოდა და ამქვეყნად ვერავინ გაიგებდა, როგორ უსაზღვროდ უყვარდა ეს ყველაფერი, და ყოველი წამი...

კარი გაიღო. ელიზაბეთმა იცოდა, რომ დედამისი ისვენებდა, ოთახში უხმაუროდ შემოვიდა და უძრავად დადგა. იქნებ ასიოდე წლის წინ ვიღაც მონღოლის გემი ნორფოლკთან ჩაიძირა, მონღოლი კი ტალღებმა ნაპირზე გამორიყა (მისის ჰილბერიც ამას ამტკიცებდა) და დოლოვეების ქალებში გაერია? დოლოვეებს ქერა თმა და ცისფერი თვალები ჰქონდათ, ელიზაბეთი კი დოლოვეებს არაფრით ჰგავდა. შავგვრემანი იყო, ჩინელივით წვრილი თვალები, ფერმკრთალი სახე და იდუმალი, აღმოსავლური იერი ჰქონდა. მშვიდი, წინდახედული და ჩუმი იყო. ბავშვობაში დიდი იუმორის გრძნობით გამოირჩეოდა. მაგრამ, როდესაც ჩვიდმეტი წლისა გახდა, ძალზე დასერიოზულდა. კლარისა ვერ ხვდებოდა, რატომ შეიცვალა ასე. იმ სრიალაფოთლებიან, უმზეოდ გაზრდილ, მომწვანო სუმბულს ჰგავდა, რომლის კვირტებიც ახლახან შეიფერა.

ელიზაბეთი არ იძვროდა და დედას უცქერდა. კარი ნახევრად ღია იყო. კლარისამ იცოდა, რომ კარს უკან, თავის მაკინტოშში გამოწყობილი მის კილმანი იდგა და მათ ყურს უგდებდა.

ის მართლაც კიბის თავში იდგა და მაკინტოში ეცვა. იაფფასიანი მაკინტოში, რადგან ძვირფასი ტანსაცმლის ყიდვის საშუალება არ ჰქონდა. უკვე ორმოცს გადააბიჯა და კეკლუცად არ იცვამდა. საშინლად ღარიბი იყო და თავს ძალიან დამცირებულად გრძნობდა. ასე რომ არ ყოფილიყო, არ იმუშავებდა ამ მდიდარ დოლოვეებთან, რომლებიც ცდილობდნენ, გულკეთილ და თავაზიან ადამიანებად გამოჩენილიყვნენ. უნდა ეღიარებინა, რომ მისტერ დოლოვეი მის მიმართ სულგრძელი და თავაზიანი იყო, მისის დოლოვეი კი – არა! ის უბრალოდ გულმოწყალე, თუმცა, ქედმაღალი იყო. იმ ყველაზე საძულველი მდიდარი ფენის წარმომადგენელი ბრძანდებოდა, რომელიც კულტურით არ ბრწყინავდა. მათ ძვირფასი ნივთები ჰქონდათ: ნახატები, ხალიჩები... უამრავი შინამოსამსახურე ჰყავდათ. მას მიაჩნდა, რომ იმსახურებდა იმ ყველაფერს, რასაც დოლოვეები უკეთებდნენ.

თვლიდა, რომ გააბრიყვეს და ყველაფერი წაართვეს (სულაც არ აზვიადებდა). ყველა ქალს ჰქონდა ბედნიერების უფლება. ის კი არასოდეს ყოფილა ბედნიერი, რადგან ტლანქი, უშნო, ღარიბი და საბრალო იყო. როდესაც მის დოლბის სკოლაში წარმატების მიღწევის შანსი მიეცა, მსოფლიო ომი დაიწყო. ტყუილის თქმა არასოდეს შეეძლო. მის დოლბი ეუბნებოდა, იმათ გვერდით უფრო ბედნიერი იქნებით, ვისაც თქვენსავით უყვარს გერმანელებიო. ის მართლაც წავიდა. სხვა გზა არ ჰქონდა. მის ძარღვებში გერმანული სისხლი ჩქეფდა. XVI საუკუნეში მათი გვარი იწერებოდა როგორც „KIEHLMAN". მისი ძმა ომში დაიღუპა. სკოლიდან გარიცხეს, რადგანაც თვალთმაქცობა არ შეეძლო. ვერ იტყოდა, რომ გერმანელები საშინელი ადამიანები იყვნენ. მას ხომ უამრავი გერმანელი მეგობარი ჰყავდა და ცხოვრების უბედნიერესი დღეები სწორედ გერმანიაში გაატარა! ისტორიაც

შეისწავლა. ხელიდან არაფერს უშვებდა. ყველაფერს გატაცებით ეწაფებოდა. მისტერ დოლოვეი მაშინ გაიცნო, როდესაც კვაკერების სექტაში იყო. რიჩარდმა ის თავისი ქალიშვილის, ელიზაბეთის, ისტორიის მასწავლებლად აიყვანა (ძალიან თავაზიანი და სულგრძელი კაცი იყო!). საღამოობით ლექციებს კითხულობდა. მერე ღმერთი გამოეცხადა (მუდამ თავს ხრიდა ამის გახსენებისას). ორი წელი და სამი თვე იყო, რაც უფალმა გონება გაუნათა. მას შემდეგ აღარ შურდა კლარისა დოლოვეის მსგავსი ქალებისა. ისინი მთელი გულით ებრალებოდა.

მის კილმანს ისინი ებრალებოდა და მთელი გულით ეზიზღებოდა. რბილ ხალიჩაზე იდგა და მუფთიანი გოგონას ძველებურ გრავიურას უყურებდა. მიაჩნდა, რომ ასეთ ფუფუნებაში ადამიანი გადაგვარდებოდა. დივანზე გორაობის ნაცვლად (ელიზაბეთმა თქვა: „დედა ისვენებს"), მისის დოლოვეისა და სხვა მისთანა დახვეწილ ქალებს ქარხანაში უნდა ემუშავათ და დახლთან დამდგარიყვნენ!

გულნატკენმა, გაცეცხლებულმა მის კილმანმა ორი წლისა და სამი თვის წინ დაიწყო ეკლესიაში სიარული. მღვდელ ედუარდ უითთეკერის ქადაგებას ყურს უგდებდა და ბიჭების ქოროს უსმენდა. ერთხელ დაინახა, როგორ გაეხვია ზეციურ ნათელში. იქნებ მუსიკამ თუ მომღერალთა გუნდის ხმამ (ხშირად, საღამოობით, როდესაც მარტო რჩებოდა, ვიოლინოზე დაკვრას იწყებდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ვიოლინო ყურთასმენის წამღებ ხმას გამოსცემდა. მის კილმანს სმენა არ ჰქონდა) აწეწილი სული დაუმშვიდა, მტანჯველი შეგრძნება უკვალოდ გაქრა. ბევრი ცრემლი ღვარა. მისტერ უითთეკერს კენსინგტონში ესტუმრა და ყველაფერი უამბო. „ეს ღვთის ხელი იყო", – უთხრა მისტერ უითთეკერმა. ღმერთმა მას გზა უჩვენა. ახლა გული ძალიან სტკიოდა, მტანჯველი შეგრძნებები არ ასვენებდა, მისის დოლოვეი სძულდა, მთელ ქვეყნიერებაზე განაწყენებული იყო, მაგრამ მაინც ღმერთსა და მისტერ უითთეკერზე ფიქრობდა. სიბრაზე უცხრებოდა და საოცარი სიმშვიდე ეუფლებოდა. სული მისი ნეტარებდა. მის ძარღვებში საამური სიტკბოება ჩუხჩუხებდა. ბაგე გაეპო. მაკინტოშში გამოწყობილიყო და შიშის მომგვრელი იერი ჰქონდა. კიბის თავში იდგა და დაჟინებით, ავად, ბოროტად, თუმცა, აუღელვებელი სიმშვიდით უცქერდა მისის დოლოვეის, რომელიც ოთახიდან ქალიშვილთან ერთად გამოვიდა.

ელიზაბეთმა თქვა, რომ ხელთათმანების აღება დაავიწყდა. სინამდვილეში, ეს იმიტომ თქვა, რომ დედამისსა და მის კილმანს ერთმანეთი ეზიზღებოდათ და ელიზაბეთს მათ გვერდით გაჩერება არ შეეძლო. მან კიბე აირბინა.

არა, მის კილმანს მისის დოლოვეი არ სძულდა. კლარისას თავისი დიდი, ხურტკმლისფერი თვალებით უცქერდა. უყურებდა მის პატარა, ვარდისფერ სახეს, ნატიფ, ფაქიზ, დახვეწილ სხეულს. კლარისა ელეგანტური და მომხიბლავი ქალი იყო. „საბრალო სულელო! შენ არც სიხარული და არც მწუხარება არ განგიცდია! რა ამაოა შენი ცხოვრება!" – ფიქრობდა მის კილმანი. საშინლად უნდოდა, კლარისასთვის ნიღაბი ჩამოეგლიჯა, დაემარცხებინა და ფეხქვეშ გაეთელა. რომ დაემცირებინა, თავს უფრო მშვიდად იგრძნობდა, მაგრამ მას არა მისი სხეულის, არამედ ამაყი და ქედმაღალი სულის დამორჩილება სურდა. უნდოდა, აეტირებინა, გაენადგურებინა და დაემცირებინა. კლარისა მუხლებზე უნდა დაცემულიყო

და დაეყვირა: „მართალი ხართ!" მაგრამ ეს მხოლოდ ღვთის ნებით თუ მოხდებოდა. თავად მის კილმანი ვერაფერს გახდებოდა. ეს ნამდვილი რელიგიური გამარჯვება უნდა ყოფილიყო. გაცხარებული მის კილმანი დაჟინებით უცქერდა კლარისას.

კლარისა აღშფოთებული და გაოგნებული იყო. ნუთუ ეს იყო ქრისტიანი ქალი?! ის ხომ ქალიშვილს ართმევდა! ამბობდა, რომ სულების დანახვა შეეძლო! მსუქანი, უხეში, უშნო, არაფრით გამორჩეული ქალი იყო. სიკეთითა და თავაზიანობით არ გამოირჩეოდა და მაინც ამბობდა, ვიცი, რა არის ცხოვრების არსიო!

– ელიზაბეთი მაღაზიაში მიგყავთ? – ჰკითხა კლარისამ.

– დიახ, – მიუგო მის კილმანმა.

ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. მის კილმანი სულაც არ აპირებდა მის დოლოვეისთან თავაზიანობის გამოჩენას. მას არასოდეს არავინ დახმარებია. სარჩოს საკუთარი შრომით მოიპოვებდა. თანამედროვე ისტორია კარგად იცოდა. მცირე შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ ახერხებდა, საყვარელი საქმისთვის ცოტაოდენი თანხა გადაენახა. ეს ქალი კი, კლარისა, უსაქმური და ურწმუნო იყო. ის ხომ ქალიშვილს ზრდიდა! ოდნავ აქოშინებული ელიზაბეთი ოთახიდან გამოვიდა. ნამდვილად ლამაზი გოგონა იყო.

ისინი მაღაზიაში უნდა წასულიყვნენ. უცნაური იყო: კლარისა კიბის თავში მდგარ მის კილმანს უცქერდა (ის იმ პრეისტორიული ურჩხულივით ჩუმი და ძლიერი იყო, რომელიც საბრძოლველად ემზადებოდა), დრო გადიოდა და მის კილმანი ისე აღარ სძულდა (კლარისას არა მის კილმანი, არამედ მისი აზროვნება სძულდა), ბოროტ და ავ ქალად აღარ ეჩვენებოდა. თითქოს პატარავდებოდა და ხდებოდა უბრალო, მაკინტოშში გამოწყობილი ჩვეულებრივი მის კილმანი, რომელსაც ღმერთმა იცოდა, რომ კლარისა სიამოვნებით გაუწვდიდა დახმარების ხელს!

ურჩხული უფრო და უფრო პატარავდებოდა. კლარისა მათ დაემშვიდობა და გაეცინა.

მათ კიბე ერთად ჩაიარეს.

კლარისა უეცრად აღელდა. გული ძალიან ეტკინა, რადგან ეს ქალი შვილს ართმევდა! ის მოაჯირს დაეყრდნო და მათ დაუყვირა: – წვეულებაზე მოსვლა არ დაგავიწყდეს! არ დაგავიწყდეს, რომ ამ საღამოს წვეულება გვაქვს.

მაგრამ ელიზაბეთს უკვე კარი გამოეღო, ქუჩიდან მანქანების ხმაური იჭრებოდა და, ალბათ, დედის სიტყვები ვერ გაიგონა. არაფერი უპასუხა.

„სიყვარული და რელიგია ყველაზე საშინელი, გულისამრევი და საზიზღარი რამაა ამქვეყნად!" – გაიფიქრა კლარისამ და სასტუმრო ოთახში შებრუნდა. ძალიან აღელვებული იყო. ახლა მის კილმანს ვეღარ ხედავდა, მაგრამ მასზე ფიქრს ვერ იშორებდა. „სიყვარული და რელიგია", – ფიქრობდა ის. სიყვარული და რელიგია ტლანქ, უხეშ, ბრაზიან, მბრძანებლობას მოწყურებულ, პირმოთნე, ფარისეველ, თავშეუკავებელ, ეჭვიან, საშინლად

სასტიკ, უსირცხვილო, მაკინტოშში გამოწყობილ და კიბის თავში მდგარ არსებებად ეჩვენებოდა, რომლებიც კარს უკან იდგნენ და მის საუბარს ყურს უგდებდნენ. სიყვარული და რელიგია. მას არასოდეს უცდია, ვინმე ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოექცია. მხოლოდ ის სურდა, ადამიანები ყოფილიყვნენ ისეთები, როგორიც იყვნენ. კლარისა ფანჯრიდან ხედავდა მოხუც ქალს, რომელიც კიბეს მიუყვებოდა. დაე, ავიდეს კიბეზე, თუ ასე სურს! შეჩერდეს, ისევ გზა განაგრძოს, შევიდეს თავის ოთახში, გადასწიოს ფარდები და ოთახის სიღრმეში გაუჩინარდეს (კლარისა ხშირად უცქერდა მას). როგორღაც პატივს სცემდა ამ ქალს, რომელიც ფანჯრიდან იხედებოდა და ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ვიღაც უცქერდა. ამაში იყო რაღაც დიდებული, მაგრამ სევდიანიც (მაგრამ ამას სიყვარული და რელიგია გაანადგურებდა). რა მნიშვნელობა აქვს, რას ვუწოდებთ ამას? იქნებ სულის სიმარტოვეს? საზიზღარი კილმანი ამ ყველაფერს გაანადგურებდა! ისეთი სანახაობა იყო, რომ კლარისას ცრემლი მოერია.

სიყვარულიც დამანგრეველი გრძნობაა. ყოველივე ლამაზი და ჭეშმარიტი სამუდამოდ გაქრობისათვის იყო განწირული, მაგალითად, პიტერ უოლში, მომხიბლავი, ჭკვიანი, იდეებით სავსე მამაკაცი. თუკი თქვენ გსურდათ, ბევრი რამ გაგეგოთ ალექსანდრ პოუპზე ან ედისონზე, ან უბრალოდ, სულელურ საკითხებზე, ადამიანებსა და უამრავ სხვა რამეზე გელაყბათ, მასზე უკეთესს ვერავის იპოვიდით. ის კლარისას დაეხმარა, წიგნები ათხოვა, მაგრამ მუდამ ვულგარული, არაფრით გამორჩეული ქალები უყვარდა. წარმოიდგინეთ შეყვარებული პიტერი! ამდენი წლის შემდეგ დაბრუნდა ლონდონში, კლარისა ნახა და რაზე ესაუბრა?! საკუთარ თავსა და ცხოვრებაზე! რა საზარელი და დამამცირებელი ვნებაა ეს! – ფიქრობდა კლარისა. გაახსენდა მის კილმანი და თავისი ელიზაბეთი, რომლებიც ახლა მაღაზიაში მიდიოდნენ. ბიგ-ბენის ხმა გაისმა.

საოცარი და უცნაური, ნამდვილად უცნაური და ამაღელვებელი სანახაობა იყო: მოხუცი ქალი ფანჯარას ისე მოშორდა (მრავალი წელი იყო, ის და კლარისა მეზობლები იყვნენ), თითქოს ბიგ-ბენმა და მისი ზარების ხმამ უხილავი თოკით მაგრად მოჰქაჩა. ბიგ-ბენი დიდებული იყო, თუმცა, ამ საბრალო მოხუც ქალს უკავშირდებოდა. მოსაწყენი ყოველდღიურობის მორევში თითი ეშვებოდა და წამს დიდებულ ელფერს ანიჭებდა.

კლარისას ეჩვენებოდა, რომ თითქოს ბიგ-ბენის ხმა ქალს ამოძრავებდა. აიძულებდა, წასულიყო, მაგრამ სად? კლარისა ცდილობდა, მისთვის თვალი გაეყოლებინა. ქალი ფანჯარას მოშორდა. ოთახის სიღრმეში მისი ჩაჩი გაკრთა. ალბათ, ოთახში ისევ დააბიჯებდა. რა დროს რელიგია, რწმენა და ლოცვაა, როდესაც ხილული სასწაული, უდიდესი საიდუმლოა ეს მოხუცი ქალი, რომელიც კამოდიდან მაგიდამდე მიდიოდა. ის ისევ უცქერდა მას. მის კილმანი და პიტერი ამბობდნენ, რომ უდიდეს საიდუმლოს ჩასწვდნენ, მაგრამ კლარისას ღრმად სწამდა, რომ ისინი ცდებოდნენ. უდიდესი საიდუმლო მხოლოდ ეს იყო: ერთი ოთახი აქ, მეორე – იქ. რისი წყალობით ძალუძს ადამიანს ამ საიდუმლოს ჩასწვდეს ? სიყვარულის თუ რელიგიის?

სიყვარულის... ფიქრი იმ საათის ხმამ შეაწყვეტინა, რომელიც ბიგ-ბენის შემდეგ ორი წუთით გვიან რეკავდა, საათი მოვიდა ფეხების ფრატუნით და კალთით უამრავი რამ გადმოაფრქვია ქვეყნიერებას. თითქოს შეახსენა:

მართალი იყო, ბიგ-ბენი დიდებული, ბრწყინვალე რამ იყო და ქვეყნიერებას ჭეშმარიტებას ამცნობდა, მაგრამ არ უნდა დაევიწყებინა უამრავი სხვა რამ: მისის მერშემი, ელი ჰენდერსონი, ნაყინის ჭიქები. ყველა ეს ნივთი ღვარად, ტლაშუნით მოედინებოდა და მხიარულად ცეკვავდა ამ საათის დიდებული, საზეიმო ხმის კვალდაკვალ, რომელიც ოქროსფრად დაეფინა ზღვას. მისის მერშემი, ელი ჰენდერსონი, ნაყინის ჭიქები. ახლავე უნდა დაერეკა.

ბიგ-ბენზე ოდნავ გვიან, აღტყინებით რეკავდა საათი. კალთა ათასი ნივთით აევსო. მის ხმას დროდადრო ფარავდა ურიკების შორეული ხრიგინი და სატვირთო მანქანების ხმა. საქმიანი მამაკაცები ქუჩებში სწრაფად მიაბიჯებდნენ. ქალები კაბების ფრიალით დასეირნობდნენ გუმბათიანი და ქონგურებიანი შენობებისა და საავადმყოფოების წინ. კალთაში დარჩენილი ნივთები თითქოს ტალღასავით დაეღვარა მის კილმანის სხეულს, რომელიც ქუჩაში გარინდებული იდგა და ჩურჩულებდა: „სხეული"...

მას ფიზიკურად უნდა დაემარცხებინა კლარისა. მან შეურაცხყო და დაამცირა. ამას ელოდა კიდეც... ვერ გაიმარჯვა. მისი სხეული ვერ დაიმორჩილა. კლარისამ მის სიმახინჯესა და მოუქნელობას დასცინა, ასე გააღვიძა მასში მიძინებული ხორციელი სურვილები. მის კილმანი კლარისასთან შედარებით უშნო იყო. მასავით საუბარიც კი არ შეეძლო. მაგრამ რატომ უნდა დამსგავსებოდა მას? რატომ? ის ხომ მთელი გულით ეზიზღებოდა. მისის დოლოვეი ხომ არასერიოზული, ქედმაღალი ქალი იყო და არც სიკეთით არ გამოირჩეოდა. მთელი მისი ცხოვრება ქედმაღლობა და სიცრუე იყო. მიუხედავად ყველაფრისა, მის კილმანი დამარცხდა. ლამის ცრემლები წასკდა, როდესაც კლარისამ დასცინა. „სხეული... სხეული"... – ბუტბუტებდა ის (მარტო ლაპარაკი სჩვეოდა), ვიქტორია-სტრიტზე მიაბიჯებდა და ცდილობდა, მორეოდა ამ საშინელ, მტანჯველ, ბობოქარ გრძნობას. ლოცვა დაიწყო. ღმერთს შეჰღაღადებდა. მისი ბრალი არ იყო, რომ უშნო სხეული ჰქონდა და მოხდენილი კაბების ყიდვა არ შეეძლო. კლარისა დოლოვეიმ მას დასცინა, აბუჩად აიგდო. ცდილობდა, სანამ საფოსტო ყუთამდე მივიდოდა, სხვა რამეზე ეფიქრა. მას ხომ თავისი ძვირფასი ელიზაბეთი ჰყავდა! მაგრამ მაინც ცდილობდა, სხვა რამეზე ეფიქრა, მაგალითად, რუსეთზე.

– ო, რა მშვენიერი ამინდი იქნება ახლა სოფელში... – ჩურჩულებდა და ცდილობდა, სიძულვილი დაეცხრო (ისე, როგორც მისტერ უითთეკერმა ასწავლა), მას ხომ ეზიზღებოდა ის სამყარო, რომელმაც შეიძულა, დასცინა, აბუჩად აიგდო, უარყო. განგებამ ლამაზი სხეული არ უწყალობა. უშნო იყო და თავს ვერავის შეაყვარებდა. მისი დანახვა არავის სიამოვნებდა. თმას გულმოდგინედ ივარცხნიდა, მაგრამ მისი დიდი, თეთრი, მოშიშვლებული შუბლი მაინც კვერცხს ჰგავდა. ვერაფერს იხდენდა. ასეთი ქალი მამაკაცს თავს ვერასოდეს შეაყვარებდა. ვერავის გულში ვერ დაიკავებდა ადგილს. ბოლო დროს ეჩვენებოდა, რომ ელიზაბეთის შემდეგ, ყველაზე დიდ შვებას ჭამაში, მყუდრო ოთახში, ვახშამსა და ჩაიში პოვებდა. საღამოობით საწოლში სათბურას იდებდა. მას უნდა ებრძოლა და მტერი დაემარცხებინა. ღვთის რწმენა არ უნდა დაეკარგა. მისტერ უითთეკერმა უთხრა, რომ მის ცხოვრებას აზრი ნამდვილად ჰქონდა. იმისათვის მოევლინა ქვეყნიერებას, რომ რაღაც მისია შეესრულებინა. მაგრამ ვერავინ გაიგებდა, რა საშინლად იტანჯებოდა! მისტერ უითთეკერმა ხელი ჯვარცმისაკენ გაიშვირა და მიუგო: „უფალი

ყველაფერს ხედავს". რატომ უნდა დატანჯულიყო, რატომ? კლარისა დოლოვეისა და მის მსგავს ქალებს ხომ მუდამ უმართლებდათ? „სიბრძნე ტანჯვით მოიპოვება", – უთხრა მისტერ უითთეკერმა.

მის კილმანმა საფოსტო ყუთს ჩაუარა. ელიზაბეთი მაღაზიაში შევიდა და თამბაქოს გრილ, ბნელ სექციას მიადგა. მის კილმანი ისევ ბუტბუტებდა იმას, რაც მისტერ უითთეკერმა ტანჯვაზე უთხრა. „სხეული... სხეული"... – ჩურჩულებდა ის.

– რომელი სექციის ნახვა გინდა? – შეაწყვეტინა ფიქრი ელიზაბეთმა.

– ქვედაკაბების, – მოუჭრა და ლიფტისაკენ გაიჭრა. ელიზაბეთი დაბნეულ მის კილმანს წინ მიუძღოდა, ისე მიჰყავდა, როგორც დიდი ბავშვი ან უზარმაზარი ძნელად სამართავი საბრძოლო ხომალდი. ფიქრებში წასულიყო. ყავისფერი, მოკრძალებული, ზოლიანი, გამომწვევი, უბრალო, სქელი თუ ჰაეროვანი ქვედაკაბები მის წინ ეწყო. ფიქრებში ჩაძირულიყო და ქვედაკაბებს ისეთი მედიდური სახით არჩევდა, რომ გამყიდველმა გიჟად ჩათვალა.

როდესაც კაბას უფუთავდნენ, გაოცებული ელიზაბეთი ფიქრობდა, ნეტავ მის კილმანი რაზე ფიქრობსო.

– ჩაი დავლიოთ, – თქვა მის კილმანმა და თავი ხელში აიყვანა.

ისინი მაგიდას მიუსხდნენ.

ნუთუ მის კილმანს ასე ძალიან მოშივდა? – ფიქრობდა განცვიფრებული ელიზაბეთი. მის კილმანი ხარბად, გულმოდგინედ ჭამდა და დროდადრო მეზობელ მაგიდაზე მინანქრიანი ნამცხვრებით სავსე თეფშისკენ თვალს აპარებდა. მერე კი, როცა ქალი და ბავშვი მაგიდას მიუსხდნენ და ბავშვმა ნამცხვარი აიღო, – ნუთუ მის კილმანს ეწყინა? – გაიფიქრა ელიზაბეთმა და მართლაც ასე იყო. მის კილმანს სწორედ ის ვარდისფერი ნამცხვარი სურდა. მისი ერთადერთი სიამოვნება ჭამა იყო, მაგრამ ამის უფლებასაც კი ართმევდნენ!

როდესაც ადამიანები ბედნიერები არიან, სასიცოცხლო ძალით ივსებიან. ის კი იმ დაშვებულ ბორბალს ჰგავდა (მას უყვარდა ამგვარი მეტაფორები), რომელიც ქვიან გზაზე მიჯაყჯაყებდა. ასე ამბობდა მის კილმანი, გაკვეთილის შემდეგ, როცა ბუხართან დადგებოდა თავისი წიგნებით გატენილი ჩანთით, რომელსაც ერთ სამშაბათ დღეს, დილით, გაკვეთილის შემდეგ „ხელჩანთა" უწოდა. ის ომზეც ლაპარაკობდა. თვლიდა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ინგლისელები ზოგჯერ ცდებოდნენ. მის კილმანი ელიზაბეთს წიგნებს ურჩევდა, დაჰყავდა შეხვედრებზე, ასმენინებდა კამათს... ელიზაბეთ, ხომ არ გინდა, შეხვედრაზე წამომყვე და ერთ ბატონს მოუსმინო (იმ მოხუც კაცს უჩვეულო იერი ჰქონდა)?

მის კილმანმა ერთხელ კენსინგტონში, ეკლესიაში წაიყვანა და პასტორთან ერთად ჩაი დალიეს. წიგნებიც ათხოვა. სამართალი, მედიცინა, პოლიტიკა... ახლა შენი თაობის გოგონებს შეუძლიათ, ნებისმიერ პროფესიას დაეუფლონ, – ეუბნებოდა მის კილმანი. მან კი ვერაფერს მიაღწია, კარიერა

ვერ მოიწყო. ნუთუ ეს მისი ბრალი იყო? ღმერთო ჩემო, არა, რა თქმა უნდა, არა!"– პასუხობდა ელიზაბეთი.

ერთხელ მათ ოთახში კლარისა შემოვიდა და თქვა, ბორტონიდან ყვავილებით სავსე კალათი გამოგვიგზავნეს და მის კილმანს ხომ არ სურსო. ის ძალიან, ძალიან თავაზიანად ექცეოდა. მის კილმანი კი ყვავილებს დაუდევრად ეპყრობოდა, ცოცხივით ამოიდებდა ხოლმე იღლიაში. სიტყვაძუნწი იყო. სისულელეებზე ლაქლაქი არ უყვარდა. კლარისას ჰბეზრდებოდა ყველაფერი, რაც მის კილმანს აინტერესებდა. ისინი სულ არ ჰგავდნენ ერთმანეთს. მათი ერთად ყოფნა არ შეიძლებოდა! ეს ნამდვილი საშინელება იყო. მის კილმანი იბღინძებოდა და შეუხედავი ხდებოდა. საშინლად ნიჭიერი იყო. ელიზაბეთი გაჭირვებულებზე არასოდეს ფიქრობდა. შეძლებული ოჯახის შვილი იყო. ყველაფერი ჰქონდათ, რაც სურდათ. დედამისი დილაობით საწოლში მიირთმევდა საუზმეს (მისთვის ლუსის აჰქონდა ლანგარი). ელიზაბეთს მხოლოდ იმიტომ უყვარდა მის სახლში სტუმრად მისული მოხუცი ქალები, რომ ისინი ჰერცოგინიები და ლორდების შთამომავლები იყვნენ. მის კილმანმა თქვა (ერთ სამშაბათს, გაკვეთილის შემდეგ), ჩემი ბაბუა კენსინგტონელი ვაჭარი იყოო. ის ელიზაბეთის ნაცნობებს არ ჰგავდა. მის გვერდით თავს ყველა არარაობად გრძნობდა.

მის კილმანმა მეორე ფინჯანი ჩაი დაისხა, ელიზაბეთი კი თავისი აღმოსავლური შეუვალობით, იდუმალი იერით, გამართული იჯდა. აღარაფერი სურდა. თვალით ეძებდა თავის თეთრ ხელთათმანებს, რომლებიც მაგიდის ქვეშ ეწყო. ო, ის არ უნდა წასულიყო! მისი გაშვება არ უნდოდა! ეს ახალგაზრდა, უსაზღვროდ ლამაზი გოგონა მთელი გულით უყვარდა! თავისი დიდი ხელი გაშალა, ისევ მომუშტა და მაგიდაზე დადო.

ელიზაბეთს მოეჩვენა, რომ მას სუსტი, უღონო და ბრტყელი ხელი ჰქონდა. წასვლა უნდოდა.

– მაგრამ მე ჯერ კიდევ არ დამიმთავრებია, – მიუგო მის კილმანმა.

ელიზაბეთი, რა თქმა უნდა, დაელოდებოდა, მაგრამ აქ სული ეხუთებოდა.

– ამ საღამოს წვეულებაზე წახვალთ? – ჰკითხა მის კილმანმა. ალბათ, წავიდოდა, რადგან დედამ სთხოვა. ძალიანაც ნუ გაგიტაცებთ ეს წვეულებებიო, თქვა მის კილმანმა და შოკოლადის ეკლერი აიღო.

ელიზაბეთმა უპასუხა, რომ წვეულებები მაინცდამაინც არ უყვარდა.

მის კილმანმა პირი გააღო, ნიკაპი ოდნავ ასწია და შოკოლადის ეკლერი გადაყლაპა. თითები გაიწმინდა და ჩაის მოურია.

გრძნობდა, რომ მალე ნაწილებად დაიშლებოდა. როგორ საშინლად იტანჯებოდა! მხოლოდ ის სურდა, ელიზაბეთი გულში ჩაეკრა, სამუდამოდ დაესაკუთრებინა და მერე თუნდაც მომკვდარიყო! გახევებული იჯდა, ვერაფერზე ფიქრობდა და ვერაფერს ამბობდა. გრძნობდა, რომ ელიზაბეთიც კი ამხედრებოდა. მასაც კი ზიზღს ჰგვრიდა! ეს მეტისმეტი იყო! ამას ვეღარ გაუძლებდა! მსხვილი თითები ნერვიულად მოეკაკვა.

– წვეულებებზე არასოდეს დავდივარ, – თქვა მის კილმანმა, რადგან ელიზაბეთის გაშვება არ უნდოდა, – წვეულებებზე არავინ მპატიჟებს, – დასძინა და მიხვდა, რომ სწორედ ეს ეგოიზმი იყო მისი უდიდესი უბედურება. მისტერ უითთეკერმა ის გააფრთხილა კიდეც, მაგრამ სხვაგვარად არ შეეძლო! ის ხომ უსაშველოდ იტანჯებოდა, – რატომ უნდა დამპატიჟონ? მე ხომ ულამაზო და უბედური ვარ! იცოდა, რომ ეს საშინლად სულელურად ჟღერდა, მაგრამ ასეთი რამ იმიტომ თქვა, რომ უყურებდა პარკებით დატვირთულ ადამიანებს, რომლებსაც ის სძულდათ. ის დორის კილმანი იყო, დიპლომიც ჰქონდა. იყო ქალი, რომელმაც ყველაფერს თავად მიაღწია. თანამედროვე ისტორია ბრწყინვალედ იცოდა.

– ჩემს თავს არ თანავუგრძნობ... – თქვა მან, – მე თანავუგრძნობ (უნდოდა, ეთქვა, დედაშენს თანავუგრძნობო, მაგრამ ელიზაბეთს ასე სასტიკად ვერ მოექცეოდა და გულს ვერ ატკენდა)... სხვებს. სხვებს თანავუგრძნობ. უფრო მეტად სხვებს, – თქვა მან.

ელიზაბეთი მაგიდასთან ჩუმად იჯდა და ჰგავდა იმ ცხოველს, რომელიც ვერ ხვდებოდა, რატომ მოიყვანეს გალიის კართან და მთელი გულით მხოლოდ გაქცევა უნდოდა. მის კილმანს ხომ არ სურდა კიდევ რაიმეს თქმა?

– სულ ნუ დამივიწყებთ, – უთხრა ხმაათრთოლებულმა დორის კილმანმა. გალიის კართან მდგარი ცხოველი მინდვრის მეორე ბოლოსკენ თავაწყვეტით გაიჭრა.

მის კილმანმა დიდი ხელი გაშალა და ისევ მომუშტა.

ელიზაბეთმა თავი შემოაბრუნა. მიმტანი ქალი მოვიდა.

– უნდა გადავიხადო, – უთხრა ელიზაბეთმა და წავიდა. მის კილმანს მოეჩვენა, თითქოს მისი ნაწლავებიც თან გაიყოლა, მთელ დარბაზში გაატარა, კიდევ ერთხელ, უკანასკნელად მოჰქაჩა, დამშვიდობების ნიშნად თავი თავაზიანად დაუკრა და გავიდა.

ის წავიდა. მის კილმანი ეკლერებით სავსე მარმარილოს მაგიდასთან იჯდა. ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ საშინელმა ტკივილმა მოუარა. უსაშველოდ იტანჯებოდა. ის წავიდა. მისის დოლოვეიმ გაიმარჯვა. ელიზაბეთმა ის მიატოვა. სილამაზე და ახალგაზრდობა წავიდა.

ის მარტო იჯდა. წამოდგა. პატარა მაგიდებს ეჯახებოდა და ბარბაცებდა. ვიღაც დაეწია და დავიწყებული პაკეტი მიაწოდა. ქვედაკაბა დარჩენოდა. გზა აებნა. მის წინ ინდოეთში გასაგზავნად გამზადებული სკივრები ეწყო. დედათა სექციაში შევიდა. ბავშვების თეთრეულს, აუარებელ სურსათს, მალფუჭებად თუ გამძლე პროდუქტს, ლორს, ძეხვს, ყვავილებს, საკანცელარიო ნივთებს ათვალიერებდა. ათასგვარი სურნელი ტრიალებდა. ტკბილი და მჟავე სუნი ერთმანეთში არეულიყო. ბარბაცებდა. სარკეში ჩაიხედა. ქუდი ოდნავ გვერდზე მოჰქცეოდა და გაწითლებულიყო. როგორც იქნა, ქუჩაში გააღწია.

მის წინ ვესტმინსტერის ტაძარი – ღვთის სახლი აღმართულიყო. შუა ქალაქში, მანქანებით სავსე, ხმაურიან ქუჩაში, ღვთის სახლი იდგა. პარკით

ხელდამშვენებული მის კილმანი გაბედულად გაიჭრა წინ. მიემართებოდა სააბატოსაკენ, ამ წმინდა ადგილისკენ. ხელი სახეზე აიფარა. ის იჯდა იმ ადამიანების გვერდით, რომლებმაც მასავით აქ შეაფარეს თავი. როდესაც ერთმანეთისგან ესოდენ განსხვავებული მორწმუნეები სახეზე ხელს იფარებდნენ, თითქოს არც სოციალური სტატუსი და არც სქესი ჰქონდათ, მაგრამ როდესაც სახეს კვლავ გამოაჩენდნენ, ხდებოდნენ ინგლისელი ბურჟუები, რომლებიც სიწმინდეების წინაშე თავს მდაბლად ხრიდნენ და ცვილის ფიგურების ნახვა სურდათ.

მის კილმანს სახეზე ხელი ისევ აეფარებინა. ხან სრულიად მარტო რჩებოდა, ხან კი გარს უამრავი ადამიანი ეხვია. მორწმუნეები ტაძრიდან გადიოდნენ, მაგრამ მათ ნაცვლად სხვები შემოდიოდნენ. ხალხი აქეთ-იქით იხედებოდა, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან დააბიჯებდა. მის კილმანს თითები თვალებთან მიეტანა და ამ ორმაგ სიბნელეში (სააბატოში ეფემერული შუქი იღვრებოდა) ცდილობდა, ამაღლებულიყო ამ ამაო ქვეყნიერებაზე, დაეძლია მდაბალი სურვილები, გადაევიწყებინა სხვადასხვაგვარი ლამაზი ნივთები. უნდოდა, გათავისუფლებულიყო სიყვარულისა და სიძულვილისაგან. თითები უკანკალებდა. თითქოს იბრძოდა. სხვები ღმერთს ხედავდნენ, თავისუფლად მიუყვებოდნენ ღვთისაკენ მიმავალ ვიწრო ბილიკს. პენსიაზე გასული მისტერ ფლეჩერი, რომელიც ოდესღაც ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა, მისის გორემი, ცნობილი ადვოკატის ქვრივი, ღმერთს სულ ადვილად მიუახლოვდნენ, ლოცვა დაასრულეს, სკამის საზურგეებს მიეყრდნენ და სასიამოვნო მუსიკას მიუგდეს ყური (ორგანის საამური ხმა ისმოდა). მათ დაინახეს გასასვლელთან მჯდარი მის კილმანი, რომელიც გულმხურვალედ ლოცულობდა. მათ ჯერ კიდევ ვერ გადაელახათ თავიანთი მიწიერი სამყაროს ზღურბლი. თანაგრძნობით განიმსჭვალნენ იმ სულის მიმართ, რომელიც მათ გვერდით იყო. ის იყო სული, ეფემერული არსება და არა ქალი.

მისტერ ფლეჩერის წასვლის დრო მოვიდა. მის კილმანისათვის უნდა ჩაევლო. თავად ლამაზ და სუფთა ტანსაცმელში გამოწყობილიყო და ოდნავ დასევდიანდა, როდესაც დაინახა, რომ ამ საბრალო ქალს ცუდად ეცვა. თმა გაეშალა. პარკი ძირს დაედო და მისტერ ფლეჩერს გზა მაშინვე არ დაუთმო. მისტერ ფლეჩერი იდგა და უცქერდა მარმარილოს თეთრ ქანდაკებებს, რუხ ვიტრაჟს, ამ დაფარულ საუნჯეს (ამ სააბატოთი ძალიან ამაყობდა), ამ ახოვან, ღონიერ, სკამზე მჯდომ ქალს, რომელიც დროდადრო წრიალებდა (მას ძალიან უჭირდა ღმერთთან მიახლოება. ურყევი ნებისყოფა და სურვილები ჰქონდა). მის კილმანმა მისის დოლოვეიზეც ასეთივე შთაბეჭდილება მოახდინა (მთელი დღე იყო, კლარისაზე ფიქრს ვერ იშორებდა), ედუარდ უითთეკერზეც და ელიზაბეთზეც.

*

ელიზაბეთი ვიქტორია-სტრიტზე იდგა და ომნიბუსს ელოდებოდა. ქუჩაში ყოფნა სიამოვნებდა. როგორც იქნა, მაღაზიიდან გამოაღწია. ფიქრობდა, რომ შინ დაბრუნება ჯერ არ მოუწევდა. სუფთა ჰაერზე გასეირნება უნდოდა. ომნიბუსში უნდა ჩამჯდარიყო. ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი ქუჩაში იდგა. ისევ იწყებოდა... ხალხი, ალბათ, ისევ ადარებდა მას ვერხვს, ნაადრევ განთიადს, სუმბულს, ნუკრს, მოჩუხჩუხე ნაკადულს, შროშანს...

ეს ქათინაურები ცხოვრებას უწამლავდა და აუტანელ ტვირთად ექცეოდა. ურჩევნოდა, სოფლის სიმშვიდეში ეცხოვრა და ის გაეკეთებინა, რაც სურდა, მაგრამ ყველა თეთრ შროშანს ადარებდა, მუდამ ხალხში ტრიალი და წვეულებებზე სიარული უწევდა. ლონდონი საშინლად მოსაწყენი და სევდის მომგვრელი იყო. ოცნებობდა, სოფელში მამასა და ძაღლებთან ერთად მშვიდად ეცხოვრა.

წითელ-ყვითლად უგემოვნოდ შეღებილი ომნიბუსები სწრაფად დადიოდნენ, ჩერდებოდნენ და ისევ მიდიოდნენ. ელიზაბეთმა არ იცოდა, რომელში ჩამჯდარიყო. არ უნდოდა, ჭყლეტაში მოჰყოლილიყო. სიმშვიდე უყვარდა. სასიცოცხლო მგზნებარება აკლდა. თუმცა, ლამაზი, ჩინური, აღმოსავლური თვალები ჰქონდა. დედამისი ეუბნებოდა, რომ ის მუდამ მომხიბლავი იყო, ლამაზი მხრები ჰქონდა და მუდამ გამართული დადიოდა. ბოლო დროს, განსაკუთრებით, საღამოს, როდესაც სხვების საუბარი დააინტერესებდა (თუმცა, არასოდეს არაფერი აღელვებდა), თითქმის ლამაზი ხდებოდა. დიდებული და მშვიდი იყო. რაზე ფიქრობდა? ყველა მამაკაცს უყვარდებოდა, მას კი თაყვანისმცემლები ჰბეზრდებოდა. საშინელი მოწყენილობა იპყრობდა. ისევ ქათინაურებით ავსებდნენ. კლარისაც ამჩნევდა, რომ თაყვანისმცემლები და ტანსაცმელი სულ არ აღელვებდა. ზოგჯერ, დედამისი ამის გამო ღელავდა, მაგრამ გულის სიღრმეში, შეიძლება თვლიდა კიდეც, რომ ასე უკეთესი იყო. იქნებ ჯობდა, ელიზაბეთს ჰყოლოდა ზღვის გოჭები და ავადმყოფი ლეკვები, რომლებიც ასაცრელად დაჰყავდა? იქნებ ასე უფრო მომხიბლავი იყო? მის კილმანსა და ელიზაბეთს ასეთი უცნაური მეგობრობა აკავშირებს. „ეს იმას ნიშნავს, რომ ელიზაბეთი გულკეთილი გოგონაა", – ფიქრობდა კლარისა ღამის სამ საათზე, როცა ბარონ მარბოს მოგონებებს კითხულობდა, რადგან ძილი არ ეკარებოდა.

ელიზაბეთი ყველას თვალწინ მშვიდად, თავდაჯერებით ავიდა ომნიბუსში და მეორე სართულზე დაჯდა. სწრაფი ომნიბუსი-მეკობრე, წინ გაიჭრა. ელიზაბეთი სახელურს მიეყრდნო, რომ არ დაცემულიყო. ეს ომნიბუსი თავზე ხელაღებული, გულადი, მოხერხებული მეკობრესავით თამამად მიიწევდა წინ. შიშის მომგვრელად ქანაობდა, აქა-იქ კრეფდა მგზავრებს, ზოგს კი ტოვებდა. გველთევზასავით მოქნილად მისრიალებდა. მედიდურად, აფრებაშლილი, სწრაფად, უკანმოუხედავად მიქროდა უაითჰოლისაკენ. ნუთუ ელიზაბეთი სულ აღარ ფიქრობდა საბრალო მის კილმანზე, რომელსაც ის უანგაროდ, ეჭვიანობის გარეშე უყვარდა და რომლისთვისაც ის ირემი მთვარის შუქდაფრქვეული მდელო იყო? ბედნიერებას განიცდიდა, რადგან თავისუფალი იყო. საამური, გრილი ნიავი ელამუნებოდა. როგორც იქნა, გამოაღწია ჩახუთული მაღაზიიდან. ეჩვენებოდა, რომ უაითჰოლზე ცხენს მიაჭენებდა. ომნიბუსი ქანაობდა. ირხეოდა მისი ლამაზი, მოხდენილი მოყავისფრო ქურთუკში გამოხვეული სხეული. მხედარ ქალსა და გემის ცხვირზე მიმაგრებულ ნერეიდას ჰგავდა. ქარი სახეში სცემდა და ირხეოდა. იმდენად სცხელოდა, რომ გაფითრებულიყო და ლოყები თეთრად გადაღებილ ხეს მიუგავდა. მისი მშვენიერი თვალები არავის თვალებს არ უცქერდნენ. წინ იხედებოდა, თვალები უბრწყინავდა, ქანდაკებასავით საოცრად უცოდველი და უმანკო მზერა ჰქონდა.

მის კილმანი იმიტომ იყო აუტანელი, რომ მუდამ თავის ტანჯვაზე ლაპარაკობდა. ნუთუ ის მართალი იყო? დილიდან საღამომდე კომიტეტებში

ტრიალებდა (მას ლონდონში თითქმის ვერ ნახულობდა), ღარიბებს ეხმარებოდა. მაგრამ ღმერთმა იცოდა, რომ მამამისიც იმავეს აკეთებდა. უცნაური იყო, რას უწოდებდა მის კილმანი ქრისტიანობას. ეს ძალიან რთული საკითხი იყო. ელიზაბეთს უფრო შორს წასვლა სურდა, სტრენდის ბოლომდე. კიდევ ერთი პენი უნდა დაემატებინა. მან ფული ამოიღო. ელიზაბეთი სტრენდისაკენ გაეშურა.

ელიზაბეთს ავადმყოფები უყვარდა. მის კილმანი ეუბნებოდა, თქვენი თაობის გოგონებს შეუძლიათ, ყველა პროფესიას დაეუფლონო. ელიზაბეთს შეეძლო, ექიმი ან ფერმერი გამხდარიყო. ცხოველები ხშირად ავადმყოფობდნენ. ათასი აკრი მიწის მეპატრონე გახდებოდა და უამრავი მოსამსახურე ეყოლებოდა. მათ ქოხებში მოინახულებდა. ომნიბუსი სომერსეტ-ჰაუსს მიუახლოვდა. ელიზაბეთს შეეძლო, ბრწყინვალე ფერმერი გამხდარიყო. ეს აზრი, მართალია, ნაწილობრივ მის კილმანმა ჩაუნერგა, მაგრამ, ალბათ, მაინც იმიტომ ფიქრობდა ამაზე, რომ სომერსეტ-ჰაუსთან იყო. უცნაური იყო. ამ რუხ, დიდ შენობას ისეთი საუცხოო, შთამბეჭდავი, დიდებული იერი ჰქონდა. სიამოვნებდა იმის გაფიქრება, რომ ამ უბანში ხალხი მუშაობდა. მოსწონდა ეს თითქოს რუხი ქაღალდისაგან გამოჭრილი ეკლესიები, რომლებიც თითქოს მედგრად უძლებდნენ სტრენდზე ღვარად მომსკდარ ნაკადს. აქაურობა ვესტმინსტერს საერთოდ არ ჰგავს, – გაიფიქრა ელიზაბეთმა, როდესაც ჩანსერი-ლეინზე ჩამოვიდა. ეს ქუჩა აღაფრთოვანებდა. სერიოზული, საქმიანი უბანი იყო. ერთი სიტყვით, უნდოდა, პროფესია ჰქონოდა. გახდებოდა ექიმი, ფერმერი ან იქნებ პარლამენტარიც კი. ამ ყველაფერზე იმიტომ ფიქრობდა, რომ სტრენდთან იდგა.

საქმიანი ადამიანები სწრაფად მიაბიჯებდნენ. მათი ხელები ქვებს ერთმანეთზე აწყობდნენ. მათი ფიქრები მუდამ დასტრიალებდა გემებს, საქმეებს, სამართალს, ქვეყნის მართვას. უაზროდ კი არ ლაყბობდნენ (ქალებს ვერხვებს კი არ ადარებდნენ! ეს მართალია, სასიამოვნო და საუცხოო, მაგრამ სულელური იყო). ეს ყველაფერი ხდებოდა დიდებულ (იქვე ტაძარი იყო), მხიარულ (იქვე მდინარე მიედინებოდა), რელიგიურ (იქვე ეკლესია იდგა) უბანში. მან საბოლოოდ გადაწყვიტა, ფერმერი ან ექიმი გამხდარიყო (როგორც დედას უნდოდა), მაგრამ ელიზაბეთი ცოტათი ზარმაცი იყო.

ჯობდა, ამაზე არაფერი ეთქვა. სულელურად ჟღერდა. ამგვარი რამ მაშინ ხდება, როდესაც ადამიანი მარტო რჩება. შენობებმა, რომლებიც ყველასათვის უცნობმა არქიტექტორებმა ააგეს, და ქალაქიდან მომავალმა ბრბომ უფრო დიდი გავლენა მოახდინა მასზე, ვიდრე კენსინგტონელმა პასტორმა და იმ წიგნებმა, რომლებიც ელიზაბეთს მის კილმანმა ათხოვა. ამან მის სულში ნაპერწკალი გააღვივა, სასიცოცხლო ძალა შთაბერა და ზედაპირზე ამოატივტივა ის დაუხვეწავი, ტლანქი, ფრთხილი, მორცხვი რაღაც, რაც მისი გონების ქვიშიან ფსკერზე თვლემდა და თითქოს ბავშვმა მკლავები უეცრად გაშალა. ეს, ალბათ, ოხვრას, მკლავების წინ გაშვერას, იმპულსს, გონების უეცარ გამონათებას ჰგავდა, რომელიც სულს სამარადისოდ დააჩნდება. შემდეგ კი ყველაფერი ისევ ქვიშიან ფსკერზე დაეშვა.

შინ უნდა დაბრუნებულიყო და წვეულებისათვის გამოწყობილიყო. რომელი საათი იყო? სად იყო საათი?

მან ფლით-სტრიტს თვალი მოავლო. სენტ-პოლის ტაძრისაკენ რამდენიმე ნაბიჯი იმ ადამიანივით მორცხვად და გაუბედავად გადადგა, რომელიც შუაღამისას უცხო სახლში სანთლით ხელში შედის, ფეხის წვერებზე დგება. ეშინია, რომ სახლის პატრონი საძინებლის კარს გააღებს და ჰკითხავს, ვინ ხარ და აქ რას აკეთებო.

ელიზაბეთი ვერ ბედავდა უცნაურ, ვიწრო ქუჩებსა და მაცდურ შესახვევებში შესვლას ისე, როგორც ვერ გაბედავდა უცხო სახლში შეჭრას და საძინებლებში, სასტუმრო ოთახსა და საკუჭნაოში შესვლას. დოლოვეები სტრენდზე არასოდეს დადიოდნენ. ელიზაბეთი პიონერი იყო, გზას აცდენილი, თავისიანებს ჩამორჩენილი თამამად, უკანმოუხედავად, ალალბედზე მიაბიჯებდა.

დედამისი ფიქრობდა, რომ ელიზაბეთი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, რომელიც თავის თოჯინებს და ძველ ფლოსტებს ვერ ელეოდა. ნამდვილი ბავშვი. ეს მშვენიერი იყო. დოლოვეების ოჯახში ყველა საქმიანობდა. აბატისები, სკოლების დირექტორები, ქალთა რესპუბლიკის ღირსეული წარმომადგენლები. თუმცა, გამორჩეულად ნიჭიერი არც ერთი არ იყო.

ელიზაბეთი კიდევ უფრო მიუახლოვდა სენტ-პოლის ტაძარს. მოსწონდა აქაური ხმაური: კეთილგანწყობილი, მშობლიური, დური, დედური, ძმური. აუტანელი გუგუნი ისმოდა. უეცრად გაისმა საყვირის ხმა (უსაქმურები უკრავდნენ), რომლის ზუზუნიც ქუჩის ხმაურს ერთვოდა. სამხედრო მუსიკა მოისმოდა, თითქოს რაღაც მარში იყო. თუკი ვინმე კვდებოდა, თუ ვინმე ქალს უკანასკნელი სუნთქვა ამოსდიოდა და თუკი ის ადამიანი, ვინც ამ უკანასკნელი ღირსების საქმის ერთადერთი მომსწრე ოთახის ფანჯარას გამოაღებდა და ფლით-სტრიტზე ჩაიხედავდა, ეს ხმაური, ეს სამხედრო, საზეიმო მუსიკა მის ყურთასმენას მისწვდებოდა და ძალაუნებურად შვებასაც კი მოჰგვრიდა.

ყოველივე ეს გაუცნობიერებლად ხდებოდა. მუსიკა ღვარად მოედინებოდა. არ ცნობდა არც ბედნიერებას, არც უბედურებასა და არც სხვათა მძიმე ხვედრს და სწორედ ამიტომ ჰგვრიდა შვებას მათ, ვინც გახევებული უცქერდა მომაკვდავის სახის უკანასკნელ თრთოლას. ადამიანთა გულმავიწყობა მტკივნეული იყო, მათი უმადურება სამარადისო იარად აჩნდებოდა სულს, თუმცა, ეს მუსიკა, რომელიც ყოველწლიურად დაუსრულებლად იღვრებოდა ამ ქუჩაზე, ყველაფერს წალეკავდა და დავიწყების მორევში შთანთქავდა: ამ უკანასკნელ აღთქმას, ამ ფურგონს, ცხოვრებას, ამ პროცესიას. ეს ხმა ყველაფერს თან წაიღებდა იმ ყინულივით, რომელიც როგორც უზარმაზარი ყინული მიათრევს ძვლებს, ყვავილების ლურჯ ფურცლებსა და მუხებს.

უფრო გვიან იყო, ვიდრე ელიზაბეთს ეგონა. დედამისს არ მოეწონებოდა, თუ გაიგებდა, რომ ქუჩებში დაეხეტებოდა. უკან გამობრუნდა.

ქარმა (მიუხედავად იმისა, რომ სიცხე იყო, ქარი ქროდა) თითქოს შავი ვუალით დაფარა მზე და სტრენდი. თითქოს ყველას სახე ჩაუქრა. ომნიბუსებმა უეცრად სიკაშკაშე დაკარგეს. ღრუბლები მთის მწვერვალებზე დაფენილი თოვლივით თეთრი იყო, თითქოს ადამიანს აღუძრავდა იმის სურვილს, რომ მასზე ცულით ამოეკვეთა ოქროსფერი ფერდობები, ზეციური

ნეტარების ბაღის გაზონები. თითქოს იქ, ზეციურ სამყაროში, ღმერთთა საუფლოში, მალე ღმერთთა კრება გაიმართებოდა. ყველაფერი გამუდმებით მოძრაობდა. გამოსახულებები ერთმანეთს ცვლიდა. თითქოს რაღაც კარგა ხნით ადრე ჩაფიქრებულ გეგმას მიჰყვებოდნენ. მწვერვალი ქრებოდა, მთელი დიადი პირამიდა, რომელიც აქამდე მყარად იდგა, იშლებოდა, წინ მიიწევდა, დიდებულად, საზეიმოდ მიუძღოდა წინ ამ პროცესიას ახალი ნავსაყუდლისაკენ. პირამიდის ყველა ქვამ თავისი ადგილი მყარად დაიჭირა საყოველთაო სიმშვიდეში, მაგრამ არაფერი იყო უფრო ახალი, უფრო თავისუფალი და მგრძნობიარე, ვიდრე მათი თოვლივით თეთრი თუ ოქროსფრად აელვარებული ზედაპირი. ეს დიდებული გროვა შეიძლებოდა, ნებისმიერ წამს შეცვლილიყო, გამქრალიყო და ჩამოშლილიყო. დიადი უძრაობის, სიძლიერისა და სიმყარის მიუხედავად, ისინი დედამიწას ხან თვალისმომჭრელი შუქით ასხივოსნებდნენ, ხან კი ჩრდილის საბურველში ხვევდნენ. ელიზაბეთ დოლოვეი ვესტმინსტერისაკენ მიმავალ ომნიბუსში მშვიდად და თავდაჯერებით ავიდა.

*

ისინი ხან ჩნდებოდნენ, ხან ქრებოდნენ, შუქჩრდილის თამაშით რაღაცას ანიშნებდნენ. კედელი რუხდებოდა, ბანანები ყვითლად ელავდა, სტრენდი რუხდებოდა, ომნიბუსები ყვითლად ელავდა. სასტუმრო ოთახში, დივანზე სეპტიმუსი იწვა და უცქერდა, როგორ ელავდა ყველაფერი მკრთალ ოქროსფრად. ვარდებზე, შპალერზე, თხევადი ოქრო ხან ბრწყინავდა, ხან კი ფერმკრთალდებოდა ცოცხალი არსების გასაოცარი მგრძნობელობით. ხეებს ფოთლები ბადეებივით შთაენთქათ ჰაერის უძირო ტალღებში. ოთახში წყლის ხმაური ისმოდა. ჩიტების ჭიკჭიკი ტალღების ხმას ერწყმოდა. უხილავი ძალა გულუხვად აყრიდა მას თავზე უდიდეს განძს. მისი ხელი დივნის სახელურზე იდო. ცოტა ხნის წინ, როდესაც იბანდა, უცქერდა თავის ხელს, რომელიც ტალღაზე ირწეოდა. ესმოდა, რომ სადღაც შორს, ძალიან შორს, ნაპირზე, ძაღლები ყეფდნენ და ყეფდნენ. ნუ გეშინია, – ეუბნებოდა გული, – ნუ გეშინია.

მართლაც არ ეშინოდა. ყოველ წამს ბუნება მხიარულად ანიშნებდა (მაგალითად, კედელზე ოქროსფერი ლაქით), რომ აი, აქ, აქ, მალე გაუმხელდა რაღაცას. ლამაზად, მუდამ ლამაზად არხევდა ბუმბულსა და კულულებს, აფრიალებდა მოსასხამს. მას უახლოვდებოდა, ხელებს მოამრგვალებდა და შექსპირის სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. თავის ჩანაფიქრს უმხელდა.

რეცია მაგიდასთან იჯდა, ქუდს ატრიალებდა და სეპტიმუსს უცქერდა. დაინახა, როგორ გაეღიმა. ის ბედნიერი იყო, მაგრამ მის ღიმილს ვერ იტანდა. ნუთუ ეს იყო ქორწინება? ნუთუ ასე უნდა ეცხოვრა ცოლ-ქმარს? როგორი ქმარი ჰყავდა! ძალიან უცნაურად გამოიყურებოდა, მუდამ კანკალებდა, ხტოდა, იცინოდა, საათების განმავლობაში მდუმარედ იჯდა, უეცრად შეხტებოდა, ხელს მაგრად ჩაავლებდა რეციას და სთხოვდა, რასაც გიკარნახებ, დაწერეო. მაგიდის უჯრა ფურცლებით იყო სავსე. ის წერდა ომზე, შექსპირზე, დიდებულ აღმოჩენებზე, გონების უეცარ განათებასა და სიკვდილის არარსებობაზე. ბოლო დროს სულ უმიზეზოდ უსაზღვროდ

ღელავდა (ექიმმა ჰოლმსმა და სერ უილიამ ბრედშოუმ კი თქვეს, აღელვება მისთვის ძალიან ცუდიაო). ხელებს აქნევდა და ყვიროდა, ჭეშმარიტება შევიტყვეო. მან ყველაფერი იცოდა! ამბობდა, რომ მისი მეგობარი, ომში დაღუპული ევანსი დაბრუნდა! გარდაცვლილი მეგობარი თეჯირის უკან მღეროდა. რეციამ ყველაფერი სიტყვასიტყვით ჩაიწერა. ზოგი მონაკვეთი ძალიან ლამაზი იყო, ზოგი კი სრული სისულელე. სეპტიმუსი ჩუმდებოდა, აზრს იცვლიდა, რაღაცის ჩამატება სურდა. უნდოდა, რაღაც კიდევ გაეგონა. ხმას უსმენდა და ხელს მაღლა სწევდა. რეციას კი არაფერი ესმოდა.

ერთხელ დაინახეს, რომ მოსამსახურე გოგონა, რომელიც ოთახებს ალაგებდა, ამ ჩანაწერებს კითხულობდა და ხარხარებდა. საშინელი რამ მოხდა. სეპტიმუსი ადამიანების სისასტიკეზე გოდებდა: ამბობდა, რომ ადამიანები ერთმანეთს ტანჯავენ, აწამებენ, ნაკუწებად ფლეთენ. „დაცემულებს ნაკუწებად ფლეთენ!" – შეჰყვირა მან. „ჰოლმსმა ჩვენზე გაიმარჯვა", – უამრავჯერ უთქვამს მას. ჰოლმსზე ათასგვარ ამბავს იგონებდა. ჰყვებოდა, როგორ ჭამდა ჰოლმსი შვრიის ფაფას, როგორ კითხულობდა შექსპირს. ხან ხარხარებდა, ხან კი გაცოფებული ღმუოდა. ცხადი იყო, ექიმი ჰოლმსი ეზიზღებოდა. „ადამიანურ ბუნებას" ეძახდა. მოჩვენებებიც ჰქონდა. ამბობდა, რომ თითქოს ზღვაში დაიხრჩო და ტალღებმა კლდეზე გამორიყა. მის ზემოთ კი თოლიები კივილით დაფრინავდნენ. დივნის სახელურს დაეყრდნობოდა, წინ გადაიხრებოდა და ზღვის სიღრმეში იხედებოდა. მუსიკა ესმოდა (სინამდვილეში, არღნის ხმა ან ქუჩიდან ვიღაცის ყვირილი მოისმოდა). სეპტიმუსი კი შესძახებდა: „ო, რა მშვენიერია!" და ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა. რეციას ყველაზე მეტად ის სტკენდა გულს, რომ სეპტიმუსი, მამაცი, მეომარი კაცი ტიროდა. ის იწვა, მუსიკას ყურს უგდებდა და უეცრად დაიყვირებდა, ცეცხლში, ცეცხლში ვვარდებიო! იმდენად დამაჯერებლად ამბობდა ამას, რომ თავადაც თვალებით ეძებდა ცეცხლს, მაგრამ ამაოდ. იქ არაფერი იყო. ისინი სრულიად მარტონი იყვნენ ოთახში. „დაგესიზმრა, სეპტიმუს", – ეუბნებოდა რეცია და ამშვიდებდა, მაგრამ ზოგჯერ თავადაც შიში იპყრობდა. კერავდა და ოხრავდა.

ისე ნაზად და მშვენივრად ოხრავდა, როგორც ქარი, რომელიც ტყეში საღამო ხანს ქრის. რეცია მაკრატელს მაგიდაზე დებდა, უკან ბრუნდებოდა და რაღაცას იღებდა. ნელ-ნელა, ოდნავი შრიალით, ჭრიალით, ოდნავი კაკუნით, კლაკვნით, რაღაც სილუეტი აღიმართებოდა იმ მაგიდაზე, სადაც რეცია კერავდა. წამწამებს მიღმა სეპტიმუსი რეციას ბუნდოვან სილუეტს ხედავდა. მისი პატარა სხეული, სახე და ხელები წყვდიადში შთანთქმულიყო. უყურებდა, როგორ ბრუნდებოდა მაგიდისაკენ, იღებდა ძაფს ან აბრეშუმის ნაჭერს ეძებდა (რეცია მუდამ ყველაფერს კარგავდა). ის ქუდს უკერავდა მისის ფილმერის გათხოვილ ქალიშვილს, რომელსაც ერქვა... სეპტიმუსს მისი სახელი დავიწყებოდა.

– რა ჰქვია მისის ფილმერის გათხოვილ ქალიშვილს? – ჰკითხა რეციას.

– მისის პიტერსი, – მიუგო რეციამ. რეციამ ქუდი ხელში აიღო და თქვა, სამწუხაროდ, იმ ქალს ქუდი პატარა ექნებაო. მისის პიტერსი ძვალმსხვილი ქალი იყო და რეციას არ უყვარდა. მისის ფილმერი კი ძალიან თავაზიანი იყო. „დღეს ყურძენი მოგვიტანა", – თქვა რეციამ. სურდა, მადლობის ნიშნად მისი გათხოვილი ქალიშვილისათვის ქუდი შეეკერა. ერთხელ,

საღამოს, რეცია ოთახში შევიდა და დაინახა, რომ მისის პიტერსი გრამოფონს უსმენდა. ალბათ, ეგონა, რომ ისინი სახლში არ იყვნენ.

– მართლა? – ჰკითხა სეპტიმუსმა, – გრამოფონს უსმენდა?

დიახ. რეციამ ხომ მას ეს მაშინვე უამბო?

სეპტიმუსმა ძალიან ფრთხილად გაახილა თვალი. უნდოდა, ენახა, მართლა იყო თუ არა ოთახში გრამოფონი. რეალური საგნები ხომ მას ძალიან აღელვებდა. ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რომ არ გაგიჟებულიყო. ჯერ ქვედა თაროზე დაწყობილ მოდურ გაზეთებს შეხედა, შემდეგ კი მწვანერუპორიანი გრამოფონისაკენ გააპარა თვალი. ყველაფერი ნათლად მოჩანდა. სეპტიმუსმა გამბედაობა მოიკრიბა და ჭურჭლის კარადას, ბანანიან თეფშს, დედოფალ ვიქტორიასა და პრინც ალბერტის გრავიურასა და ბუხრის თავზე ლარნაკში ჩაწყობილ ვარდებს შეხედა. არც ერთი მათგანი არ იძვროდა. ნამდვილი საგნები უძრავად იდგნენ.

– მისის ფილმერი ენამწარე ქალია, – თქვა რეციამ.

– რას საქმიანობს მისტერ პიტერსი? – ჰკითხა სეპტიმუსმა.

– ო! – შესძახა რეციამ და შეეცადა, გაეხსენებინა. როგორც ახსოვდა, მისის ფილმერმა უთხრა, რომელიღაც კომპანიის კომივოიაჟერიაო. „ახლა ჰულშია", – დასძინა მან. რეციამ თავადაც შენიშნა, რომ სიტყვა „ახლა" იტალიური აქცენტით წარმოთქვა.

სეპტიმუსმა თვალები ნახევრად დახუჭა, რათა რეციას სახის მხოლოდ ერთი ნაწილისათვის ეცქირა. ჯერ ნიკაპს შეხედა, მერე ცხვირს, მერე შუბლს. იქნებ სახე დამახინჯებული ჰქონდა და რაღაც საშინელს ამოიკითხავდა მასზე? იქნებ რაღაც საზარელი ნიშანი ემჩნეოდა? არა. რეცია მის წინ იჯდა და ჩვეულებისამებრ კერავდა. ტუჩები მოეკუმა, დაძაბული და სევდიანი სახე ჰქონდა, ისეთი, როგორიც ქალებს კერვის დროს აქვთ. „საშიში არაფერია", – გაიფიქრა მან და სცადა, დამშვიდებულიყო. მეორედ, მესამედ შეხედა მის სახეს, ხელებს. რა უნდა ყოფილიყო საშიში და საზიზღარი იმ რეციაში, რომელიც მის წინ იჯდა და დღის მკვეთრ შუქზე მშვიდად კერავდა? მისის პიტერსს გესლიანი ენა ჰქონდა, მისტერ პიტერსი ჰულში იყო. მაშ, რატომღა უნდა გააფთრებულიყო და წინასწარმეტყველება დაეწყო? რატომ უნდა გაქცეულიყო ეს გვემული, დაცემული ლტოლვილი, გარიყული? რატომ უნდა ატირებულიყო და აკანკალებულიყო ღრუბლების დანახვისას? რატომ დაეძებდა იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც მთელ სამყაროს უმხელდა? რეცია ხომ იჯდა და კაბაზე ქინძისთავებს მშვიდად ამაგრებდა. მისტერ პიტერსი ჰულში იყო. სასწაულები, უდიდესი აღმოჩენები, ტანჯვა-წამება, შიში, მარტოობა, ზღვაში შთანთქმისა და ცეცხლში, ცეცხლში ვარდნის შეგრძნება... ყველაფერი ფერფლად იქცა. ის უყურებდა რეციას, რომელიც მისის პიტერსისათვის ჩალის ქუდს ალამაზებდა და ეჩვენებოდა, რომ ყვავილებით მოჩითულ ზეწარზე იწვა.

– ეს ქუდი მისის პიტერსისთვის ძალიან პატარაა, – თქვა სეპტიმუსმა.

რამდენიმე დღის შემდეგ პირველად დაილაპარაკა ისე, როგორც ადრე სჩვეოდა!

– რა თქმა უნდა, სასაცილოდ პატარაა, – მიუგო რეციამ, – მაგრამ მისის პიტერსმა ასე გადაწყვიტა.

სეპტიმუსმა ქუდი გამოართვა და თქვა, მეარღნის მაიმუნის ქუდს ჰგავსო.

ო, როგორ გამხიარულდა რეცია! რამდენი ხანი იყო, რაც ერთად არ უცინიათ, არ უხუმრიათ ცოლ-ქმარივით. მისის ფილმერი, მისის პიტერსი ან სხვა ვინმე რომ შემოსულიყო ოთახში, ვერ გაიგებდა, რა აცინებდა მათ.

– აი! – შესძახა რეციამ და ქუდზე ვარდი მიაკერა. რეციას თავი ასე ბედნიერად არასოდეს უგრძნია! არასოდეს!

ეს უფრო სასაცილოა, ის საცოდავი ქალი ამ ქუდში ბაზარში გამოყვანილ ღორს დაემსგავსებაო (არავის ისე არ გაუხალისებია რეცია, როგორც სეპტიმუსს).

რა ჰქონდა მას ყუთში? ბაფთები, მძივები, ფოჩები, ხელოვნური ყვავილები. რეციამ ყველაფერი მაგიდაზე დააწყო. სეპტიმუსმა უცნაური ფერების ერთმანეთთან შეხამება დაიწყო. მართალია, მოუქნელი იყო და უბრალო ნივთის შეფუთვაც კი არ შეეძლო, მაგრამ შესანიშნავი მხედველობა ჰქონდა. ხშირად უჩნდებოდა რაღაც საოცარი იდეა, ზოგჯერ სასაცილო, მაგრამ ზოგჯერ მართლაც კარგი.

– ძალიან ლამაზი ქუდი იქნება! – ჩურჩულებდა სეპტიმუსი. რეცია მის გვერდით დაჩოქილიყო. ის მხარზემოდან დასცქეროდა ცოლს. სეპტიმუსმა გადაწყვიტა, როგორ უნდა გაელამაზებინა ქუდი რეციას. სეპტიმუსმა უთხრა, რომ რეციას ძალიან ყურადღებით უნდა ეკერა, ისეთი უნდა გამოსვლოდა, როგორიც სეპტიმუსს უნდოდა.

რეციამ კერვა დაიწყო. როცა კერავს, ისეთი ხმა ისმის, თითქოს ცეცხლზე ჩაიდანი დგას. თუხთუხებს, შიშინებს. ისმის ჩურჩული. შეუჩერებლად მუშაობს. მისი თლილი, ძლიერი, პატარა თითები გამალებით მოძრაობენ. ნემსი ბრწყინავს. მზე დასთამაშებს ფოჩებსა და შპალერს. სეპტიმუსი ფიქრობდა, რომ მოიცდიდა, მშვიდად წამოწვებოდა, ფეხებს გამართავდა, დახედავდა დივნის ბოლოში ამობურცულ თავის წინდებს. ის მოიცდიდა ამ სითბოში, ისეთი მდუმარების საბურველში გამომწყვდეული, როგორიც საღამო ხანს, ტყის პირასაა, რადგანაც დაწეული ნიადაგისა თუ ხეების განლაგების გამო (ადამიანმა, პირველ რიგში, ყველაფერზე მეცნიერულად უნდა იმსჯელოს) ტყეში ისევ თბილა. ჰაერი სახეზე ჩიტის ფრთასავით გელამუნება.

– აი, ნახე! – თქვა რეციამ და მისის პიტერსის ქუდი თითზე დაატრიალა, – ახლა ასე იყოს, შემდეგ კი.... – და მისი სიტყვები თითქოს წვეთების წკაპუნით გაფრინდა შორს. თითქოს წყალი ონკანიდან მხიარულად მოსჩქეფდა.

საოცარი იყო. აქამდე სეპტიმუსს არასოდეს გაუკეთებია ისეთი რამ, რითიც იამაყებდა. მისის პიტერსის ქუდი კი ნამდვილი ნივთი იყო, ხელშესახები, საგრძნობი.

– შეხედე! – თქვა სეპტიმუსმა.

დიახ, რეცია ყოველთვის ბედნიერებით აღივსებოდა ამ ქუდის დანახვისას. მის წინაშე ისევ ძველი სეპტიმუსი იჯდა. იცინოდა. ისინი მარტონი იყვნენ. რეციას მუდამ ეყვარებოდა ეს ქუდი.

სეპტიმუსმა სთხოვა, ქუდი დაიხურეო.

– უჩვეულო იერი მექნება, – შესძახა მან და სარკისაკენ გაიქცა. თავი აქეთ-იქით შეატრიალა, შემდეგ კი ქუდი სწრაფად მოიძრო, რადგან კარზე დააკაკუნეს. ნუთუ სერ უილიამ ბრედშოუა? იქნებ უკვე ვინმე გამოგზავნა?

არა! ეს გოგონა იყო, რომელსაც საღამოს გაზეთი მოეტანა.

ახლაც ის მოხდა, რაც ყოველ საღამოს ხდებოდა. კარს უკან გოგონა თითს სწოვდა. რეცია დაიჩოქა, მიეფერა, ალერსიანად რაღაც უთხრა და აკოცა. მაგიდის უჯრიდან კანფეტები ამოიღო და გოგონას მისცა. ყოველ საღამოს ეს სცენა მეორდებოდა. ყველაფერი ჩვეულებისამებრ წარიმართა. მათ ცეკვა, ხტუნვა და ოთახში სირბილი დაიწყეს. სეპტიმუსმა გაზეთი აიღო: „სურეის გუნდი დამარცხდა, – წაიკითხა მან, – სიცხე იმატებს". რეციამ გაიმეორა: „სურეის გუნდი დამარცხდა, სიცხე იმატებს". სიტყვების გამეორებაც მისი და მისის ფილმერის შვილიშვილის თამაშის განუყოფელი ნაწილი იყო. ორივენი იცინოდნენ, ერთდროულად ლაპარაკობდნენ და გაუთავებლად ტიტინებდნენ. სეპტიმუსი დაღლილი იყო, მაგრამ უბედნიერესი. დაძინება სურდა. თვალები დახუჭა. როდესაც წყვდიადში ჩაიძირა, მოეჩვენა, რომ რეციასა და მისის ფილმერის შვილიშვილის ხმა შორიდან და ძალიან უცნაურად მოისმოდა. თითქოს ხალხი ყვირილით, ამაოდ დაეძებდა რაღაცას და შორს გარბოდა. ისინი უფრო და უფრო შორდებოდნენ სეპტიმუსს. სეპტიმუსი დაიკარგა! მათ ის მიატოვეს!

შიშისგან შეხტა. რა იყო ეს? რას ხედავდა? ჭურჭლის კარადაში ბანანიანი თეფში იდო. ოთახში არავინ იყო (რეციას გოგონა დედამისთან წაეყვანა, რადგან მისი ძილის დრო მოსულიყო). სეპტიმუსი მუდამ მარტო იქნებოდა. ეს იყო მისი განაჩენი, რომელიც ჯერ კიდევ მილანში გამოუტანეს იმ დღეს, როდესაც გოგონების ოთახში შევიდა და დაინახა, როგორ ჭრიდნენ მაკრატლით მიტკალს. სეპტიმუსს სამარადისო მარტოობა მიესაჯა.

ის მარტო იყო ჭურჭლის კარადასა და ბანანებთან ერთად. მარტო იყო ასეთ თვალუწვდენელ სიმაღლეზე, იქ, სადაც ქარები გაშმაგებით ღმუიან. ის არც მთის მწვერვალზე იწვა, არც კლდეზე. ის მისის ფილმერის დივანზე იწვა. სად გაქრნენ მოჩვენებები, სახეები, გარდაცვლილთა ხმა? სეპტიმუსის წინ თეჯირი იდგა, რომელსაც აფრიკული ფეტვი და ლურჯი მერცხლები ეხატა. იმ ადგილას, სადაც ოდესღაც მთის მწვერვალებს, სახეებსა და სილამაზეს ხედავდა, უსახური თეჯირიღა დარჩენილიყო.

– ევანს! – დაიყვირა მან. ხმა არავინ გასცა. თაგვმა დაიწრიპინა თუ ფარდა აფრიალდა. აი, ეს იყო გარდაცვლილთა ხმა. ის თეჯირის, ნახშირის ვედროსა და ჭურჭლის კარადის ამარა დარჩა... უნდოდა შეეხედა თეჯირის, ნახშირის ვედროსა და ჭურჭლის კარადისათვის... მაგრამ უეცრად რეცია ლაქლაქით შემოიჭრა ოთახში.

ვიღაცის წერილი მოვიდა. ყველა გეგმა შეიცვალა. მისის ფილმერი ბრაიტონში წასვლას ვეღარ შეძლებდა. მისის უილიამს ვეღარ გააფრთხილებდა... რეცია ფიქრობდა, რომ ეს ძალიან, ძალიან საწყენი იყო, მაგრამ, როდესაც ქუდს დახედა, გაიფიქრა... იქნებ... შემიძლია... ალბათ... ცოტათი... – მისი ხმა მხიარულ მელოდიად მიწყდა.

– ჯანდაბა! – შეჰყვირა მან (ასეთი ლანძღვაც კი მათი საყვარელი გასართობი იყო), – ნემსი გამტყდარა. ქუდი, გოგონა, ბრაიტონი, გამტყდარი ნემსი... ყველაფერი ჩვეულებისამებრ მოხდა. რეცია იჯდა და კერავდა.

რეციას უნდოდა, სეპტიმუსისგან გაეგო, ვარდი რომ გადავაადგილე, ქუდი თუ უფრო ლამაზი გახდაო. ის დივნის კიდეზე იჯდა, სეპტიმუსის ფეხებთან.

რეციამ თქვა, რომ ძალიან ბედნიერი იყვნენ და ქუდი დადო. ახლა შეეძლო, ყველაფერი ეთქვა სეპტიმუსისთვის, ყველაფერი, რაც თავში მოუვიდოდა. სწორედ ეს გაიფიქრა რეციამ, როდესაც პირველად ნახა სეპტიმუსი, რომელიც ერთ საღამოს კაფეში თავის ინგლისელ მეგობრებთან ერთად შემოვიდა. მან მორცხვად შემოაბიჯა და კაფეს თვალი მორიდებით მოავლო. ქუდი საკიდზე დაკიდა, მაგრამ ჩამოვარდა. რეციას ეს ყველაფერი ისევ ცხადად ახსოვდა. იცოდა, რომ სეპტიმუსი ინგლისელი იყო, მაგრამ არაფრით ჰგავდა იმ სქელ ინგლისელ კაცებს, რომელთაც მისი და აღმერთებდა. სეპტიმუსი კი ყოველთვის გამხდარი იყო, მაგრამ ლამაზი, ნათელი სახე ჰქონდა. დიდი ცხვირი, მოელვარე თვალები ჰქონდა, ოდნავ მოხრილი ჯდებოდა და რეციას ახალგაზრდა შევარდენს აგონებდა. ეს ხშირად უთქვამს სეპტიმუსისთვის. იმ საღამოს, როცა სეპტიმუსი კაფეში შემოვიდა, მისი მეგობრები დომინოს თამაშობდნენ. რეციამ მაშინ პირველად ნახა ის. ახალგაზრდა შევარდენს ჰგავდა. სეპტიმუსი რეციას მიმართ ყოველთვის კეთილი იყო. არასოდეს ცხარდებოდა, არ თვრებოდა. უბრალოდ, ამ საშინელი ომის გამო იტანჯებოდა, მაგრამ როდესაც რეცია მის გვერდით იყო, სეპტიმუსს სადარდებელი ავიწყდებოდა და თავი ხელში აჰყავდა. რეცია უყვებოდა ყველაფერს, აბსოლუტურად ყველაფერს. თავის მოსაბეზრებელ სამუშაოზეც კი ესაუბრებოდა. ეუბნებოდა ყველაფერს, რაც თავში მოსდიოდა. სეპტიმუსი ყოველთვის უგებდა. ყველაფერს მაშინვე ხვდებოდა. რეციას ასეთი თბილი ურთიერთობა ოჯახის წევრებთანაც კი არ ჰქონდა. სეპტიმუსი მასზე უფროსი იყო, ასე ჭკვიანი და სერიოზული! უნდოდა, რომ რეციას შექსპირი წაეკითხა, ის კი ინგლისურად ზღაპრებსაც კი ვერ კითხულობდა! ის მასზე ბევრად გამოცდილი და ჭკვიანი იყო და რეციას დაეხმარებოდა, თუმცა, რეციასაც შეეძლო მისი დახმარება.

მაგრამ მას ეს ქუდი უნდა დაემთავრებინა (დრო გადიოდა)! და სერ უილიამ ბრედშოუ...

რეციამ ხელები საფეთქლებთან მიიტანა. ელოდა, რას ეტყოდა სეპტიმუსი. აინტერესებდა, მოეწონა თუ არა ქუდი. იჯდა და თვალდახრილი ელოდა, რას ეტყოდა სეპტიმუსი. სეპტიმუსი გრძნობდა, როგორ დახტოდა ჩიტივით ტოტიდან ტოტზე რეციას გონება. თავს გასაოცრად იჭერდა. რეცია თავისუფლად, მოდუნებული იჯდა, ისე, როგორც სჩვეოდა. სეპტიმუსს ლუკრეციასათვის რამე რომ ეთქვა, ის მაშინვე გაუღიმებდა. იმ ჩიტს ჰგავდა, რომელიც ტოტზე ჯდება და კლანჭებით ებღაუჭება.

სეპტიმუსს უეცრად ბრედშოუს სიტყვები გაახსენდა: „ჩვენს საყვარელ ადამიანებს ავადმყოფობის ჟამს ჩვენთვის კარგის გაკეთება არ შეუძლიათ". ბრედშოუმ უთხრა, რომ უნდა ესწავლა, როგორ დაესვენა, რომ ის და რეცია ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ.

„უნდა", „უნდა". რატომ „უნდა?" რატომ მბრძანებლობდა ასე ბრედშოუ?

– რა უფლებით მეუბნება ბრედშოუ სიტყვას: „უნდა?" – იკითხა მან.

– იმიტომ, რომ თქვი, თავს მოვიკლავო, – მიუგო რეციამ.

(მადლობა ღმერთს, ახლა სეპტიმუსისათვის ყველაფრის თქმა შეეძლო.) ის მათ ხელში იყო! ჰოლმსმა და ბრედშოუმ მასზე გაიმარჯვეს! სისხლით მოსვრილი დრუნჩიანი მხეცი ყველაზე საიდუმლო ადგილებში იქექებოდა და ამბობდა: „უნდა!". სად იყო მისი ქაღალდები? მისი ნაწერები?

რეციამ ის ნაწერები მოუტანა, მისი თხოვნით რომ დაწერა. ფურცლები დივანზე დააწყო. დახედეს. ფურცლები დიაგრამებითა და ნახატებით იყო სავსე. პატარა ქალები და კაცები ჯოხებს იარაღებივით იქნევდნენ. ზურგზე ფრთები ამოსვლოდათ (ნუთუ მართლა ფრთები ჰქონდათ?). შილიანგიანებისა და ათპენიანების ირგვლივ წრეები, მზეები და ვარსკვლავები ეხატა. ზიგზაგებად დაკლაკნილი უფსკრულების თავზე თოკით ერთმანეთზე გადაბმული მთამსვლელები ისე მიჰკვროდნენ ერთმანეთს, რომ დანებსა და ჩანგლებს დამსგავსებოდნენ. ზღვაზე მოჩანდა პატარა მოცინარი სახეები, რომლებიც, ალბათ, ტალღებზე ირწეოდნენ. დედამიწის რუკა. დაწვი ყველაფერი! – შეჰყვირა სეპტიმუსმა. ფურცლებზე ეწერა, რომ გარდაცვლილები როდოდენდრონების უკან მღეროდნენ. ოდები დროს, საუბრები შექსპირთან, ევანსი, ევანსი, ევანსი... – მისი გზავნილები გარდაცვლილთა საუფლოდან. არ მოჭრათ ხეები... გააფრთხილეთ პრემიერ-მინისტრი... საყოველთაო სიყვარული... სამყაროს არსი... დაწვი! – დაიყვირა სეპტიმუსმა.

მაგრამ რეციამ ფურცლებს ხელი დააფარა. ფიქრობდა, რომ ზოგი ჩანაწერი მართლაც მშვენიერი იყო. მათ აბრეშუმის ბაფთით შეკრავდა (კონვერტი არ ჰქონდა).

რეციამ უთხრა, რომ თუ მის წასაყვანად მოვიდოდნენ, თვითონაც თან გაჰყვებოდა. ისინი მათ ვერ დააშორებენ.

რეციამ ფურცლებს ხელი მოხვია, გაასწორა და ისე ლამაზად შეკრა, რომ მათთვის თითქმის არც დაუხედავს. სეპტიმუსის გვერდით იჯდა. სეპტიმუსს ეჩვენებოდა, რომ რეცია გაიფურჩქნა. ის აყვავებული ხე იყო. ტოტებს შორის

მოჩანდა სახე იმ კანონმდებლისა, რომელმაც მყუდრო ტაძარს მიაღწია და აღარავისი ეშინოდა: არც ჰოლმსისა და არც ბრედშოუსი. ეს ნამდვილი სასწაული, ბრწყინვალე, საბოლოო გამარჯვება იყო. სეპტიმუსმა დაინახა, როგორ საოცრად გადააბიჯა საშიშ კიბეს რეციამ, რომელიც მძიმე ტვირთივით მიათრევდა ჰოლმსსა და ბრედშოუს, კაცებს, რომლებიც სამოცდაათ კილოგრამზე ნაკლებს არასოდეს იწონიდნენ, თავიანთ ცოლებს სამეფო კარზე გზავნიდნენ, წელიწადში ათი ათას გირვანქას შოულობდნენ და ზომიერებაზე ლაპარაკობდნენ! სხვადასხვაგვარი განაჩენი გამოუტანეს სეპტიმუსს (ჰოლმსი სხვა დიაგნოზს უსვამდა, ბრედშოუ – სხვას). მოსამართლეებივით აღმართულიყვნენ მის წინაშე. ჭურჭლის კარადასა და მოჩვენებებს ერთმანეთისაგან ვერ არჩევდნენ. ვერაფერს ხვდებოდნენ, მაგრამ მასზე ბატონობდნენ და საშინლად ტანჯავდნენ. „უნდა", – ამბობდნენ ისინი. მიუხედავად ამისა, რეციამ მათზე გაიმარჯვა.

– მორჩა! – შესძახა მან. მას ჩანაწერები უკვე შეეკრა აბრეშუმის ნაჭრით. მათ ვეღარავინ მიაგნებდა, რადგან რეცია საგულდაგულოდ გადამალავდა.

რეციამ უთხრა, რომ მათ ვერაფერი და ვერავინ დააშორებდა. ის მის გვერდით ჩამოჯდა და შევარდენი თუ ყვავი უწოდა, რომელიც მართალია, ავი ფრინველია და ნათესებს აჩანაგებს, მაგრამ სეპტიმუსს ძალიან ჰგავს. რეცია უმეორებდა, რომ მათ ვერავინ და ვერაფერი დააშორებდა.

წამოდგა და საძინებელ ოთახში გასვლა დააპირა, რათა ნივთები ჩაელაგებინა. უეცრად ქვემოდან ხმა შემოესმა. გაიფიქრა, ალბათ, ჰოლმსი მოვიდაო. ოთახიდან გავარდა და კიბეზე დაეშვა, რათა ექიმი ოთახში არ შემოეშვა.

სეპტიმუსს ესმოდა, როგორ ელაპარაკებოდა რეცია ჰოლმსს კიბეზე.

– ძვირფასო ქალბატონო, მე ისე მოვედი თქვენთან, როგორც თქვენი მეგობარი... – უთხრა მან.

– არა. ჩემი ქმრის ნახვის უფლებას არ მოგცემთ.

სეპტიმუსი თითქოს ხედავდა, როგორ იდგა რეცია კიბეზე, ქათამივით ფრთებს შლიდა და გზას უღობავდა ექიმს. ჰოლმსი დანებებას არ აპირებდა და იჟინებდა: – ძვირფასო ქალბატონო, მომეცით საშუალება... – უთხრა მან და რეცია გზიდან ჩამოიშორა (ჰოლმსი ღონიერი, ახოვანი მამაკაცი იყო).

ჰოლმსი კიბეზე ამოდიოდა. წუთიც და, ოთახში შემოიჭრებოდა და ეტყოდა: „გეშინია, არა?" ის გაიმარჯვებდა. არა! ვერც ჰოლმსი და ვერც ბრედშოუ ვერ ჩაიგდებენ ხელში! ბარბაცით წამოდგა და ხტუნვით წავიდა წინ. დახედა მისის ფილმერის ლამაზ, სუფთა, პურის საჭრელ დანას, რომლის ტარზეც ამოკვეთილი იყო: „პური". არა, ამ დანის გაფუჭება არ უნდოდა. იქნებ გაზი?! მაგრამ უკვე გვიან იყო. ჰოლმსი წუთიწუთზე შემოვიდოდა. იქნებ სამართებელი?... მაგრამ რეციამ ის შეინახა. ფანჯარაღა დარჩა... ბლუმსბერის ბინების დიდი ფანჯრები... რა დამღლელი, სევდიანი და ძალზე მელოდრამატული იქნებოდა ფანჯრისა გაღება და გადახტომა... ჰოლმსსა და ბრედშოუს თვითმკვლელობა ტრაგედიად მიაჩნდათ, მასა და რეციას კი – არა (რეცია მუდამ მის გვერდით იყო)! ჰოლმსსა და ბრედშოუს უყვარდათ ამგვარი რამეები (სეპტიმუსი ფანჯრის რაფაზე დაჯდა).

უკანასკნელ წამამდე დაიცდიდა. სიკვდილი არ სურდა. ცხოვრება მშვენიერი იყო, მზე ანათებდა... ადამიანები კი... რა უნდოდათ მისგან?! მოხუცი, რომელიც მოპირდაპირე ბინის კიბეზე ჩამოდიოდა, შეჩერდა და სეპტიმუსს დაჟინებით დააცქერდა. ჰოლმსი უკვე კართან იდგა. „ამას შენ გიძღვნი!" – დაიყვირა სეპტიმუსმა, ფანჯრიდან მოწყვეტით გადაეშვა და მისის ფილმერის პატარა, შიდა ეზოს გისოსებს დაენარცხა.

– ლაჩარო! – დაიყვირა ჰოლმსმა, რომელიც ოთახში შემოიჭრა. რეცია ფანჯარას მიაწყდა. მან დაინახა. ყველაფერს მიხვდა. ექიმი ჰოლმსი და მისის ფილმერი ერთმანეთს დაეჯახნენ. მისის ფილმერმა თავისი წინსაფარი რეციას თვალებზე ააფარა და ოთახში გაიყვანა. კიბეზე არბოდნენ და ჩამორბოდნენ. მიტკალივით გაფითრებული, ერთიანად აკანკალებული ექიმი ჰოლმსი ოთახში შემოვიდა, რეციას ჭიქა წყალი გაუწოდა და უთხრა, რომ ძალა უნდა მოეკრიბა, თავი ხელში აეყვანა და ეს დაელია (რა იყო ეს? რაღაც ტკბილი სითხე), რადგანაც მისი ქმარი საშინლად დასახიჩრებულიყო და ვერ გადარჩებოდა. რეციას მისთვის არ უნდა შეეხედა. მისთვის ყურადღება უნდა მიექციათ. ის თავს უნდა გაფრთხილებოდა, რადგან დაჰკითხავდნენ. საბრალო. ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი რამ მოხდებოდა? სეპტიმუსს უეცარმა იმპულსმა, წამიერმა აღგზნებამ სძლია. არავინ არაფერში არ იყო დამნაშავე (უხსნიდა ექიმი ჰოლმსი მისის ფილმერს). ექიმი ჰოლმსი ვერ ხვდებოდა, რა ეშმაკად ჩაიდინა სეპტიმუსმა ასეთი რამ.

რეცია რაღაც ტკბილ სითხეს სვამდა და ეჩვენებოდა, რომ დიდ, შემინულ კარს აღებდა და ბაღში შედიოდა. მაგრამ სად იყო? საათის წიკწიკი ისმოდა: ერთი, ორი, სამი... რა მოწესრიგებულად, გონივრულად წიკწიკებს... კიბეზე კი ხმაური და ჩურჩულია. სეპტიმუსივით გონიერი იყო ეს საათი. რეციას ძილი ერეოდა. საათი წიკწიკს განაგრძობდა: ოთხი, ხუთი, ექვსი... მისის ფილმერი წინსაფარს აქნევდა (ნუთუ სეპტიმუსის ცხედარს ბინაში არ შემოასვენებენ?) რეციას ეჩვენებოდა, რომ ბაღს თუ დროშას ხედავდა. ოდესღაც რეცია დეიდასთან ერთად იყო ვენეციაში და უცქერდა, როგორ ფრიალებდა ანძაზე მიმაგრებული დროშა. ამგვარად მიაგებდნენ პატივს ომში დაღუპულ ჯარისკაცებს. სეპტიმუსიც იყო ომში. რეციას მშვენიერი, სასიამოვნო მოგონებები ჰქონდა.

რეციამ ქუდი დაიხურა. ყანებში მირბის (მაგრამ სად არის?), რომელიღაც გორაკისაკენ გარბის. ალბათ, აქ ზღვა უნდა იყოს, რადგან შორს დიდი გემები მოჩანს და თოლიები და პეპლები დაფრინავენ. ისინი კლდეზე სხედან. ლონდონშიც მუდამ ერთად ისხდნენ. ნახევრად მძინარეს ჩაესმა წვიმის შხაპუნი, ჩურჩული, თავთავების შრიალი. გრძნობდა, როგორ ელამუნებოდა და ეალერსებოდა ზღვა. ისინი ტალღის თაღისებრ ნიჟარაში ისხდნენ. თითქოს ტალღა რაღაცას ეჩურჩულებოდა და ნაპირზე რიყავდა. სანაპიროზე მწოლიარეს ეჩვენებოდა, რომ ჰაერში დაფარფატებდა და საფლავზე ყვავილებივით ეფინებოდა.

„ის მოკვდა", – თქვა და გაუღიმა მის მომვლელს, საბრალო, მოხუც ქალს, რომელსაც კარისათვის მკრთალი ცისფერი თვალები მიეპყრო (სეპტიმუსის ცხედარს აქ არ დაასვენებენ?). მისის ფილმერმა მაშინვე თავი გააქნია. არა, არა, არა! სეპტიმუსს მალე გადაასვენებდნენ. იქნებ რეციასთვის ეთქვათ?

მისის ფილმერი თვლიდა, რომ ცოლ-ქმარი მუდამ ერთად უნდა ყოფილიყო, მაგრამ ექიმის ბრძანებას უნდა დამორჩილებოდნენ.

– აცალეთ, დაიძინოს, – თქვა ექიმმა ჰოლმსმა და რეციას პულსი გაუსინჯა. რეციამ დაინახა მისი დიდი, მუქი სილუეტი, ფანჯრისათვის ზურგი რომ შეექცია.

ეს ექიმი ჰოლმსია, – გაიფიქრა მან.

*

აი, ეს არის ცივილიზაციის ერთ-ერთი ტრიუმფი, უდიდესი მიღწევა, – გაიფიქრა პიტერ უოლშმა, როდესაც ქუჩაში სასწრაფო დახმარების მანქანის სირენის ხმა გაისმა. მანქანა სწრაფად, პირდაპირ საავადმყოფოსკენ მიიწევდა. ალბათ, ვიღაც საბრალო მიჰყავდა საავადმყოფოში გულმოწყალედ, ჰუმანურად, სწრაფად აიყვანა ვიღაც საბრალო, რომელიც უგონოდ დაეცა ან რაღაც დაავადება სჭირდა, ან იქნებ მანქანას ჩაუვარდა, ან თავში რაღაც დაეცა წუთის წინ, აქვე, გზაჯვარედინზე? ასეთი რამ შეიძლება ნებისმიერს დაემართოს. აი, ეს იყო ცივილიზაცია. პიტერს აღმოსავლეთიდან დაბრუნების შემდეგ ლონდონის აქტიურობა, მოწესრიგებულობა და ადამიანთა სოლიდარობა აოცებდა. ყველა მანქანა, ორთვალა, ეტლი და სატვირთო მანქანა შეჩერდა და სასწრაფო დახმარების მანქანას გზა დაუთმო. იქნებ ამაში იყო რაღაც ავადმყოფური, მაგრამ განა ამაღელვებელი და გულის ამაჩუყებელი არ იყო იმის დანახვა, თუ როგორ პატივს სცემდნენ ლონდონელები სასწრაფო დახმარების მანქანასა და მასში უგრძნობლად გაშოტილ მსხვერპლს? მართალია, საქმიანი ადამიანები შინისაკენ მიიჩქაროდნენ, მაგრამ, როდესაც სასწრაფო დახმარების მანქანა დაინახეს, გაიფიქრეს, რომ შეიძლებოდა, ამგვარი რამ მათ ცოლებსაც მოსვლოდათ. შეიძლებოდა, თავად ისინიც კი წოლილიყვნენ ახლა იმ მანქანაში, ექიმებისა და ექთანების გარემოცვაში. ო, როდესაც ექიმებზე, ცხედრებზე ფიქრობდნენ, სენტიმენტალურები ხდებოდნენ და ავადმყოფურ იერს იღებდნენ. თითქოს თვალები სიამოვნებით უბრწყინდებოდათ და ოდნავ სიხარულსა და ნეტარებასაც კი განიცდიდნენ, როდესაც ხვდებოდნენ, რომ ქუჩას თვალს მოავლებდნენ და სამარადისოდ გადაივიწყებდნენ ხელოვნებისა და მეგობრობისათვის საბედისწერო აზრებს. სასწრაფო დახმარების მანქანამ მეორე ქუჩაზე შეუხვია. მისი საყვირის სუსტი ხმა ისევ ისმოდა. როცა ტოტენჰემ-ქორთროუდს მიუყვებოდა, კიდევ უფრო შორიდან მოისმოდა. „მიუხედავად ყველაფრისა, მარტოობის უპირატესობა ისაა, – გაიფიქრა პიტერ უოლშმა, – რომ შეგვიძლია, ის გავაკეთოთ, რაც გვსურს. შეგვიძლია, ვიტიროთ, თუკი დარწმუნებული ვართ, რომ ვერავინ დაგვინახავს". სწორედ ეს მგრძნობელობა იყო მისი უდიდესი უბედურება ინგლისსა და ინდოეთში. ყოველთვის უმიზეზოდ ტიროდა და იცინოდა. ჩემში არის რაღაც, – ფიქრობდა საფოსტო ყუთთან მდგარი პიტერ უოლში, – რაც მალე ცრემლებად ამოხეთქს. მაინც რატომ უნდა ეტირა? ღმერთმა იცის! ალბათ, იმიტომ, რომ სილამაზეს უცქირა და ზაფხულის ეს ცხელი დღეც მძიმედ აწვა გულზე, რადგან კლარისას დილით ესტუმრა. ცხელი, დაძაბული დღე ძალას აცლიდა. მოგონებები წვეთ-წვეთად იღვრებოდა უძირო, ბნელ გამოქვაბულში, რომლის არსებობასაც ვერავინ ვერასოდეს გაიგებდა. ამიტომაც ამ უდიდესი, ამოუხსნელი, წმიდათაწმიდა საიდუმლოს

გამო ცხოვრება ეჩვენებოდა ერთ დიდ, საიდუმლოებებითა და მოულოდნელობებით სავსე დიდ ბაღად, რომლის უკაცრიელი ბილიკები უცნობი გზებისაკენ მიემართებოდნენ. განცვიფრება ეუფლებოდა, დიახ, ნამდვილად განცვიფრება ეუფლებოდა. ასეთ წუთებში თავბრუ ეხვეოდა და სუნთქვა ეკვროდა. ისევე, როგორც ახლა, როდესაც ბრიტანეთის მუზეუმის წინ, საფოსტო ყუთთან იდგა და ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა: ეს სასწრაფო დახმარების მანქანა, სიცოცხლე, სიკვდილი. ეჩვენებოდა, რომ მოზღვავებული აღელვებისაგან მაღლა აფრინდა, სადღაც, სახურავზე. მისი სხეულის მეორე ნაწილი კი თეთრი ნიჟარებით სავსე სანაპიროსავით მოშიშვლებული იყო. ინგლისსა და ინდოეთში მისი ყველაზე დიდი უბედურება ეს მგრძნობელობა იყო.

ის და კლარისა ოდესღაც ომნიბუსის მეორე სართულზე ისხდნენ და სადღაც მიდიოდნენ. კლარისას უმიზეზოდ ეცვლებოდა ხასიათი (მართალია, ცოტა ზედაპირულად, მაგრამ მაინც), ხან სასოწარკვეთა იპყრობდა, ხან სიხარულით ბრწყინავდა. ცახცახებდა. მასთან ყოფნა ყოველთვის სასიამოვნო იყო. კლარისა უყურებდა პატარა, სახალისო სცენებს, ხალხს თუ აბრებს. ლონდონში დაეხეტებოდნენ, კალედონიის ბაზრობიდან[25] განძით დახუნძლულები გამოდიოდნენ. კლარისას მაშინ თეორია ჰქონდა. თეორიებით აღსავსენი იყვნენ, ისე, როგორც ახალგაზრდებს სჩვევიათ. კლარისა ამ თეორიებით ხსნიდა იმ უკმაყოფილების გრძნობას, რომელიც ხშირად იპყრობდა. ადამიანები ერთმანეთს კარგად არ იცნობენ. როგორ უნდა შეიცნონ მათ ერთმანეთი? ზოგჯერ ადამიანს ყოველდღე ხვდები, ხან კი ექვსი თვის თუ მთელი წლის განმავლობაში ვერ ნახულობ, – ამბობდა ის. პიტერიც ეთანხმებოდა. საწყენი იყო, რომ ადამიანები ასე ცუდად იცნობდნენ ერთმანეთს. როცა ომნიბუსი შაფთსბერი-ავენიუს მიუყვებოდა, კლარისამ თქვა, რომ გრძნობდა, ერთდროულად ყველგან იყო და არა „აქ, აქ, აქ", – თქვა და სკამის საზურგეს ხელი დაჰკრა, მერე კი შაფთსბერი-ავენიუს მოატარა. კლარისა სულ ეს იყო. იმისათვის, რომ გაგეცნოთ, უნდა გაგეცნოთ ის ადამიანებიც, რომელებიც მას გარს ეხვივნენ და რამდენიმე ადგილიც მოგენახულებინათ. საოცრად ჰგავდა იმ ადამიანებს, რომლებთანაც არასოდეს უსაუბრია: ქუჩაში მიმავალ ქალს ან დახლში მდგარ მამაკაცს, ხესა და ბეღელსაც კი. ყველაფერი მთავრდებოდა ტრანსცენდენტური თეორიით, რომელიც სიკვდილის შიშის წყალობით საშუალებას აძლევდა, ერწმუნა (ან ემტკიცებინა, რომ სწამდა, რადგან სკეპტიკოსი იყო), რომ ჩვენი ხილული მხარე მხოლოდ ეფემერული და ხანმოკლეა მეორე, სრულიად უცხო, უხილავ, ყოვლისმომცველ ნაწილთან შედარებით, რომელიც ჩვენი სიკვდილის შემდეგაც კი განაგრძობს არსებობას, ან სხვა ადამიანში განსხეულდება, ან რომელიმე ადგილას დაიბუდებს. „ალბათ, ალბათ"... – ამბობდა ის.

როდესაც პიტერი წარსულსა და მათ ხანგრძლივ, თითქმის ოცდაათწლიან მეგობრობას იხსენებდა, ხვდებოდა, რომ კლარისას თეორია, ამ მხრივ, მართალი იყო. ხანმოკლე, იშვიათი, თუმცა, მტკივნეული შეხვედრები ჰქონდათ. ხანდახან წლები ისე გავიდოდა, ერთმანეთს არ ნახულობდნენ. ხან ვიღაც უშლიდათ ხელს (მაგალითად, დღეს, როდესაც პიტერი კლარისასთვის რაღაცის თქმას აპირებდა, ოთახში შემოიჭრა ლამაზი, მდუმარე ელიზაბეთი, რომელიც გრძელფეხება კვიცს ჰგავდა). თუმცა, მასთან შეხვედრები პიტერის ცხოვრებაზე უდიდეს გავლენას ახდენდა. ეს ნამდვილი მისტიკა იყო. კლარისა პიტერს აძლევდა პატარა, წვეტიან, უსახურ მარცვალს, –

შეხვედრას, რომელიც ხშირად აუტანელ ტკივილსა და ტანჯვა-წამებას აყენებდა პიტერს, – მარცვალი კი მისგან შორს, სადღაც, სრულიად მოულოდნელად, წარმოუდგენელ ადგილას გაიხარებდა და საამო სურნელს აფრქვევდა. ეხებოდა მას, მის სიტკბოს შეიგრძნობდა, მგრძნობელობითა და აზრებით აღივსებოდა, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი წელი მისთვის სრულიად უცნობ ადგილას იყო. აი, ასეთად ახსენდებოდა პიტერს კლარისა გემზე თუ ჰიმალაიზე. მოულოდნელად ძალზე უცნაური საგნები ახსენებდა მის თავს (ისევე, როგორც სულელ, თავქარიან, გულკეთილ, ენთუზიაზმით სავსე სელის ახსენდებოდა პიტერი მაშინ, როდესაც ლურჯ ჰორტენზიებს უყურებდა). კლარისამ მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა. პიტერს უნებურად ახსენდებოდა კლარისა ცივი, ქედმაღალი, გამკიცხავი სახით, ხან კი უსაზღვროდ ლამაზი, მომხიბლავი და რომანტიკული. ინგლისის მინდვრებს თუ მოსამკელ ყანებს აგონებდა. კლარისას უფრო ხშირად სოფელში ნახულობდა, ვიდრე ლონდონში. ახსენდებოდა ყველაფერი, რაც ბორტონში ხდებოდა.

პიტერი სასტუმროს მიადგა. მოწითალო სავარძლებით, დივნებითა და დამჭკნარი, წაწვეტებულფოთლებიანი მცენარეებით სავსე ჰოლი გაიარა. თავისი ოთახის გასაღები აიღო. ახალგაზრდა ქალმა რამდენიმე წერილი გაუწოდა. პიტერი კიბეს აუყვა. ყველაზე ხშირად ბორტონში ნახულობდა კლარისას. გაზაფხულის მიწურულს ერთი კვირით ესტუმრებოდა (ზოგჯერ სხვა სტუმრებივით ისიც ორი კვირით რჩებოდა). კლარისა გორაკზე შემდგარიყო და თმაზე ხელი წაევლო, მის მოსასხამს ქარი აფრიალებდა. ხელს წინ იშვერდა და მათ უყვიროდა, სევერნს[26] ვხედავო. ტყეში, კოცონზე ჩაიდნით წყალს ადუღებდნენ. კლარისა თითებს მოუქნელად ამოძრავებდა და არაფერი გამოსდიოდა. კვამლი იკლაკნებოდა, თითქოს რევერანსს აკეთებდა და მათ სახეებს ელამუნებოდა. ის უცქერდა კლარისას პატარა, ვარდისფერ, კვამლის საბურველში გახვეულ სახეს. მან ქოხში მცხოვრებ მოხუც ქალს წყალი სთხოვა. ქალი კართან დადგა და უცქერდა, როგორ მიდიოდნენ ისინი უკან. მუდამ ფეხით დადიოდნენ, სხვები კი მანქანებით. კლარისას მანქანა არ უყვარდა. თავისი ძაღლის გარდა, არც ერთი ცხოველი არ უყვარდა. უამრავ მილს გაივლიდნენ ფეხით. კლარისა ჩერდებოდა, გარემოს აკვირდებოდა. წინ მიუძღოდა პიტერს. დაუსრულებლად კამათობდნენ. საუბრობდნენ პოეზიაზე, ადამიანებსა და პოლიტიკაზე (კლარისას მაშინ ძალიან რადიკალური შეხედულებები ჰქონდა). ლაპარაკით ისე ერთობოდნენ, რომ ვეღარაფერს ამჩნევდნენ, თუმცა, დროდადრო კლარისა შეჩერდებოდა, გაირინდებოდა, პეიზაჟს თუ ხეს დააცქერდებოდა, აღფრთოვანებისაგან შეჰყვირებდა და ეუბნებოდა, ნახე, რა სილამაზეაო. ისინი მომკილ ყანებს მიუყვებოდნენ. კლარისა წინ მიაბიჯებდა, ხელში მამიდასთვის მოკრეფილი ყვავილი ეჭირა. სიარულით არასოდეს იღლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ნაზი და ფაქიზი იყო. ბორტონში შებინდებისას ჩადიოდნენ. ნავახშმევს მოხუცი ბრიტკოფი პიანინოს მიუჯდებოდა და მღეროდა, თუმცა, ხმა საერთოდ არ ჰქონდა. ისინი სავარძლებში გაიშხლართებოდნენ და სიცილს ძლივს იკავებდნენ. ბოლოს მაინც, სულ უბრალო რამის გამო აუვარდებოდათ გიჟური ხარხარი. ეგონათ, ბრიტკოფი ვერაფერს ხედავდა. დილაობით კლარისა სახლის წინ ბოლოქანქარასავით სცემდა ბოლთას...

ო, კლარისას მისთვის წერილი მოუწერია! ცისფერი კონვერტი... ეს მისი ხელი იყო. პიტერს წერილი უნდა წაეკითხა. ისევ უნდა შეხვედროდა კლარისას! ისევ უსაშველოდ უნდა დატანჯულიყო! კლარისას წერილების წაკითხვა საშინელ ტანჯვას აყენებდა. „რა საოცარი იყო, რომ პიტერი ნახა! ეს აუცილებლად უნდა ეთქვა მისთვის!" სულ ეს იყო.

პიტერი გაოცდა და განაწყენდა. ერჩივნა, კლარისას მისთვის არაფერი მოეწერა. ფიქრებში წასულ პიტერს თითქოს ნეკნებში იდაყვი ჩასცა და სუნთქვა შეუკრა. რატომ არ ანებებდა თავს? ის ხომ თავის რიჩარდ დოლოვეის გაჰყვა ცოლად და ამდენი წელი მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდა?

ამ სასტუმროებში სულს ვერ დაიმშვიდებდი და შვებას ვერ პოვებდი. პირიქით. ამ საკიდებზე უამრავი ადამიანი კიდებდა ქუდს. თუ დაფიქრდებოდი, იმასაც მიხვდებოდი, რომ ბუზებიც კი, სანამ შენ დაგაფრინდებოდნენ ცხვირზე, ამ სასტუმროში მყოფი უამრავი ადამიანის ცხვირზე ისხდნენ. სისუფთავე თვალში სცემდა, მაგრამ ეს იყო არა იმდენად სისუფთავე, არამედ სიმკაცრე და სიცივე. მოვალეობა. გარიჟრაჟზე მოდიოდა ერთი მკაცრი, უჟმური მატრონა, რომელიც ცხვირის სრუტუნით ამოწმებდა ყველაფერს. სიცივისაგან ცხვირგალურჯებულ გოგონებს აიძულებდა, ეხეხათ და ეხეხათ ლანგრები, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. თითქოს შემდეგი სტუმარი იქნებოდა საქონლის ბარკალი, რომელიც უზადოდ სუფთა ლანგრით უნდა დაედოთ მაგიდაზე. დასაძინებლად – საწოლი, დასაჯდომად – სავარძლები, კბილების გამოსახეხად და ნიკაპის გასაპარსად კი ჭიქა და სარკე ჰქონდა. წიგნები, წერილები, ხალათები დივანზე აღმაშფოთებელი დაუდევრობით ეყარა. კლარისას წერილმა თითქოს თვალები აუხილა და ცხადად დაინახა ყოველივე ეს. „საოცარია, რომ გნახე! მას ეს უნდა ეთქვა!" პიტერმა წერილი დაკეცა და სადღაც შეინახა. არაფრისდიდებით არ წაიკითხავდა მას!

რაკი პიტერმა საღამოს ექვს საათზე მიიღო ეს წერილი, ესე იგი, კლარისა მაშინვე მიუჯდა მაგიდას ამ წერილის დასაწერად, როგორც კი პიტერი წავიდა. წერილი დაწერა, ბეჭედი დაასვა და ფოსტაში ვიღაც გაგზავნა. როგორც ამბობდნენ, კლარისას ამგვარი რამეები სჩვეოდა. პიტერის სტუმრობამ ძალიან ააღელვა და ააფორიაქა. ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობები მოეძალა. როცა პიტერს ხელზე აკოცა, წამით იქნებ ყველაფერი ინანა და პიტერის შეშურდა კიდეც? ალბათ, გაახსენდა (პიტერმა ეს მის სახეზე ამოიკითხა) პიტერის ადრინდელი სიტყვები. მოაგონდა, რომ ეუბნებოდა, თუ ცოლად გამომყვები, სამყაროს შევცვლითო. რეალობა კი სულ სხვაგვარი იყო: უკვე შუახნისანი იყვნენ. ერთფეროვანი და უფერული ცხოვრება ჰქონდათ. კლარისამ საკუთარი თავი აიძულა, თავისი უშრეტი და დაუოკებელი სასიცოცხლო ძალით მოეშორებინა და გადაევიწყებინა ყველაფერი. ის საოცრად თავდაჭერილი, მტკიცე, გამძლე, თამამი იყო, დაბრკოლებებს მუდამ სძლევდა და ყველაფერს ბრწყინვალე გამარჯვებით აგვირგვინებდა. პიტერს მისი მსგავსი ადამიანი არასოდეს ენახა. მაგრამ როდესაც პიტერი მისი ოთახიდან გავიდა, კლარისას თავზარი დაეცა. ძალიან აღელდა. ალბათ, ძალიან შეეცოდა. ალბათ, ფიქრობდა, რა გავაკეთო ისეთი, რომ გავახაროო (თითქმის ყოველთვის ამაზე ფიქრობდა). პიტერი წარმოიდგენდა, როგორ ღვარად სდიოდა კლარისას ცრემლი, როგორ მივიდა

თავის მაგიდასთან და დაწერა ეს ერთადერთი ფრაზა, რომელიც სასტუმროში მისულ პიტერს დახვდებოდა: „რა საოცარია, რომ გნახე!" ეს ნამდვილად გულწრფელი სიტყვები იყო.

პიტერ უოლშმა ფეხსაცმლის თასმები შეიხსნა.

პიტერი და კლარისა რომ დაქორწინებულიყვნენ, გაუბედურდებოდნენ. ბუნებრივიც კი იყო, რომ კლარისა რიჩარდს გაჰყვა.

ეს უცნაური იყო, მაგრამ სიმართლე. ამას ბევრი გრძნობდა. პიტერ უოლშმა, ასე თუ ისე, წარმატებას მიაღწია და ღირსეულად იმუშავა არაფრით გამორჩეულ თანამდებობებზე. ხალხს მოსწონდა, მაგრამ ცოტათი უცნაურ და ქედმაღალ ადამიანად მიაჩნდათ. საოცარი ის იყო, რომ ახლა, სწორედ ახლა, როცა გაჭაღარავდა, კმაყოფილი და ბედნიერი იერი ჰქონდა. თითქოს ყველაფერი ისევ წინ ჰქონდა. ქალებს მოსწონდათ, რადგან გრძნობდნენ, რომ მასში წმინდა მამაკაცურობა არ იგრძნობოდა. რაღაც უჩვეულო იყო მასში, იქნებ შენიღბულიც კი. ალბათ, იმიტომ მოსწონდათ, რომ წიგნები უყვარდა. ყოველთვის, როცა მეგობართან სტუმრად მივიდოდა, მაგიდაზე დადებულ წიგნს აიღებდა (ახლაც კი კითხულობდა. მისი ფეხსაცმლის თასმები ძირს ეყარა). იქნებ იმიტომ მოსწონდათ ქალებს, რომ ჯენტლმენი იყო. ჯენტლმენობა მაშინაც კი ეტყობოდა, როცა ჩიბუხიდან ფერფლს ფერთხავდა. ქალებს თავაზიანად ეპყრობოდა. მომხიბვლელი, თუმცა, საკმაოდ სასაცილო იყო იმის დანახვა, თუ როგორ დაჰყავდა თავის ჭკუაზე პიტერი ვინმე უჭკუო გოგონას, რომელიც კარგად ხვდებოდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის საქციელს. პიტერი კარგი ხასიათის, დამთმობი, უბრალო ადამიანი იყო, ხალისიანი და ზრდილობიანი, და მასთან ურთიერთობა ყოველთვის სასიამოვნო იყო, მაგრამ საზღვარი ყველაფერს ჰქონდა! გოგონა რაღაცას ეუბნებოდა. ის კი ფიქრობდა: „არა, არა!" ის თითქოს მის ფიქრებს კითხულობდა. ეს აუტანელი იყო. არა, არა! მამაკაცების საზოგადოებაში ხუმრობა საოცრად ახალისებდა, ყვიროდა, ხარხარებდა და სიცილით დაოსდებოდა. ინდოეთში ყველა გურმანად თვლიდა. კერძებს ყოველთვის ოსტატურად აფასებდა. ის მამაკაცი იყო, მაგრამ არ ჰგავდა იმ მამაკაცებს, რომლებიც გარშემო მყოფებს პატივისცემას აღუძრავდა. პიტერი ამის გამო ღმერთს მადლობას სწირავდა. „ის არ ჰგავს მაიორ სიმონსს, საერთოდ არ ჰგავს", – ფიქრობდა დეიზი, როდესაც პიტერსა და მაიორს მუდამ ერთმანეთს ადარებდა, მიუხედავად იმისა, რომ ორი შვილი ჰყავდა.

პიტერმა ჩექმა გაიხადა. ჯიბეები დაიცარიელა. ჯაყვასთან ერთად ჯიბიდან გადმოვარდა სურათი, რომელზეც ვერანდაზე მჯდომი დეიზი იყო გამოსახული. თეთრი ტანსაცმელი ეცვა და კალთაში ფოქს-ტერიერი ჩაესვა. საოცრად მომხიბლავი, შავგვრემანი ქალი იყო. ეს მისი ყველაზე ლამაზი ფოტო იყო. ყველაფერი უფრო მშვიდად და ბუნებრივად მიდიოდა დეიზისთან, ვიდრე კლარისასთან. ყველაფერმა ტანჯვის, ტკივილის, დაბრკოლებების, მანჭვა-გრეხისა და ნერვიულობის გარეშე ჩაიარა. დინებას აუღელვებლად მიჰყვებოდნენ. საოცრად მომხიბლავი, შავგვრემანი, ვერანდაზე მდგარი გოგონა ყვიროდა (პიტერს მისი ხმა ახლაც ჩაესმოდა), რომ დიახ, დიახ, მისი გულისთვის ყველაფრისათვის მზად იყო! მის გამო ყველაფერს დათმობდა (ძალიან თავშეუკავებელი იყო)! მას ყველაფერს მისცემდა! ყვიროდა და მისკენ მირბოდა. სულაც არ აღელვებდა, რომ შეიძლებოდა,

ვინმეს დაენახა. ის ოცდაოთხიოდე წლის იყო, მაგრამ ორი შვილი ჰყავდა. ოჰ!

ო, ასეთ ასაკში ასეთ უსიამოვნო ისტორიაში გაეხვია და გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა! ყველაფერი თავდაყირა დადგა. როდესაც შუაღამისას ეღვიძებოდა, ძალაუნებურად ახსენდებოდა ეს. წარმოიდგენდა, როგორ დაქორწინდებოდა იმ ქალზე. მისთვის ეს პრობლემა არ იყო, იმ ქალს კი ორი შვილი ჰყავდა. პიტერმა ერთ თავაზიან ქალს, მისის ბერჯესს, რომელიც სულაც არ იყო ჭორიკანა, გაუმხილა, რომ დეიზი უყვარდა. მან უთხრა, როცა თქვენ ინგლისში წახვალთ განქორწინების საკითხის მოსაგვარებლად, დეიზის დროს მიეცემა და ყველაფერზე დაფიქრდება, გაიაზრებს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მის საქციელსო. როგორი იქნებოდა ამის შემდეგ მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა? მას მრავალი საზოგადოებრივი ბარიერი ეღობებოდა წინ. მას ხომ შვილები უნდა მიეტოვებინა? ერთ დღესაც დაქვრივდებოდა და სადმე გარეუბანში იწანწალებდა. ასეთი წარსულის მქონე (თქვენც ხომ იცით, როგორ ამთავრებენ ასეთი ქალები, ზედმეტი ფერუმარილი რომ უსვიათ? – უთხრა მისის ბერჯესმა)... მაგრამ პიტერ უოლში არ დაეთანხმა. ჯერ სიკვდილს არ აპირებდა. გადაწყვეტილება თავად დეიზის უნდა მიეღო, ყველაფერი კარგად აეწონ-დაეწონა, – ფიქრობდა პიტერი და ოთახში წინდების ამარა დააბიჯებდა. თეთრი პიჯაკი გაისწორა. ის კლარისას წვეულებაზე ან მიუზიკ-ჰოლში წავიდოდა, ან საღამოს მშვიდად გაატარებდა: შინ დარჩებოდა და წაიკითხავდა ძალიან საინტერესო წიგნს, რომლის ავტორიც პიტერმა ოქსფორდში გაიცნო. თუკი პიტერი პენსიაზე გავიდოდა, წიგნების წერას დაიწყებდა. ოქსფორდში წავიდოდა და ბოდლის ბიბლიოთეკის[27] კატალოგებში ქექვას დაიწყებდა. ამაოდ დარბოდა შავგვრემანი, საოცრად მომხიბლავი დეიზი ტერასაზე, ამაოდ უქნევდა ხელს, ამაოდ ყვიროდა, არ მაინტერესებს, რას იტყვის ხალხი ჩემზეო. აი, ის კაცი, რომელზეც მას მზე და მთვარე ამოსდიოდა, სრულყოფილი, უზადო ჯენტლმენი, მომხიბლავი და გამორჩეული (დეიზისთვის მის ასაკს მნიშვნელობა არ ჰქონდა), ახლა ბლუმსბერის სასტუმროს ერთ-ერთ ოთახში წინდების ამარა სცემდა ბოლთას და წვერს იპარსავდა, იბანდა. წყლით სავსე სათლებს იღებდა, სამართებელს დებდა, მისი ფიქრები ისევ ბოდლის ბიბლიოთეკის კატალოგებში იქექებოდა და ნათელს ჰფენდა იმ უმნიშვნელო საკითხებს, რომლებიც აინტერესებდა.

შეუძლია გზად პირველივე შემხვედრთან გააბას მასლაათი, ხშირად გაუცრუებს დეიზის იმედს, უფრო და უფრო ხშირად დააგვიანებს ლანჩზე და გაიმართება საშინელი სცენები, როდესაც დეიზი სთხოვს, მაკოცეო, და ვერასოდეს გადაწყვეტს საბოლოო ნაბიჯის გადადგმას (მიუხედავად ამისა, მთელი გულით უყვარდა დეიზი). იქნებ მისის ბერჯესმა სიმართლე უთხრა? იქნებ მართლაც სჯობდა, დეიზის პიტერი დაევიწყებინა, ან ისეთად დაემახსოვრებინა, როგორიც 1922 წლის აგვისტოში იყო. მისი სილუეტი, შებინდებისას, გზაჯვარედინზე მოჩანს. თანდათან პატარავდება, ძაღლებშებმული ეკიპაჟი სწრაფად მიდის და მიჰყავს ის, უკანა სავარძელზე სალტეებით საიმედოდ დაბმული. ის ხელებს იწვდის. ხედავს, რომ სილუეტი თითქოს დნება, პატარავდება, ქრება და ყვირის, რომ ყველაფრისთვის მზად არის, ყველაფრისთვის, ყველაფრისთვის, ყველაფრისთვის.

პიტერმა არასოდეს იცოდა, რას ფიქრობდნენ სხვები. ყურადღების მოკრება უფრო და უფრო უჭირდა. ახლა მხოლოდ თავის საქმეებზე დარდობდა. ხან პირქუში იყო, ხან კი მხიარული. ქალებზე დამოკიდებული, დაბნეული და მერყევი გახდა. ვერ გაეგო, რატომ არ უნდა გამოეჩინა კლარისას თავაზიანობა დეიზის მიმართ და რატომ არ უნდა ეშოვა მათთვის ბინა. შეეძლო, დეიზი საზოგადოებაში გაეყვანა. ახლა პიტერს შეეძლო... რა შეეძლო? გაესეირნა, უთავბოლოდ ეხეტიალა (გულდასმით არჩევდა გასაღებებსა და ფურცლებს), მარტოობით დამტკბარიყო. მას აღარავინ სჭირდებოდა, თუმცა, სინამდვილეში, არავინ იყო მასავით სხვებზე დამოკიდებული (მან ჟილეტი შეიკრა). ეს ნამდვილი უბედურება იყო. არ შეეძლო, არ ევლო მოსაწევ ოთახებში. უყვარდა პოლკოვნიკებთან საუბარი, გოლფი, ბრიჯი. ყველაზე მეტად კი ქალების საზოგადოებაში ყოფნა სიამოვნებდა. მოსწონდა ქალთა ფაქიზი მეგობრობა, ერთგულება, გამბედაობა, სიმამაცე და სიდიადე სიყვარულში. მართალია, სიყვარული სავსე იყო უსიამოვნებებით, დაბრკოლებებით (კონვერტების გროვაზე საოცრად ლამაზი, შავგვრემანი სახე მოჩანდა), მაგრამ მაინც ფიქრობდა, რომ ეს საოცარი, დიადი გრძნობა იყო ადამიანთა ცხოვრების გვირგვინი. მიუხედავად ამისა, საბოლოო ნაბიჯის გადადგმას მაინც ვერ ბედავდა. ფრთხილი გახდა (კლარისამ მასში რაღაც სამუდამოდ ჩაკლა). უტყვი, გაუმხელელი გრძნობა მალე ღლიდა. სიყვარულში მრავალფეროვნებას ეძებდა. მიუხედავად ამისა, გაგიჟდებოდა, რომ გაეგო, დეიზიმ სხვა კაცი შეიყვარაო! ნამდვილად გაგიჟდებოდა! ეჭვიანი იყო, საშინლად ეჭვიანი. ო, როგორ იტანჯებოდა! სად იყო მისი დანა, საათი, ბეჭედი, უბის წიგნაკი, კლარისას წერილი? წერილს აღარ წაიკითხავდა, თუმცა, მასზე ფიქრი სიამოვნებდა. სად იყო დეიზის ფოტო? უკვე ვახშმის დრო მოსულიყო.

*

ისინი ვახშმობდნენ. პატარა მაგიდებთან ისხდნენ, რომლებზეც ყვავილებიანი ლარნაკები ეწყო. ზოგი სავახშმოდ გამოწყობილიყო, ზოგი – არა. შალის მოსასხამები და ჩანთები გვერდით დაეწყოთ. ცდილობდნენ, გულგრილი იერი მიეღოთ. თითქოს სულ არ აოცებდათ ასეთი მდიდრული ვახშამი, რომელსაც მიჩვეული არ იყვნენ. თავდაჯერებულები ჩანდნენ და კმაყოფილებით ბრწყინავდნენ, რადგან შეეძლოთ ასეთი დიდებული ვახშმის საფასური გადაეხადათ. დაღლილები იყვნენ, რადგან მთელი დღე მაღაზიებში დარბოდნენ და ლონდონის ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებდნენ. ცნობისმოყვარეობით უცქერდნენ ოთახს და სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცს, რომელსაც რქისჩარჩოიანი სათვალე ეკეთა. თავაზიანები იყვნენ და გაუხარდებოდათ, თუ პატარა სამსახურს გაუწევდნენ ვინმეს: მიაწოდებდნენ მენიუს ან საჭირო ინფორმაციას. სურვილით იწვოდნენ, რაიმე ისეთზე ესაუბრათ, რაც მათ დაახლოებდა. იქნებ ერთ ქალაქში დაიბადნენ (მაგალითად, ლივერპულში)? იქნებ ერთი გვარის მქონე მეგობრები ჰყავდათ? თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. ხან უცნაურად ჩუმდებოდნენ, ხან კი ოჯახურ ხუმრობებს აფარებდნენ თავს. ისინი ვახშმობდნენ, როდესაც პიტერ უოლში შემოვიდა და პატარა მაგიდასთან, ფარდასთან ჩამოჯდა.

მას ხმა არ ამოუღია, მარტო იყო და მიმტანის გარდა ვერავის მიმართავდა. ისე ჩახედა მენიუს, ისე დაადო საჩვენებელი თითი ერთ-ერთ ღვინოს,

მაგიდასთან ისე იჯდა, ისე ყურადღებით, მაგრამ არახარბად ჭამდა, რომ მის მიმართ პატივისცემით განეწყვნენ. მართალია, კარგა ხანი მისთვის არაფერი უთქვამთ, მაგრამ, როდესაც მისტერ უოლში ჭამას მორჩა და შესძახა: „უილიამსის მსხალი!",[28] ეს პატივისცემა და კეთილგანწყობა ტალღასავით აღმოსკდა იმ მაგიდასთან, სადაც მორისები ისხდნენ. როგორ შეეძლო, ასე მოკრძალებითა და ამავე დროს, ურყევი თავდაჯერებით, იმ დისციპლინას შეჩვეული ადამიანის იერით ეთქვა ამგვარი რამ, რომელიც მუდამ სამართლიანად ითხოვდა რაღაცას? ამას ვერც უმცროსი ჩარლზ მორისი, ვერც მოხუცი ჩარლზი, ვერც მის ელეინი და მით უმეტეს, ვერც მისის მორისი ვერ ხვდებოდა, მაგრამ, როდესაც მაგიდასთან მარტო მჯდომმა მისტერ უოლშმა თქვა: „უილიამსის მსხალი", მოეჩვენათ, რომ პიტერს მათი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, რადგან სრულიად სამართლიანად ითხოვდა რაღაცას. თითქოს მათ ინტერესებს იცავდა. კეთილგანწყობით აღსავსე მზერა მიაპყრეს მას. როდესაც ყველანი წამოდგნენ და მოსაწევ ოთახში შევიდნენ, მოეჩვენათ, რომ აუცილებლად უნდა ესაუბრათ.

ღრმააზროვანი საუბარი არ დაუწყიათ. ლაპარაკობდნენ, თუ როგორ ხალხით სავსე იყო ლონდონი, როგორ ძალიან შეიცვალა ქალაქი ოცდაათი წლის განმავლობაში. მისტერ მორისს ლივერპულში ცხოვრება ურჩევნოდა. მისის მორისი ვესტმინსტერში ყვავილების გამოფენაზე იყო. ყველამ ნახა უელსის პრინცი. მორისებს, – გაიფიქრა პიტერმა, – შეუდარებელი ოჯახი აქვთ. შეუდარებელი. როგორი თბილი ურთიერთობა აქვთ ოჯახის წევრებს. მაღალი ფენები სულ არ აინტერესებთ და მოსწონთ ის, რაც მოსწონთ. ელეინი მამის ფირმაში მუშაობის დაწყებას აპირებდა, ვაჟიშვილმა ლიდსის უნივერსიტეტში სტიპენდია მოიპოვა. მოხუც დიასახლისს (ის თითქმის მისი ტოლი იყო) კიდევ სამი შვილი ჰყავდა. ორი მანქანა ჰქონდათ. თუმცა, მისტერ მორისი კვირაობით მთელი ოჯახის ფეხსაცმელებს აკეთებდა. შესანიშნავია, შესანიშნავი! – ფიქრობდა პიტერი და ოდნავ ქანაობდა. ხელში ლიქიორით სავსე ჭიქა ეჭირა. ირგვლივ წითელბეწვიანი სავარძლები, საფერფლეები ეწყო. პიტერი საკუთარი თავით კმაყოფილი იყო, რადგანაც მორისებს ის მოეწონათ. მათ მართლაც მოსწონდათ ეს მამაკაცი, რომელმაც ვახშმისას შესძახა: „უილიამსის მსხალი!" პიტერმა იგრძნო, რომ ის მოეწონათ.

პიტერი კლარისას წვეულებაზე უნდა წასულიყო (მორისები წამოდგნენ და თავი დაუკრეს. ისინი უთუოდ კვლავ შეხვდებოდნენ ერთმანეთს). კლარისას წვეულებაზე უნდა წასულიყო, რათა რიჩარდისათვის ეკითხა, თუ რას აკეთებენ ეს ყეყეჩი კონსერვატორები ინდოეთში. შემდეგ ისაუბრებდნენ თეატრზე, სპექტაკლებსა და მუსიკაზე. ჭორაობითაც იჯერებდნენ გულს.

დიახ, – გაიფიქრა პიტერმა, – ადამიანის სული, ჩვენი „მე" თევზივით ბინადრობს ზღვის სიღრმეში. წყვდიადში დაცურავს, უზარმაზარ წყალმცენარეებში გზას მიიკვლევს. მზის სხივებით აელვარებულ ადგილებში დალივლივებს და ისევ ზღვის სიღრმეში მიიწევს, ბნელი, ცივი, წყვდიადში შთანთქმული ფსკერისკენ. უეცრად ზედაპირზე ამოდის და ქარისაგან აქოჩრილ ტალღებზე ცეკვასა და თამაშს იწყებს. უსაზღვროდ სურს, შეფრთხიალდეს, გამოფხიზლდეს და მგზნებარებით წამოენთოს. რას აპირებდა ინგლისის მთავრობა ინდოეთში? ეს რიჩარდ დოლოვეის უთუოდ ეცოდინებოდა.

ძალიან ცხელი საღამო იყო. გაზეთების გამყიდველი ბიჭები დაატარებდნენ პლაკატებს, რომლებზეც უზარმაზარი, წითელი ასოებით ეწერა, რომ გვალვა იყო. სასტუმროს წინ მოწნული სავარძლები დაედგათ. მამაკაცები სასმელს წრუპავდნენ და ეწეოდნენ. ყველა თავისთვის იჯდა. პიტერიც იქ ჩამოჯდა. შეიძლებოდა, გეფიქრა, რომ ლონდონური დღე მხოლოდ ახლა იწყებოდა. დღე ჰგავდა იმ ქალს, რომელიც იხდიდა თავის დაჩითულ კაბას, თეთრ წინსაფარს და იცვამდა მარგალიტებით გაწყობილ ცისფერ კაბას. დღე სამოსს იცვლიდა, იხდიდა ძველმანებს და იცვამდა მუსლინის კაბას, იქცეოდა საღამოდ. ნეტარი კვნესა აღმოხდა იმ ქალივით, რომელიც თავის ქვედაკაბას იხდის და იატაკზე აგდებს. დღე იშორებდა მტვერს, სიცხეს, ფერებს. ახლა უფრო ნაკლები მანქანა მოძრაობდა. სწრაფად მიმავალი მსუბუქი მანქანების სასიამოვნო ხმას სატვირთოების აუტანელი გრუხუნი ერთვოდა. სკვერებში, ხის ხშირ ფოთლებში, უკვე თვალისმომჭრელი შუქი ელავდა. მე მივდივარ, – თითქოს ამბობდა საღამო და უფრო და უფრო მქრქალდებოდა, ფერმკრთალდებოდა და ჭკნებოდა ქონგურების, შვერილების, სახლების, სასტუმროების, მაღაზიების თავზე. მე ვფერმკრთალდები, – ამბობდა საღამო, – მე ვქრები, მაგრამ ლონდონს მისი მოსმენა არ სურდა, ზეცისაკენ ხიშტებს ისროდა, საღამოს თითქოს ცაზე თოკით აბამდა და აიძულებდა, თავის ზეიმსა და ღრეობაში მიეღო მონაწილეობა.

მას შემდეგ, რაც პიტერი უკანასკნელად იყო ლონდონში, დიდი რევოლუცია მოხდა, – მისტერ ვილეტის მოთხოვნისამებრ ზაფხულის დრო შემოიღეს. საღამო, რომელიც უსასრულოდ იწელებოდა, ნამდვილი საოცრება იყო მისთვის, თუმცა, აღაფრთოვანებდა და დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე. ბიჭები ქუჩებში საქაღალდეებით მიაბიჯებდნენ. თავისუფლებით ტკბებოდნენ. გულის სიღრმეში ამაყობდნენ, რომ ამ ცნობილ ტროტუარზე იყვნენ. თითქოს ეს ყველაფერი იაფფასიანი სიყალბეც კი იყო, მაგრამ მათ სახეებზე აღფრთოვანება იკითხებოდა. ყველას კარგად ეცვა: ვარდისფერი წინდები, ლამაზი ფეხსაცმელები. შეეძლოთ, ორი საათი კინოში წასულიყვნენ. საღამოს მოყვითალო-მოლურჯო შუქში უფრო თხელი, გამოკვეთილი, ნატიფი სახეები ჰქონდათ. პარკში ხეების ფოთლებს ზღვაში შთანთქმული ქალაქის ფოთლების მკრთალი, ფერმიხდილი ათინათი დასთამაშებდა. პიტერს ეს სილამაზე აცვიფრებდა და ამხნევებდა. დაე, ევლოთ ინდოეთიდან დაბრუნებულ ინგლისელებს (ასეთს უამრავს იცნობდა) აღმოსავლურ კლუბებში და ეწუწუნათ, რომ სამყაროს დასასრული მოახლოვდა. პიტერი აქ იყო, ისეთი ახალგაზრდა, როგორიც არასოდეს. ზაფხულის დროისა და კიდევ ბევრი რამის გამო შურდა ახალგაზრდების. უსმენდა გოგონების ხმას, მოახლე ქალების სიცილს და ხვდებოდა, რომ ის პირამიდა, რომელიც მის ახალგაზრდობაში ასე ურყევი ჩანდა, ჩამოიშალა. მან ქალები ისე გასრისა, როგორც კლარისას მამიდა ელენა სრესდა ყვავილებს თავისი ბიუვარის[29] ორ რუხ ფურცელს შორის და ლიტრეს[30] სქელ ლექსიკონს ადებდა ნავახშმევს, ლამპის შუქზე. ის ქალი მკვდარი იყო. კლარისამ მისწერა, რომ ცალი თვალით დაბრმავდა. მისთვის შუშის თვალი უნდა ჩაესვათ. ეს ბუნების შესანიშნავი ოინი იქნებოდა! ის უნდა მომკვდარიყო ისე, როგორც ჩიტი ყინვაში, მთელი ძალით რომ ებღაუჭება ტოტს. ის სხვა თაობის ქალი იყო, სხვა ეპოქაში დაიბადა, თუმცა, იმდენად სრულყოფილი და უზადო იყო, რომ მუდმივად იდგებოდა ჰორიზონტზე, თეთრი მარმარილოსავით დიადი. ის იყო შუქურა, რომლითაც სრულდებოდა ამ თავგადასავლებით აღსავსე, ხანგრძლივი მოგზაურობის ერთ-ერთი ეტაპი. ეს უსასრულო...

(პიტერმა ჯიბეები მოიქექა. ხურდის მოძებნა უნდოდა, რომ გაზეთი ეყიდა და გაეგო, როგორ დასრულდა სურეისა და იორკშირის გუნდების შეხვედრა. მას უამრავჯერ გაუწოდებია ხურდა გაზეთის გამყიდველისათვის; სურეი ისევ დამარცხებულა). კრიკეტი არ იყო უბრალო თამაში. არ შეეძლო, კრიკეტზე არ წაეკითხა. ჯერ მატჩების ანგარიშები ამოიკითხა, შემდეგ ახალი ამბები: გვალვა იყო, სადღაც მკვლელობა მომხდარა. როდესაც ერთსა და იმავე ჟესტს უამრავჯერ იმეორებ, სულიერად მდიდრდები, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ეს ჟესტი მექანიკური ხდება და უფერულდება. წარსული და ცხოვრებისეული გამოცდილება შინაგანი სიმდიდრით გვავსებს. თუკი ცხოვრებაში ერთხელ ან ორჯერ შეგვიყვარდება, მოვიპოვებთ ძალას (რომელიც ახალგაზრდებს არა აქვთ), რომლის წყალობითაც შეგვიძლია, გაბედულად დავსვათ წერტილი, როცა გვსურს. გავაკეთოთ ის, რაც გვინდა. აღარ გვაინტერესებს, რას იტყვის ხალხი. ცხოვრებისაგან აღარაფერს მოველით (მან გაზეთი მაგიდაზე დადო და წამოდგა). მიუხედავად ამისა (მან ქუდი და მანტო აიღო), ამ საღამოს მაინც მოელოდა რაღაცას. პიტერი კლარისას წვეულებაზე წავიდოდა. მის ასაკში ისევ ბუნდოვანი იმედით აღსავსე იყო. ისევ სწამდა, რომ წინ რაღაც ელოდა. მაგრამ რა?

ყოველ შემთხვევაში, სილამაზის ცქერით დატკბებოდა. არა შეუვალი და მკაცრი სილამაზით, რომელიც ადამიანის თვალს ახარებს. აი, ბედფორდ-ფლეისი რასელ-სკვერს რომ უერთდება, უბრალოდ სილამაზე ხომ არ არის. დიახ, წინ სწორი, ფართო გზაა; სიმეტრიული დერეფანი; თან გაჩახჩახებული ფანჯრებიც მოჩანდა, პიანინოსა და გრამოფონის ხმა მოისმოდა. იქ თითქოს უდიდესი სიხარული და ნეტარება იმალებოდა, რომელიც ხილული ხდებოდა, როდესაც უფარდო, ღია ფანჯრიდან გამოჩნდებოდნენ მაგიდასთან მსხდარი წყვილები, მოსაუბრე ქალები და მამაკაცები. მოსამსახურე ქალები ფანჯრიდან დაბნეულად იხედებოდნენ (ეს იმის ნიშანი იყო, რომ ყველა საქმეს მორჩნენ). ფანჯრებთან, სარეცხ თოკებზე წინდები შრებოდა. მოჩანდა თუთიყუში და ფანჯრების რაფებზე შემოდებული ოთახის მცენარეები. ცხოვრება მშვენიერი, წარმტაცი, იდუმალებით მოცული და ულევი სიმდიდრით აღსავსე იყო. დიდ მოედანზე ტაქსები ქარივით დაქროდნენ და ქუჩების შესახვევებში ქრებოდნენ. შეყვარებულები დასეირნობდნენ და ფოთოლთა წვიმას შეფარებულნი, ერთმანეთს ეხუტებოდნენ. ეს ძალზე ამაღელვებელი სანახაობა იყო. სიჩუმე იდგა. თითქოს ყველა მოკრძალებით, მორცხვად უვლიდა გვერდს ამ წმინდა ცერემონიას, რომლის დარღვევაც მკრეხელობა იქნებოდა. ესეც ძალიან ამაღელვებელი იყო. ის თვალისმომჭრელ შუქში მიუყვებოდა გზას.

ქარმა მსუბუქი პალტო აუფრიალა. საოცრად თავისებური, განსაკუთრებული, აუწერელი მანერით მიაბიჯებდა. თითქოს მიფარფატებდა. ოდნავ წინ იხრებოდა, ხელები ზურგს უკან შემოეწყო. ისევ შევარდნისნაირი თვალები ჰქონდა. ლონდონში მიაბიჯებდა, ვესტმინსტერისაკენ და აქეთ-იქით იხედებოდა.

ნუთუ დღეს ყველა სტუმრად ვახშმობდა? ლაქია სახლის კარს აღებდა, რათა გაეტარებინა დიდებული იერის მოხუცი ქალი, რომელსაც ბალთებიანი ფეხსაცმელი ეცვა და თმაში სირაქლემის სამი წითელი ბუმბული გაერჭო. კარები იღებოდა და ქუჩებში გამოდიოდნენ მუმიებივით ფერად შალებში გახვეული და თავშიშველი ქალები. დიდებულ უბნებში, სვეტებით სავსე

ბაღებში მიაბიჯებდნენ ქალები, რომლებსაც თმაში სავარცხლები გაერჭოთ და თხელი მოსასხამები მოეცვათ (ბავშვებისათვის ძილის წინ უნდა ეკოცნათ). ქმრები მათ მანქანებში უცდიდნენ. ქურთუკებს ქარი უფრიალებდათ. ისმოდა ძრავების გუგუნი. ყველა სასეირნოდ მიდიოდა. კარებს განუწყვეტლივ აღებდნენ, მანქანებში სხდებოდნენ და მიდიოდნენ. თითქოს მთელი ლონდონი პატარა, ზღვის ნაპირას მიბმულ, ტალღებზე მოლივლივე ნავებში ჯდებოდა. თითქოს მთელი ქალაქი კარნავალის ტალღებს დაეფარა. უაითჰოლი, თავისი მოვერცხლისფრო ზედაპირით, საციგურაო მოედანს ჰგავდა, რომელზეც ობობები დასრიალებდნენ. გრძნობდა, რომ ქუჩის ფარნებს ქინქლი ეხვეოდა. იმდენად ცხელოდა, რომ ხალხს შინ წასვლა აღარ სურდა. ყველანი ქუჩაში გამოფენილიყვნენ და მასლაათობდნენ. ვესტმინსტერში კი მოსამართლე, სავარაუდოდ, გადამდგარი, თავისი სახლის კართან მშვიდად, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი იჯდა. ალბათ, ინდოეთში მუშაობდა.

აი, სკანდალიც: ქალები ჩხუბობდნენ და ლოთობდნენ. ქუჩაში ერთადერთი პოლიციელი დააბიჯებდა. ბინდმოძალებული ზეცის ფონზე მაღალი სახლები, ტაძრები, ეკლესიები, პარლამენტები იკვეთებოდა. მდინარიდან კი ორთქლმავლის შორეული, ბუნდოვანი ყვირილი მოისმოდა. ეს ხომ მისი ქუჩა იყო. კლარისას ქუჩა. ტაქსები ქარივით მიქროდნენ და ქუჩის კუთხეში უხვევდნენ, ისე როგორც მდინარე უხვევს ხიდის ბოძებთან. პიტერს ეჩვენებოდა, რომ ეს ზვირთები ყველას მის წვეულებაზე, კლარისას წვეულებაზე მიაქანებდა.

შთაბეჭდილებათა ცივი ნაკადი თითქოს თვალებიდან გადმოეღვარა, ისე როგორც გავსებული თასიდან იღვრება სითხე, ფაიფურის კედლებს მიუყვება, მაგრამ კვალს არ ტოვებს.

პიტერი ახლა გონს უნდა მოსულიყო, გონება და სხეული დაეძაბა, რადგან უნდა შესულიყო ამ სახლში, კლარისას გაჩახჩახებულ სახლში, რომლის კარიც ღია იყო. სახლთან მანქანები იდგა. მდიდრულად მორთულ-მოკაზმული, ბრწყინვალე ქალები გადმოდიოდნენ. პიტერი უნდა გამხნევებულიყო და სულიერად არ დაცემულიყო, რათა ყველაფრისათვის გაეძლო. პიტერმა თავისი დიდი ჯაყვა გახსნა.

*

ლუსიმ კიბეზე კისრისტეხით ჩამოირბინა და სასტუმრო ოთახში შეირბინა. მაგიდის გადასაფარებელს ხელი გადაუსვა, სავარძელი გაასწორა. წუთით შეჩერდა. გრძნობდა, ყველა შენიშნავდა, რომ ყველაფერი სისუფთავით ბრწყინავდა და სახლს ჩინებულად უვლიდნენ. როცა სტუმრები მოვიდოდნენ, თვალში ეცემოდათ ვერცხლის ლამაზი ჭურჭელი, ბუხრის თითბრის მოსართავები, ახალშალითაგადაკრული სკამები, ჩითის ყვითელი ფარდები. ყველაფერი უსაზღვრო სიხარულს ჰგვრიდა. უეცრად ხმა შემოესმა. ალბათ, უკვე ივახშმეს. თავქუდმოგლეჯილი უნდა გაქცეულიყო!

წვეულებაზე პრემიერ-მინისტრიც მოვა, თქვა აგნესმა. როცა სასადილო ოთახში ჭიქებით სავსე ლანგრით შევიდა, გაიგონა, როგორ ამბობდნენ, პრემიერ-მინისტრიც უნდა მოვიდესო. რა მნიშვნელობა ჰქონდა, რა

მნიშვნელობა ჰქონდა, მოვიდოდა თუ არა პრემიერ-მინისტრი? ეს სულ არ ანაღვლებდა მისის უოლკერს, რომელიც თეფშებს, ქვაბებს, ქაფქირებს, ტაფებს, ლაბამოსხმულ წიწილებს, ნაყინის ჭიქებს, ქერქგაცლილ პურებს, ლიმონებს, წვნიანის ჭურჭლებსა და პუდინგებს შორის ტრიალებდა. მიუხედავად იმისა, რომ მოსამსახურეები ტყავიდან ძვრებოდნენ, სწრაფად მუშაობდნენ, ჭურჭელს გამალებით რეცხავდნენ სამრეცხაოში, მისის მისის უოლკერს საქმე მაინც თავზე საყრელად ჰქონდა. მაგიდებსა და სკამებზე უამრავი რამ დაეხვავებინათ. ცეცხლი გუგუნებდა, გიზგიზებდა და ტკაცუნებდა. ნათურები თვალისმომჭრელად ელავდა. სუფრა ჯერ კიდევ არ გაეშალათ. მისის უოლკერისათვის არავითარი, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, პრემიერ-მინისტრი მოვიდოდა თუ არა.

ლუსიმ თქვა, რომ ქალბატონები უკვე კიბეზე მოაბიჯებდნენ. ქალები ერთმანეთის მიყოლებით მოუყვებოდნენ კიბეს. მისის დოლოვეი მათ უკან მოაბიჯებდა და თითქმის ყოველთვის მოიკითხავდა სამზარეულოში მყოფ მოსამსახურეებს. ერთ-ერთ წვეულებაზე, როცა სამზარეულოს მოუახლოვდა, თქვა: „ჩემი გულითადი სალამი მისის უოლკერს". დილით ყველა კერძს განიხილავდნენ, - წვნიანს, ორაგულს. მისის უოლკერმა იცოდა, რომ ორაგული კარგი თითქმის არასოდეს გამოდიოდა. ყოველთვის პუდინგზე ღელავდა და ორაგულს ჯენის უტოვებდა. ამიტომაც ორაგული კარგი არასოდეს გამოდიოდა. ლუსიმ თქვა, რომ როდესაც ორაგული სტუმრებს მიართვეს, ქერათმიანმა, ვერცხლის სამკაულებით მორთულმა ქალმა იკითხა: „ეს ნამდვილად თქვენ მოამზადეთ?" მაგრამ მისის უოლკერი მაინც ორაგულზე დარდობდა, როცა თეფშებს აქეთ-იქით ატრიალებდა და ქურის ცეცხლს ხან უმატებდა, ხან კი ანელებდა. სასადილო ოთახიდან სიცილი შემოესმა. ვიღაცამ ხმა ამოიღო და ცოტა ხანში ისევ სიცილი გაისმა. მამაკაცები ხუმრობდნენ, რადგან ქალები იქ აღარ იყვნენ. ტოკაი![31] - თქვა ლუსიმ, რომელიც სამზარეულოში შემოვარდა. მისტერ დოლოვეიმ ტოკაი მოითხოვა, იმპერატორის სარდაფების ტოკაი, იმპერიული ტოკაი!

ტოკაი სამზარეულოდან გაიტანეს. ლუსი თან გარბოდა და თან ამბობდა, ელიზაბეთი ძალიან ლამაზად გამოიყურებაო. უბრალოდ, თვალს ვერ სწყვეტდა. ელიზაბეთი ვარდისფერ კაბაში გამოწყობილიყო და მამის ნაჩუქარი ყელსაბამი ეკეთა. ჯენის ელიზაბეთის ძაღლი არ უნდა დავიწყებოდა. მისი ფოქსტერიერი იკბინებოდა და ოთახში ჩაკეტეს. ელიზაბეთი ძალიან ღელავდა და ამბობდა, იქნებ რამე სჭირდებაო. ჯენის ელიზაბეთის ძაღლი არ უნდა დაევიწყებინა, მაგრამ ზემოთ ასვლას ვერ ახერხებდა, რადგანაც სახლში უამრავი ადამიანი ირეოდა. სახლთან კიდევ ერთი მანქანა გაჩერდა! ზარის ხმა გაისმა! მამაკაცები კი ისევ ტოკაის სვამდნენ!

აი, უკვე კიბეზე მოაბიჯებდნენ. პირველი სტუმარი მოვიდა. აწი უფრო და უფრო სწრაფად მოვიდოდნენ, ამიტომაც მისის პარკინსონი (რომელსაც საგანგებოდ წვეულებებისათვის იქირავებდნენ) შემოსასვლელ კარს ნახევრად ღიად დატოვებდა. ჰოლი გაივსებოდა ჯენტლმენებით, რომლებიც დაელოდებოდნენ (თმის სწორებით), როდის გაიხდიდნენ ქალები მანტოებს გვერდით ოთახში. მათ მისის ბარნეტი ეხმარებოდა, მოხუცი ელენ ბარნეტი, რომელიც ორმოცი წელი იყო, რაც ამ ოჯახში მსახურობდა და ყოველ ზაფხულს წვეულებებზე მოსულ ქალებს ამგვარად ეხმარებოდა. ამ დედების ქალიშვილობაც კი ახსოვდა, თუმცა, მათ მორცხვად ართმევდა ხელს და

მოკრძალებითა და პატივისცემით ეუბნებოდა: „მილედი“. მაგრამ თვალებში მხიარული სხივი აუთამაშდებოდა, როდესაც ახალგაზრდა ქალებს უყურებდა, ან როდესაც (თუმცა, ძალზე ტაქტიანად და თავაზიანად) ეხმარებოდა ლედი ლავჯოის, რომელსაც კორსაჟი გულს უწუხებდა. ლედი ლავჯოი და მის ელისი თვლიდნენ, რომ ერთი პატარა უპირატესობა უნდა ჰქონოდათ: მისის ბარნეტს მათი ტანსაცმელი ჯაგრისით უნდა გაეწმინდა და მათთვის თმა დაევარცხნა, რადგანაც ისინი მას იცნობდნენ... „უკვე ოცდაათი წელია, მილედი!“ – დარწმუნებით მიუგო მისის ბარნეტმა. მისის ბარნეტმა თქვა, რომ ძველად, როცა ქალიშვილები ბორტონში სტუმრად ჩამოდიოდნენ, ფერუმარილს არ ისვამდნენ. მან დასძინა, რომ მის ელისს ფერუმარილი არ სჭირდებოდა და სიყვარულით აღსავსე მზერა მიაპყრო. მისის ბარნეტი გასახდელში იჯდა და ხელს უსვამდა ბეწვეულს, ასწორებდა ესპანურ შალს, ალაგებდა ტუალეტის მაგიდას. მშვენივრად ხვდებოდა (ამ ბეწვეულის, არშიებისა და მაქმანების მიუხედავად), ვინ იყო ნამდვილი ლედი და ვინ არა.

– ძვირფასი მოხუცი ქალი! – თქვა ლედი ლავჯოიმ, რომელიც კიბეზე მიაბიჯებდა, – კლარისას გამდელი!

ლედი ლავჯოი მხრებში გასწორდა.

– ლედი და მის ლავჯოი! – უთხრა მისტერ უილკინსს (რომელსაც სახელდახელოდ წვეულებებისთვის ქირაობდნენ). მას ყველაფერი ჩინებულად გამოსდიოდა: თავს ხრიდა, სწორდებოდა, ისევ ხრიდა და სწორდებოდა და უსაზღვრო სიმშვიდითა და გულგრილობით აცხადებდა: „ლედი და მის ლავჯოი... სერ ჯონი და ლედი ნიდჰემი... მის უელდი... მისტერ უოლში“... მართლაც უზადო მანერები ჰქონდა; სავარაუდოდ, სანაქებო ოჯახური ცხოვრებაც ექნებოდა. თუმცა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ მომწვანოტუჩებიან და ჩინებულად გაპარსულ კაცს უამრავი შვილი ჰყავდა.

„როგორ მიხარია, რომ მოხვედით!“ – შესძახა კლარისამ. ის ყველას ასე ეუბნებოდა: „როგორ მიხარია, რომ მოხვედით!“ ამბობდა, „როგორ მიხარია, რომ გხედავთ!“ ეს საშინელება იყო. კლარისას გულწრფელობა აკლდა. თავაზიან სიტყვებს აფრქვევდა, მაგრამ სულაც არ ფიქრობდა იმას, რასაც ამბობდა. დიდი შეცდომა დაუშვა, როცა აქ მოვიდა. პიტერ უოლში ფიქრობდა, რომ სასტუმროში უნდა დარჩენილიყო და წიგნი მშვიდად წაეკითხა. ან სულაც მიუზიკ-ჰოლში წავიდოდა. შინ უნდა დარჩენილიყო, რადგან აქ არავის იცნობდა.

ღმერთო, ყველაფერი ჩაიშლება. ეს სრული ფიასკო იქნება, – ფიქრობდა კლარისა. ღრმად იყო დარწმუნებული, რომ წვეულება ჩაიშლებოდა, როცა უყურებდა მოხუც, ძვირფას ლორდ ლექსჰემს, რომელიც ბოდიშს უხდიდა იმის გამო, რომ მისი მეუღლე წვეულებაზე ვერ მოვიდა, რადგან ბუკინგემის სასახლის ბაღში, წვეულებაზე გაცივდა. კლარისა თვალს აპარებდა კუთხეში მდგომი პიტერისაკენ, რომელიც მას კიცხავდა. რატომ აკეთებს კლარისა ამ ყველაფერს? რატომ უნდოდა მუდამ მწვერვალების დაპყრობა, მუდამ ყურადღების ცენტრში ყოფნა და ცეცხლის წვიმაში მედგრად დგომა? ო, ნეტავ დაიწვას ამ ცეცხლში! დაე, დაიფერფლოს! ჯობდა, ექნია თავისი ჩირაღდანი, შემდეგ კი მიწაზე დაენარცხებინა, ვიდრე ვიღაც ელი

ჰენდერსონივით კუთხეში საცოდავად მოკუნტულიყო. უცნაური იყო: პიტერი მის წვეულებაზე მოვიდა და კუთხეში დადგა, თუმცა, ესეც კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ კლარისას თავი ძალიან ცუდად ეგრძნო. პიტერმა აიძულა, თავისი ნამდვილი სახე დაენახა: მას ზედმეტი მოსდიოდა. თამაშობდა. გულწრფელობა აკლდა. ეს ნამდვილი სისულელე იყო. მაშინ, რატომ მოვიდა პიტერი? რატომ? მხოლოდ იმისათვის, რომ გაეკრიტიკებინა? რატომ ართმევდა მუდამ ყველაფერს და სანაცვლოდ არაფერს აძლევდა? რატომ არასოდეს გამოთქვამდა თავის თვალსაზრისს? პიტერი ოთახის კუთხეს მოშორდა. კლარისა მას უნდა დალაპარაკებოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. დრო არ ჰქონდა. აი, ეს იყო ცხოვრება: დამცირება, იმედგაცრუება, საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანა. ლორდი ლექსჰემი ამბობდა, რომ მისმა ცოლმა ბუკინგემის სასახლის ბაღში გამართულ წვეულებაზე ბეწვიანი მოსასხამის ჩაცმა არ მოინდომა. „იმიტომ, რომ ქალები, ჩემო ძვირფასებო, ყველანი ერთნაირი ხართ“, – დასძინა მან. ლედი ლექსჰემი 75 წლის მაინც იქნებოდა! საოცარი იყო: როგორ ზრუნავდა ერთმანეთზე ეს მოხუცი ცოლ-ქმარი! კლარისას ძალიან უყვარდა ლორდი ლექსჰემი. ის ამ წვეულებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისთვის აუტანელი იყო იმის გაფიქრებაც კი, რომ ყველაფერი ჩაიშლებოდა. ამას ყველაფერი აჯობებდა. ერჩივნა, რაღაც საშინელება მომხდარიყო, ვიდრე ეყურებინა იმ სტუმრებისათვის, რომლებიც ოთახში უმიზნოდ დააბიჯებდნენ, ელი ჰენდერსონივით პატარ-პატარა ჯგუფებად დამდგარიყვნენ კედელთან და წელში გასწორებასაც კი არ კადრულობდნენ.

ყვითელი ფარდა, რომელზეც სამოთხის ჩიტები იყო ამოქარგული, ნაზად აფრიალდა. ყველას მოეჩვენა, რომ თითქოს ოთახში ჩიტების ფრთების ტლაშუნი შემოიჭრა. ფარდა გასწორდა და ისევ აფრიალდა, თითქოს რაღაც უხილავი ძალა ექაჩებოდა (ფანჯრები ღია იყო). ორპირი ქარი ხომ არ უბერავს? – გაიფიქრა ელი ჰენდერსონმა. ძალიან ადვილად ცივდებოდა, თუმცა, სულ არ აღელვებდა, რომ შეიძლებოდა, სურდო შეჰყროდა და ხვალ ცემინებას დაეტანჯა. ის მხრებმოშიშვლებულ ქალიშვილებზე დარდობდა, რადგანაც მამამ, ბოსტონის ყოფილმა პასტორმა, აწ განსვენებულმა ინვალიდმა მოხუცმა ასწავლა, რომ მუდამ სხვებზე უნდა ეფიქრა. ფილტვების ანთება არასოდეს ემართებოდა, არასოდეს. მხრებმოშიშვლებულ ქალიშვილებზე დარდობდა, რადგანაც თავად ყოველთვის ულამაზო ქალი იყო მეჩხერი თმითა და სუსტი სახით. ახლა კი, მიუხედავად იმისა, რომ ორმოცდაათს გადააბიჯა, მასში თითქოს მშვიდი, მკრთალი შუქი კიაფობდა. ეს იყო ჯილდო, რომელიც მრავალწლიანი თავგანწირვისათვის მიიღო. მასში მოგიზგიზე შუქი მუდამ ქრებოდა, რადგანაც ღარიბი იყო, მაგრამ თავი მაინც დიდგვაროვანივით ეჭირა, საშინელი შიში ტანჯავდა, რადგან შემოსავალი მხოლოდ 300 გირვანქა ჰქონდა და სრულიად დაუცველი იყო (მას გროშის შოვნის უნარიც კი არ ჰქონდა). მორცხვი გახდა და წლიდან წლამდე უფრო და უფრო უჭირდა შეხვედრა ელეგანტურად ჩაცმულ ადამიანებთან, რომლებსაც არაფერი აღელვებდათ და ყოველ საღამოს მოსამსახურეებს მხოლოდ ამას ეუბნებოდნენ: „აი, ამას ჩავიცვამ და ამას დავიხურავ“. ელი ჰენდერსონი კი აღელვებული გაიქცა ფლორისტთან და იაფად იყიდა ვარდისფერი ყვავილები (სულ ექვსი ცალი) და თავის ძველ, შავ კაბაზე შალი მოისხა, იმიტომ, რომ კლარისას წვეულებაზე მიპატიჟების ცნობა უკანასკნელ წუთს მიიღო. ეს არ ესიამოვნა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს წელს კლარისას მისი დაპატიჟება არ სურდა.

და მაინც, რატომ უნდა დაეპატიჟებინა კლარისას? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობდნენ? ბიძაშვილები იყვნენ, მაგრამ, ბუნებრივია, ცხოვრებამ მათი გზები გაყარა. კლარისა ცნობილი ქალი გახდა. უამრავი ნაცნობი ჰყავდა. ელისთვის კი წვეულებაზე წასვლა უდიდესი მოვლენა იყო. სიამოვნებდა ლამაზი კაბების დანახვა. ეს ხომ ელიზაბეთი იყო, ეს მაღალი, ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი ქალიშვილი, მოდური ვარცხნილობა რომ ჰქონდა? ალბათ, ჩვიდმეტიოდე წლის იქნებოდა. ძალიან, ძალიან ლამაზი იყო. ადრე გოგონები საზოგადოებაში პირველად თეთრი კაბებით ჩნდებოდნენ. ახლა კი ყველაფერი შეცვლილიყო (ყველაფერი უნდა დაემახსოვრებინა, რათა შემდეგ ედითისათვის ეამბო). ქალიშვილებს ახლა სწორი, ძალზე მოტმასნილი კაბები ეცვათ, კალთა წვივებამდეც კი არ სწვდებოდათ. ელი ჰენდერსონის აზრით, ეს მათ სულაც არ უხდებოდა.

ელი ჰენდერსონს თვალის სინათლე აკლდა და კისერს იგრძელებდა, სულ არ ადარდებდა, რომ არავინ ესაუბრებოდა (სტუმრებიდან თითქმის არავის იცნობდა). თუმცა, ინტერესით შესცქეროდა მათ. ალბათ, პოლიტიკოსები იყვნენ, რიჩარდ დოლოვეის მეგობრები. რიჩარდმა თავად გადაწყვიტა, რომ ამ კუთხეში მდგარ საბრალო არსებას მთელი საღამო მარტო ვერ დატოვებდა.

– ელი, როგორ მიდის თქვენი ცხოვრება? – ჰკითხა რიჩარდმა ჩვეული თავაზიანობით. ელი ჰენდერსონი აღელდა და გაწითლდა. გაიფიქრა, რომ რიჩარდი საოცრად თავაზიანი ადამიანი იყო, რადგან მასთან მოვიდა და ლაპარაკი გაუბა. ელი ჰენდერსონმა რიჩარდს უპასუხა, რომ ბევრი ადამიანი სიცხეს უფრო რთულად იტანდა, ვიდრე სიცივეს.

– დიახ, მართალია, – მიუგო რიჩარდ დოლოვეიმ.

რაღა უნდა ეთქვათ ერთმანეთისათვის?

– გამარჯობა, რიჩარდ, – შესძახა ვიღაცამ, რიჩარდს მკლავში ხელი მოჰკიდა და გვერდზე გაიყვანა. ო, ღმერთო! ეს ხომ ძველი პიტერ უოლში იყო, პიტერ უოლში! რიჩარდს ძალიან უხაროდა მისი ნახვა! ის ოდნავადაც კი არ შეცვლილა. ისინი ოთახის მეორე ბოლოსაკენ გაეშურნენ. ერთმანეთს მეგობრულად ურტყამდნენ ხელს ზურგზე. თითქოს დიდი ხანია ერთმანეთი არ უნახავთ, – ფიქრობდა ელი ჰენდერსონი და უყურებდა, როგორ მიდიოდნენ ისინი. დარწმუნებული იყო, რომ სადღაც ენახა ეს მაღალი, შუახნის, ლამაზთვალება, შავთმიანი, სათვალიანი მამაკაცი, რომელიც ჯონ ბეროუზს ჰგავდა. ედითს ნამდვილად ეცოდინებოდა, ვინ იყო.

სამოთხისჩიტებიანი ფარდა ისევ აფრიალდა და თითქოს ოთახში ისევ შემოიჭრა ჩიტების ფრთების ტლაშუნი. კლარისამ დაინახა. მან დაინახა, როგორ ჩამოუშვა ფარდა რალფ ლაიენმა საუბრის შეუწყვეტლად. წვეულება არ ჩაიშლებოდა! ყველაფერი კარგად იქნებოდა. მისი წვეულება შედგებოდა. კარგად დაიწყო, მაგრამ კლარისა არ უნდა მოდუნებულიყო. აქ უნდა მდგარიყო. სტუმრების ნაკადი ისევ არ ცხრებოდა.

– პოლკოვნიკი გეროდი მეუღლესთან ერთად... მისტერ ჰიუ უითბრედი... მისტერ ბოული... მისის ჰილბერი... ლედი მერი მედოქსი... მისტერ ქუინი... – გამოაცხადა უილკინსმა. კლარისა ორიოდე სიტყვით ესალმებოდა

და მოიკითხავდა მათ. ისინი ოთახებში შედიოდნენ. მიიწევდნენ რაღაცისაკენ. თითქოს მას შემდეგ, რაც რალფ ლაიენმა აფრიალებული ფარდა ხელით ჩამოსწია, ოთახში გამეფებული სიცარიელე გაქრა.

მაგრამ მას ეს ყოველივე ძალას აცლიდა. თითქოს ამისაგან სიამოვნებას ვერც კი იღებდა. თითქოს გადაიქცა ვიღაც სხვად, რომელიც აქ მის ნაცვლად იდგა და ეს ყველაფერი გააკეთა. კლარისა ოდნავ მოხიბლულიც კი იყო ამ „ვიღაც სხვით", თუმცა, მაინც ფიქრობდა, რომ მხოლოდ მისი, კლარისას წყალობით შედგა ეს წვეულება. რაღაცას ხომ მაინც მიაღწია? გრძნობდა, რომ სვეტად იქცა, რადგანაც, საკვირველია და, სულ დავიწყებოდა, როგორი იყო და ეჩვენებოდა, რომ კიბის თავში დასობილ ბოძს ჰგავდა. ყოველთვის, როდესაც წვეულებას აწყობდა, ეჩვენებოდა, რომ ვიღაც სხვა ადამიანად გადაიქცეოდა და მის ირგვლივ ყველა თითქოს არარეალური და ამავე დროს, უსაზღვროდ რეალური იყო. ალბათ, იმიტომ ეჩვენებოდა ასე, რომ სტუმრებს განსაკუთრებული ტანსაცმელი ეცვათ და გარდა ამისა, ყოველდღიურ ცხოვრებას მოწყვეტილი იყვნენ. სწორედ მის წვეულებებზე შეეძლოთ, ეთქვათ ისეთი რამ, რასაც სხვა დროს არაფრისდიდებით არ იტყოდნენ. ისეთ რამეს, რის თქმასაც დიდი გამბედაობა და ძალისხმევა სჭირდებოდა. შეეძლოთ, უფრო ღრმად ჩასწვდომოდნენ ყველაფერს. მაგრამ არა მას! არა – კლარისას! არავითარ შემთხვევაში.

– როგორ მიხარია, რომ გხედავთ! – უთხრა კლარისამ მოხუც ძვირფას სერ ჰარის, რომელიც აქ, ალბათ, ყველას იცნობდა.

ძალიან უცნაური შეგრძნება ეუფლებოდა, როდესაც უცქერდა, როგორ ამოდიოდნენ კიბეზე ერთმანეთის მიყოლებით მისის მაუნტი, სელია, ჰერბერტ ეინსტი, მისის დეიკერსი და... ო, ლედი ბრიუტონი!

– რა თავაზიანობაა თქვენი მხრიდან, რომ მოხვედით! – უთხრა კლარისამ (ეს გულწრფელად უთხრა). უცნაური შეგრძნება ეუფლებოდა, როდესაც აქ იდგა და ხედავდა, როგორ მოდიოდნენ ისინი. ზოგი მათგანი სულ დაბერებულიყო, ზოგი კი...

ვინ? ლედი როსეტერი? ვინ არის ლედი როსეტერი?

კლარისა! – ო, ეს ხმა! ეს ხომ სელი სიტონი იყო! სელი სიტონი! ამდენი წლის შემდეგ! თითქოს მისი სახე ნისლის საბურველში გახვეულიყო, რადგან აღარ ჰგავდა იმ სელი სიტონს. თითქოს სადღაც გამქრალიყო ის სელი, რომელზეც კლარისა ფიქრობდა: „ის ამ სახლშია, ამ სახლში!" და სათბურას ხელს მაგრად უჭერდა. სულ აღარ ჰგავდა იმ სელი სიტონს!

სიტყვები სიცილ-ხარხარში ერთმანეთს ეხლებოდნენ. ლონდონში შემთხვევით ჩამოვიდა... კლარა ჰეიდონისაგან გაიგო... როგორ მიხარია, რომ გხედავ! აი, ხომ ხედავ, დაუპატიჟებლად გესტუმრე...

შეეძლო, მშვიდად დაედო თავისი სათბურა. მისი მომხიბვლელობა სადღაც გაქრა. მისი ბრწყინვალება ჩაქრა. მაგრამ მაინც ძალზე უხაროდა, რომ ისევ ნახა ის: უფრო ასაკოვანი, ბედნიერი, მაგრამ ნაკლებად ლამაზი. სასტუმრო ოთახის კართან ორივე ლოყაზე აკოცეს ერთმანეთს. კლარისა შემობრუნდა. სელისათვის ხელი ჩაეკიდებინა. თვალი შეავლო სტუმრებით სავსე თავის

ოთახებს. ყური მიუგდო სტუმრების გუგუნს, დააცქერდა შანდლებს, მოფრიალე ფარდებსა და ვარდებს, რომლებიც რიჩარდმა აჩუქა.

– მე ხუთი დიდი ვაჟიშვილი მყავს! – უთხრა სელიმ.

სელის ერთგვარი მიამიტი ნარცისიზმი ახასიათებდა. არასოდეს მალავდა, რომ მუდამ ყურადღების ცენტრში ყოფნა სურდა. კლარისას გული აუჩუყდა, რადგან მიხვდა, რომ სელი ისევ ისეთი იყო. მის წინ ისევ ძველი სელი იდგა.

– არ მჯერა! – შესძახა და სახე სიხარულისაგან გაუნათდა, რადგან წარსული მოაგონდა და საამური შეგრძნება დაეუფლა.

ო! უილკინსის ხმა გაისმა! უილკინსს კლარისას ყურადღების მიქცევა სურდა. თითქოს საზოგადოებას აფხიზლებდა და დიასახლისს უშინაარსო საუბარს აწყვეტინებდა. მან მბრძანებლური ხმით თქვა ერთადერთი სახელი.

– პრემიერ-მინისტრი! – თქვა პიტერ უოლშმა.

პრემიერ-მინისტრი? მართლა? ოო, ამას ედითს რომ ვუამბობ!.. – გაიფიქრა აღელვებულმა და განცვიფრებულმა ელი ჰენდერსონმა.

ის სასაცილო ადამიანი არ იყო. არაფრით გამორჩეული იერი ჰქონდა. შეიძლებოდა, დახლის უკან მდგარიყო ან ორცხობილები გაეყიდა. საბრალო ოქროსფერ მაქმანებში ჩაფლულიყო. ჯერ კლარისასთან მივიდა და მიესალმა, შემდეგ კი რიჩარდი გაჰყვა თან. მართალი იყო ისიც, რომ ყველაფერი ჩინებულად გამოუვიდა. ცდილობდა, თავი დიდებული ადამიანივით დაეჭირა. სახალისო სანახაობა იყო. მას არავინ უყურებდა. სტუმრები ლაპარაკს განაგრძობდნენ, თუმცა, ცხადი იყო, გულის სიღრმეში ყველა გრძნობდა, რომ მათთან ახლოს დიდებულება მიაბიჯებდა. სიმბოლო იმისა, რასაც ისინი წარმოადგენდნენ: ინგლისელი საზოგადოების. მოხუცი ლედი ბრიუტონიც ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. ტანადი და ახოვანი იყო თავის მაქმანებში. თითქოს პრემიერ-მინისტრისაკენ გაცურა. ისინი შევიდნენ ერთ პატარა ოთახში, რომელსაც ყველა ცნობისმოყვარეობით დააცქერდა. უცნაურმა ხმაურმა, ფუსფუსმა და შრიალმა თითქოს ტალღასავით შთანთქა ყველა: პრემიერ-მინისტრი!

ღმერთო, როგორი სნობები არიან ინგლისელები! – გაიფიქრა კუთხეში მდგარმა პიტერ უოლშმა. როგორ უყვართ ოქრომკედიანი სამოსი და რევერანსები! ო! ღმერთო... ის ხომ... ის ხომ ნამდვილად ის იყო, ჰიუ უითბრედი, რომელიც დიდებულთა ნაკვალევს გამალებით ყნოსავდა. ძვირფასი ჰიუ გასუქებულიყო და გაჭაღარავებულიყო. ძვირფასი ჰიუ!

ის ყოველთვის ისე გამოიყურებოდა, თითქოს სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, – გაიფიქრა პიტერ უოლშმა. დიდმოხელეს, საიდუმლოებით მოცულ ადამიანს ჰგავდა. თითქოს მისთვის განდობილ საიდუმლოებებს სიცოცხლის ფასად დაიცავდა. სინამდვილეში კი მხოლოდ სასახლის კარის ლაქიების შეთითხნილი ჭორები იცოდა, რომლებიც მეორე დღესვე ყველა გაზეთში გამოქვეყნდებოდა. ასეთი ზიზილპიპილები და სათამაშოები ჰქონდა მას. გაჭაღარავდა. სიბერის ზღვარს მიაღწია. მან დაიმსახურა პატივისცემა,

მადლიერება და სიყვარული იმ ადამიანებისა, ვისაც ჰქონდათ პატივი, ახლოს გაეცნოთ ინგლისური კერძო სკოლების პირმშო. აი, ამგვარ ფიქრებს აღუძრავდა მნახველს ჰიუ. მისი სტილი. „თაიმსში" გამოქვეყნებული მისი წერილების დიდებული სტილი, რომლებსაც პიტერი ზღვაზე, ინგლისიდან ათასობით მილის მოშორებით კითხულობდა და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ შორს იყო ამ მავნებელი ჭორებისა და მითქმა-მოთქმისაგან. დაე, მოესმინა ბაბუინების კივილი და იმ მუშების ყვირილი, რომლებიც ცოლებს სცემდნენ.

შავგვრემანი, რომელიღაც უნივერსიტეტში განათლებამიღებული ახალგაზრდა მამაკაცი პირფერულად, მონური მორჩილებით იდგა მის ახლოს. ის მას სიამოვნებით დაეხმარებოდა და მხარს დაუჭერდა. საზოგადოებაში გამოიყვანდა და ცხოვრებას ასწავლიდა. არაფერი მოსწონდა ისე, როგორც სიკეთის კეთება. გულს სიხარულით უჩქროლებდა იმ ქალებს, რომლებსაც ეგონათ, რომ სევდიან სიბერეში, ასეთ მძიმე მდგომარეობაში ყველამ დაივიწყა. ის საბრალოები სრულიად მარტოსულად გრძნობდნენ თავს, ძვირფასი ჰიუ კი მათთან ერთი საათით მიდიოდა და იხსენებდნენ წარსულს, უბრალო ამბებს. ჰიუ მათ შინ გამომცხვარ ნამცხვარს უქებდა მაშინ, როდესაც შეეძლო, ყოველდღე ჰერცოგინიებთან ერთად შექცეოდა ნამცხვრებს. ეტყობოდა, რომ ჰიუ მართლაც ხშირად იყო დაკავებული ამ ესოდენ სასიამოვნო საქმით. დაე, ყოვლისშემძლე, უსაზღვროდ მოწყალე და სათნო უმაღლეს მსაჯულს მიეტევებინა მისთვის. პიტერ უოლში კი შეუბრალებელი იყო. ამქვეყნად ბოროტი ადამიანებიც არსებობენ, მაგრამ ღმერთმა იცის, რომ ის არამზადებიც კი, რომლებსაც იმის გამო ჰკიდებენ სახრჩობელებზე, რომ გოგონას მატარებელში თავი გაუტეხეს, ნაკლებ ბოროტებას სჩადიან, ვიდრე ჰიუ უითბრედი თავისი კეთილი საქმეებით. შეხედეთ ახლა მას! როგორ დგება ფეხის წვერებზე, თითქოს რთულ პას აკეთებს, თავს მდაბლად ხრის, რადგანაც ლედი ბრიუტონი და პრემიერ-მინისტრი გამოჩნდნენ. თითქოს ამგვარად მთელ სამყაროს მიანიშნებს, რომ აქვს პატივი, პირადად, დიახ, პირადად უთხრას ლედი ბრიუტონს რაღაც. ლედი ბრიუტონი შეჩერდა და თავისი ლამაზი, თმაგათეთრებული თავი დაუქნია. ალბათ, მადლობას იმიტომ უხდიდა, რომ ჰიუმ რაღაც თხოვნა მონური მორჩილებით შეუსრულა. ლედი ბრიუტონს ირგვლივ ეხვია პირმოთნე ადამიანები, ჩინოვნიკები, რომლებიც მას გულმოდგინედ უსრულებდნენ პატარ-პატარა თხოვნებს. ის კი მადლობის ნიშნად ლანჩზე პატიჟებდა მათ. ლედი ბრიუტონი XVIII საუკუნის ქალი ბრძანდებოდა. ეს მშვენიერი იყო.

კლარისა თავის პრემიერ-მინისტრს სასტუმრო ოთახში მიუძღოდა. თავი ამაყად ეჭირა, თავისი დიდებული, ჭაღარა თმის სილამაზით ბრწყინავდა. საყურეები ეკეთა და სირინოზის მწვანე, მოვერცხლილი კაბა ეცვა. თითქოს თმას იწნავდა და ტალღებზე მიირწეოდა. მას ისევ ჰქონდა არსებობის, სიცოცხლის ნიჭი. შეეძლო, მთელი ცხოვრება ერთ წამში მოექცია, როცა სასტუმრო ოთახში ჩაივლიდა. კლარისა შებრუნდა, ყელსახვევი, რომელიც ვიღაც ქალის კაბას გამოსდებოდა, სიცილით, საოცარი სიმშვიდითა და აუღელვებლობით გამოაძრო. იმ არსებას ჰგავდა, რომელიც თავის სტიქიაში დანთქმულიყო. მაგრამ ასაკის მსახვრალი ხელი შეეხო. იმ სირინოზს ჰგავდა, რომელიც ზაფხულის ნათელ, მზიან დღეს თავის სარკეში უცქერის, როგორ ესვენება მზე ზღვის ტალღებში. როგორღაც სინაზე დაეუფლა. თითქოს სისათუთემ ტალღასავით გადაუარა. მისი სიმკაცრე, სიცივე, თავდაჭერილობა

სადღაც გაქრა და უსაზღვრო სითბოთი აღივსო, როდესაც ემშვიდობებოდა მსუქან, ოქროსფერ მაქმანებში ჩაფლულ კაცს, რომელიც ყველანაირად ცდილობდა (დაე, ღმერთი ყოფილიყო მისი შემწე!), მედიდური იერი მიეღო. კლარისაში საოცარი დიდებულება და საამური გულკეთილობა იყო. თითქოს მთელ სამყაროს ყოველივე საუკეთესოს უსურვებდა. ახლა რაღაცის ზღვარზე იდგა და ყველას უნდა დამშვიდობებოდა. ასეთ ფიქრებს აღუძრავდა მას (მაგრამ არა იმიტომ, რომ შეყვარებული იყო).

დიახ, ფიქრობდა კლარისა, პრემიერ-მინისტრმა მართლაც დიდი თავაზიანობა გამოიჩინა, რომ მოვიდა. როცა ოთახში შეიყვანა, სელი და პიტერი იქ დახვდნენ. რიჩარდი ძალიან კმაყოფილი ჩანდა. ალბათ, აქ მყოფ ყველა სტუმარს კლარისასი შეშურდა. თითქოს წამით თავბრუ დაეხვა, ნერვები დაეჭიმა, გული გამალებით უცემდა, ხან უჩერდებოდა, ხან კი თითქოს უფართოვდებოდა, მაგრამ ასეთ რამეს ხომ სხვებიც გრძნობენ. და მიუხედავად იმისა, რომ კლარისას უყვარდა ეს თრთოლა, წკარუნი, თითქოს რაღაც გამალებით ჩხვლეტდა, მაგრამ ამ დიდებულ წუთებშიც კი (ძვირფასი მეგობარი პიტერი მისით აღფრთოვანებული იყო და დიდებულ ქალად მიაჩნდა) არ ასვენებდა სიცარიელის შეგრძნება. თითქოს ეს ყველაფერი კლარისას ირგვლივ იყო, მაგრამ მის გულს ვერ სწვდებოდა და ვერ ათბობდა. ალბათ, იმიტომ, რომ კლარისა უკვე ბერდებოდა. ძველი სიხარული განქარდა. ახლა ისე ვეღარ ხარობდა ყველაფრით, როგორც ადრე. როდესაც უცქერდა, როგორ ჩადიოდა კიბეზე პრემიერ-მინისტრი, სერ ჯოშუა რეინოლდზის[32] ნახატის, „გოგონა მუფთით" მოოქრულ ჩარჩოს მოჰკრა თვალი და უეცრად გაახსენდა მის კილმანი; მტერი მის კილმანი. სიძულვილი – აი, ეს ჭეშმარიტი გრძნობა ნამდვილად აღწევდა კლარისას გულამდე. ო, როგორ სძულდა კლარისას მის კილმანი! ხარბი, ფარისეველი, უზნეო, ბოროტი არსება! ის ძლიერი იყო. ელიზაბეთი აცდუნა. ეს ქალი მათ სახლში იმისთვის შემოიჭრა, რომ მათთვის ყველაფერი წაერთმია, მათი სახელი შეებღალა და ოჯახი შეერცხვინა (რიჩარდი ეტყოდა, რა სისულელეაო!). კლარისას მის კილმანი სძულდა. კლარისას ის უყვარდა. ადამიანს მეგობრები კი არა, მტრები სჭირდება. მისის დარენტი და კლარა, სერ უილიამი და ლედი ბრედშოუ, მისის თრულოკი, ელიანორ გიბსონი (უყურებდა, როგორ ამოდიოდნენ ისინი კიბეზე) არ სჭირდებოდა. ისინი მასთან მივიდოდნენ და მიესალმებოდნენ, როცა სურდათ. ის მათ სამსახურში იყო!

კლარისამ თავისი ძველი მეგობარი, სერ ჰარი დაინახა.

– ო, ძვირფასო სერ ჰარი! – შესძახა კლარისამ და გაემართა დიდებული ბერიკაცისაკენ, რომელმაც უფრო ცუდი ნახატები დახატა, ვიდრე მთელი სენტ-ჯონს-ვუდის[33] ნებისმიერმა აკადემიკოსმა (ისინი მუდამ ხატავდნენ ჩამავალი მზის შუქში გახვეულ, გუბეებში მდგარ ძროხებს, რომლებიც წყურვილს იკლავახავდნენ „უცხოს მოახლოებას". თითქოს მათი ყოველდღიური საქმიანობა: ვახშამზე სტუმრად წასვლა, ცხენით ჯირითი და უამრავი სხვა რამ, დაფუძნებული იყო ძროხებზე, რომლებიც ჩამავალი მზის სხივებში გახვეული იდგნენ გუბეებში და წყურვილს იკლავდნენ).

– რა გაცინებთ? – ჰკითხა კლარისამ უილი ტიტკომს, სერ ჰარისა და ჰერბერტ ეინსტის. არა, სერ ჰარი კლარისა დოლოვეის ვერ მოუყვებოდა

(მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მოსწონდა, განსაკუთრებულ ქალად მიაჩნდა და მისი პორტრეტის დახატვითაც იმუქრებოდა) სახალისო ამბებს მსახიობების ცხოვრებიდან. მან კლარისა გააქილიკა, რადგან მის წვეულებაზე კონიაკი არ მოჰქონდათ. თავისი კონიაკი ძალიან ენატრებოდა. თქვა, რომ ეს ძალზე მაღალი საზოგადოება იყო მისთვის. კლარისა ძალიან უყვარდა და პატივს სცემდა. მიუხედავად მისი წყეული, აუტანელი არისტოკრატული დახვეწილობისა, რომლის გამო კლარისას ვერასოდეს სთხოვდა, კალთაში ჩასჯდომოდა. ცოტა ხანში დაინახა ეფემერული არსება, სუსტი, მთრთოლარე, ცდომილი სინათლე, ფოსფორისებრი ნათება, მოხუცი მისის ჰილბერი, რომელიც ხელს თითქოს თბილი, ბრწყინვალე სიცილისაკენ იშვერდა (ჰერცოგსა და მის მეუღლეზე ხუმრობდა). ხარხარი ოთახის შორეული კუთხიდან სწვდებოდა მისის ჰილბერის ყურთასმენას და ისევ არწმუნებდა ერთ საკითხში, რომელიც ყოველთვის აწუხებდა, როცა გარიჟრაჟზე ეღვიძებოდა და არ უნდოდა თავისი მოახლის გაღვიძება, რათა მისთვის ფინჯანი ჩაი მოემზადებინა. ეს სიცილი კიდევ ერთხელ არწმუნებდა, რომ, ადრე თუ გვიან, ყველა მოკვდებოდა. რა საოცრად ნათელი იყო ეს.

– ჩვენ კი არაფერს გვიყვებიან, – თქვა კლარისამ.

– ძვირფასო კლარისა! – შესძახა მისის ჰილბერიმ. მან თქვა, რომ ამ საღამოს კლარისა ძალიან ჰგავდა თავის გარდაცვლილ დედას, რომელიც პირველად მისის ჰილბერიმ ბაღში, რუხი ქუდით იხილა.

კლარისას თვალზე ცრემლი მოადგა. ბაღში მოსეირნე დედა! მაგრამ, სამწუხაროდ, კლარისა უნდა წასულიყო.

პროფესორი ბრაიელი, რომელიც მილტონზე[34] ლექციებს კითხულობდა, იდგა და პატარა ჯიმ ჰატონს ელაპარაკებოდა (ჯიმ ჰატონს არ შეეძლო, ასეთი წვეულებისათვის მაინც წესიერად შეეკრა ჰალსტუხი, ჟილეტი და თმა გაესწორებინა?!). კლარისა შორიდანაც კი ხედავდა, რომ ისინი კამათობდნენ. ეს პროფესორი ბრაიელი ძალიან უცნაური ადამიანი იყო თავისი დიპლომებით, ხარისხებით, ჯილდოებით, წოდებებითა და ლექციებით; ამ მწერლუკებში უმალ ამოიცნობდა იმას, რაც მტრული იყო მისი რთული ნატურისთვის: მისი საოცარი განსწავლულობისთვის და სიმორცხვისთვის, მისი ცივი, გულკეთილობას მოკლებული მომხიბვლელობისთვის, უბიწოებისთვის, რომელსაც სნობიზმის ელფერი დაჰკრავდა. კანკალი უვლიდა, როდესაც ხედავდა თმადაუვარცხნელ გოგონას, ან ყმაწვილს, რომელსაც ბინძური ჩექმა ეცვა, რადგან ხვდებოდა, რომ არსებობდა სამყარო (რასაკვირველია, პატივსაცემი და ქების ღირსი) დაჩაგრული ფენების, მეამბოხეების, მგზნებარებით აღსავსე ახალგაზრდების, მომავალი გენიოსების სამყარო. პროფესორი ბრაიელი თავს ოდნავ გააქნევდა, დაიქსუტუნებდა: „ჰმ“ და ყველას აგრძნობინებდა, თუ რაოდენ დიდებული რამ იყო ზომიერების გრძნობა და თავშეკავების უნარი. ასევე, ყველას მიანიშნებდა, რომ აუცილებელი იყო, ცოტათი მაინც შეესწავლათ კლასიკური ლიტერატურა, რათა მილტონის შემოქმედება კარგად გაეგოთ. პროფესორი ბრაიელი (კლარისაც ხვდებოდა ამას) ვერ ეგუებოდა პატარა ჯიმ ჰატონს (მას წითელი წინდები ეცვა, რადგან შავი სამრეცხაოში დაეტოვებინა). ისინი მილტონზე კამათობდნენ. კლარისამ მათ შეაწყვეტინა.

კლარისამ უთხრა, რომ ბახი ძალიან უყვარდა. ჰატონსაც უყვარდა. მათ ბახის სიყვარული აერთიანებდა და ჰატონი (ძალიან ცუდი პოეტი იყო) ყოველთვის თვლიდა, რომ მისის დოლოვეი იმ დიდებულ, მაღალი წრის ქალებზე უკეთესი იყო, რომლებსაც ხელოვნება აინტერესებდათ. უცნაური იყო, როგორ მკაცრად მსჯელობდა. მუსიკაზე ობიექტურად ლაპარაკობდა. ოდნავ პედანტი, მაგრამ ნამდვილად ლამაზი და მომხიბლავი იყო! მშვენიერი სახლი ჰქონდა, მაგრამ ეს პროფესორები წვეულებებზე არ უნდა დაეპატიჟებინა. კლარისას მოუნდა, ჰატონი მეორე ოთახში გაეყვანა და როიალთან დაესვა. ის ღვთაებრივად უკრავდა.

– მაგრამ ხმაურია! – თქვა კლარისამ, – ხმაური!

– ეს იმის ნიშანია, რომ წვეულება კარგად ჩაივლის, – მიუგო პროფესორმა, თავი თავაზიანად დაუკრა და მორიდებით გაშორდა.

– ყველაფერი იცის მილტონზე, – თქვა კლარისამ.

– მართლა? – მიუგო ჰატონმა. როდესაც ჰემპსტედში[35] დაბრუნდებოდა, გააჯავრებდა პროფესორს, როგორ ენამზიანობდა ის მილტონზე, ზომიერების გრძნობასა და თავშეკავების უნარზე, როგორ მორიდებითა და მოკრძალებით გაშორდა კლარისას.

კლარისამ უთხრა, რომ ლორდ გეიტონსა და ნენსი ბლოუს უნდა დალაპარაკებოდა.

ისინი არ ხმაურობდნენ. არ საუბრობდნენ და (ასე ჩანდა) ყვითელ ფარდასთან იდგნენ. ალბათ, ცოტა ხანში ისევ ერთად წავიდოდნენ სადღაც. სათქმელი ბევრი არასოდეს ჰქონდათ. უბრალოდ, აქეთ-იქით იხედებოდნენ. ეს იყო და ეს. ძალიან ჯანმრთელი იერი ჰქონდათ და სუფთად ეცვათ. ქალს იმდენი პუდრი და ფერუმარილი ესვა, რომ აყვავებული გარგარისფერი კანი ჰქონდა. მამაკაცი სისუფთავისგან თითქოს კრიალებდა, ბრწყინავდა. ჩიტივით თვალები ჰქონდა. ბურთს არ გაუშვებდა და ნებისმიერ დარტყმას მოიგერიებდა. ის ბურთს თამაშობდა, ხტოდა და მუდამ მშვიდად, ზუსტად ურტყამდა. ჯირითი უყვარდა. აღვირი ისე მაგრად ეჭირა, რომ პონებს ჩიჩვირი უთრთოდათ. ის ოჯახური პორტრეტებით, ჯილდოებითა და კარის ეკლესიაში გამოფენილი დროშებით სავსე სახლში აღიზარდა. მას მოვალეობის გრძნობა ჰქონდა. ჰყავდა მოიჯარეები, დედა და დები. მთელ დღეს ლორდსის მოედანზე ატარებდა. როდესაც მისის დოლოვეი მათთან მივიდა, ისინი კრიკეტზე, ბიძაშვილებსა და კინოზე საუბრობდნენ. ლორდ გეიტონსა და მის ბლოუს კლარისა ძალიან უყვარდათ. კლარისა ხომ დიდებული ქალი იყო და ესოდენ უზადო მანერები ჰქონდა.

– საოცარია, დიდებული, რომ მოხვედით! – უთხრა მათ კლარისამ. მას უყვარდა ლორდები და ახალგაზრდობა. ნენსი, რომელსაც პარიზელი მკერავების შეკერილი ძვირად ღირებული ტანსაცმელი ეცვა, იდგა და ისე უყურებდა კლარისას, თითქოს მისი ტანი თავისთავად გახვეულიყო მწვანე ფურჩალებში.

– ძალიან მინდოდა, გვეცეკვა, – უთხრა კლარისამ.

ახალგაზრდებს ერთმანეთთან საუბარი უჭირთ. ან რა საჭიროა?! მათ უნდა იყვირონ, აქეთ-იქით იხეტიალონ, ერთმანეთს ჩაეხუტონ, იცეკვონ, გარიჟრაჟზე გაიღვიძონ, პონებს შაქრის ნატეხებით გაუმასპინძლდნენ, აკოცონ და მოეფერონ ლამაზი ჩაუ-ჩაუების დრუნჩებს. შემდეგ კი ათრთოლებული, გახურებული და ოფლად გაღვრილი გადაეშვან წყალში და იცურონ. ღვთაებრივი ინგლისური ენა კი, რომელიც ადამიანებს ანიჭებს იმის ძალას, რომ ერთმანეთს გრძნობები გაუზიარონ, არაფერში სჭირდებათ (მათ ასაკში პიტერი და კლარისა მთელ საღამოს კამათსა და კინკლაობაში ატარებდნენ), მაგრამ ამ ახალგაზრდებს ეს არ სჭირდებოდათ. ისინი სულ ახალგაზრდები დაბრძენდებოდნენ და ურყევი სიმშვიდით აღივსებოდნენ. ძალზე თავაზიანები იყვნენ თავიანთი წრის ადამიანებთან, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მოსაწყენები.

– რა სამწუხაროა! მე კი მეგონა, ცეკვას შევძლებდით, – თქვა მან.

მათ უსაზღვრო თავაზიანობა გამოიჩინეს, მის წვეულებაზე რომ მოვიდნენ! მაგრამ ცეკვას ვერ შეძლებდნენ, რადგან ოთახები ხალხით იყო სავსე.

შალში გახვეული მოხუცი მამიდა ელენა შემოვიდა. სამწუხაროდ, კლარისას ლორდი გეიტონი და ნენსი ბლოუ მარტო უნდა დაეტოვებინა, რადგან მოხუცი მის პერი, მისი მამიდა მოვიდა.

მის ელენა პერი არ მომკვდარა. ცოცხალი იყო. ოთხმოც წელს კარგა ხნის წინ გადააბიჯა. კიბეზე ნელა ამოდიოდა და ჯოხს ეყრდნობოდა. ის სავარძელში ჩასვეს (მასზე რიჩარდი ზრუნავდა). მასთან ყოველთვის ის ადამიანები მიჰყავდათ, ვინც ბირმაში სამოცდაათიან წლებში იყო. სად გაქრა პიტერი? ისინი ახლო მეგობრები იყვნენ. ინდოეთის ან ცეილონის გახსენებაზე თვალები (ერთი თვალი შუშის ჰქონდა) უმუქდებოდა, ულურჯდებოდა და ხედავდა არა ადამიანებს (მას არც სასიამოვნო მოგონებები და არც დიადი ილუზიები არ აკავშირებდა მეფისნაცვლებთან, გენერლებსა და ამბოხებებთან), არამედ ორქიდეებსა და მთის მწვერვალებს. აგონდებოდა, როგორ მიჰყავდათ ზურგით შავ მუშებს, სამოციან წლებში ლაშქრავდა უკაცრიელ მწვერვალებს, ორქიდეებს კრეფდა და აკვარელებს ხატავდა (ასეთი საოცარი ყვავილები აქამდე არავის ენახა). ეს ქედუხრელი, მებრძოლი სულის ინგლისელი ქალი ომმა მხოლოდ მაშინ გააღიზიანა, როდესაც ბომბი მისი სახლის კართან დაეცა, რადგან ორქიდეებზე ფიქრი შეაწყვეტინა და არ მისცა საშუალება, მოეგონებინა, როგორ მოგზაურობდა სამოციან წლებში ინდოეთში. აი, პიტერიც გამოჩნდა.

– წამოდი, მამიდა ელენას ბირმაზე ესაუბრე, – უთხრა პიტერს კლარისამ.

მათ მთელი წვეულების განმავლობაში ერთმანეთისათვის სიტყვა არ უთქვამთ!

– მოგვიანებით ვისაუბრებთ, – უთხრა კლარისამ პიტერს და თეთრშალმოსხმულ და ჯოხიან მამიდა ელენასთან მიიყვანა.

– ეს პიტერ უოლშია, – უთხრა მამიდას კლარისამ.

მას ეს სახელი არაფერს ეუბნებოდა.

კლარისამ მამიდა ელენა წვეულებაზე დაპატიჟა. ის იღლებოდა, ოთახებში აუტანელი ხმაური იდგა, მაგრამ კლარისამ მოიწვია და ისიც მოვიდა. ძალიან სამწუხარო იყო, რომ რიჩარდი და კლარისა ლონდონში ცხოვრობდნენ. კლარისას ჯანმრთელობისათვის სოფელში ცხოვრება უკეთესი იქნებოდა, მაგრამ კლარისას საზოგადოებაში ტრიალი ყოველთვის უყვარდა.

– პიტერი ბირმაში იყო, – უთხრა მამიდას კლარისამ.

ო! ელენა პერის არ შეეძლო, არ მოეყოლა, რა თქვა ჩარლზ დარვინმა მის პატარა წიგნზე, რომელიც ბირმულ ორქიდეებზე დაწერა.

(კლარისა ლედი ბრიუტონთან უნდა მისულიყო.) ელენა პერიმ პიტერს უთხრა, ალბათ, დღეს აღარავის ახსოვს ის წიგნი, რომელიც ბირმულ ორქიდეებზე დავწერე, მაგრამ 1870 წლამდე კი სამჯერ გამოსცესო.

მოხუცს უეცრად გაახსენდა, ვინ იყო პიტერი. მოაგონდა, რომ ის ბორტონში მათთან სტუმრად ჩამოდიოდა (პიტერს გაახსენდა, რომ იმ საღამოს, როდესაც კლარისამ სთხოვა, წამოდი, ტბაზე ნავით გავისეირნოთ, სხვები გველოდებიანო, ის ადგა და კლარისას გაჰყვა, მის პერის სიტყვაც კი არ უთხრა).

– რიჩარდს ძალიან მოეწონა თქვენი ლანჩი! – უთხრა კლარისამ ლედი ბრიუტონს.

– ო, რიჩარდი ძალიან დამეხმარა, – უპასუხა მან, – წერილი დამაწერინა. თქვენ როგორა ხართ, კლარისა?

– ო, შესანიშნავად! – მიუგო კლარისამ (იცოდა, რომ ლედი ბრიუტონი ძალიან ღიზიანდებოდა, როდესაც გაიგებდა, რომ პოლიტიკოსის ცოლი ავად ხდებოდა).

– აი, პიტერ უოლში! – თქვა ლედი ბრიუტონმა (არ იცოდა, რაზე ელაპარაკა კლარისასთან, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მოსწონდა, რადგან მას ბევრი ბრწყინვალე თვისება ჰქონდა. მაგრამ ლედი ბრიუტონსა და მას საერთო არაფერი ჰქონდათ. ალბათ, ჯობდა, რიჩარდს ცოლად შეერთო ნაკლებად მომხიბლავი ქალი, რომელიც უფრო დაეხმარებოდა. რიჩარდმა კლარისას გამო კაბინეტში მოხვედრის შანსი ხელიდან გაუშვა).

– ო, პიტერ უოლში! – თქვა ლედი ბრიუტონმა და ხელი ჩამოართვა ამ საყვარელ ცოდვილს, ამ ნიჭიერ ახალგაზრდას, რომელსაც შეეძლო დიდი წარმატებისათვის მიეღწია და სახელი გაეთქვა (მაგრამ ეს ვერ შეძლო, რადგან ქალებთან გამუდმებით პრობლემები ჰქონდა). და კიდევ, მოხუცი მის პერი. საუცხოო მოხუცი ქალბატონი!

შავ ტანსაცმელში გამოწყობილი ლედი ბრიუტონი მის პერის სავარძელთან გრენადერის მოჩვენებასავით იდგა და პიტერ უოლშს ლანჩზე ეპატიჟებოდა; გულით ეწადა, მაგრამ მაღალ საზოგადოებაში მიღებულ მსუბუქ საუბარს უჩვევმა, ვერაფერი გაიხსენა ინდოეთის ფლორასა და ფაუნაზე. რა თქმა უნდა, ინდოეთში ყოფილა და სამ მეფისნაცვალსაც ესტუმრა. ზოგიერთი თანამდებობის პირი ნამდვილად ბრწყინვალე და გამორჩეული იყო. მაგრამ რა

ტრაგედია დატრიალდა ინდოეთში! პრემიერ-მინისტრმა ახლახან უამბო (მოხუც მის პერის, რომელიც საგულდაგულოდ იფუთნებოდა შალში, სულ არ აინტერესებდა, რა თქვა პრემიერ-მინისტრმა). ლედი ბრიუტონს უნდოდა, პიტერ უოლშის მოსაზრებაც მოესმინა, ის ხომ ინდოეთში იყო და ყველაფერი საკუთარი თვალით იხილა. ლედი ბრიუტონი პიტერს სერ სემპსონს შეახვედრებდა, რადგან ღამე აღარ ეძინა ეძინა ამ სკანდალის გამო (ან როგორც ჯარისკაცის ქალიშვილს, შეიძლებოდა ეთქვა, ამ დაუშვებელი, უზნეო მოქმედებების გამოო!). უკვე დაბერდა და არაფრის გაკეთება აღარ შეეძლო, მაგრამ მისი ოჯახი, შინამოსამსახურეები, ძვირფასი, კეთილი მეგობარი მილი ბრაში (ხომ ახსოვს პიტერს?) მის განკარგულებაში იყვნენ და მის ყველა თხოვნას უდრტვინველად ასრულებდნენ. ინგლისზე არასოდეს ლაპარაკობდა, მაგრამ სისხლში ჰქონდა ეს დალოცვილი, ძვირფასი ქვეყანა, დიად სულთა საუფლო (თუმცა, შექსპირი არასოდეს წაეკითხა). თუკი ოდესმე იშვა ქალი, რომელსაც შეეძლო, დაეხურა მუზარადი და ისარი ესროლა, ჯარისათვის ებრძანებინა, შეტევაზე გადასულიყო, ბარბაროსთა ურდოები ურყევი სამართლიანობითა და სიმკაცრით ემართა, შემდეგ კი უცხვირო სახით დაწოლილიყო ფარის ქვეშ, საყდარში, ან სულაც რომელიმე უძველეს გორაკზე, ხასხასა ბალახით დაფარულ ყორღანზე, ეს ქალი აუცილებლად მილისენტ ბრიუტონი იქნებოდა. თავისი სქესისა და უთუოდ უსწავლელობისა და სიზარმაცის გამო, მოკლებული იყო ლოგიკური მსჯელობის უნარს („თაიმსისათვის" წერილის დაწერასაც კი ვერ ახერხებდა). მუდამ იმპერიაზე ფიქრობდა. ამ მებრძოლი სულის ქალღმერთთან გამუდმებულმა სიახლოვემ ის სიმამაცითა და ძალით აღავსო. ვერ წარმოედგინა, რომ სიკვდილის შემდეგაც კი მოშორდებოდა ამ დალოცვილ მიწას, ან იხეტიალებდა იქ, სადაც აღარ იფრიალებდა ბრიტანული დროშა! სიკვდილის სამეფოშიც კი ინგლისელი იქნებოდა! ინგლისელობას არაფრისდიდებით არ დათმობდა! არა, არა! არასოდეს!

ეს ხომ ლედი ბრიუტონია (მას ოდესღაც იცნობდა)? ეს ჭაღარა მამაკაცი ხომ პიტერ უოლშია? – ფიქრობდა ლედი როსეტერი (ყოფილი სელი სიტონი). ეს ნამდვილად მოხუცი მის პერი იყო, რომელიც მუდამ ბრაზდებოდა, როდესაც ბორტონში სტუმრად ჩადიოდა. სიკვდილამდე არ დაავიწყდებოდა, როგორ დარბოდა დერეფანში შიშველი. ცოტა ხანში უთხრეს, რომ მის პერი ეძახდა. ახსოვდა, როგორ წარდგა მის წინაშე. ო, კლარისა! კლარისა! სელიმ კლარისას მკლავში ხელი ჩაავლო.

კლარისა შეჩერდა.

– ახლა არ შემიძლია. მოგვიანებით დავბრუნდები. დამელოდეთ, – თქვა კლარისამ და პიტერსა და სელის შეხედა. დაე, დამელოდონ, სანამ ყველა სტუმარი წავა, – გაიფიქრა მან.

– დავბრუნდები, – გაუმეორა მან და გადახედა თავის ძველ მეგობრებს – სელისა და პიტერს, რომელთაც ერთმანეთისათვის ხელი ჩაეკიდებინათ. ცხადი იყო, სელი წარსულს იხსენებდა და იცინოდა.

მას ძველებურად მომაჯადოებელი და მომხიბლავი ხმა აღარ ჰქონდა. თვალები ისე აღარ უბრწყინავდა, როგორც მაშინ, როდესაც სიგარეს ეწეოდა, დერეფანში დედიშობილა დადიოდა, რადგან სააბაზანოში ღრუბლის შეტანა

დავიწყებოდა. მაშინ ელენ ეტკინსმა თქვა: „ვინმე ჯენტლმენს რომ დაენახა?!" მაგრამ სელის მაინც ყველამ აპატია. ღამით, როდესაც მოშივდა, საკუჭნაოდან წიწილა მოიპარა. თავის საძინებელში სიგარებს ეწეოდა. ნავში ფასდაუდებელი წიგნი დარჩა. მაგრამ მაინც ყველა აღმერთებდა (ალბათ, კლარისას მამის გარდა), რადგან მგზნებარე, სიცოცხლით აღსავსე, ენერგიული გოგონა იყო. ფიქრობდნენ, რომ მხატვარი ან მწერალი გახდებოდა. დღემდე მოხუცი სოფლელი ქალები ეკითხებოდნენ: „როგორ არის თქვენი მხიარული მეგობარი, წითელი მოსასხამი რომ ეცვა?" მან ჰიუ უითბრედს, დიახ, სწორედ ჰიუს (ჰიუ, მისი ძველი მეგობარი, აქ იყო და პორტუგალიის ელჩს გატაცებით ესაუბრებოდა), ბრალი დასდო, რომ მოსაწევ ოთახში აკოცა, მისი დასჯა უნდოდა, რადგან სელიმ უთხრა, რომ ქალებს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება უნდა ჰქონოდათ. ყველა მდაბიო მამაკაცს ხომ აქვს ამის უფლება? – თქვა მან. კლარისას ახსოვდა, როგორ ევედრებოდა სელის, ჰიუს ოჯახური ლოცვისას ბრალი არ დასდოო. სელი კი ამას წარბშეუხრელად ჩაიდენდა. ძალიან გაბედული და თავზე ხელაღებული იყო. სურდა, მუდამ ყურადღების ცენტრში ყოფილიყო და მსახიობივით შეექმნა მელოდრამატული სცენები. კლარისა ფიქრობდა, რომ სელი ცუდად დაამთავრებდა. რაღაც საშინელი ტრაგედია ელოდა წინ: სიკვდილი ან უსასრულო ტანჯვა-წამება. ის კი მოულოდნელად ცოლად გაჰყვა მელოტ კაცს, რომელიც ვეებერთელა ბუტონიერს[36] ატარებდა. როგორც ამბობდნენ, მის ქმარს მანჩესტერში ბამბის ფაბრიკა ჰქონდა. სელის უკვე ხუთი ვაჟიშვილი ჰყავდა!

პიტერი და სელი გვერდიგვერდ დასხდნენ და საუბარი გააბეს. რა ნაცნობი სურათი იყო: სელი და პიტერი ისხდნენ და საუბრობდნენ. რა თქმა უნდა, წარსულს იხსენებდნენ. ისინი (უფრო მეტად, ვიდრე თავად რიჩარდიც კი) უფრო იყვნენ დაკავშირებული კლარისას წარსულთან: ბაღი, ხეები, მოხუცი ჯოზეფ ბრიტკოფი, რომელიც უხმოდ მღეროდა ბრამსის არიებს, სასტუმრო ოთახის შპალერი, ჭილოფის სურნელი. სელი და პიტერი ყოველთვის ამ ყველაფრის ნაწილი იქნებოდა. მაგრამ კლარისას ისინი მარტო უნდა დაეტოვებინა, რადგან გამოჩნდნენ ბრედშოუები, რომლებიც არ უყვარდა.

ლედი ბრედშოუსთან უნდა მისულიყო (რუხ ტანსაცმელში გამოწყობილიყო და ვერცხლის სამკაულები ეკეთა. ისე ირხეოდა, როგორც სელაპი აუზის კიდეში და ყეფით ითხოვდა, ჰერცოგინიებს წყალობა მოეღოთ და მიეპატიჟებინათ. ის იყო ტიპური სახე იმ ქალისა, რომლის ქმარიც დიდების მწვერვალებს იპყრობს). კლარისა უნდა მისულიყო ლედი ბრედშოუსთან და ეთქვა...

მაგრამ ლედი ბრედშოუმ დაასწრო: – საშინლად დავაგვიანეთ, ძვირფასო მისის დოლოვეი. შემოსვლაც კი ძლივს გავბედეთ.

სერ უილიამმა, რომელსაც დიდებული, გამორჩეული იერი ჰქონდა თავისი ვერცხლისფერი თმითა და ცისფერი თვალებით, თქვა, რომ მართლაც ასე იყო, მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძლეს. ის რიჩარდს უკვე ელაპარაკებოდა ახალ კანონპროექტზე, რომლის თემთა პალატაში განხილვასაც აპირებდნენ. კლარისა ვერ ხვდებოდა, რატომ იძაბებოდა ასე ძალიან, რატომ ეჭიმებოდა ნერვიულად მთელი სხეული, როდესაც ხედავდა, როგორ ელაპარაკებოდა სერ უილიამი რიჩარდს? ის ჰგავდა იმას, ვინც ნამდვილად იყო: ბრწყინვალე, სახელგანთქმული ექიმი. დიდების მწვერვალზე იდგა, ძალიან ძლიერი,

გავლენიანი, თუმცა, დაღლილი ადამიანი იყო. სასოწარკვეთილი, უსაშველოდ დატანჯული, სიგიჟის ზღვარზე მყოფი ადამიანების, ცოლებისა და ქმრების განკურნება უხდებოდა. ძალზე საშიშ და რთულ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებდა. მიუხედავად ამისა, კლარისა გრძნობდა, რომ ადამიანს უბედურების ჟამს ამ კაცთან, სერ უილიამთან შეხვედრა ნამდვილად არ მოუნდებოდა.

– როგორ არის თქვენი ვაჟიშვილი იტონში?[37] – ჰკითხა კლარისამ ლედი ბრედშოუს.

თურმე ყბაყურა ჰქონია და გამოცდები ვერ ჩაუბარებია. მამამისი უფრო გულნატკენი ყოფილა, ვიდრე ვაჟი, რადგანაც „სერ უილიამი ხომ დიდი ბავშვია".

კლარისამ შეხედა სერ უილიამს, რომელიც რიჩარდს ესაუბრებოდა. ის ბავშვს სულაც არ ჰგავდა. სულაც არა.

კლარისა ერთხელ ვიღაცას სერ უილიამთან გაჰყვა. ის ყველაფერს მშვენივრად მიხვდა. ძალიან გონიერი კაცი იყო. მაგრამ, ღმერთო! როგორი შვება დაეუფლა, როცა ქუჩაში გამოვიდა! გაახსენდა, რომ მოსაცდელ ოთახში ვიღაც საბრალო ტიროდა. კლარისა ვერ ხვდებოდა, რატომ არ მოსწონდა სერ უილიამი. რიჩარდიც, ცხადია, კლარისას ეთანხმებოდა. მასაც არ მოსწონდა სერ უილიამი. „გულზე არ მეხატება", – ამბობდა ის. მაგრამ სერ უილიამი ნამდვილად საოცრად ნიჭიერი კაცი იყო. ისინი ისევ განსახილველ კანონპროექტზე საუბრობდნენ. სერ უილიამი ხმადაბლა იხსენებდა ერთ შემთხვევას, რომელსაც კავშირი ჰქონდა იმასთან, რაც ცოტა ხნის წინ გამწვავებული კონტუზიისა და რეაქტიული ფსიქოზის გვიანდელ შედეგებზე თქვა. ეს კანონპროექტშიც უნდა გაეთვალისწინებინათ.

ლედი ბრედშოუ ჩურჩულებდა და მისის დოლოვეის ქალურ საუბარში ითრევდა. აგრძნობინებდა, რომ ქალები იყვნენ და მძიმე ხვედრი ერგოთ. ამაყობდნენ თავიანთი უზომოდ ნიჭიერი და სახელგანთქმული ქმრებით, რომლებიც, სამწუხაროდ, შრომით წელში წყდებოდნენ. ლედი ბრედშოუმ (საბრალო ქალი; კლარისას ის სულ არ აღიზიანებდა) ჩურჩულით უთხრა: „როცა წამოსვლას ვაპირებდით, ჩემს ქმარს დაურეკეს. ძალიან სამწუხარო ამბავი მოხდა: ვიღაც ახალგაზრდა მამაკაცმა თავი მოიკლა (სერ უილიამიც ამ მამაკაცზე ესაუბრება მისტერ დოლოვეის). თურმე, ომშიც ყოფილა.

ო, ჩემს წვეულებაზე სიკვდილზე ლაპარაკობენ... – გაიფიქრა კლარისამ.

იმ პატარა ოთახში შევიდა, სადაც ცოტა ხნის წინ ლედი ბრიუტონი და პრემიერ-მინისტრი განმარტოვდნენ. ნუთუ აქ ისევ იყო ვინმე? არა, არავინ არის. სავარძლებს თითქოს ისევ ემჩნეოდა ლედი ბრიუტონისა და პრემიერ-მინისტრის კვალი. ლედი ბრიუტონს, ალბათ, მოწიწებით დაეხარა თავი, პრემიერ-მინისტრი კი წელში გამართული, მბრძანებლური იერით იჯდა. ინდოეთზე საუბრობდნენ. ოთახში ახლა არავინ იყო. თითქოს წვეულების მთელი ბრწყინვალება და მშვენიერება უკვალოდ გაქრა, იმდენად უცნაური იყო, რომ ამ ცარიელ ოთახში მარტოდმარტო, ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი შემოვიდა.

რატომ ლაპარაკობდნენ ეს ბრედშოუები მის წვეულებაზე სიკვდილზე? ახალგაზრდა მამაკაცმა თავი მოიკლა. მის წვეულებაზე ამაზე ლაპარაკობდნენ. ბრედშოუები სიკვდილზე ლაპარაკობდნენ. მან თავი მოიკლა, მაგრამ როგორ? როდესაც უბედურ შემთხვევას უყვებოდნენ, ყველაფერს მძაფრად გრძნობდა. თითქოს ამ საშინელებას თვითონ განიცდიდა. თითქოს კაბაზე ცეცხლი ეკიდებოდა და მთელი სხეული ალში ეხვეოდა. ის ფანჯრიდან გადახტა. მიწამ მის თვალწინ წამით გაიელვა. დაჟანგულ ლურსმნებს მტკივნეულად დაენარცხა. უგრძნობლად გაიშოტა. რამდენჯერმე ჩაესმა ყრუ გუგუნი, შემდეგ კი წყვდიადმა შთანთქა და სუნთქვა შეუკრა. ასე მოეჩვენა კლარისას. მაგრამ რატომ მოიკლა თავი? ბრედშოუები მის წვეულებაზე სიკვდილზე ლაპარაკობდნენ!

ერთხელ კლარისამ ტბაში შილინგიანი ჩააგდო. მას შემდეგ არასოდეს არაფერი დაუთმია. იმ მამაკაცმა კი ყველაფერი ერთბაშად მოიშორა თავიდან. ისინი კი ცხოვრებას ჩვეულებრივად განაგრძობდნენ (კლარისა უნდა წასულიყო, რადგან სახლი ისევ ხალხით იყო სავსე და სტუმრები ისევ მოდიოდნენ). ისინი (კლარისა მთელი დღე ბორტონზე, პიტერსა და სელიზე ფიქრობდა) დაბერდებოდნენ. არსებობდა ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც მკრთალდებოდა, უფერულდებოდა, მახინჯდებოდა და მისი ცხოვრების მორევში ინთქმებოდა ლაქლაქით, უსაგნო საუბრებით. დღითი დღე უფრო ეფლობოდა ბიწიერებაში, ტყუილებსა და ჭორაობაში. იმ ახალგაზრდა მამაკაცმა კი ეს რაღაც ამ ყველაფრისაგან იხსნა. მისი სიკვდილი გამოწვევა იყო. სიკვდილი თანაზიარებისა და ურთიერთობის მცდელობა იყო. ადამიანები გრძნობენ, რომ ვერასოდეს მიაღწევენ იმ წერილს, რომლისკენაც გამუდმებით ისწრაფვიან და რომელიც მათ ხელიდან უსხლტება და იდუმალების მორევში ინთქმება. სიახლოვე განშორებად იქცევა. აღფრთოვანება გაივლის და მარტოობა რჩება. სიკვდილი გულში ჩაკვრაა.

მაგრამ იმ ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც თავი მოიკლა, იქნებ თავისი განძი გულში ჩაიკრა და ფანჯრიდან ისე გადახტა? „თუ სიკვდილი მიწერია, დაე, ახლავე აღვესრულო, რამეთუ უსაზღვროდ ბედნიერი ვარ!“ – ფიქრობდა კლარისა ერთხელ, როდესაც კიბეზე თეთრ კაბაში გამოწყობილი ჩადიოდა.

პოეტები, მეოცნებეები და მოაზროვნეები არსებობენ. იქნებ ის უეცრად შეიპყრო ამ ვნებამ და მივიდა სერ უილიამ ბრედშოუსთან, დიდ ექიმთან, რომელიც კლარისას ბოროტ, უსქესო, უსურვილო კაცად მიაჩნდა. ქალებთან საოცრად თავაზიანი და ზრდილობიანი იყო, თუმცა, შეეძლო, ენით აუწერელი საზიზღრობა ჩაედინა და ადამიანებს ძალზე სასტიკად მოპყრობოდა. ის სულიერად დასცემდა მათ. მათ სულზე ძალადობდა. კი, ნამდვილად ასე იყო. ის ახალგაზრდა კაცი სერ უილიამთან მივიდა, მან კი, ალბათ, თავისი ნება თავს მოახვია, დაიმორჩილა, ისე, როგორც სჩვეოდა. იქნებ მაშინ გაიფიქრა (ახლა კლარისაც ამას გრძნობდა): „ცხოვრება აუტანელი გახდა. ასეთ ადამიანებთან ერთად ცხოვრება შეუძლებელია“.

შემდეგ კი (კლარისამ ეს ამ დილითაც იგრძნო) საშინელმა შიშმა შეიპყრო. უმწეობის შეგრძნება დაეუფლა. მშობლებმა ცხოვრება გადმოგაბარეს, რათა მშვიდად და დიდხანს გეცხოვრა, შენ კი გრძნობ, რომ ეს არ ძალგიძს. გულის სიღრმეში საშინლად ეშინოდა. ახლაც კი ხშირად გრძნობდა, გვერდით რომ არ ჰყოლოდა რიჩარდი თავისი „თაიმსით“, ვერ

გაიტრუნებოდა, როგორც ჩიტი ტოტზე, რათა მერე ისევ ავსებულიყო სასიცოცხლო ძალით, შეეფრთხიალებინა და ჩვეული საქმიანობისა და ფუსფუსის მორევში ჩაფლულიყო.

რიჩარდი რომ არ ჰყოლოდა, დაიღუპებოდა. კლარისა გადარჩა, მაგრამ იმ ახალგაზრდა მამაკაცმა თავი მოიკლა.

ეს მისი უბედურება, წყევლა, სასჯელი იყო: ხედავდა, როგორ ინთქმებოდა წყვდიადში ვიღაც ქალი თუ მამაკაცი. ის კი იძულებული იყო, აქ მდგარიყო საღამოს კაბაში გამოწყობილი. ის თამაშობდა. ინტრიგებს ხლართავდა. თაღლითობდა. გულწრფელობა აკლდა. სრულყოფილი და უმწიკვლო არასოდეს ყოფილა. წარმატების მიღწევა სურდა. უნდოდა, ლედი ბექსბოროს მსგავსი ყოფილიყო. და ერთხელაც ბორტონში, ტერასაზე გაიარა.

წარმოუდგენელი, საოცარი იყო: თავი ასე ბედნიერად არასოდეს უგრძნია. დროის შეჩერება სურდა. ყველაფერი სწრაფად სრულდებოდა და ქრებოდა. არაფერი გახარებს ისე, – ფიქრობდა კლარისა, სავარძლებს ასწორებდა და წიგნებს თაროზე დებდა, – არაფერი გახარებს ისე, როგორც იმის მიხვედრა, რომ ახალგაზრდობა დამთავრდა თავისი ტრიუმფით, ბრწყინვალებით, რომ მჩქეფარე ცხოვრების მდინარებაში დაკარგე საკუთარი თავი და უბრალოდ, ცხოვრებას განაგრძობ. ბედნიერებისგან ირინდები და მონუსხული უცქერ, როგორ ამოდის მზე, როგორ ღამდება. ბორტონში, როცა ისინი გაუთავებლად ლაპარაკობდნენ, კლარისა სახლიდან გამოდიოდა და ცას აჰყურებდა. ზეცას უცქერდა ვახშმისას, სტუმრების მხრებს მიღმა და ლონდონში ღამით, როდესაც ძილი არ ეკარებოდა. კლარისა ფანჯარას მიუახლოვდა.

სისულელე იყო, მაგრამ კლარისა გრძნობდა, რომ სოფლის ეს უკიდეგანო ზეცა, ვესტმინსტერს რომ დასცქეროდა, მისი ნაწილი იყო. ფარდები გადასწია და გარეთ გაიხედა. ო, რა საოცარი იყო! მეზობელი სახლის ფანჯარასთან მდგომი მოხუცი ქალი მას უცქერდა! ის დაძინებას აპირებდა. ცა... ულამაზესი, დიდებული ზეცაა, – ფიქრობდა კლარისა. მოქუფრული, ბნელი ზეცა, რომელიც თითქოს ქვეყნიერებას ემშვიდობებოდა და საოცარი სილამაზით იმოსებოდა. ფერმიხდილ, მორუხო ზეცაზე დიდი ღრუბლები სწრაფად მიცურავდნენ. ასეთი ცა არასოდეს ენახა. ალბათ, ქარიც ქროდა. მეზობელ სახლში მოხუცი ქალი დაწოლას აპირებდა. მომაჯადოებელი სანახაობა იყო. კლარისა უცქერდა, როგორ გადაკვეთა მოხუცმა ქალმა ოთახი და ფანჯარას მიუახლოვდა. ნუთუ ხედავდა კლარისას? სასტუმრო ოთახიდან ისევ ხმაური და სიცილი მოისმოდა. მომაჯადოებელი სანახაობა იყო: მოხუცი ქალი მარტოდმარტო დაიძინებდა. მან ფარდა ჩამოაფარა. საათის ხმა გაისმა. ახალგაზრდა მამაკაცმა თავი მოიკლა. მაგრამ კლარისას არ ებრალებოდა. საათი რეკავდა: ერთი, ორი, სამი... კლარისას კი ის არ ებრალებოდა. ცხოვრება გრძელდებოდა. აი, მოხუცმა ქალმა შუქი ჩააქრო! სახლი წყვდიადში ჩაიძირა. ყველაფერი გრძელდება, – გაიმეორა მან და უნებურად ბაგეზე მოადგა სიტყვები: „ნუ გეშინია მცხუნვარე მზის სხივის". კლარისა ისევ სტუმრებთან უნდა დაბრუნებულიყო. რა საოცარი, არნახული ღამე იყო! კლარისა გრძნობდა, ძალიან ჰგავდა იმ ახალგაზრდა მამაკაცს, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. კლარისას უხაროდა, რომ მან ეს ჩაიდინა. სიცოცხლე დათმო. თავიდან მოიშორა. ისინი კი ცხოვრებას განაგრძობდნენ. საათი ისევ რეკავდა. ტყვიის ციფერბლატი თითქოს ჰაერში

დნებოდა. კლარისა ისევ მათთან უნდა დაბრუნებულიყო, სტუმრებისთვის ყურადღება მიექცია და სელი და პიტერი ენახა. ის პატარა ოთახიდან გავიდა.

*

– სად არის კლარისა? – თქვა პიტერმა, რომელიც სელის გვერდით, დივანზე იჯდა (ამდენი წლის შემდეგ არ შეეძლო, მისთვის „ლედი როსეტერი" ეწოდებინა), – სად გაქრა ეს ქალი? სად არის კლარისა?

სელი ფიქრობდა (პიტერიც), რომ აქ გავლენიანი ადამიანები, პოლიტიკოსები იყვნენ, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ გაზეთების ფოტოებიდან თუ იცნობდნენ. კლარისას მათთვის ყურადღება უნდა მიექცია და თავაზიანად ესაუბრა. ალბათ, ახლა მათთან იყო. მიუხედავად ყველაფრისა, რიჩარდი მაინც არ იყო მინისტრთა კაბინეტში. იქნებ წარმატებას ვერ მიაღწია? – თქვა სელიმ. ის გაზეთებს თითქმის არასოდეს კითხულობდა. რამდენჯერმე ამოიკითხა რომელიღაც გაზეთში რიჩარდის სახელი. ალბათ, კლარისა ეტყოდა, რომ სელი ძალზე განმარტოებულ, კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. ერთი სიტყვით, ნამდვილ უდაბნოში ცხოვრობდა, როგორც კლარისა იტყოდა. მას გარს ეხვივნენ დიდვაჭრები, მეწარმეები და საქმიანი ადამიანები. მაგრამ ისიც, სელიც, იყო ადრე საქმიანი!

– ხუთი ვაჟიშვილი მყავს, – უთხრა სელიმ მას.

ღმერთო, ღმერთო, როგორ შეიცვალა სელი! დედობამ უფრო ნაზი გახადა, მაგრამ ეგოიზმიც მოეძალა. პიტერს გაახსენდა, რომ ბოლოს სელი ბოსტანში ნახა, ყვავილოვან კომბოსტოებს შორის, მთვარის შუქზე. კომბოსტოების ფოთლები დაუმუშავებელ ბრინჯაოს ჰგავსო, თქვა თავისი პოეტური აღტყინებით და ვარდი მოწყვიტა. პიტერი იმ საშინელ ღამეს, შადრევნის წინ მომხდარი სცენის შემდეგ, ბაღში ბოლთას სცემდა. შუაღამის მატარებელს გაჰყვა. ღმერთო, რა მწარედ ტიროდა!

ეს ძველი ჩვევა ისევ აქვს: ჯაყვას შლის და კეცავს, – გაიფიქრა სელიმ. როდესაც ნერვიულობდა, აჩქარებით შლიდა და კეცავდა ჯაყვას. ის და პიტერი ძალიან, ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან მაშინ, როდესაც პიტერს კლარისა გატაცებით უყვარდა, როდესაც ის საშინელი და სასაცილო სცენა მოხდა იმის გამო, რომ მან რიჩარდს „უიკჰემი" უწოდა. რატომაც არ უნდა დაეძახებინა მისთვის „უიკჰემი"? კლარისა საშინლად გაცხარდა! იმ დღის შემდეგ სელისა და კლარისას ერთმანეთი აღარ უნახავთ. ალბათ, ათი წლის განმავლობაში ექვსიოდეჯერ თუ შეხვდნენ ერთმანეთს. პიტერ უოლში ინდოეთში წავიდა. სელიმ ყური მოჰკრა, რომ პიტერმა ვიღაც ქალი შეირთო, თუმცა, ქორწინება უიღბლო გამოდგა. ისიც კი არ იცოდა, ჰყავდა თუ არა შვილები. ვერც ჰკითხავდა, რადგან პიტერი ძალიან შეცვლილა. თითქოს დამჭკნარა, მაგრამ სელი გრძნობდა, რომ უფრო თავაზიანი და ნაზი გამხდარიყო. მას ძალიან, ძალიან უყვარდა პიტერი, რადგან მის ახალგაზრდობასთან იყო დაკავშირებული და ახალგაზრდობის წლებს, ნეტარ წარსულს ახსენებდა. ახლაც ჰქონდა ემილი ბრონტეს წიგნი, რომელიც პიტერმა აჩუქა. ის ხომ წიგნების დაწერას აპირებდა? მაშინ პიტერი წიგნების დაწერას აპირებდა.

– წიგნები დაწერეთ? – ჰკითხა სელიმ და ძლიერი, ლამაზი ხელი დაადო მუხლზე. პიტერს მისი ეს ჟესტი ეცნო.

– ერთი სიტყვაც კი არ დამიწერია, – მიუგო პიტერმა. სელის სიცილი აუვარდა.

ისევ ისეთივე მიმზიდველი იყო. სელი სიტონი ბრწყინვალე, დაუვიწყარი ადამიანი იყო. მაგრამ ვინ არის მისი ქმარი, როსეტერი? პიტერმა მასზე მხოლოდ ის იცოდა, რომ ქორწილის დღეს ღილ-კილოში ორი კამელია ჰქონდა გაჩრილი.

„უამრავი შინამოსამსახურე ჰყავთ. მათი სათბურები უამრავ მილზეა გადაჭიმული", – მისწერა კლარისამ პიტერს. თუ რაღაც ამდაგვარი. სელის სიცილი აუვარდა და დაეთანხმა.

– ჰო, ათი ათასი გირვანქა სტერლინგი მაქვს წელიწადში, – მიუგო სელიმ. მაგრამ არ იცოდა, გადასახადებიც შედიოდა ამაში თუ არა. ამ საკითხებს მისი ქმარი აგვარებდა. „აუცილებლად უნდა გაგაცნოთ. ნამდვილად მოგეწონებათ", – უთხრა სელიმ.

სელი ადრე ძალიან ღარიბი იყო. სულ ძონძები ეცვა. ბორტონში რომ ჩამოსულიყო, ბებიამისის ის ბეჭედი დააგირავა, რომელიც მარია-ანტუანეტას ეჩუქებინა სელის დიდი ბაბუისთვის.

ო, დიახ, გაახსენდა სელის. მას ახლაც ჰქონდა ლალის ბეჭედი, რომელიც მარია-ანტუანეტამ მის დიდ ბაბუას აჩუქა. ჯიბეში ერთი გირვანქაც კი არ ჰქონდა და ბორტონში რომ წასულიყო, ტყავიდან ძვრებოდა. ისე ძალიან უნდოდა ბორტონში ჩამოსვლა! სწორედ იქ ყოფნამ გააძლებინა. ოჯახურ საშინელებას გამოექცა და თავი ბორტონს შეაფარა. თავის ოჯახში ხომ ძალზე უბედური იყო. მაგრამ ყველაფერი, ყველაფერი დასრულდა. ყველაფერი განქარდა, – თქვა მან. მისტერ პერი გარდაიცვალა, მის პერი კი ისევ ცოცხალია. პიტერმა თქვა, გაოგნებული ვარ, მეგონა, მის პერი მკვდარი იყოო.

– ნუთუ ეს ბედნიერი ქორწინება იყო? ნუთუ კლარისა ბედნიერია? – ამბობდა სელი. ეს ლამაზი, თავდაჯერებული, ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი ქალიშვილი, რომელიც ფარდასთან იდგა, ელიზაბეთი იყო?

(ელიზაბეთი ვერხვს, ხეს, მდინარეს, სუმბულს ჰგავს, – ფიქრობდა უილი ტიტკომი. ო, როგორ უნდოდა, სოფელში ყოფილიყო და ის ეკეთებინა, რაც სურდა! ელიზაბეთი დარწმუნებული იყო, რომ საბრალო ძაღლის ყეფაც კი ჩაესმოდა.) – ელიზაბეთი კლარისას სულ არ ჰგავს, – თქვა პიტერმა.

– ო, კლარისა!.. – შესძახა სელიმ.

სელი გრძნობდა, რომ კლარისას ვალიდან ვერასოდეს ამოვიდოდა ისინი მეგობრები იყვნენ, უბრალო ნაცნობები კი არა, ჭეშმარიტი მეგობრები. დღესაც კი ახსოვდა, როგორ მოაბიჯებდა სახლისკენ თეთრ კაბაში გამოწყობილი, ყვავილებით ხელდამშვენებული კლარისა. თამბაქოს ყვავილები

სელის ბორტონს ახსენებდა. მაგრამ ნუთუ პიტერი გაიგებს ამას? სელის რაღაც აკლდა. მაინც, რა? მას მომხიბლაობა, საოცარი მომხიბლაობა ჰქონდა. მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ (პიტერი ხომ მისი ძველი, ჭეშმარიტი მეგობარი იყო. რა მნიშვნელობა ჰქონდა განშორებას, მანძილს? მას უამრავჯერ მოეძალა სურვილი, პიტერისთვის მიეწერა. რამდენჯერმე წერილი დაწერა კიდეც, მაგრამ დახია. პიტერი ყველაფერს უსიტყვოდ გაუგებდა. ყველაფერს მიხვდებოდა, რადგან ადამიანებს შეუძლიათ, უსიტყვოდ მიხვდნენ ყველაფერს. ამას მაშინ ვხვდებით, როცა ვბერდებით. სელიც დაბერდა. ეს მაშინ იგრძნო, როდესაც ერთ ნაშუადღევს იტონში წავიდა ვაჟიშვილების სანახავად, რომლებსაც ყბაყურა სჭირდათ.), რატომ გაჰყვა კლარისა რიჩარდს ცოლად? ამ სპორტსმენს, რომელსაც ძაღლების გარდა არაფერი აინტერესებდა? გადაუჭარბებლად შეიძლებოდა, გეთქვა, რომ როდესაც ის ოთახში შევიდოდა, თავლის სუნი დგებოდა.

– და ყოველივე ეს... – თქვა სელიმ და ხელი გაიქნია.

თეთრ ჟილეტში გამოწყობილი ჰიუ უითბრედი იქვე დააბიჯებდა. მსუქანი და იდუმალებით მოცული იყო. თითქოს დაბრმავებულიყო და საკუთარი თავის გარდა ვერავის ამჩნევდა. მყუდროებას დაეძებდა და საკუთარი თავით ძალიან ამაყობდა.

– ჩვენ ვერ გვიცნობს, – თქვა სელიმ. გულახდილად რომ ვთქვათ, დაიბნა კიდეც. მასთან შესახვედრად გამზედაობა არ ეყოფოდა. ის ხომ ჰიუ უითბრედი იყო! დიდებული ჰიუ!

– რას საქმიანობს ჰიუ? – ჰკითხა სელიმ პიტერს.

პიტერმა უთხრა, რომ ის სამეფო კარის ჩექმებს აპრიალებდა, უინძორის სასახლის სარდაფებში ბოთლებს ითვლიდა. ო, პიტერს ისევ მწარე ენა ჰქონდა! სელის ახლა გულახდილად უნდა ეთქვა ყველაფერი პიტერისთვის. უნდა გაემხილა, ნამდვილად აკოცა თუ არა ჰიუმ.

– კი, ტუჩებში, – დარწმუნებით მიუგო მან. ერთ საღამოს მოსაწევ ოთახში აკოცა. გაცოფებული სელი მაშინვე კლარისასთან მივიდა. კლარისამ უთხრა: არა, ჰიუ ასეთ რამეს არ ჩაიდენდა! დიდებული ჰიუ! ჰიუს ხომ ულამაზესი წინდები ეცვა. ასეთი ლამაზი წინდები კლარისას არასოდეს ენახა! ახლა ჰიუს ძალიან კარგად ეცვა! შვილები ჰყავს?

– აქ მყოფ ყველა სტუმარს, სულ ცოტა, ექვსი ვაჟიშვილი ჰყავს იტონში, – მიუგო პიტერმა.

მას კი არ ჰყავდა. ღვთის წყალობით, არც ვაჟიშვილი ჰყავდა, არც ქალიშვილი და არც ცოლი. სელიმ უთხრა, როგორც ჩანს, ეს სულაც არ გაწუხებსო. ფიქრობდა, რომ პიტერი აქ ყველა სტუმარზე ახალგაზრდულად გამოიყურებოდა.

ძალიან სულელურად მოიქცა, ასე რომ დაქორწინდა. ნამდვილი სულელი იყო, ნამდვილი ბატი, – თქვა პიტერმა და დასძინა, – მაგრამ დიდებულად ვიცხოვრეთ. კი მაგრამ, როგორ? – გაიფიქრა გაოცებულმა სელიმ. რისი თქმა სურდა პიტერს? რა უცნაური იყო: დიდი ხანია, პიტერს იცნობდა, მაგრამ

მის ცხოვრებაზე არაფერი იცოდა. ნუთუ მართლაც სიამაყით ამბობდა პიტერი ასეთ რამეს? ალბათ, ძალზე გამაღიზიანებელი და მძიმე იყო (პიტერი ხომ ძალზე უცნაური ადამიანია. ერთგვარი ელფი, არაამქვეყნიური არსება), რომ მის ასაკში მარტოსული იყო და არც სახლი ჰქონდა და არც კარი. შეეძლო მათთან თვეების განმავლობაში დარჩენილიყო. რა თქმა უნდა, სიამოვნებით ესტუმრება როსეტერებს. დოლოვეები კი ამდენი წლის განმავლობაში ერთხელაც არ ესტუმრნენ. უამრავჯერ დაპატიჟეს, მაგრამ კლარისამ (რა თქმა უნდა, კლარისამ!) არ მოისურვა მათთან წასვლა. უნდა ვაღიაროთ, რომ კლარისა გულის სიღრმეში სნობია. ვერაფერს ვიზამთ. ნამდვილად სნობია, – თქვა სელიმ. დარწმუნებული იყო, რომ სწორედ კლარისას სნობიზმი აშორებდა მათ ერთმანეთს. კლარისა სელის ქორწინებას მეზალიანსად თვლიდა, რადგან მისი ქმარი მეშახტის შვილი იყო (სელი ამით ამაყობდა), ყველაფერი საკუთარი შრომით მოიპოვა. ის ბავშვობაში (სელის ხმა აუთრთოლდა) მძიმე ჩანთებს დაათრევდა.

(პიტერმა იგრძნო, რომ სელის შეეძლო, დაუსრულებლად ელაპარაკა ასე: მეშახტის ვაჟიშვილი, ხალხი თვლიდა, რომ მისი ქორწინება მეზალიანსი იყო, ხუთი ვაჟიშვილი... კიდევ რაზე ილაპარაკებდა? მცენარეებსა და ყვავილებზე. ჰორტენზიებზე, იასამნებზე, შროშანებსა და ძალიან, ძალიან იშვიათ ჰიბისკუსებზე, რომლებიც სუეცის არხის ჩრდილოეთით არ ხარობენ, სელის კი მანჩესტერის გარეუბანში ერთადერთი მებაღე ჰყავდა და ბაღში ისეთი ყვავილნარი ჰქონდა, ისეთი ყვავილნარი! კლარისა კი, ქალი, რომელშიც დედური თითქმის არაფერი იგრძნობოდა, ამ ყველაფერს გაექცა.) სნობი? კლარისა ნამდვილად სნობი იყო. სად გაქრა? უკვე გვიანი იყო.

– როდესაც გავიგე, კლარისა წვეულებას აწყობდა, მივხვდი, რომ არ შემეძლო, არ მოვსულიყავი და კლარისა არ მენახა (ამჟამად ვიქტორია-სტრიტზე ვცხოვრობ. თითქმის მეზობლად). კლარისას დაუპატიჟებლად ვესტუმრე, – უთხრა სელიმ და გადაუჩურჩულა, – გეთაყვა, მითხარით, ეს ვინ არის?

ეს მისის ჰილბერი იყო. გასასვლელ კარს ეძებდა. უკვე ძალიან გვიანი იყო! მაგრამ, როცა ღამდება, – დაიჩურჩულა სელიმ, – და სტუმრები მიდიან, სწორედ მაშინ დავინახავთ ხოლმე ძველ მეგობრებს; სახლში სიმშვიდე და სიმყუდროვე ისადგურებს. თვალწარმტაცი ხედი იშლება. ნუთუ სტუმრებმა არ იცოდნენ, რომ გარს ჯადოსნური ბაღი ერტყათ? ნათურები, ხეები, თვალწარმტაცი, მბრწყინავი ტბები, საოცარი ზეცა. კლარისამ კი თქვა, ბაღში რამდენიმე ჩინური ფარანი დგასო. კლარისა ნამდვილი გრძნეულია! ეს ხომ პარკი იყო... სელიმ მათი სახელები არ იცოდა, მაგრამ ისინი მისი მეგობრები იყვნენ. უსახელო მეგობრები და უსიტყვო სიმღერები ყველაზე კარგი რამ არის. სახლში იმდენი კარი და უცნაური ოთახი იყო, რომ გზა აებნა.

– მოხუცი მისის ჰილბერი! – თქვა პიტერმა. მაგრამ ვინ იყო ის ქალი, რომელიც ფარდასთან იდგა და ხმას არ იღებდა? ნაცნობი სახე ჰქონდა. ალბათ, ბორტონში ნახა. ნამდვილად ის ქალი იყო, ვინც ფანჯარასთან, დიდ მაგიდასთან ჯდებოდა და თეთრეულს კერავდა. მას დევიდსონი ერქვა, არა?

– ო, არა, ეს ხომ ელი ჰენდერსონია, – მიუგო სელიმ. კლარისა მას ძალიან მკაცრად ექცეოდა. კლარისას ძალზე ღარიბი ბიძაშვილი იყო. კლარისა ძალიან მკაცრად ეპყრობოდა ადამიანებს.

– ჰო, რა თქმა უნდა, – თქვა პიტერმა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიუგო სელიმ თავისი ემოციური ტონითა და ენთუზიაზმით, რომელიც პიტერს ოდესღაც ძალიან უყვარდა, თუმცა, ახლა ცოტათი ეშინოდა, რომ სელი ძალიან თამამი გახდებოდა, კლარისა მეგობრების მიმართ საოცრად თავაზიანი და კეთილია! ეს ძალიან იშვიათი თვისება იყო, ზოგჯერ, ღამღამობით, თუ შობის დღესასწაულზე, როცა სელი თავის ცხოვრებას იხსენებდა, ხვდებოდა, რომ მისთვის ამ მეგობრობაზე ძვირფასი არაფერი იყო. კლარისასთან მეგობრობა მისთვის უდიდესი საჩუქარი იყო. ისინი ახალგაზრდები იყვნენ. ნამდვილად. კლარისა გულწრფელი იყო. ნამდვილად. პიტერი მას სენტიმენტალურ ქალად ჩათვლიდა. მართლაც ასე იყო. მიაჩნდა, რომ ადამიანებს მხოლოდ თავიანთ გრძნობებზე უნდა ესაუბრათ. გონიერებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი ის იყო, ადამიანებს გულწრფელად ეთქვათ ის, რასაც გრძნობდნენ.

– მე არ ვიცი, რას ვგრძნობ, – მიუგო პიტერმა.

საბრალო პიტერი, – გაიფიქრა სელიმ. რატომ არ მოდიოდა და არ ელაპარაკებოდა კლარისა მათ? სელი გრძნობდა, რომ პიტერი მთელი საღამო ამაზე ოცნებობდა. მხოლოდ კლარისაზე ფიქრობდა და ჯაყვას აწვალებდა.

პიტერმა თქვა, რთული ცხოვრება მქონდაო. მისთვის კლარისასთან ურთიერთობა ადვილი არ ყოფილა. მან სიცოცხლე გაუმწარა (პიტერი და სელი იმდენად ახლო მეგობრები იყვნენ, რომ სისულელე იქნებოდა, ეს სელისათვის არ ეთქვა). შეუძლებელია, ადამიანს ორჯერ შეუყვარდეს, – თქვა პიტერმა.

რა უნდა ეთქვა სელის მისთვის? მთავარი ის იყო, რომ პიტერს ცხოვრებაში ერთხელ მაინც უყვარდა (პიტერი მას სენტიმენტალურ ქალად ჩათვლიდა, პიტერი ხომ ყოველთვის სარკასტული და ენამწარე იყო). აუცილებლად უნდა ჩასულიყო მათთან სტუმრად მანჩესტერში. მართალია, – დაეთანხმა პიტერი. მართალია. ლონდონში საქმეებს მოაგვარებს და ნამდვილად ესტუმრება.

სელის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ კლარისას პიტერი უფრო უყვარდა, ვიდრე რიჩარდი.

– არა, არა, არა! – მიუგო პიტერმა (სელის ასეთი რამ არ უნდა ეთქვა. აზვიადებდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო). ეს კეთილი კაცი, რიჩარდი, ოთახის მეორე ბოლოში იდგა და ვიღაცას გატაცებით ესაუბრებოდა. სულ არ შეცვლილიყო. ძვირფასი მოხუცი რიჩარდი! ვის ელაპარაკება? ვინ არის ეს დიდებული, გამორჩეული იერის მამაკაცი? – იკითხა სელიმ. ის ნამდვილ უდაბნოში ცხოვრობდა და ხარბი ცნობისმოყვარეობით სურდა ადამიანების გაცნობა.

მაგრამ პიტერმა არაფერი იცოდა. თქვა, სულ არ მაინტერესებს ეგ მამაკაციო. ალბათ, მინისტრი იქნებოდა. პიტერმა დასძინა, ყველას რიჩარდი სჯობს, რადგანაც უანგარო ადამიანიაო.

– რას საქმიანობს? – გაიფიქრა სელიმ. ალბათ, რაიმე საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. ნუთუ ბედნიერი არიან (სელი კი უზომოდ ბედნიერი იყო)? შეიძლება, მათზე არაფერიც არ იცოდა და მხოლოდ ზედაპირულად მსჯელობდა. განა რამე ვიცით იმ ადამიანებზე, რომლებიც ჩვენთან ერთად ცხოვრობენ? განა ყველანი ტყვეები არა ვართ? ცოტა ხნის წინ ბრწყინვალე პიესა წაიკითხა იმ კაცზე, რომელიც საკნის კედელს ფრჩხილებით კაწრავდა. სელი გრძნობდა, რომ ცხოვრებაც ასეთია: ადამიანები საკნის კედელს ფრჩხილებით კაწრავენ. ადამიანური ურთიერთობები სასოწარკვეთას ჰგვრიდა (ადამიანები ხომ ასე რთული და აუტანელი იყვნენ). ის ბაღში გადიოდა და ყვავილებში ისეთ სიმშვიდეს პოვებდა, როგორსაც ვერც ქალებსა და ვერც მამაკაცებთან ურთიერთობისას ვერ განიცდიდა. პიტერმა უპასუხა, რომ კომბოსტოები არ უყვარდა. კომბოსტოებს ადამიანები ერჩივნა. დიახ, ახალგაზრდობა მართლაც მშვენიერია, – თქვა სელიმ და შეხედა ელიზაბეთს, რომელიც სასტუმრო ოთახში შემოვიდა. ო, ამ ასაკში როგორ არ ჰგავდა კლარისას! ნუთუ პიტერს მისი არ ესმოდა? მაშინ სელი ხმას აღარ ამოიღებდა. მართლაც, – მიუგო პიტერმა. მას ბევრი რამ არ ესმოდა. ელიზაბეთი შროშანს ჰგავს, – თქვა სელიმ. გუბის პირას ამოსულ შროშანს. ვერ დაგეთანხმები. არ არის მართალი, რომ ჩვენ არაფერი ვიცით. ჩვენ ყველაფერი ვიცით, – მიუგო პიტერმა. ყოველ შემთხვევაში, პიტერმა ამქვეყნად ყველაფერი იცოდა!

– ეს ორი...– ჩურჩულით თქვა სელიმ, – ეს ცოლ-ქმარი, ახლა რომ მიდის (თუ კლარისა მალე არ მოვიდოდა, სელიც წავიდოდა), გამორჩეული, დიდებული იერის მამაკაცი და მისი არაფრით გამორჩეული ცოლი, წუთის წინ რიჩარდს რომ ესაუბრებოდნენ... რა ვიცით ჩვენ ასეთ ადამიანებზე? – ჰკითხა სელიმ.

– ის, რომ საშინელი თაღლითები არიან, – თქვა პიტერმა და მათ წამით გახედა. სელის სიცილი აუვარდა.

სერ უილიამ ბრედშოუ კართან შეჩერდა, გრავიურას დააცქერდა და გრავიორის სახელი და გვარი ამოიკითხა. მისი ცოლიც დაჟინებით დააცქერდა. სერ უილიამ ბრედშოუს ხელოვნება უყვარდა.

– როცა ახალგაზრდა ხარ, ადამიანების შეცნობას ესწრაფვი. ახლა კი მოვხუცდით, უკვე ორმოცდათორმეტი წლისა ვართ (სელიმ თქვა, რომ ორმოცდათხუთმეტი წლის იყო, თუმცა, სულით მხოლოდ ოცის თუ იქნებოდა), მოწიფული ვართ, – თქვა პიტერმა, – და შეგვიძლია, ყველაფერს დავაკვირდეთ, გავიგოთ, შევიცნოთ, თუმცა, მგრძნობელობას მაინც არ ვკარგავთ. მართალია, – მიუგო სელიმ. სელი წლიდან წლამდე უფრო მძაფრად, მგზნებარედ გრძნობდა ყველაფერს. გრძნობები უფრო და უფრო მძაფრდება, – თქვა პიტერმა. იქნებ ეს ცუდიც კია, მაგრამ შეუძლებელია, არ გიხაროდეს. პიტერს ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ გრძნობები უფრო და უფრო მძაფრდება. ინდოეთში მას ვიღაც ელოდა. პიტერს უნდოდა, სელისთვის ეს ისტორია ეამბო. გაუხარდებოდა, თუკი სელი მას გაიცნობდა. გათხოვილია და ორი შვილი ჰყავს, – უთხრა სელის. აუცილებლად უნდა ჩამოიყვანო ჩემთან, მანჩესტერში, – უთხრა

სელიმ. პიტერი წასვლამდე უნდა დაჰპირებოდა, რომ აუცილებლად ესტუმრებოდა!

– აი, ელიზაბეთიც. ის იმის ნახევარსაც კი ვერ გრძნობს, რასაც ჩვენ განვიცდით, – თქვა პიტერმა.

– მაგრამ, – თქვა სელიმ და შეხედა ელიზაბეთს, რომელიც მამას მიუახლოვდა, – ცხადია, ერთმანეთი ძალიან უყვართ. ელიზაბეთი მამას ისე მიუახლოვდა, სელიმ ეს მაშინვე იგრძნო.

რიჩარდი ბრედშოუებს ელაპარაკებოდა, როცა ელიზაბეთი დაინახა და გაიფიქრა: ვინ არის ეს ლამაზი ქალიშვილი? უეცრად მიხვდა, რომ ეს მისი ქალიშვილი, მისი ელიზაბეთი იყო! ვერც კი იცნო, იმდენად მშვენიერი იყო ვარდისფერ კაბაში! ელიზაბეთი უილი ტიტკომს ესაუბრებოდა, როდესაც იგრძნო, რომ მამა უმზერდა. მისკენ გაემართა. ახლა ერთად იდგნენ. წვეულება დასასრულს უახლოვდებოდა. სტუმრები მიდიოდნენ. ოთახები თანდათან ცარიელდებოდა. იატაკზე უამრავი ნივთი მიმოფანტულიყო. ელი ჰენდერსონიც კი წასასვლელად ემზადებოდა. ყველაზე ბოლოს ტოვებდა კლარისას სახლს, მიუხედავად იმისა, რომ მთელი საღამო მისთვის ხმა არავის გაუცია. მაგრამ სურდა, ყველაფერი ენახა და მოესმინა, რათა ედითისათვის ეამბო. რიჩარდსა და ელიზაბეთს უხაროდათ, რომ წვეულება დამთავრდა. რიჩარდი ქალიშვილით ამაყობდა. მისთვის ამის თქმას არ აპირებდა, მაგრამ თავს ვერ მოერია; უყურებდა და ფიქრობდა: „ვინ არის ეს ლამაზი ქალიშვილი?" და უეცრად მიხვდა, რომ ეს მისი შვილი იყო! ელიზაბეთი მამის სიტყვებმა ძალიან გაახარა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი საბრალო ძაღლი წკმუტუნებდა.

– რიჩარდი უკეთესი გახდა. მართალი ხართ, – უთხრა სელიმ, – წავალ, გავესაუბრები და ძილი ნებისას ვუსურვებ. რა მნიშვნელობა აქვს გონებას გულთან შედარებით? – თქვა ლედი როსეტერმა და წამოდგა.

– მეც წამოვალ, – უთხრა პიტერმა, თუმცა, ისევ იჯდა.

რა მოსდის? რატომ შეიპყრო შიშმა? რატომ არის ასე აღტყინებული? რატომ ეძალება ასეთი საოცარი მღელვარება?

ო, ეს კლარისაა... – გაიფიქრა პიტერმა.

კლარისა მართლაც მის წინ იდგა.

შენიშვნები

[1] ცნობილი ჩაის სალონი პარიზში, რივოლის ქუჩაზე. ასეთივე სალონი არის ლონდონში, სენტ-ჯეიმზის ქუჩაზეც (მთარგმ. შენიშვნა).

[2] ადამიანი, რომელიც რომელიმე კომპანიის სარეკლამო დაფებს ზურგსა და მკერდზე ჩამოკიდებულს დაატარებს.

[3] ლორდსი – თომას ლორდსის სახელობის კრიკეტის სათამაშო მოედანი; ესკოტი – იპოდრომი, სადაც ივნისის მესამე კვირაში დოღი იმართება; რენილე – სათამაშო მოედანი.

[4] მინერალური წყლების კურორტი სომერსეტში, განთქმულია რომაული აბანოების ნანგრევებით.

[5] ლონდონის პოპულარული უბანი მდინარე თემზის ჩრდილოეთ სანაპიროზე.

[6] ალექსანდრ პოუპი (1668-1744), ინგლისელი პოეტი, ბრიტანული კლასიციზმის დიდი წარმომადგენელი.

[7] ჰაიდ-პარკში არის ხელოვნური ტბა, რომელსაც გველის ფორმა აქვს. მასში მონეტებს ყრიან.

[8] რობერტ სმით სერთიზის (1805-1864) ნაწარმოები.

[9] მარგო ესკვიტი (1864-1945), 1908-1916 წლებში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჰენრი ესკვიტის მეუღლე.

[10] ძაღლის კარე – დაავადება, რომელიც 1905 წელს აღმოაჩინა ვეტერინარმა ანრი კარემ.

[11] კლუბი სენტ-ჯეიმზის ქუჩაზე; გაიხსნა 1693 წელს.

[12] ინგლისური გაზეთი, დააარსა ირლანდიელმა მწერალმა რიჩარდ სტილმა.

[13] წმინდა პავლეს საკათედრო ტაძარში არის ე. წ. „ჩურჩულის გალერეა" რომელშიც ჩურჩულიც კი გარკვევით ისმის.

[14] ლაპარაკია ედუარდ VIII-ზე, რომელიც მაშინ უელსის პრინცი იყო.

[15] უბანი ლონდონში.

[16] ბალნეოლოგიური კურორტი.

[17] გრეგორ იოჰან მენდელი (18221885), ავგუსტინელთა ორდენის ბერი და მეცნიერი, რომელსაც ხშირად გენეტიკის ფუძემდებლად მოიხსენიებენ.

[18] უაითჰოლში არის სიმბოლური საფლავი, მემორიალური სტელა, პირველ მსოფლიო ომში დაღუპული ჯარისკაცების პატივსაცემად.

[19]2 ლონდონის ცენტრალური ქუჩა, რომელიც ვესტმინსტერს (პოლიტიკური ცხოვრების ცენტრს) სითისთან (საქმიან ცენტრთან) აკავშირებს.

[20] ჯეინ ოსტინის რომანის „სიამაყისა და ცრურწმენის" პერსონაჟი.

[21] ვიქტორიანულ ეპოქაში ქვრივ მამაკაცს ცოლისდის შერთვა არ შეეძლო. ასეთი ქორწინება ინცესტად ითვლებოდა.

[22] რიჩარდ ლოველასი და რობერტ ჰერიკი – ინგლისელი ანტიპურიტანული განწყობის პოეტები, რომლებიც, ძირითადად, სოფლურ ცხოვრებას აღწერდნენ.

[23] დედოფალი ვიქტორია კენტის ჰერცოგის, ედუარდის ქალიშვილი იყო; კენტის საგრაფო V საუკუნეში ლეგენდარულმა ძმებმა, ჰენგისტმა და ჰორსამ დააარსეს.

[24] აქ მინიშნებაა სომხების გენოციდსა (1915) და ალბანელების აჯანყებაზე (1909-1912).

[25] გაიხსნა 1855 წელს; თავდაპირველად აქ პირუტყვის ბაზრობა იყო, მოგვიანებით კი სხვადასხვა საქონლის შეტანა დაიწყეს, მათ შორის, საოჯახო და ანტიკვარული ნივთებისაც.

[26] ყველაზე გრძელი მდინარე გაერთიანებულ სამეფოში (354 კმ).

[27] დიპლომატისა და მანუსკრიპტების კოლექციონერის, სერ თომას ბოდლის (1545-1613) სახელობის ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა; დაარსდა 1598 წელს.

[28] მსხლის ჯიშია.

[29] (ფრანგ.) საქაღალდე საბუთებისა და კონვერტებისათვის.

[30] ემილ ლიტრე (1801-1881), ფრანგი ფილოსოფოსი და ფილოლოგი; ფრანგული ენის ლექსიკონის ავტორი.

[31] ცნობილი უნგრული ღვინო; ტოკაი – მთის მასივი უნგრეთსა და სლოვაკეთში; განთქმულია აქაური თეთრი სადესერტო ღვინოები.

[32] ჯოშუა რეინოლდზი (1723-1792), ინგლისელი ფერმწერი.

[33] სენტ-ჯონს-ვუდი – ისტორიული, პრესტიჟული რაიონი ლონდონში, ვესტმინსტერის ადმინისტრაციული ოლქის ნაწილი.

[34] ჯონ მილტონი (1608-1674) – ინგლისელი პოეტი, პოლიტიკოსი და მოაზროვნე; პოლიტიკური პამფლეტებისა და რელიგიური ტრაქტატების ავტორი.

[35] ძველად ლონდონის გარეუბანი, ამჟამად კი ერთ-ერთი პრესტიჟული რაიონი; აქ არის ლონდონის უდიდესი პარკი ჰემპსტედ-ჰიტი.

[36] (ფრანგ.) 1. ყვავილი ან პატარა თაიგული, რომელსაც გულზე იბნევდნენ; 2. მინის პაწაწინა სინჯარასავით ჭურჭელი, რომელშიც ყვავილს დებდნენ და გულზე იბნევდნენ.

[37] იტონის კოლეჯი – ვაჟთა კერძო პრესტიჟული სასწავლებელი; დაარსდა 1440 წელს ჰენრი VI-ის ბრძანებით.